

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

3 თებერვალი 2006

№3



ინტერვიუ რეზო ესაძესთან  
ხარაკირი მხატვრულად  
ჰერმან ჰესეს სატირა  
დევიდ ლორენსის ნოველა  
ამერიკული პოლიტიკური ესეი  
დალილა ბედიანიძის ლექსები  
ქართული დეტექტივი  
კულუარები  
ნაკვესები  
მოზაიკა

## შინაარსი

<b>პრეფასი</b>	<b>2</b>	<b>პოპულარული პოეტის ქაზნა გრძელდება</b>
<b>ჩვენი ყოფა, წუთისოვანი</b>	<b>2</b>	<b>სემუელ პ. ჰანტინგტონი ცივილიზაცია და წესრიგი</b>
	<b>4</b>	<b>საბა სულხანიშვილი ვანი ეგვიპტის აქცინას</b>
<b>ქსერას-ინტერვიუ</b>	<b>5</b>	<b>გონებას დრო არ გააჩნია (საუბარი რეზო ესაძესთან)</b>
<b>ღებუბები</b>	<b>7</b>	<b>ლაშა იმედაშვილი ვუძღვნი ქალებს, ჩემთან მწყრალებს (დასასრული)</b>
<b>პირველი შთაბეჭდილება</b>	<b>15</b>	<b>გიორგი გამსახურდია კანონიერების სარანგი</b>
<b>პოეზია</b>	<b>16</b>	<b>ვინმე ხარაპირი მხატვრულად</b>
	<b>19</b>	<b>დალილა ბედიანიძე ახალი ლექსები</b>
<b>უხსოვთის ხსოვრებიდან</b>	<b>22</b>	<b>იაჰია ჰაკი „მა არაბული ენის აშიკი ვარ“</b>
<b>ენისტიკა</b>	<b>24</b>	<b>როსტომ ჩხეიძე ორი ქსედი</b>
<b>ქულარები</b>	<b>27, 49, 60</b>	<b>სულს სწყურია... ზრდილობა</b>
<b>ლიტერატურული ზღაპარი</b>	<b>28</b>	<b>ჰერმან ჰესე დოქტორ კნიოლგეს აღსასრული</b>
<b>რისი და ბედისწერა</b>	<b>31</b>	<b>ვინ ხართ თქვენ, სინიორ პონტაპორკო (მოამზადა ლევან ინაშვილმა)</b>
<b>ფილოზოფია</b>	<b>34</b>	<b>გავლენებისგან შემდგარი პოეტი ზვიად რატიანი (ესაუბრა ლელა კოდალაშვილი)</b>
<b>გამოსწავრა</b>	<b>37</b>	<b>ლუკა ავალიშვილი „ქართული“ ნოტი... ჯერჯეროვით ამაო ოცნება?!</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>38</b>	<b>კრიტიკოსის დაბრუნება (თეიმურაზ დოიაშვილის წერილების ახალი კრებული)</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>42</b>	<b>გიორგი ლობჯანიძე ვინაა ყელში შეკავებული ცრემლის დანახვა შეუძლია</b>
<b>ლიტერატურული სიხლენი</b>	<b>44</b>	<b>მაკა ჯოხაძე ახალ საუკუნეს „ახალი საუკუნით“</b>
	<b>47</b>	<b>პატა ჩხეიძე კურთ ვონებუტის წინასწარმეტყველება</b>
<b>თეატრალური სიხლენი</b>	<b>50</b>	<b>ლელა ოჩიაური ჩვენს ისტორიაში იყო დრო სისხლისა და შენებისა</b>
<b>უხსოვრი ნოტი</b>	<b>53</b>	<b>დევიდ ჰერბერტ ლორენსი ჩაღვადარის ქალიშვილი</b>
<b>ნაქვესები</b>	<b>61</b>	<b>მანვილსიტყვაობის ნიშნები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>ამგავი ნათან ჰეილისა</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 94-39-63

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 95-23-24

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა ტეგი“  
საბეჭდო, თბილისი, სარაიშვილის 17  
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: დავით აღმაშენებლის ფრესკა გელათში

სტენა ვაკის სარდაფის სპექტაკლიდან „ქრონიკა“

# პოპულარული პოეტის ქება ბრძელდება

ცოტაც და... სულ ცოტაც და დავადგენთ, თუ ვინ იყო ყველაზე პოპულარული პოეტი გალაკტიონის ეპოქაში.

„დავადგენთ“ შესაძლოა ძალიან თვითდაჯერებული სიტყვა იყოს და ასე ზედმინევენითაც არაფერი გაირკვეს, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით სხვაზე უფრო სარწმუნო მაინც ეს მოსაზრება იქნება.

თუ შემდგომ მოპოვებული ცნობები ამ ვარაუდს გაგვიქარწყლებს ან სულაც ამოგვიტრიალებს, დღესდღეობით მაინც ეს უნდა იყოს ყველაზე დამაჯერებელი და შემაგულიანებელიც ამ მიმართულებით ძიების გასაგრძელებლად.

იქნებ ძიების გაგრძელებამ კვლავ ამ მოსაზრებასთანაც დაგვაბრუნოს?

გასაკვირი არც ეს იქნება.

რა მოსაზრებაა ამისთანა?

ჯერჯერობით რა დგინდება?

ჩაფიქრებული გვექონდა ჟურნალის ამ ნომერში დაგვესახელებინა ის პიროვნება, ვისაც სავარაუდოდ – ნაეჭარბებინა გალაკტიონისთვისაც და სხვა ყველა პოეტისთვისაც, მაგრამ ჩვენს შეკითხვას ისეთი გამოხმაურება მოჰყვა და კანდიდატურების შერჩევა ისეთი მონდომებით გრძელდება, ძალაუნებურად გაგვიჩნდა სურვილი, ცოტა კიდევ გადაგვეჩნია გალაკტიონის ეპოქის ყველაზე პოპულარული პოეტის დასახელება.

მკითხველთა აქტიურობამ ჩვენს მიერ წარმოდგენილი სია საკმაოდ შეკვეცა და შესაძლო გამარჯვებულებს შორის უმთავრესად მოიხსენიებენ:

იოსებ გრიშაშვილს,  
პაოლო იაშვილს,  
გიორგი ლეონიძეს,  
ტერენტი გრანელს,  
ლადო ასათიანს,  
იოსებ ნონეშვილს.

ამათგან ყველაზე გამოკვეთილად მაინც იოსებ გრიშაშვილს.

თვითონ გალაკტიონსაც, ცხადია, მაგრამ შეკითხვის ქვეტექსტმა ბევრს აფიქრებინა, რომ გალაკტიონი ალბათ არ უნდა ყოფილიყო ყველაზე პოპულარული პოეტი თავის ეპოქაში.

მაშინ ხომ შეკითხვა არც დაიბადებოდაო.

თუმცა ვინ იცის...

მაინც რომელი ამ ექვსეულიდან?

დიდი და პოპულარული იშვიათად, მაგრამ ხომ ემთხვევა ხოლმე ერთმანეთს.

ისე ფიქრის გაგრძელებისას მაინცდამაინც ამ ექვსი პოეტით ნუ შემოიზღუდებით.

იქნებ უნებურად იმ დანარჩენთა შორის დარჩა?

ან იქნებ საერთოდ არ დასახელებულა და უჩინრად გარდასულ სახელთა შორის იმყოფება?

ნურაფერს გამორიცხავთ.

ლოდინით კი ბევრსაც აღარ გალოდინებთ.

მაინც ვინ?..

## ჩვენი ყოფა, ნუთისოფალი

სემუელ პ. ჰანტინგტონი

# ცივილიზაცია და წესრიგი

დღევანდელ გლობალურ პოლიტიკაში, მთავარ ცივილიზაციათა ძირითადი სახელმწიფოები უკუაგდებენ ცივი ომისდროინდელ ორ სუპერსახელმწიფოს, რომლებიც დანარჩენი ქვეყნებისათვის ნდობისა და უნდობლობის მთავარი პოლუსები იყო. ეს ცვლილებანი გამორჩეულად დასავლურ, მართლმადიდებლურ და ჩინურ ცივილიზაციებში გამომჟღავნდა. ამ დროს ცივილიზაციები ჯგუფდებიან და სცენაზე გამოდიან როგორც ძირითადი სახელ-

მწიფოები, ნევრი სახელმწიფოები, კულტურულად მონათესავე უმცირესობანი მოსაზღვრე სახელმწიფოებისა და, ამისდა სრულიად საპირისპიროდ, განსხვავებული კულტურის ხალხები მეზობელი სახელმწიფოებისა. ამ ცივილიზაციური ბლოკების სახელმწიფოები ნაწილდებიან კონცენტრირებულ წრეებში, ძირითადი სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოთა გარშემო, და ფიქრობენ, თუ რამდენად შეიძლება შეერწყან ანდა გაერთიანდნენ ამა თუ იმ ბლოკში. რადგან აღიარებული ძირითად სახელმწიფოები არა ჰყავთ, ისლამური ქვეყნები ინტენსიურად ავითარებენ საერთო ცნობიერებას, მაგრამ ჯერჯერობით რუდიმენტულ საერთო პოლიტიკურ სტრუქტურამდე მიაღწიეს.

სახელმწიფოები მსგავსი კულტურის მქონე სახელმწიფოების მხარეზე გადადიან და ძალებს აწონასწორებენ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელთაგანაც



კულტურულად განსხვავდებიან. აქ კონკრეტულად ძირითადი სახელმწიფოები იგულისხმება. მათი ძლიერება იზიდავს კულტურულად მსგავს ქვეყნებს და უკუაგდება განსხვავებულებს. უსაფრთხოების მიზნით ძირითადი სახელმწიფოები შესაძლოა შეეცადონ შეიკავშირონ და დაიმორჩილონ განსხვავებულ ცივილიზაციათა ხალხები, ვინც, თავის მხრივ, შეეცდებიან შეენინაალმდეგონ ან თავი დააღწიონ ამგვარ ზეგავლენას (ჩინეთი VS ტიბეტელები და უიღურები; რუსეთი VS თათრები, ჩეჩნები, შუა აზიის მუსლიმები). ზოგიერთ ქვეყანას ისტორიული ურთიერთობანი და ძალთა წონასწორობის გათვალისწინება აიძულებს შეენინაალმდეგოს თავისი ძირითადი სახელმწიფოს გავლენას. საქართველოცა და რუსეთიც მართლმადიდებელი ქვეყნებია, მაგრამ ქართველები ისტორიულად ენინაალმდეგებიან რუსეთის მბრძანებლობას და რუსეთთან ახლო ურთიერთობასაც. ვიეტნამი და ჩინეთი – ორივე კონფუციზმის მიმდევარი ქვეყანაა, მაგრამ ისტორიული მტრობა მათ შორის მაინც საკმაოდაა გამჯდარი. რაც უნდა იყოს, დროთა განმავლობაში კულტურული ერთობა და უფრო ფართო და მძლავრი ცივილიზაციური ცნობიერების განვითარება ამ ქვეყნებს ერთმანეთთან მიიყვანს, ისევე, როგორც ევროპული ქვეყნები მივიდნენ ერთმანეთთან.

ცივი ომის დროს არსებობდა წესრიგი და ეს წესრიგი იყო ნაყოფი სუპერსახელმწიფოთა მბრძანებლობისა თავის ორ ბლოკსა და მესამე მსოფლიოზე. ახლანდელ მსოფლიოში გლობალური ძალა გადმონაშთია, გლობალური ერთობა კი შორეული სიზმარი. არცერთ სახელმწიფოს და, მათ შორის, შეერთებულ შტატებსაც, არ გააჩნია ყურადღების ღირსი გლობალური უსაფრთხოების ინტერესები. წესრიგის კომპონენტები დღევანდელ რთულსა და მრავალფეროვან მსოფლიოში ცივილიზაციათა შორის და მათ შიგნით უნდა ვეძიოთ. მსოფლიო ან ცივილიზაციათა საფუძველზე მონესრიგდება ან სულაც არ მონესრიგდება. ამ მსოფლიოში, ცივილიზაციათა შიგნით, წესრიგის წყარო ცივილიზაციათა ძირითადი სახელმწიფოებია, რომლებიც ცივილიზაციათა შორის მოლაპარაკებას გამართავენ სხვა ძირითად სახელმწიფოებთან.

მსოფლიო, რომელშიც ძირითადი სახელმწიფოები წარმმართველ ან განმსაზღვრელ როლს თამაშობენ, გავლენათა სფეროების მსოფლიოა. მაგრამ ეს არის აგრეთვე მსოფლიო, სადაც ძირითადი სახელმწიფოების გავლენის გავრცელება შერბილებული და შეთანადებულია, წვერი სახელმწიფოების ცივილიზაციათა საერთო კულტურით. კულტურული ერთიანობა კანონიერებას ანიჭებს ძირითადი სახელმწიფოს წინამძღოლობასა და წესრიგის დამყარებლის როლს წვერ სახელმწიფოთა და საგარეო ძალებისა და ინსტიტუტების თვალშიც. უსარგებლოა ის გზა, რასაც გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს-გალიმ მიმართა 1994 წელს, როდესაც გამოაცხადა წესი „გავლენათა სფეროების შენარჩუნებისა“: გაეროს მშვიდობისმყოფელთა არაუმეტეს ერთი მესამედი უნდა უზრუნველყოს რეგიონის გავლენიანმა ძალამო. ასეთი მოთხოვნა უგულვებელყოფს გეოპოლიტიკურ რეალობას და, თუ რომელიმე რეგიონში არის გავ-

ლენიანი სახელმწიფო, მშვიდობა მიღწეული და შენარჩუნებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ სახელმწიფოს წინამძღოლობით. გაერო აღარ არის რეგიონული ძალის ალტერნატივა და რეგიონული ძალა ხდება კანონიერად პასუხისმგებელი ყველაფერზე, როგორც ძირითადი სახელმწიფო უნდა იყოს საერთო ცივილიზაციის სხვა წევრებისათვის.

ძირითად სახელმწიფოს შეუძლია უწინამძღოლოს, რადგან წვერი სახელმწიფოები მონათესავე კულტურად აღიქვამენ. ცივილიზაცია გავრცობილი ოჯახია და, როგორც ოჯახის უფროსი წევრები, ძირითადი სახელმწიფოები თავის ნათესაებს კიდევაც ეხმარებიან და კიდევაც აწესრიგებენ. ამგვარი ნათესაობის არქონის დროს მძლავრი სახელმწიფოების უნარი, მოაგვაროს კონფლიქტი და წესრიგი დაამყაროს რეგიონში, შეზღუდულია. პაკისტანი, ბანგლადეში და შრი ლანკაც კი არ აღიარებენ ინდოეთს წესრიგის დამამყარებლად სამხრეთ აზიაში და არცერთი სხვა აღმოსავლეთ აზიური სახელმწიფო არ აღიარებს იაპონიას იმავე როლისათვის აღმოსავლეთ აზიაში.

როდესაც ცივილიზაციებს ძირითადი სახელმწიფო აკლიათ, წესრიგის დამყარება ცივილიზაციის შიგნით თუ მოლაპარაკებანი ცივილიზაციებს შორის უფრო ძნელდება. ძირითადი ისლამური სახელმწიფოს არარსებობამ, რომელიც კანონიერად და ავტორიტეტულად მოექცეოდა ბოსნიელებს, როგორც რუსეთი მოექცა სერბებსა და გერმანია ხორვატებს, უზიდა შვედეთს შტატებს ამ როლის შესრულება ეცადა და ამ მცდელობის არაეფექტურობა გამოიწვია იმან, რომ ამერიკას სტრატეგიული ინტერესი და კონცეფცია არ გააჩნდა იმის შესახებ თუ სად გაივლიდა ყოფილი იუგოსლავიის ადგილზე წარმოშობილ სახელმწიფოთა საზღვრები; იმანაც, რომ შეერთებულ შტატებსა და ბოსნიას შორის კულტურული კავშირი არ არსებობდა და აგრეთვე ევროპის წინააღმდეგობამ, მუსლიმური სახელმწიფოს შექმნა რომ არ სურდა ევროპაში. ძირითადი სახელმწიფოს არარსებობამ აფრიკასა და არაბულ სამყაროში დიდად გაართულა სუდანში მიმდინარე სამოქალაქო ომის შეჩერება. ხოლო სადაც ძირითადი სახელმწიფო არსებობს, იქ ჩნდება ცივილიზაციებზე დაფუძნებული ახალი ინტერნაციონალური წესრიგის ცენტრალური ელემენტები.

**ჩაღაქციის მიხანარი**

სემუელ პ. პანტინგტონი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია და ჰარვარდის საერთაშორისო და მხარეთა შესწავლის აკადემიის თავმჯდომარე. იგი იყო პრეზიდენტ კარტერის ადმინისტრაციის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და უსაფრთხოების დაგეგმვის დირექტორი, ჟურნალ „სავარეო პოლიტიკის“ დამფუძნებელი და თანარედაქტორი, არის ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის პრეზიდენტი. მრავალი წიგნისა და სამეცნიერო შრომის ავტორია. ცხოვრობს ბოსტონში, მასაჩუსეტსი.

მისი წიგნი „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“ ერთ-ერთი ყველაზე განხილული და საკმაოთა ნაშრომია მეოცე საუკუნის დასასრულის ამერიკულ

პოლიტიკურ მეცნიერებაში. ამ წიგნს იწუნებენ ფილოსოფოსები, აკრიტიკებენ პოლიტიკური მეცნიერების აკადემიურ წრეებში, ედავებიან ლიბერალები და, ზოგან, არ ეთანხმებიან კონსერვატორები, მაგრამ ყველანი ერთსულოვნად მიიჩნევენ წიგნში გამოთქმულ მოსაზრებებს საგულისხმო და ხშირად ახსენებენ და კამათობენ.

ამ წიგნში საქართველო რამდენჯერმე ნახსენები; ავტორი ქართულ კულტურასა და ისტორიას, რა თქმა უნდა, ზედაპირულად იცნობს და არც მისი მომავლით არის დიდად შეწუხებული. მას მსოფლიოს უსაფრთხოება და ამერიკის მომავალი ადარდებს და ახალი წესრიგის შესაძლებლობის განჭვრეტას ცდილობს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით ჰანტიგტონს, საქართველო რუსეთის გავლენის სფეროს რომ მიაკუთვნა, „მართლმადიდებელი ცივილიზაციის“ წევრ, ანუ რუსეთის სატელიტ სახელმწიფოდ შეგვრაცხა და მარად განვითარებად ქვეყნად ყოფნა გვინინასწარმეტყველა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამერიკელები და ევროპელები ეთანხმებიან და, როდესაც სიტყვა საქართველოს ევროკავშირში შესვლაზე ჩამოვარდება, უხმოდ იჩჩავენ მხრებს.

და იმიტომ კი არა, რომ საქართველო არ მოსწონთ ან, თავის დროზე, საბას გზას რომ არ გავყევით დასავლეთისაკენ და წვერით ვათრით ის ცხოვრებული, იმიტომ გვიბრაზდებიან; იმის გამო არ გვენდობიან, რომ თხუთმეტი წლის მანძილზე ცივილიზებული ყოფის ნიშანწყალიც ვერ გავაჩინეთ ჩვენს ქვეყანაში. ამას მართლმადიდებელი ცივილიზაციის თავისებურებად მიიჩნევენ და დასავლურ სამყაროში შემავალი ბილეთის ჩუქებაზე ზრდილობიან უარს გვეუბნებიან.

## ჰაი ებეთას აქციას

ჩვენი ჟურნალის წინა ნომრის კულუარების ციკლში (2006, №2) მკითხველს ვამცნეთ, თუ როგორ გახმაურდა დასავლეთში სამი ამერიკელი მწერალი ქალის (დანიელა კუპერი, მამა ჰამილტონი და ჯუდი რაიან პენდრიქსი) ერთობლივი რომანი. იმასაც ვარაუდობენ, წიგნი შესაძლოა წლის ბესტსელერადაც იქცესო.

ისეთი უჩვეულოც არაფერი მომხდარა – ერთობლივად შექმნილ რომანებს აქამდეც იცნობდა ლიტერატურის ისტორია.

ასე წერდნენ ძმები გონკურები, ასე წერდნენ ერკმანი და შატრიანი, ასე წერდნენ ილფი და პეტროვი...

ისინი სულიერმა თანაზიარობამ, შემოქმედებით პრინციპთა ერთნაირობამ, შინაგანმა ხმამ მიიყვანა ასეთ გადამწყვეტილებამდე.

ეს სამი ქალბატონი კი იმ შეხედულებამ შეაკავშირა, რომ: მწერლები ერთობლივად არასდროს მუშაობენ და ინდივიდუალურ შრომას ამჯობნიებენ. და მათ თავიანთი აქციით მოინდომეს, რომ მწერლებისათვის პროფესიული სოლიდარობის მაგალითი მიეცათ.

გადამწყვეტი აქ სწორედ ეს კონცეფციაა და ამიტომაც გადაიზარდა მათი აქცია მოწოდებაში – სხვებსაც ურჩევენ, სხვებსაც აგულიანებენ: აღარ გინდათ განმარტოება შემოქმედებისას, მოუშვით ამ დრომოჭმულ ჩვეულებას და ერთობლივი მუშაობა გაიხადეთ მიზნადო.

ინდივიდუალიზმს კოლექტივიზმი უპირისპირდება და თანაც სად – შემოქმედისათვის ყველაზე ღრმად ინტიმურ სფეროში.

მთავარი ისაა, რომ ეს მოწოდება არის არა რამდენიმე ადამიანის ახირება, არამედ გლობალიზმისათვის ნიშანდობლივი მოთხოვნა.

განსხვავებით სოციალიზმისაგან, გლობალიზმი აღარ მკვიდრდება ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ არანაკლები ინტენსივობითა და მიზანდასახულებით მოიწვევს ნამდვილ სულიერ ღირებულებათა ჩასანთქმელად ან გადასაგვარებლად. ამიტომაცაა გლობალიზმის ექსპანსიაც ასეთი სახიფათო და აუცილებლად ასარიდებელი.

ძმებ გონკურებს არასოდეს მოსვლიათ აზრად, თავიანთი მუშაობის სპეციფიკა საყოველთაოდ დაესახათ და მოწოდებებით გამოსულიყვნენ, პროფესიული სოლიდარობის მაგალითი ჩვენგან გადაიღეთო.

არც ერკმანსა და შატრიანს.

არც ილფსა და პეტროვს.

სამაგიეროდ, ასეთი მოწოდებანი ჩვეულებრივი მოვლენა გახდებოდა საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში.

აკაკი ბაქრაძის მონოგრაფიაში „მწერლობის მოთვინიერება“ მოხმობილია რამდენიმე ასეთი ნიმუში.

1936 წლის ერთ ნომერში „ლიტერატურული საქართველო“ გახარებული რომ იუნყებოდა: ნიკოლო მინიშვილი, ტიციან ტაბიძე და სიმონ ჩიქოვანი ერთობლივად წერენ პოემა-სო, – მოწოდებასაც მოადევნებდნენ: ასეთი კოლექტიური მუშაობა საუკეთესო საშუალებაა დიდი მხატვრული ტილოების შესაქმნელადო.

მწერალთა ერთ-ერთ კრებაზე კონსტანტინე ლორთქიფანიძე განაცხადებდა: პაოლო იაშვილმა და ალიო მამაშვილმა ერთად დაწერეს ლექსი და ეს ლექსი ისე ორგანიზულად არის დაწერილი, რომ ვერ გაარჩევ, სად თვდება ერთი ავტორი და სად იწყება მეორეო.

მკვლევარი აქ დასძენს:

„დღეს ეს სიტყვები შეიძლება გონებაგახსნილ მკითხველს მწარე ირონიად მოეჩვენოს. როგორ უნდა გათქვეფილიყო ერთმანეთში ორი ძირეულად განსხვავებული პოეტი – ცისფერყანწელი პაოლო იაშვილი და პროლეტმწერალი ალიო მამაშვილი? ეს გათქვეფა ხომ მათი პოეტური ინდივიდუალობის, თავისთავადობის სიკვდილს მოასწავებდა! ცხადია, ამას ნიშნავდა, მაგრამ კომპარტიის ამოცანაც ეს იყო: ნაეშალათ მწერლის ყოველგვარი ინდივიდუალობა, თავისთავადობა და მიეცათ უსახო, უფერული კოლექტიური გამომეტყველება“.

ასევე კოლექტიურად ითხზებოდა გალექსილი მიმართვები, რომელსაც კომპარტიის ყოველი ადგილობრივი პუნქტი, კონფერენცია, ყრილობა უგზავნიდა სკკპ-ს ცენტრალურ კომიტეტს.

თავგადაკლული მონდომების მიუხედავად ვერ გაამართლებდა ამგვარი ცდები და მოწოდებანი და კომუნისტური პარტია ბოლოსდაბოლოს ხელს აიღებდა კოლექტიური შემოქმედების აუცილებლობის მოთხოვნაზე.

დღესდღეობით გლობალიზმი ჩაბლაუჭებია ამ შეხედულებას სნობების იმედად და ცოტა არ იყოს დაბნეულ მკითხველთა კიდევ უფრო დასაბნევად, და ამ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ-კულტურული მიმდინარეობის ადეპტები შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან კოლექტიური შემოქმედების განსაღიღებლად და მწერლური ინდივიდუალობის დასამცირებლად.

სნობობისა და დაბნეულობის ბრალია, ამ ჩვენი სამეულის ერთობლივი ნამუშავეიც ასე რომ გახმაურებულა და იქნებ მართლაც იქცეს წლის ბესტსელერად. ყოველ შემთხვევაში, საკმაო პოპულარობა უკვე მოპოვებული აქვს.

„ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე – სწორედ წინა ნომერში – ახალი ტერმინიც გაჩნდა: გლობრეალიზმი – სოცრეა-

ლიზმის ანალოგიით (ნონა კუპრეიშვილისა და ოთარ ჩხეიძის დიალოგში „გზაგასაყარზე“). მსგავსება მართლაც განსაცვიფრებელია ამ ორ მოვლენას შორის. თუმცა გარეგნული იერი განსხვავებულია, არსი ერთია, ერთნაირად დაპირისპირებული ჭეშმარიტ სულიერ ფასეულობებს, ერთნაირად მონდომებული პიროვნული და ეროვნული ნიშნების წაშლასა და ყველაფრის ათქვეფა-გაქარწყლებას.

და ეს ერთი დეტალიც – მონოდება კოლექტიური წერისაკენ – ამასვე ადასტურებს.

ვინც გლობალიზმის იქით აღარც იხედება, იქნებ კიდევ მოეჩვენოს, რომ კოლექტიური მუშაობა საუკეთესო საშუა-

ლება დიდი მხატვრული ტილოების შესაქმნელად, მაგრამ გადავლებ თუ არა თვალს სოცრეალიზმის ისტორიას, იოლად მიხვდები, რომ როგორც ის გაკოტრდა და განქარდა, ასევე გაკოტრდება და დასამარდება გლობრეალიზმიც თავის ლიტერატურულ ტექსტებიანად და მონოდებებიანად, მათ შორის, კოლექტიური მწერლობისა თუ პროფესიული სოლიდარობის აპოლოგიით.

ცხადია, თავისთავად და ბედს მინდობილად არც ამჯერად მოხდება არაფერი.

საბა სულხანიშვილი

ექსპრეს-ინტერვიუ

გონებას დრო არ გააჩნია

\*

საუბარი რეზო ქსანთაძეს

– ბატონო რეზო, საზოგადოება კარგა ხნის მანძილზე გიცნობდათ როგორც რეჟისორს. ახლა უკვე რეჟისორის გარდა იცნობენ პოეტ რეზო ქსანთაძეს, მხატვარ რეზო ქსანთაძეს. ვერც პოეტს და ვერც მხატვარს რეჟისორის თავისუფალი დროის შევსებად ან დამატებად ვერ ჩავთვლით, რადგან სამივე ხელოვანი ძალზე საინტერესო, თავისთავადი, განსხვავებული და გამორჩეულია.

იქნებ, ვისაუბროთ ერთ პიროვნებაში გაერთიანებულ, გამუდმებულ მძიებელ სამ ხელოვანზე – რეჟისორზე, პოეტზე და მხატვარზე...

იყო დრო, იძულებული გავხდი, გავჩერებულიყავი როგორც რეჟისორი. მაშინ გაჩნდა ხატვის და წერის სურვილი. დრო უნდა შეკრებილიყო.

კინო, მსახიობი, მხატვარი, პოეტი, პედაგოგი – ერთი მთელია. ამას ჩემი ერთი ნაწილი გეუბნებათ მეორე ნაწილზე... ერთი მეორეს ეუბნება, მართო ნუ დამტოვებო...

ქრონოლოგიური კვალდაკვალობა საჭირო არ არის; არც ძალიან დაწყობილი თხრობა.

გონებას, აზროვნებას დრო არ გააჩნია.

ახლა მე თქვენ გელაპარაკებით და უცებ ვხედავ წისქვილის წყალი როგორ აბრუნებს, როგორ მიაქვს ხის ფესვები. ჩემი პოეზია ასეა აგებული. ასე იბადება ლექსები.

როცა ვხატავ, არ ვიცი რას ვხატავ.

ეს ყველაფერი სულის ამოთქმასავითაა.

ადამიანი იხსნება აბაღებში. ის ბარდ-ეკალში გაიკვლევს ხოლმე გზას.

დანყობილობა არის მოჩვენებითი. დაუნყოფლობაა შემოქმედების პირობა. ის ქარივით არის. ვერ განსაზღვრავ, საით შეიცვლის მიმართულებას...

– ათასგვარი მიმართულებაც ადამიანის ასეთი ბუნების დამსახურებად მიგაჩნიათ?

– ჩემი ბავშვობიდან მას-სოვს ბუნების ხატები. აი მაგალითად: პირველად რომ მოფიფქავს და ბალახი თან რომ ჩანს და თან – არა... ამ დროს კარიას წინ (ეზოს შესასვლელს ეძახიან ჩვენთან სოფელში), ფეხის ანაბეჭდებით, თოვლითა და უკვე ჩამოყრილი შეყვითლებული ფოთლებით სიმარტოვის ისეთი ნახატები დაბადებულა, რომელი პოსტმოდერნიზმი მოინონებს ისეთი შედეგებით თავს?! დაფიფქვის გვერდით ტალახის ანაბეჭდები – ჭუჭყი, უცებ, შენს თვალწინ იქცევა ფანტასტიკურ სინმინდედ. ასეთი ექსპრესია არ მინახავს არცერთ მხატვართან. ის ყველაფერი, რაზეც თავს გამოიდებენ ხოლმე ადამიანები, გამზადებულია. ბუნებას გამზადებულთან მივყავართ და ჩვენ ამ გამზადებულებს სახელებს ვარქმევთ.



– ანუ, მხატვრები, რეჟისორები, პოეტები – ყველანი იმეორებენ ბუნების შემოთავაზებული მთლიანობის ნაწილებს?

– ყველაფერი ერთია. არ არსებობს რეალური და არარეალური, ირეალური.

არსებობს თვალი და გულის თვალი.

ბებიანჩემმა იცოდა ხოლმე თქმა: თვალის ყური მიადევნე, გულისყურით გააკეთე!

თვალით დანახული და გულისყურით გაგონილი იკრიბება წარბებსშორის, ცხვირსზემთ, შუბლის ფსკერზე რომ თვალი გვაქვს. სწორედ იქ ჩნდება თვალსაზრისი.

გულის თვალი ხედავს, ჩვეულებრივი თვალი უყურებს.

ხილული თვალი არ ხედავს, ის უყურებს, კოდირებას უკეთებს და თვალსაზრისს უგზავნის.

ამიტომ არის, რომ სინამდვილეში არარსებული საგნები, რომელსაც მე კომპიუტერის ეკრანზე ვხედავ, ვირტუალურ სამყაროს ისევე განვიცდი, როგორც ცოცხალს. ვირტუალური დინოზავრის გამო, რომელსაც ჩემი შვილიშვილი უყურებდა, გავიღვარე ცრემლით.

საგანი არ არის მთავარი, მთავარია, ადამიანი როგორ ხედავს, როგორ აღიქვამს გულის ყურით და გულის თვალით.

პოლ ვალერი ხომ ამბობდა, საგანი კი არ არის მთავარი, არამედ რა თვალსაზრისი არსებობს ამ საგანზეო.

– თვალსაზრისი და არა რალაც დადგენილი ნორმები. ასეა?

– ნორმა რალაა?! ნორმებმა დაგვლუპეს. აქ მაინცდამაინც საქართველოზე არ ვამბობ. სიყალბესა და ფარისევლობაზე აგებული მსოფლიოში შექმნილი ამის ნორმა და იმის ნორმა.

ადამიანები ნორმებს როცა მიყვებიან, არასწორი გზით მიდიან.

შინაგანი თავის შეზღუდვა სხვა რამეა. რწმენით როდესაც თავს იზღუდავ ბედნიერი ხარ, ნორმაში ჩამჯდარი კი უბედურია.

სიყვარულში შეიძლება ნორმა არსებობდეს?! რუსთაველი ხომ ამბობს: „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“, მიჯნური შმაგსა გვიქვიანო. ნორმიდან გადასული ყველა კაცი შმაგია, მაგრამ სიყვარულში თავშეკავება არ ნიშნავს ნორმებში მოქცევას...

ნიგნები ზოგჯერ ზურგმუქცევით დგანან, მეზუტებიან, იმიტომ რომ ისინი ცალკე არიან, ცხოვრება – ცალკე.

რომ წაიკითხავდნენ არისტოტელეს და პლატონს, რალაცას მაინც მიხვდებიან ისინი, ვინც ნორმებს და რალაც კანონებს თხზავს.

ის ძველი ბრძენი ხალხიც კი რალაც უწინდელს, ძველი ცივილიზაციების ნაფლეთებს იმეორებდა.

– ბატონო რეზო, ახლა რაზე მუშაობთ? თავისკენ რა უფრო გენევით: კინო, პოეზია თუ ხატვა?

– მომავალი რეჟისორებისთვის სახელმძღვანელოს ვწერ. ჯერ მხოლოდ ოცი გვერდი მაქვს დაწერილი და ჯერ კადრის ცნებას არ გავცილებივარ. ოცი დღეა ამას ვუტრიალებ. ეს კი ნიგნისთვის ის მცირედი ნაწილია, მშენებელმა სახლის საძირკველში მხოლოდ ერთი ნიჩაბი დულაბი რომ ჩაასხას. სახელმძღვანელოს დაწერა სულ სხვა რამეა.

ლექციაზე მე ცოცხალი შეხება მაქვს აზრთან, შთაბეჭდილებასთან. საიდან სად წავალ, არ ვიცი. შეიძლება ბეზიაჩემზე საუბრით დავინყო და მაკედონელის ეპოქაში გადავიდე...

ყველაფერს „არცოდნით“ ვაკეთებ. ფილმსაც „არცოდნით“ ვიღებ. ყოველთვის გოგებაშვილის ერთი მოთხრობის პერსონაჟი სახედრის როლში ვგრძნობ თავს. გაჯიუტებული სიარული რომ გაეგრძელებინა, ბიჭმა ჯოხზე ბალახი ჩამოკიდა, ისევ შეაჯდა თავის სახედარს და ის ბალახი ცხვირწინ ჩამოუკონიალა. იმ ბალახის სურვილით შეპყრობილი ვირი წინ წავიდა. წავიდა და წავიდა. მეც კეთების, თხზვის დროს ზურგზე მაზის რალაც და მიმაქანებს თავის ბილიკით.

– ესე იგი, წინასწარ არასოდეს იცით რომელ „ბილიკს“ დაადგებით?

– ანტონიონიმ პირველმა გადაიღო ნეორეალისტური დოკუმენტური ფილმი. შემდეგ მხატვრული ფილმის გადაღებისას, ჰკითხეს, ხედავთ უკვე იმას, რაც უნდა გადაიღოთ? წარმოდგენა არა მაქვს, ხელის ფათურით მივდივარო. მართალიც იყო.

მიმდინარეობებს არაფერს ვერჩი. ისინი ჭეშმარიტების ნაწილს შეიცავენ. მთავარია, ყალბი არ იყოს. საფუძველში რაც ყალბია, ის ბერდება. გინდა ფილმი იყოს, გინდა სხვა რამ.

ქვეყანას ბევრი კანონი რაში სჭირდება?! იცით რა არის მთავარი?

ერთხელ ბაბუაჩემი ავად იყო. ბიძაჩემმა უთხრა, შენ ავად ხარ და ყანას მე გავთოხნო. ფეხი არ ჩაადგაო, უთხრა ბაბუამ. სიმინდი შენ გიუცხოებსო. გამიგონეთ? გიუცხოებსო!

ადამიანით ექცევა კაცი ყველაფერს, რასაც აკეთებს. საქმემ არ უნდა გაგიუცხოოს, საგანმა არ უნდა გაგიუცხოოს. სულს ეტიკეტები არ ჭირდება.

სული არის სული!

პლატონმა რა თქვა?

ატომი სხეულოვანია, მაგრამ მისი მარადმოძრავი ნაწილაკები უსხეულოა. ისინი განუწყვეტილად იცვლიან ფორმას. სულ აწყდებიან კანონებით აშენებული სხეულის ფორმებს. თავისუფლები არიან. ოლონდ, თავისუფლება არ ნიშნავს თავის აწყვეტას. ეს ყველაზე დიდი თვითშეზღუდვაა.

ღვთისმოსაობიდან გამოსული სიყვარული საშიშია, რადგან დამანგრეველია. ღვთისმოსაობაში განცდილია ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული.

– და მაინც, შემოქმედი ადამიანი მარად სიახლეთა ძიებაშია. ამის ნიმუშებით არის საგვს თქვენი შემოქმედება: ფილმი, ლექსი, ნახატი...

– სამყარო უსასრულოა ერთშია უსასრულობა და უსასრულობას აქვს რიცხვი, რომელსაც ჩვენ ვერასოდეს მივხვდებით...

ამ უსასრულობას როდესაც სხეულში გაატარებთ და შეიგრძნობთ, მაშინ იქმნება რალაც. ესე იგი, რალაც გაგვიგონია. გონი-ა აქ მთავარი. ის თვალის, შუბლის ფსკერზე რომ გვაქვს.

– სტილური ძიებებიც ამის შემადგენელი ნაწილია?

– შემოქმედი ადამიანი ძიებაშია იმიტომ, რომ ყველა მიმდინარეობა, რომელშიც ის არის ჩაკეტილი, არასრულყოფილია.

რაც კი წამიკითხავს, ყველაზე სრულყოფილი გალაკტიონია.

მასთან „მშვიდობის ნიგნში“ სიტყვის გარეშე იგრძნობა სიტყვა. ყველა ხელოვნება ესწრაფვის გაუტოლდეს მუსიკას.

მე არაფერზე არ ვფიქრობ, როდესაც დიდებულ მუსიკას ვუსმენ. მაშინ ნაწილი ვარ მთელის.

პროზაში გურამ დოჩანაშვილი რასაც აკეთებს, ფანტასტიკურია. ჩემი მეგობარი ვერ ჩაეტია სიტყვაში. იმიტომ რომ სიტყვა გაცვდა და დაიღალა. სიტყვა აღარ კმარა იმისთვის, რომ გადმოსცეს რაც მასშია. სხვისთვის კი არა, თავისი თავისთვის აღარ კმარა.

კიდევ ოთარ ჩხეიძეს ვიტყვოდი. იგი სიტყვის თავშექცევაში, ნაღმა-უკულმობაში ნახულობს ძალას. ყბაშექცევით ნათქვამებით – მულო, შენ გეუბნებიან და, რძალო, შენ გაიგონეო – ამბობს სათქმელს.

დოჩანაშვილი თვითონ შეძერა სიტყვაში. ის აბრეშუმის ჭიას ჰგავს. მთელი სიცოცხლე ერთი საქმით არის დაკავებული. თავისავე ციხეს, უღამაზეს თეთრ ციხეს თვითონვე იშენებს. რისთვის? იმისთვის, რომ ერთი თვის შემდეგ ერთი დღე პეპლის თავისუფლებით იცოცხლოს. თუ ვინმე ამიხსნის, რა ხდება, რატომ ხდება, ყველას ბოდიშს მოვუხდი, იმის გამო, რაც მიკეთებია.

ოთარ ჩხეიძის სიტყვა ძაფის მორგვია, რომელიც გაგორდება და გაიხლართება. თუ მიჰყევი და გაიკვლი, მაშინ ჰო, გაიგებ სხვისთვის ნათქვამი არა და, შენთვის გასაგონი ყოფილა...

შევეყვით საუბარს. არადა, იმას ვჩიოდი და მინდოდა მეთქვა, ახლა მე სალაპარაკოდ არა ვარ აწყობილი-მეთქი...

ესაუბრა  
თამარ ღონღაძე

ლამა იმედაშვილი

# ვუქლვნი ქალეხს, ჩემთან მწყრალეხს

ფართლელულობის გამყიდველ ისო ავეტისოვსაც კარ-გად ახსოვდა სასტუმროს მმართველი დავით ჩხოტუა და ყველა მისი შენაძენი გულმოდგინედ ჰქონდა ჩანმწული სათანადო დავთარში. ავეტისოვის სიტყვით, ჩხოტუას საროჩკები მოუთხოვია. ფართლელულობის მალაზია მდიდარი არჩევანით გამოირჩეოდა და ავეტისოვსაც პალატინაინი და შოლკოვი საროჩკები შეუთავაზებია მყიდველისთვის. ჩხოტუა ნეჟნად გაზრდილი არ გახლდათ და სიტყვზედ სალლასანი იყო. ჩამოალაგა პრიკაზჩიკმა ერთი პაჩკა საროჩკა და დაულაგა პრილავეკაზე. ჩხოტუამ გადაარჩია ოთხი საროჩკა სხვადასხვა ფერისა: ლილოვი, გალუბოვი, კარიჩინი და სირენევი, მერე ბუშმაგაში გაახვევინა და ჩადო ვეშჩებით გატენილ საკვოიაში. პრიკაზჩიკს სხვა რამეებიც შეუთავაზებია: ნოვომოდნი საიუპკე, შესტერნოი მატერიები, სუკნო, ლიონსკი ბარხატი, პადუშკის საპირე, ნაირნაირი შოლკოვი მატერიები, მაგრამ დავით ჩხოტუას უარი უთქვამს და ანგარიში მოუთხოვია. კუპეცმა ჩოთქში ჩააგდო, თითოში დვა რუბლი ტრიცეტ, სუმას დევით რუბლი, დვაცათ კაპეიკ უქნია. გაიკრა დავით ჩხოტუამ კარმანზედ ხელი და ვერაფერი აღმოაჩინა, პორტმანი შინ დავინყებოდა. სასტუმროს მმართველი შეწუხდა და ფულის გადახდას რამდენიმე დღეში დაჰპირდა. რადგან ჩხოტუა სანდო პაკუპატელად ითვლებოდა, კრედიტში კი არა, დარომაც რომ მოეთხოვა მაინც გაატანდნენ საქონელს.

ასეთი იყო თბილისური ენა, რომელიც თითქმის ყველასთვის გასაგები გახლდათ, მაგრამ იოსებ წინამძღვაროვმა, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, გამყიდველის ჩვენების ქართული თარგმანი გაამზადა და საგულდაგულოდ შეინახა მოვლილ საქალადემში, სადაც ყველა იმ საბუთს აგროვებდა, რომელსაც მეტ – ნაკლები კავშირი ჰქონდა აღნიშნულ საქმესთან.

აი, რა გამოუვიდა პრისტავ წინამძღვაროვს: ფართლელის მალაზიაში ჩვენი სასტუმროს მმართველი შესულა და პერანგები უკითხავს. ვაჭარს ტილოსა და აბრეშუმის შეუთავაზებია. რადგან მმართველი აზიზად გაზრდილი არ გახლდათ, ჩითისასაც იყაბულებდა. ჩამოილო ნოქარმა ყაფაზიდან ერთი დასტა პერანგი და დაუნყო დაზაზედ. მმართველმა ოთხი ფერის პერანგი გადაარჩია: სოსანი, ლაჟვარი, მიხაკისა და იასამნისა, გაახვევინა ქალადემში და ჩასდო ბარგით გატენილ ხურჯინში. დახლიდარს სხვა საქონელიც შეუთავაზებია: ახლად შემოღებული საკაბე შალეები, მაუდი, ხავერდი, ბალიშის საპირე, ნაირ – ნაირი ფარჩები, მაგრამ მმართველს უარი უთქვამს და ანგარიში მოუთხოვია. ვაჭარმა იანგარიშა: თითოში ორი მანეთი და ექვსი შაური, ჯამში ცხრა მანეთი და ერთი აბაზი გამოსულა. გაუკრავს სასტუმროს მმართველს ჯიბეზე ხელი, მაგრამ ფულისთვის ველარ მიუგნია, შინ დარჩენოდა. სოვდაგარს დაუნყნარებია, თქვენისთანა მუშტარს ნისიად კი

არა, მუქთადაც რომ ინებოს ნალება, ხათრს ვერ გავუტყებთო.

ძნელი სათქმელია, რომელი უფრო ადვილი გასაგები იქნებოდა ჩველებრივი მოქალაქისთვის, თბილისური ენით აღწერილი თუ წინამძღვაროვის ქართულით მოთხრობილი, მაგრამ ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლებოდა: დავით ჩხოტუას, როგორც თავად ამტკიცებდა, ჰალტუხი არ შეუძენია და, რაც მთავარია, ფართლელის მალაზიაში მკვლელობამდე ერთი დღით ადრე იმყოფებოდა, ამას სქელი დავთარიც ადასტურებდა, პრიკაზჩიკის სიტყვებიც და, რაც ყველაზე სარწმუნოა, ფულის გადაუხდებლობის ფაქტი, რომელიც ყველას, გამყიდველსა თუ ჩველებრივ მოქალაქეს, განსაკუთრებით მწარედ ამახსოვრდება ხოლმე.

ამ ყველაფრიდან ნათლად ჩანდა, რომ დავით ჩხოტუას ალიბი არ გააჩნდა და, მკვლელობის ფაქტს თუ არა, სხვა რამეს გულმოდგინედ მალავდა.

ამ დროს პოლონეთიდან სამძიმრის ტელეგრამა მოვიდა. სტაჰაუ პრეშპიშევსკი მეუღლის გადასვენებაზე უარს აცხადებდა, არც ჩამოსვლას აპირებდა და რამდენიმე სიტყვით იუნყებოდა: „ეს ამბავი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ჩემი ცოლი ყოველთვის ეძებდა სიკვდილს. დაე, დარჩეს იქ, სადაც მან ეს სიკვდილი იპოვნა“.

მოკლე დეპეშიდან დანამდვილებით მხოლოდ ერთი აზრის გამოტანა შეიძლებოდა, დასაფლავებისა და სხვა წვრილმანი ხარჯი, რაც ასეთ შემთხვევას ახლავს ხოლმე თან, ქალაქის მთავრობას უნდა გაეღო, რაც, პრისტავის აზრით, მთლად მართებულად არ გამოიყურებოდა. ასეც მოხდებოდა, ვარვარა ანდრეევსკაიას ეს ყველაფერი საკუთარ თავზე რომ არ აეღო: „ვარვარა ანდრეევსკაია იუნყება, რომ გარდაიცვალა დაგნიუ უელი – პრესპიშევსკაია. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე, 19 ივლისს, დღის სამ საათზე. გამოსვენება სასტუმრო „ევროპიდან““.

თითქოს ყველაფერი მოგვარდა: მიცვალეზულს პატრონი გამოუჩნდა. ეჭვმიტანილი თუ მკვლელი საგულდაგულოდ იყო გამოკეტილი და დღეს თუ არა ხვალ დანაშაულსაც აღიარებდა, ალექსანდრე ბელიკი ძიებით კმაყოფილი ჩანდა და ამის დასადასტურებლად იოსებ წინამძღვაროვს ერთკვირიანი დასვენებაც კი შესთავაზა ბორჯომში, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს, ანუ პოლიციის ხარჯზე.

მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა. ვარვარა ანდრეევსკაიამ პრისტავის კაბინეტში სრულიად საიდუმლო ვითარებაში აღიარა, რომ სასტუმროს მმართველი მისი საყვარელი გახლდათ, მკვლელობის ღამეც მასთან გაატარა და, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეშვენის, ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს. ცხადზე ცხადი გახლდათ, რომ ანდრეევსკაია სასტუმროს მმართველს ხელს მხოლოდ სიყვარულის გამო არ აფარებდა, რადგან ვარვარას გარეგნობიდან გამომდინარე ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ახალგაზრდა ჩხოტუას მასთან

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“, №2



დაეჭირა საქმე, მითუმეტეს, რომ ქვრივის გარდაცვლილი მეუღლის პენსიის გარდა არაფერი გააჩნდა. პრისტავმა ეს ამბავი ალექსანდრე ბელიკის ყურამდე მიიტანა. უფროსი გაჯიუტდა, დავით ჩხოტუა ხელსაყრელ დამნაშავედ მიაჩნდა და მის გამოშვებას არ აპირებდა, მითუმეტეს, რომ ეს არც პირველი შემთხვევა გახლდათ და არც უკანასკნელი, როდესაც უდანაშაულო ადამიანი ციხეში იჯდა, ასე რომ, ბელიკი, საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე, ამაში უჩვეულოს ვერაფერს ხედავდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩხოტუას უდანაშაულობას ერთი, მეტ – ნაკლებად მყარი არგუმენტი აძლიერებდა და ამ არგუმენტს ბელიკიც ეთანხმებოდა: არსად ჩანდა ფული, რომლითაც თითქოსდა დაგნიუ უელი თბილისში სახლის შექმნას აპირებდა, არადა ამ თანხის გარეშე რაიმეს დამტკიცება ძალიან გაჭირდებოდა თუ, რა თქმა უნდა, ჩხოტუა მკვლელობას თავად არ აღიარებდა.

სახლის პატრონმა, გიორგი შარვაშიძემ, დაადასტურა ქონების გაყიდვის ფაქტი, უფრო სწორად, გასხვისების სურვილი. ისიც დაამატა, რომ აღნიშნული თანხა ნანახიც კი ჰქონდა, როდესაც ნორვეგიელ ქალბატონს მასპინძლობდა და სახლს ათვლიერებინებდა. მეტიც, ქალბატონს ფულის დატოვების სურვილიც კი გამოუთქვამს და ოცდაორი ათასი მანეთი, ყველას დასანახად, ჩანთიდან ამოუღია, მაგრამ შარვაშიძეს, საქმის საბოლოო მოგვარებამდე, ფულის აღებაზე უარი უთქვამს და მყიდველს მომავალ შეხვედრაზე შესთანხმებია. ეს ყოველივე კიდევ უფრო ართულებდა ძიებას და, თუ ფულის კვალი რამდენიმე დღეში არ გამოჩნდებოდა, წინამძღვაროვი იძულებული გახდებოდა, ვარვარა ანდრეევსკაიას ალიბის წყალობით, ჩხოტუა გარეთ გამოემშვა და სხვა დამნაშავის ძებნა დაეწყო. ეს, ბელიკთან ერთად, არც წინამძღვაროვს აწყობდა, რადგან უსაშველოდ განელილი გამოძიება ტასიკოს ქორწილის თარიღს უსასრულოდ გადასწევდა და, ვინ იცის, იქნებ ამ მოლოდინს სულსწრაფი სიძეც გაექცია და ამით წინამძღვაროვის ოჯახში შემთხვევით შემორჩენილი თავმოყვარეობა სამუდამოდ დაესაძარბინა.

ამ თუ სხვა რამის იმედით დასწვდა პრისტავი დაგნიუ უელის დღიურს და ლამაზი დამწერლობით მოხაზულ ბნკარებს თვალი მიადევნა. როგორც მოსალოდნელი იყო, პრისტავმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ ვალის მოხდის მიზნით მაინც ბოლომდე ჩაათვალა დღიური და მისთვის მოულოდნელად რამდენიმე ამოხეული ფურცლის კვალი აღმოაჩინა და ისიც შეამჩნია, რომ დანარჩენებს ჯერ კიდევ ნათლად ეტყობოდათ წინა გვერდებიდან გად-

მოყოლილი ასოთა მოხაზულობა. ნათელი იყო, რომ გარკვეული ხერხის გამოყენებით გამქრალი ტექსტის აღდგენა სრულიად შესაძლებელი გახლდათ. პრისტავმა ცალკე ქალაქზე ფანქარი გათალა, შავი ფხვნილი ერთად მოაგროვა და დღიურის თითქოსდა ცარიელ ფურცლებს დააყარა, მერე ხელი გადაუსვა, გულმოდგინედ ჩამობერტყა და სული შეუბერა. მალე მის თვალწინ გაუჩინარებული ტექსტი გაცოცხლდა და დასრულებული სახე მიიღო.

პრისტავი თვალებს არ უჯერებდა.

**სადაც არის გათენდება,  
აღსდექ მუშავ შენ,  
ლამაზი დღე დაგიდგება, ნუ გძინავს შენ,  
ნუ ხვრინავ შენ,  
მუშავ, მუშავ შენ.**



*მხატვარი  
გიორგი ჩაჩანიძე*

ლექსის შინაარსიდან გამომდინარე კარგად ჩანდა, რომ ავტორი ბუნტოვჩიკური სულის მატარებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ამას ჟანდარმერია მიხედავდა, პრისტავისთვის სხვა რამ გაცილებით ყურადღაღები გახლდათ. სავარაუდოდ, აღნიშნული ფურცელი სრულიად შეგნებულად იყო ამოხეული და მას უნდა გაენადგურებინა, ვინც დაგნიუ უელის სიცოცხლე ფულთან ერთად თან გაიყოლა.

მართალია, იოსებ წინამძღვაროვი ძიების მსვლელობას ოჯახში არავისთან ათანხმებდა, მაგრამ ამჯერად ტრადიციის დარღვევა გადაწყვიტა. ვლადისლავ ემერიხი, პრისტავის მომავალი სიძე, ქალაქური პოეზიის კარგ მცოდნედ ითვლებოდა, რა დასამალია და თავადაც წერდა ლექსებს, როგორც ხშირად ამბობდა, მხოლოდ ტასიკოს გასართობად და გასახარებლად, ამიტომაც პრისტავმა დასახმარებლად მას მიმართა, რადგან, როგორც ოჯახის წევრი, საიდუმლოსაც შეინახავდა და საქმეს არც პოეზიის კარგი მცოდნე, ექსპერტს რომ ეძახიან ისეთი, აწყენდა.

ემერიხმა ქალაქის ნაგლეჯს დახედა, წამით გაშეშდა, თვალეები ააცეცა, წერწყვი ხმაურით გადაყლაპა, უარის ნიშნად თავი გადააქნია და ფურცელი სასიამაღროს უკანვე დაუბრუნა. მერე რალაც მოიმიზეზა და ისე მიატოვა მომავალი მეუღლე, სადილზეც არ დარჩენილა. მართალია ასეთი საქციელი გასაკვირი გახლდათ, მაგრამ პრისტავმა ყოველივე მომავალ ქორწილსა და მოჭარბებულ გრძობას დაუკავშირა, აქედან გამომდინარე, აღარც ყურადღება მიაქცია სასიძოს ქცევას.

თბილისში მართლაც ბევრი ლექსი ინერებოდა. თხზავდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, დიდი თუ პატარა, მცოდნე თუ უცოდინარი. ეს თითქოს აადვილებდა წინამძღვაროვის საქმეს, მაგრამ იმავდროულად ართულებდა კიდეც, რადგან აღნიშნული სტროფის ავტორის მონახვა თითქმის შეუძლებელი გახლდათ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შემსრულებელი არც გვარ – სახელითა და არც ფსევდონიმით არსად ჩანდა, ხოლო მის ვინაობას ამოხეული ფურცელი ინახავდა მხოლოდ და ისიც ნაწილობრივ. პრისტავს ისლა დარჩენოდა ექსპერტი თავად გამხდარიყო, არც სიარული დაზარებოდა და არც უბრალო ხალხთან საუბარი, რომელიც სასიმღერო ლექსებს ძლიერ ეტანებოდა.

იოსებ წინამძღვაროვიც ამ ქალაქის შვილი იყო. რა დასამალია, რამდენიმე თავადაც მოსწონდა და ღიღინებდა კიდეც. თუნდაც ამას: შარიშური მუშტარ მუხალიბის ხმაზე ან ბირ გიუნ გედალ, ახ, ბილმანამის ხმაზე, ან კიდეც ამას: იხ ინჩ ანიმ, ვუნც ანიმის ხმაზე, ანდა ბოჟე მოის ხმაზე. მათი უმეტესობა ზეპირად ან ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, იშვიათ შემთხვევაში წიგნადაც გამოიცემოდა ხოლმე. ამ ბედნიერთა რიგში იყვნენ გიორგი სკანდაროვა და დავით გივიშვილი, რომლებსაც ოცდაათამდე წიგნი ჰქონდათ დასტამბული. პრისტავი დარწმუნებული იყო, დაგნიუ უელის დღიურში აღმოჩენილი ლექსი მათი შემოქმედების ნაყოფი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგან ამ საქმეს ხელი მოჰკიდა, ყველაფერი უნდა აღენუსხა და ყველაფერი შეემონებინა.

დავით გივიშვილი იყო ჭრელი თბილისის მკვიდრი, ძველი მოქალაქის შვილი, ბაზიზ შაჰნაზაროვის შეგირდად მდგარი. შემდეგ მებაჟე გახდა, მნაცაკანოვის ხიდზე იდგა და პირუტყვის გასატარებლად პატრონს დაწესებულ ორ კაპიკს ახდევინებდა, მოგვიანებით მოხელედ დაინიშნა ქალაქის სასაკლავოზე, აქედანაც წამოვიდა, უკანასკნელ დროს ავლაბარში გახსნა პატარა ფარდული, სადაც წმინდა სანთლებსა და საკუთარ ნაწერებს ჰყიდდა.

გიორგი სკანდაროვა თბილისელი სომეხი იყო, ხელობით მხატვარი, იგივე მღებავი, შპალერების გამჭითავი.

პრისტავი იძულებული შეიქნა რამდენიმე წიგნი შეეძინა და შედარება თავად მოეხდინა. აი, რა დასკვნამდე მივიდა პრისტავი წინამძღვაროვი:

„გივიშვილის ლექსებში მეტად მოსჩანს ძველი ზღაპრების ბაჯაღლო, იგი ეხება ყოველგვარ საჭირბოროტო საკითხს, მისი სტრიქონები არ თაღლითობენ, თემასაც ბოლომდე ავარაყებს, რითმებიც სწორად აქვს გამართული და მისი ქართულიც ქართულობს.

**ავად არის ირაკლი, საქართველოს მოთავე, სხვა თავს ვინ გაიცხელებს, ვინ იქნება მოდავე?“**

შემდეგ:

„სკანდაროვა დაუდევარი პოეტია, არყის მოყვარული, ლოთი, ამ სიტყვის ლოთური გაგებით, ნამდვილი ბოჰემა, ახირებული კაცი, უყვარს ლოთიანი გამოთქმები, მფრინავი ფრაზები და საოხუნჯო ამბების მოყოლა. ამ დაუდევარი ხასიათის გამო ერთი კვირის ჯვარდანერილი ცო-

ლიც გაეყარა. სკანდაროვამ არც აქ მოიშალა ოხუნჯობა და, როცა ცოლს თავის მოტანილი მზითვი უკან მიჰქონდა, ზურნა დაიქირავა და მზითვი დაკვრით წაალებინა: ზურნით მოიტანა და ზურნით უნდა წაილოსო. სკანდაროვას შემოქმედება ზედაპირულია და მის სატრფიალო სიმღერებსაც მუქი ფერი დაჰკრავს:

**ვარდო, შენ შლას მოველი, სიტყვა მაქვს სათხოვნელი, ეკალზედ ვარ მშთომელი, ცხარე ცრემლი მდენია“.**

როგორც ამ ლექსებიდან ჩანდა, არც ერთი და არც მეორე ნორვეგიელის დღიურში ჩანერილი სტროფების ავტორი არ უნდა ყოფილიყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამგვარი ნაცნობობისთვის არც ასაკი უწყობდათ ხელს და არც ის, რომ იმხანად ერთმანეთთან პოლემიკაში იყვნენ ჩართულები, უბრალო ენით რომ ვთქვათ, ერთმანეთს მტრობდნენ და საეჭვოა, ამ ბრძოლაში მკვლელობისთვის დრო და ხალისი დარჩენოდათ.

მართლაც, ამ კამათს ბევრი მსმენელი და შემფასებელი ჰყავდა, მათ ლექსებში თბილისის ნერვი და ყოველდღიური ცხოვრება მოსჩანდა.

ერთს მიუწერია:

**ეთრეოდა კარ და კარ, არყის ლოთი, მათხოვარა, შენც მისი ფეხი დარჩი, იმისი ბარებარა.**

მეორეს უპასუხია:

**მაგ მიქარვას არ შეგარჩენ, შეგახვედრებ ცუდსა ჭირსა, გივიშვილო ნუ მიხდები, ჩალით ამოგივსებ პირსა.**

ხალხიც ორ ბანაკად იყო გაყოფილი, ლელავდა, ზიმზიმებდა და ხალისით ადევნებდა თვალს ორი პოეტის შეხლა – შეკამათებას. მათ წიგნებს იტაცებდნენ, მსჯელობდნენ, იცინოდნენ, ჩხუბობდნენ და, რაც მთავარია, ბაძავდნენ. ვისაც წიგნის კითხვა შეეძლო, ანდა ლექსის დამახსოვრების თავი ჰქონდა სკანდაროვას ამსგავსებდა და გივიშვილივით გამოთქმას ცდილობდა.

ამის შემდეგ გამოჩნდნენ მეორეხარისხოვანი წიგნები: ყასაბ მიხუას დახრჩობა მტკვარში.

ვერელი ვარინკას ქება.

გალექსილი რეცეპტი შუშანიკ ჩაიფხანოვს.

სად შენა და სად მარუსას თვალები.

არ შეგცივდეს ბარაშკაჯან.

ამ წიგნებში მხოლოდ ასეთ რამეს თუ ამოიკითხავდით:

**ვუძღვნი ქალებს, ჩემთან მწყარალებს.**

ან ასეთს:

**თუ რომ ქვრივი ჯეილია, ჩემთვის უფრო ხეირია.**

ცხადზე ცხადი იყო, რომ პრისტავს ძებნა უნდა განეგრძო, რადგან არც ერთი პოეტი დღიურში აღმოჩენილი

სტროფების ავტორობას არ თანხმდებოდა. ისინი ალბათ მართლები იყვნენ, რადგან ეს არც მათთან პირად საუბრებში დასტურდებოდა და არც მათ შემოქმედებაზე თვალყურის დევნებით. მიუხედავად ამისა, პრისტავმა ჩამოთვლილი წიგნების ავტორები სათითაოდ დაადგინა, ჩამონერა და საქალაქო მთავრობის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად.

ეს ავტორები აღმოჩნდნენ:

ტლაპანა არკადია, საბაკა სამსონა, ვენსკიჩიკი იოსება, უფულო სოლომონა, დედალ მიკიჩა, გაფრა გეურქა, დედისერთა ბაგრატა, კუზიანი შაშა, ფიზიკა იაგორა.

გამოძიების ყურადღება წვრილფეხა პოეტებიდან ერის კერძებზე გადავიდა, ეჭვი აკაკიზეც მიუტანია, რის გამოც ერთი ღამის გათევა უჩასტოკში მოუწია, მაგრამ მალევე გამოუშვიათ დიდის ბოდიშის მოხდით. იგონებს კიდეც, ერთ – ერთ წერილში, ნესტიან საკანში გატარებულ ღამეს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ჩვეული იუმორით.

ძიება ნელა, მაგრამ მაინც მიიწვედა წინ. პრისტავი, ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან ლექსის ავტორს აღმოაჩენდა, დაგნიუ უელის მკვლელობას გახსნიდა და ალექსანდრე ბელიკისგან, საყვედურის მაგივრად, მადლობას დაიმსახურებდა, შესაძლოა ჯილდოსთვისაც გამოეკრა ხელი, თუკი მეფისნაცვალს წინამძღვაროვის გამოძიებული საქმე თვალში მოუვიდოდა.

ამ ფიქრსა თუ ოცნებაში, საკუთარ შინ პრისტავი გვირინანად გააკვირვა ქალიშვილის საქციელმა, რომელმაც მამის დანახვაზე ტირილს უმატა, ოთახში შევარდა და კარი გადაკეტა. ბევრი საუბრისა და თხოვნის შემდეგ, მრავალფეროვანი, პოლიციური ხრიკების გამოყენებით, მამამ როგორც იქნა გამოტეხა ქალიშვილი და სიმართლე ათქმევინა. ტასიკო მომავალ მეუღლეს მისტიროდა, რომელიც ბოლო ერთი კვირაა მასთან შეხვედრას გაურბოდა. ასეთი საქციელი მითუმეტეს გასაკვირი იყო ემერიხისგან, რომელიც ქორნილს თავად აჩქარებდა და ყოველ ვადანულ დღესა თუ კვირაზე პასუხს ტასიკოს სთხოვდა და, იმავდროულად, ათას სხვა რამეში დანაშაულებდა, რითაც მომავალ მეუღლეს დაუნდობლად სტკენდა გულს. მამამ ქალიშვილი იმ პირობით დააწყნარა, რომ ემერიხს აუცილებლად ნახავდა და უცნაური საქციელის მიზეზსაც გაარკვევდა.

პრისტავი წინამძღვაროვი სიტყვის გატეხვას ჩვეული არ გახლდათ და, პირობის თანახმად, მეორე დღესვე გაემართა მომავალი სიძის სანახავად. ხანგრძლივი, დაჟინებული კაკუნის შემდეგ, რომელიც მალე გაგულინებულ ბრაგუნში გადაიზარდა, ემერიხმა ნამძინარევი სახით კარი გააღო, პრისტავი სახლში აღარ შეიპატიჟა და სასაუბროდ პატარა ბაღში შეიყვანა, რომელიც ემერიხის ხუხულას გარს ერტყა და სასტუმრო „ევროპას“ უკანა ეზოს ვიწრო გასასვლელით უერთდებოდა. ემერიხმა, რა თქმა უნდა, ტასიკოს შერთვაზე პირდაპირ უარი არ განაცხადა, მაგრამ არც დასტურს ამბობდა და ამგვარი უცნაურობის ასახსნელად ათასგვარ ისეთ მიზეზს იხსენებდა, რომელიც ადრე თავში არასოდეს მოსვლია. მაგალითად – უსახსრობა, მაგალითად – უბინაობა, მაგალითად – უმუშევრობა და სხვა ბევრი ამდაგვარი წვრილმანი, რასაც, პრისტავის აზრით, ჭეშმარიტ სიყვარულთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს, თუ როგორ მიიღებდა ასეთ ამბავს პრისტავი წინამძღვაროვი, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა, სასიძოს კამათი აღარ დაუნყო, რადგან, სწორედ ამ გამოცდილებით გრძნობდა, რომ ემერიხის ასეთი ქცევის უკან გაცილებით სერიოზული მიზეზი თვლემდა.

სამსახურიდან გზად მიმავალ წინამძღვაროვს, ერთი შეხედვით, უცნაური აზრები აეკვიატა, რომელიც შექმნილ სურათს სულ სხვაგვარ ელფერს აძლევდა. მართლაც საოცრად დაემთხვა ერთმანეთს ყველაფერი: ემერიხის ბინისა და სასტუმროს სიახლოვე, ქორნილის გაჯანჯღლება, ანუ თითქმის უარის თქმა, დღიურში აღმოჩენილი ლექსით შემცბარი ვლადისლავი. პროფესიიდან გამომდინარე, წინამძღვაროვს დამთხვევების არ სჯეროდა, რადგან დარწმუნებული გახლდათ, რომ ყველა დამთხვევა, ადრე თუ გვიან, საერთო კანონზომიერებაში აუცილებლად გადაიზრდებოდა.

მაგრამ თბილისმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.

თბილისი ლექსების წერას განაგრძნობდა.

პოეტები აბრაგუნეს დუქანში იკრიბებოდნენ. უცნაური კაცი იყო ეს აბრაგუნე, სანამ მოკლავდნენ თოთხმეტი ფაიტონით ქეიფობდა, თავადაც იღებებოდა და სხვასაც აძალებდა ღვინოს. ამას ხეირი როდის მოუტანია და ერთ დღესაც აბრაგუნე საკუთარმა მეარღნემ გამოასალმა სიცოცხლეს, რაღაც პირადული ამბის გამო. მართალია, ამ მკვლელობასაც წინამძღვაროვი იძიებდა და გახსნა კიდეც, მაგრამ იმ მიზეზთა ჩამონათვალი უკვე აღარ ახსოვდა, რამაც მეარღნეს ხელში დანაშაულებინა.

ვინ იცის, იქნებ ისიც სწერდა ამგვარ ლექსებს:

**თბილისისა კინტო ვარ,  
თართით ვყიდი წიგნებსა,  
ვნერამ ლექსებს უაზროს  
თავზედ ვხატავ ციკნებსა.**

წერდნენ დურგლები, ზეინკლები, თერძები, მეჩექმენი, ნოქრები, მზარეულები და ხელზე მოსამსახურენი. დავითაშვილი:

**იკითხეთ გაზეთ – ყურნალი,  
სხვა და სხვა ამბებისაო.**

იზიძე:

**მუშავ, მდიდარს ნუ შენატრი,  
ნუ გასურს მისებრ განდიდება.**

ნავთლულელი:

**მიყვარს მე ჩემი ლურჯი ხალათი,  
ჩემთან გამცვდარი, ჩემი ერთგული.**

ხეჩუაშვილი:

**გაუმავრდი ბორკილებს,  
სიმართლისთვის დევნილო.**

განჯისკარელი:

**ახ, სად არის ცხონებული ემია, დღეს ქურდობა სოვდაგრების ხელშია.**

იყვნენ სხვებიც: შოხიანი, გაბრუაშვილი, მირზაშვილი, დელმაზაშვილი, ჯაბაური, ველისციხელი, ჯიხაიშვილი, მეტეხელი, ანდრიანოვი, ძამუკოვი, მალრაძე და სხვა მრავალი.

მიუხედავად ამგვარი მრავალფეროვნებისა, უცნობი სტროფების ავტორი, ჯერჯერობით მაინც, ვერ იქნა ნაპოვნი. კაცმა რომ თქვას, პრისტავს უკვე მისი მიგნების იმედიც კი გადაეწურა, მითუმეტეს, რომ ალექსანდრე ბელიკი დაუყონებლივ ითხოვდა საქმის სასამართლოში გადაცემას, რადგან დამნაშავე, დავით ჩხოტუა, საკანში გამოკეტილი ეგულბოდა. ასეც მოხდებოდა, პრისტავი წინამძღვაროვი, სრულიად შემთხვევით, გამომცემელთა და ნიგნების გამსალეებელთა ძებნაში ყავახანაში რომ არ შესულიყო, სადაც ყარაგიოზას თეატრის წარმოდგენა იმართებოდა. ისიც სათქმელია, რომ წინამძღვაროვს ყოველთვის იტაცებდა ამგვარი წარმოდგენა, ჯერ კიდევ ჯეელობაში სიამოვნებით ესწრებოდა ნაღლის – მოძრავი თეატრის თავყრილობას.

ქალაქთან ახლოს ბევრი ეკლესიაა, რომელთა დღეობაც თბილისიდან უამრავ ხალხს იზიდავდა. ამათ გარდა რჩებოდა დროის გასატარებელი მხოლოდ ორი ადგილი: ხალხისთვის – ორთაჭალის ბალები, ევროპულად გაზრდილთათვის – მუშტაიდი. ამიტომაც ხალხისთვის, განსაკუთრებით კი ყარაჩოღელთათვის, ეს დღეობები იმგვარი გასართობი იყო, სადაც მოჭარბებულ გრძნობას სრულ თავისუფლებას აძლევდნენ და სამი დღის განმავლობაში ჯიგრიანად ლოთობდნენ.

წასვლამდე თითო ჩარეკით იჩარეკებდნენ, პირში ჩიბუხს გაიჩრიდნენ, ხალიან პერანგს გამოაჩენდნენ და ასე მიდიოდნენ ალთქმულ სალოცავში.

**ჩემი გული სწორედ ცხელი თონია, ძმაბიჭობა მეც კი გამოგონია.**

ეტლები საგანგებოდ ჰქონდათ მორთული მწვანე რტოებით, შიგ სამი ცხენი იყო შებმული, ცხენებს ყელზე ზანზალაკები ეკიდათ და ქორორი ბაღდადით ჰქონდათ განწყობილი.

სწორედ ამ დროს ეწყობოდა ნაღლი. აიღებდნენ აშულები რომელიმე სასულიერო ამბავს, გალექსავდნენ, შეურჩევდნენ ხმებს, კილოებს და მიიღებდნენ ნამდვილ მისტერიას. ხალხი ქვემოთ იდგა, მომღერლები – მაღლობ ადგილზე, და მათ შორის ასეთი დიალოგი იმართებოდა.

პირველი აშული:

**მზე რომ ამოდის რა ქრება?  
რა არ სველდება წყალში?  
რა არ ჭუჭყიანდება მიწაში?  
რომელი ჩიტი იმყოფება მარტოდ ბუდეში?**

მეორე აშული:

**მზე რომ ამოდის ვარსკვლავები ქრებიან.  
სინათლე წყალში არ სველდება.**

**მინაში არ ჭუჭყიანდება თვალი პატიოსანი.  
გული ის ჩიტია, რომელიც მარტო ზის ბუდეში.**

მოსწრებული პასუხი ხალხში დიდ ყრიამულს იწვევდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი, უფასოდ მოწყობილი წარმოდგენები ხალხისთვის უფრო გასაგები გახლდათ, ვიდრე მღვდლების ბუნდოვანი მეტყველება. ამ მიზეზით სამღვდლოება ნაღლის წინააღმდეგ ხშირად ილაშქრებდა, რადგან ხალხი წირვას აღარ ესწრებოდა. ასეა თუ ისე, სამღვდლოებამ თავისი გაიტანა და ნაღლი გადავარდა, თუმცა წარმოდგენები სრულად არ გამქრალა და ყავახანებში გადაინაცვლა.

მაინც რა იყო ყარაგიოზას თეატრი და ვინ იყო თავად ყარაგიოზა.

ლეგენდა გვეუბნება:

სულთან მურადის დროს უზარმაზარი ტაძარი შენდებოდა. კალატოზებიც მრავლად იყვნენ, მაგრამ მშენებლობა მაინც ნელა მიედინებოდა. ამის ბრალი კი ის იყო, რომ ვინმე ყარაგიოზა და ჰაჯივათა სასაცილო ამბებით ართობდნენ კალატოზებს და მეჩეთის დამთავრებას ხელს უშლიდნენ. განრისხებულმა სულთანმა მათი თავის მოკვეთის ბრძანება გასცა. განკარგულება სისრულეში მოიყვანეს, მაგრამ მეჩეთის დამთავრებას მაინც არ დაადგა საშველი. სულთანს ნანამები ყარაგიოზას აჩრდილი მოსვენებას არ აძლევდა, ამიტომაც შეიხი იხმო და სთხოვა, როგორმე მოეცილებინა სულის სიმძიმე. გამჭრიახმა შეიხმა ყარაგიოზას და ჰაჯივათის გაცოცხლება გადაწყვიტა, ტყავიდან გამოჭრა მათი ფიგურები, ძაფები გაუყარა და გაჭიმულ ტილოზე აათამაშა, თან ფარდის უკან მდგარი ამ ორი გმირის საოხუნჯო ამბებს ჰყვებოდა. ერთ დღესაც შეიხმა დამალა ფიგურები და სულთანს კრძალვით მოახსენა: ცხოვრება მოკლე სიზმარია, ყოველი არსება მხოლოდ ლანდია, რომელიც გაიეღვებს და გაქრება. განა ღირს სხვა რამისთვის ტანჯვა და სინანული?

ამგვარად ჩაისახა ჩრდილების თეატრი, რომლის სამშობლოც ოსმალეთია და რომელიც თბილისში, შაითან ბაზრის ყავახანებში ინახებოდა.

ხალხი, მათ შორის პრისტავიც, ინტერესით მიაჩრდნენ სცენას. დარბაზში ჩამობნელდა, თეთრ ტილოზე გამოჩნდნენ ბუნდოვანი ფიგურები, რომლებიც ლაპარაკობდნენ, ცეკვავდნენ, კომბლებს იქნევდნენ და სხვა ბევრ რამეს აკეთებდნენ.

ფარდის უკან იდგა კაცი, რომელიც ამ ფიგურებს ამოძრავებდა, მათ თავგადასავალს ჰყვებოდა და ყველა პერსონაჟის მაგივრად თავად ლაპარაკობდა.

აი, რა წარმოდგენას შეესწრო წინამძღვაროვი:

მოლა, თერძი და დურგალნი დაძმობილდნენ. გზაზე შემოალამდათ. ავაზაკების შიში ჰქონდათ და მორიგეობით დაძინება გადაწყვიტეს. პირველი დარაჯობა დურგალს შეხვდა, ძილისგან რომ თავი დაეღწია, ხისგან ქალის ფიგურა გამოთალა. თერძმა ქალს ტანსაცმელი შეუკერა, ხოლო მოლამ ლოცვით სული შთაბერა. ქალი გაცოცხლდა. მეგობრებმა ჩხუბი დაიწყეს, არა ჩემია და არა ჩემიო. თუ რომელს ეკუთვნოდა გაცოცხლებული, ამაზე პასუხი მაყურებელს უნდა გაეცა.

პრისტავი წინამძღვაროვი წარმოდგენის დასრულებას აღარ დაელოდა, რადგან ამ კითხვაზე მისი სამ-

სახურისთვის შეუფერებელი პასუხი დიდი ხნის წინ ჰქონდა აღმოჩენილი: ქალი არავის ეკუთვნოდა, რადგან ყველა ადამიანი თავისუფალია და საკუთარ ბედსაც თავად სჭედავს, ხოლო თუ შეუძლია, მართავს კიდევ.

გარეთ გამოსული პრისტავი ქუჩის გადაღმა ჩამწკრივებულ აბრებს მიაჩერდა. მართალია, ეს გადაღბნილი ასოები ადრეც არაერთხელ ჰქონდა ნახაბი, მაგრამ რაღაც ძალამ ადგილზე გააშეშა, თითქოს ვიღაც ჰკარნახობდა და ხელახლა აკითხებდა იმას, რაშიც ახალი თითქმის არაფერი იყო.

საჩაიე – სამშობლო.

ყავახანა – საიათნოვა.

სასადილო – ჰამლეტი.

ექიმი მეგრებიანცი: იღებს ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ქალების მიღება კვირაობით, მხოლოდ დილით.

იქვე იყო წიგნის ლავკა, პატარა, სავაჭრო წერტი. ლავკის მზრუნველი, ჩვენებურად გამყიდველი, პრისტავის გამორჩენას არ ელოდა, დაიბნა, საქციელი წაუხდა, ბუნტოვჩიკური კრებულები დახლიდან სასწრაფოდ აკრიფა და მოულოდნელ სტუმარს თხელყდიანი წიგნი მიაწოდა, რომელსაც ლამაზად გამოყვანილი ასოებით ეწერა: ჯიგი – ჯიგი, ვახე – ვახე და სხვა ახალ – ახალი სიმღერები, ამის პლასტინკა გრამაფონში ნახეთ.

პრისტავმა უარის ნიშნად თავი გადააქნია და მზრუნველს ფურცლის ნაგლეჯი გადააწოდა, დღიურში აღმოჩენილი ლექსის სტროფით. მზრუნველი საქმის ასეთ შემობრუნებას არ ელოდა, მიუხედავად ბევრი მცდელობისა, სახემ თუ გამომეტყველებამ მაინც გასცა და აღიარა, რომ მართალია ამის დამწერს პირადად არ იცნობდა, მაგრამ ლექსი ჰაზირასი უნდა ყოფილიყო. ამ ჰაზირას გვარ – სახელი არავინ იცოდა, მხოლოდ ფსევდონიმით იცნობდნენ და ჭორებით იკვებებოდნენ, თვალადაც არავის უნახავს, ზღაპრული ქაჯივით მოუხელთებელი გახლდათ და საკუთარი ხელით დაწერილ ლექსებს ვიღაც ქალს ატანდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ის ქალიც გაქრა, როგორც ბუნტოვჩიკური ლექსების ავტორი.

როგორც ამბობდნენ, ჰაზირა ნამდვილი ბოჰემა იყო.

**კარგი იყავ, ნუ ხარ ავი, სულოჯან,  
გენაცვალოს ჩემი თავი, სულოჯან,  
ჩემთან იყო შენ ნეტავი, სულოჯან,  
გამინითლე დღენი შავი, სულოჯან.**

მაგრამ ეგ ადრე ხდებოდა, სანამ ჰაზირა სოციალური ყოფის უებარი ამსახველი არ შეიქნებოდა.

**ახ, უკვდავო შვილებო,  
ჯერ ნორჩებო, წვრილებო,  
დროით ნითელს ჩაიცვამთ,  
დღეს შავად მოსილებო.**

პრისტავისთვის ყოველივე ნათლად ჩანდა, უძილო ღამეებს უქმად არ ჩაუვლია, აკი გამოჩნდა კიდევ ლექ-

სის ავტორი, დანარჩენი კი უკვე წინამძღვაროვის მარიფათის საქმე გახლდათ. პრისტავმა ქალის აღწერილობა მოითხოვა. ლავკის მზრუნველი გაჯიუტდა, მიკიბ – მოკიბა და არეული ლაპარაკი დაიწყო. პრისტავს, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არ გამოჰპარვია და ლავკის მზრუნველს პოლიციაში წაყვანით დაემუქრა. ამან, როგორც ყოველთვის, გაჭრა და მზრუნველის არეული საუბრის მიზეზიც მალევე გამოაშკარავდა. გამოიკვია, რომ მზრუნველს არა მარტო ახსოვდა ლავკის ხშირი სტუმარი, არამედ იცნობდა კიდევ, თუმცა მისი დასახელებისგან გარკვეული დროით მაინც თავი შეიკავა, რითაც პრისტავს თითქოსდა უკან დახევისა და დაფიქრების საშუალება მისცა. აშკარა იყო, ლავკის მზრუნველი პრისტავს ნიშანს აძლევდა. წინამძღვაროვმა ვერ თუ არ გაიგო მზრუნველის ქარაგმული საუბარი და დაჟინებით მოითხოვა უცნობი ქალის ვინაობის დასახელება.

ლავკის მზრუნველმა ამოიოხრა, თვალები დახარა და თითქმის ჩურჩულთ ტასიკო წინამძღვაროვის გვარ – სახელი ამოთქვა.

ამ საუბრიდან ისე გამოდიოდა, რომ პოეტის მესაიდუმლე, ბუნტოვჩიკური ლექსების გამაგრცელებელი და შესაძლოა დაგნიუ უელის მკვლელობის თანამონაწილედ კი პრისტავ წინამძღვაროვის სათაყვანებელი ქალიშვილი გახლდათ. შეცდომა გამორიცხული იყო, რადგან თანამდებობის პირთა შვილების დამახსოვრება, თბილისური ადათ – წესიდან გამომდინარე, ყველა პატიოსანი ვაჭრის მოვალეობაში შედიოდა.

თბილისური მზე დაბნელდა, ქალაქური მთვარე გაუჩინარდა, უზნის ვარსკვლავები გაქრნენ და პრისტავის თვალის ჩინში სრულმა სიბნელემ დაისადგურა. გონს მხოლოდ მაშინლა მოვიდა, როდესაც სავარძელში მჯდარს ტასიკომ ოთახის ფაჩუჩები შემოუტანა და მამას მზრუნველი ხელით ამოაცვა.

პრისტავი პირდაპირი კაცი იყო და სათქმელიც პირდაპირ, ყოველგვარი მორიდების გარეშე თქვა. როგორც წესია, ტასიკომ ყველაფერი უარყო, მაგრამ მამა არ მოეშვა, მითუმეტეს, რომ უტყუარი ფაქტებით იყო შეიარაღებული და საყვარელი ქალიშვილისგან ახსნა – განმარტება მოითხოვა. ტასიკომ მამის ამგვარ შემოტევას ველარ გაუძლო და თვალცრემლიანმა ყველაფერი აღიარა, თუმცა, როგორც თავად ამბობდა, დასამალი თითქმის არაფერი ჰქონდა, რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით პოეზიით მაღლულად გატაცებას. ტასიკოს მონათხრობიდან ასე გამოდიოდა, რომ ემერიხის ზღვარგადასული მორიდების გამო, მისი ლექსების ტარება ტასიკოს უწევდა, თუმცა მათი შინაარსის შესახებ არაფერი იცოდა, რადგან სხვის შეფუთულ ამანათში არასოდეს იცქირებოდა, როგორც ასწავლეს კიდევ ბავშვობაში.

მშობლები ყოველთვის უჯერებენ შვილებს, რა თქმა უნდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თვალნათლივ ჩანდა, რომ პრისტავისთვის ამგვარი გამონაკლისის დრო ჯერ არ დამდგარიყო. იოსებ წინამძღვაროვმა ტასიკო დაანწყინა, დაუყვავა და საკუთარ ოთახში გაისტუმრა, თუმცა მთავარი დამნაშავეისა თუ დანაშაულის შესახებ არაფერი უთქვამს.

ღირდა კი?

მეორე დღეს, ბორკილებდადებული ჰაზირა საპატიმროში მიაბრძანეს, სადაც გადაეყარა კიდეც ასევე გაუგებრობაში მოყოლილ აკაკი წერეთელს. სამდღიანმა დაკითხვებმა ბევრი რამ გამოარკვია. მართალია ჰაზირამ აღიარა ლექსის ავტორობა, მაგრამ სხვა რამეში თავი დამნაშავედ არ სცნო, იგი არც ნორვეგიელ ქალბატონს იცნობდა, არც ემერიხს და არც ტასიკო უნახავს როდესმე, და, რაც მთავარია, მკვლელობის დროს მყარი აღიბი გააჩნდა. იმხანად ავად გამხდარა, რაც დაადასტურეს კიდეც მეზობლებმა, ექიმმა და გამომცემელმა იოსებ იმედაშვილმა, რომელმაც მისადმი მიწერილი, ჰაზირას დათარიღებული წერილი წარმოადგინა, სადაც სიტყვა-სიტყვით ეწერა: ძმაო, იოსებ, მინახულე. ავადა ვარ. ჰაზირა. გამომიგება იძულებული შეიქნა ჰაზირა გაეთავისუფლებინა.

რჩებოდა მხოლოდ ერთი გზა.

მეორე დღით პრისტავმა რალაც მოიმიზეზა, საყიდლებზე ტასიკო გაგზავნა, თავად კი მის ოთახში შეიპარა და ხანმოკლე ძიების შემდეგ, ემერიხის სასიყვარულო წერილებს მიაკვლია, რომლებშიც რამდენიმე ლექსის ამოკითხვაც შეიძლებოდა. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რაც პრისტავმა ისედაც იცოდა, თუმცა საკუთარ თავსაც კი არ უტყდებოდა. წინამძღვაროვმა თვალის ერთი გადავლებით და მარტივი შედარებით სრულიად ადვილად დაასკვნა, რომ ნორვეგიელის დღიურში აღმოჩენილი სტროფის გადამწერი სწორედ რომ ვლადისლავ ემერიხი უნდა ყოფილიყო.

მარტოდ დარჩენილი პრისტავი ფიქრს მიეცა. საფიქრალი კი ბევრი ჰქონდა, პატარა საქმე ხომ არ იყო, მომავალი სიძის ბედი უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ ეს კიდეც არაფერი, წინამძღვაროვს ემერიხი არ ეცოდებოდა, აი, ქალიშვილზე კი შესტკიოდა გული, არადა, სასიძოს განაჩენი, იმავდროულად, ტასიკოს განაჩენიც გახლდათ. მართალია, მათ ჯერ კიდევ ცოლ – ქმარი არ ერქვათ და საძინებელს შუაზე არ იყოფდნენ, მაგრამ ეს კიდეც უფრო ართულებდა საქმეს, რადგან გათხოვილი ქმრის დაპატიმრება სულ სხვაა და გაუთხოვარისა კიდევ სულ სხვა. პირველს მომავალში თანაგრძნობისა და პატრონის გამოჩენის გაცილებით მეტი საშუალება ჰქონდა, ვიდრე მეორეს, იმის გამო, რომ დანიშნულსა და შერცხვნილ ქალს, თბილისური ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ახლოსაც არავინ გაიკარებდა. ეს ყოველივე პრისტავმა წინამძღვაროვმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა და ამის გამო არჩევანიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაეკეთებინა. თუ იმას წარმოვიდგენთ, რა სათაურები და გამომხატურება მოჰყვებოდა იმდროინდელ გაზუბებში ვლადისლავ ემერიხის დაპატიმრებას, წინამძღვაროვის არჩევანიც უფრო გასაგები გახდება. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია ვინმეს ენა მობრუნებოდა და საბრალო მამის ჭკუის დასარიგებლად მოეცალა. ბოლოს და ბოლოს დამნაშავე დავით ჩხოტუა ხომ საკანში იჯდა და, კაცმა რომ თქვას, მთლად ანგელოზი არც ის უნდა ყოფილიყო. ამისა და სხვა ბევრი რამის გათვალისწინებით, პრისტავმა გადაწყვიტა მკვლელის შესახებ არაფერი ეთქვა და საიდუმლო ღრმად ჩაემარხა გულსა თუ გონებაში, რითაც, თავისდაუნებურად, სრულიად ახალ, ქართულ ტრადიციას ჩაუყარა საფუძ-

ველი, რასაც დღესაც ახლობლების სიყვარულით ყველაფრის გამართლება ჰქვია.

ჩხოტუას საქმე სასამართლოს გადასცეს, მკვლელი გაასამართლეს, გააციმბირეს და, როგორც ნათქვამი იყო, წინამძღვაროვი ერთკვირიანი დასვენებითაც დააჯილდოვეს დაბა ბორჯომში.

ტასიკო გაბედნიერდა, სანაქებო მზითვიც მიიღო და ხალხმრავალ ქორწილშიც გაილაღა. ახალგაზრდებმა ბინა პრისტავს წინამძღვაროვის სახლში დაიდეს, ასე რომ, ემერიხის ხილვის ბედნიერება წინამძღვაროვს თითქმის ყოველდღე ჰქონდა. მიუხედავად ამისა, საკუთარ თავთან დათქმული პირობის თანახმად, მკვლელობის შესახებ სიტყვა არ დაუძრავს, არც გამქრალი ფულის ბედი და ინტერესებულა და არც იმითი, თუ რატომ გადაწერა ემერიხმა ნორვეგიელის დღიურში ჰაზირას ლექსი, თავისთვის იყო და მორჩილად იტანდა სიძის უკბილო ხუმრობებს, რომელიც უფრო გამოწვევას ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ შეთამაშებას. ასე რომ, პრისტავი ქალიშვილის სიყვარულის მსხვერპლი აღმოჩნდა და იმასაც მიხვდა, რომ თავს ვერასოდეს დაიხსნიდა ამ ხაფანგიდან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პრისტავმა რამდენჯერმე მაინც სცადა მარწხებიდან თავის დაღწევა, ერთი – ორჯერ რალაც ბარათი დაწერა პოლიციაში გასაგზავნად და ამდენჯერვე თავის მოკვლა ვაიფიქრა, თუმცა ვერც ერთი და ვერც მეორე ბოლომდე გაიმიყვანა, ენითუთქმელი შიშის გამო. რა თქმა უნდა, თუ მოინდომებდა, შეეძლო სალოცავში მისულიყო და იქვე აღსარებაც ეთქვა, რითაც დამძიმებულ სულს ოდნავ მაინც შეიმსუბუქებდა, მაგრამ პრისტავს ამის სურვილი არ გააჩნდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამღვდელოებას არ ენდობოდა, რადგან მღვდლების ერთი ნაწილი, კინტოებთან ერთად, ოდითგანვე პოლიციის აგენტურას წარმოადგენდნენ და ყველა, მეტ – ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმე მათი მეშვეობით იხსნებოდა, ასე რომ, საკუთარ თავთან დარჩენილი დარდს ეჭმევიანებოდა და იტანჯებოდა.

სამსახურში თითქმის აღარ დადიოდა, თბილისში დანაშაულმა იმატა, ქუჩაში გამოსვლა სახიფათო გახდა და ჭრელმა ქალაქმა ჩვეული სიხალისე დაკარგა. მოქალაქეებმა, გაზეთებმა და უფროსობამ ამაზე პასუხი ისევ პრისტავს მოსთხოვეს. თავის მართლებას აზრი აღარ ჰქონდა. პრისტავმა ასაკი თუ დაღლილობა მოიმიზეზა და დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. ამან სულ მთლად მოულო ბოლო, ისედაც ხერხემალში გადამტვრეულ წინამძღვაროვს. ამას ემატებოდა ისიც, რომ ემერიხი პრისტავის ქონებას ანიავებდა და იფურჩქნებოდა, ამის შემხედვარე წინამძღვაროვი კი ჭკნებოდა და პატარავდებოდა.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. დარდთან თუ საკუთარ თავთან ჭიდილში გადაღლილ წინამძღვაროვს ოთახის კარი ღია დარჩა და შეუმჩნეველად შემოპარულმა მიქელგაბრიელმა პრისტავი ისე გააპარა სახლიდან, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგო.

ტასიკომ, რა თქმა უნდა, განიცადა მამის სიკვდილი, თითქოს ემერიხმაც ინალვლა, ყოველშემთხვევაში ტასიკოს ასე მოეჩვენა და გულის სიღრმეში, როგორც ყველა ცოლი, გახარებულიც კი დარჩა ამ ფაქტით.

დრომ საკუთარი შავი საქმე, როგორც ყოველთვის, პირნათლად შეასრულა და პრისტავ წინამძღვაროვის საფლავის სიახლოვეს სარეველა ბალახი გამოაჩინა. ვლადისლავ ემერიხმა ტასიკოს ქონებას წირვა გამოუყვანა, შემდეგ ცოლს აუხირდა, მიზეზად უშვილობა მოსდო და გაუჩინარდა.

შეურაცხყოფილმა მეუღლემ, რა თქმა უნდა, მოიძია გამქრალი ქმარი, პოლიციასაც მიმართა დახმარებისთვის, მაგრამ მის კვალს მაინც ვერ მიაკვლიეს. თუმცა, იმდროინდელ ჭორებს თუ დავუჯერებთ, ემერიხი საქართველოს ექსარხოსის მკვლელობაში უნდა ყოფილიყო შემჩნეული. როგორც თვითმხილველები ამბობდნენ, მკვლელები ნიკონს სასინოდო კანტორის შესასვლელში ელოდებოდნენ და იქვე დაახალეს კიდეც რამდენიმე ტყვია, მეუფე გარდაიცვალა, დაიჭრა კანტორის ერთი მოსამსახურე, რომელიც სროლის ხმაზე გარეთ გამოვარდა, სწორედ მან მიამსგავსა ერთ – ერთი მკვლელი ემერიხს.

ემერიხის სახელი ერთი კვირის თავზეც გაისმა, როდესაც სამმა შეიარაღებულმა პირმა, დილის ათ საათზე, თბილისის საბაჟოსთან არსებული კასა გაძარცვეს. სროლა აქაც ყოფილა. მოუკლავთ კასის გამგე იუზეფოვიჩი. მძარცველებს გაუტაცნიათ ოცდაათი ათასი მანეთი და მიმალვა უცდიათ. ორმა მოახერხა კიდეც, მესამე კი, სოფელ ხაშმის მცხოვრები ვინმე ქორქაშვილი, მოხერხებულ გოროდოვოის ხიშტზე აუგია. სიკვდილის წინ სწორედ ამ ქორქაშვილს დაუსახელებია ერთი თანამზრახველი, გვარად ჯულაშვილი, მეორის დასახელებასაც აპირებდა, მაგრამ ტანჯვისა და წამების გამო, რაც ასეთ ჭრილობას მოჰყვება ხოლმე თან, ველარ ამოუთქვამს და მხოლოდ გვარის თუ სახელის პირველი ასო, ძლივძლიობით, მხოლოდ ტუჩების მოძრაობით წარმოუთქვამს. თუმცა, ხელწერიდან გამომდინარე, პოლიციას მაინც ემერიხზე მიუტანია ეჭვი, მაგრამ ვერც მისთვის და ველარც ჯულაშვილისთვის ველარ მიუგნია.

მარტოდ დარჩენილ ტასიკოს ისლა დარჩენოდა შემორჩენილი ავეჯის ნაწილი გაეყიდა და გარკვეული დროის მანძილზე თავი იმით გაეტანა. ავეჯს მალევე მიჰყვა ჭურჭელი, პირადი ნივთები, შემორჩენილი სამკაული და სხვადასხვა ნვრილმანი, თუმცა ტასიკოს ვერც ამან უშველა და საბოლოოდ საგვარეულო ბინასთან განშორებაც მოუწია. სახლის ახალმა მფლობელმა იოსებ წინამძღვაროვის წლობით ნაგროვები ჩანანერები თუ საბუთები სანაგვეზე მოისროლა და სრულიად შემთხვევით, ცეცხლს გადარჩენილი ხელნაწერები ამგვარად აღმოჩნდა ბუკინისტის პატარა მაღაზიაში, სადაც ათას ამდაგვარ რამეს ნაანყადებოდა იმდროინდელი მყიდველი.

ვლადისლავ ემერიხი ათიოდე წლის შემდეგ გამოჩნდა, პარტიული ფსევდონიმით „ტალკაჩი“. ლიტერატურის სიყვარულზე უარი ვერ თქვა, ლექსების წერას თავი მიახებდა, მაგრამ ამავე ფსევდონიმით რომანი გამოაქვეყნა, სადაც დეტალურად, რა თქმა უნდა, მხატვრული ხერხების გამოყენებით, აღწერილი იყო დაგნიუ უელის მკვლელობა, თუმცაღა, მეტი დამაჯერებლობისათვის და ყოველგვარი გართულების თავიდან ასაცილებლად, მოქმედ პირთა გვარ – სახელი შეცვლილი გახლდათ.

რომანის მოკლე შინაარსი ასეთია:

ტერორისტული ორგანიზაცია „ნაროდნია ვოლიას“ დავალებით, ვლადისლავ ემერიხი, სრულიად შეგნებულად, კავშირს იჭერს პრისტავ წინამძღვაროვის ქალიშვილ ტასიკოსთან. ნორვეგიელი სტუმარი დაგნიუ უელი უკვე თბილისშია და სახლის შესაძენი ფულიც თან აქვს, ეს ცნობილი ხდება ვარვარა ანდრეევსკაიას მეშვეობით, რომელიც მეგობრობს ნორვეგიელ სტუმართან და რომელიც თანაუგრძნობს ტერორისტებს პირადი მიზეზით: ეცოტავება ქმრის პენსია და საერთოდ თვლის, რომ მის ქმარს, რომელმაც მთელი ცხოვრება მეფის სამსახურს შეაღია, უსამართლოდ მოექცნენ. საქმეში ჩართულია სასტუმროს მმართველი დავით ჩხოტუა, ვარვარას საყვარელი, რომელიც მეკავშირის როლს ასრულებს ხელმძღვანელობასა და უშუალო შემსრულებლებს შორის. ამავე დრო ემერიხი კავშირს იჭერს დაგნიუ უელთან, რომელსაც მას ანდრეევსკაია გააცნობს. პირადული თვისებების მეშვეობით ემერიხი ქალს მალევე მოხიბლავს და მის ნდობას მოიპოვებს. ერთ დღესაც, როგორც წინასწარ იყო დაგეგმილი, სასტუმროს ნომერში ემერიხი ქალს მოახრჩობს და დაგნიუ უელის სახლის შესაძენად გადაამალულ ფულს ორგანიზაციას გადასცემს. დავით ჩხოტუა, ყველასგან მალულად, ღამით, გარდაცვლილს მტკვარზე ჩაათრევს, ტანსაცმელს გახდის, ნაპირზე დაალაგებს და მიცვალებულს წყალში შეაცურებს. მოგვიანებით ვარვარა ანდრეევსკაია, თავის საყვარელ, დავით ჩხოტუას ცრუ ალიბს შეუქმნის, რითაც დაპატიმრებას გადაარჩენს. ტერორისტული ჯგუფი სისხლიანი ფულით აქციას მოამზადებს და განახორციელებს კიდეც. თავდასხმის შედეგად მეფისნაცვალს ილუპება, მძიმედ იჭრებიან მისი თანმხლები პირები, ჩინოვნიკები დაშინებულნი არიან, მუშები და საშუალო ფენის მოქალაქენი აღფრთოვანებულნი და სამუშაოდ გასვლაზე უარს ამბობენ. იწყება საერთო – სახალხო გაფიცვა და მღელვარება.

ასეთი ამბები ხდება რომანში, თუმცა საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა, რაც დაადასტურა კიდეც დავით ჩხოტუამ მკვლევლობიდან ხუთი წლის თავზე მიცემულ აღიარებით ჩვენებაში, თუმცა მას, როგორც მძიმე მუხლით გასამართლებულს, არავინ მოუსმინა, მაგრამ ჩვევისა თუ წესის თანახმად, ჩვენება საქალაქდებში ჩააკრეს და თაობებს გასაცნობად შემოუნახეს. ამ ჩვენებაში ვერავინ ამოიკითხავდა ჰაზირას ბუნტოვჩიკური ლექსის ისტორიას, რომელსაც თავად რომანის ავტორი გულმოდგინედ მალავდა, ვერც იმას, რომ ტერორისტული აქტი არ განხორციელდა, თუმცა თავად ჯგუფის წევრები დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ ამას ხელი რუსეთის პირველმა რევოლუციამ შეუშალა, მაგრამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, ჩანს, სულ სხვა აზრი ჰქონდა, რადგან ემერიხს ოცდაორი ათასი მანეთის მითვისებას ედავებოდა. ასეა თუ ისე, სიმართლე მაინც ვერ გაირკვა, დაუნდობელმა დრომ ამ დავის კვალიც ნაშალა და თავად ვლადისლავ ემერიხისაც, რომელიც, სავარაუდოდ, დავით ჩხოტუას გაკვალულ ბილიკს გაუყვდა და მოგვიანებით „გულაგის“ უკიდევანო სივრცეში გაუჩინარდა. ისიც სათქმელია, რომ რომანის ერთადერთი ეგზემპლარი დღესაც ინახება საჯარო ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა საცავში და მას, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას, სახელმწიფო პატრონობს, ისევე, როგორც დაგნიუ უელის

სამარეს, რომელიც დღემდე უკუიის სასაფლაოს ძველი შესასვლელის სიახლოვეს მდებარეობს.

პატრონი გამოუჩნდა იოსებ წინამძღვაროვის ჩანანე-რებსაც, რომელიც, როგორც მისი კოლეგები ამტკიცებენ, იოსებ გრიშაშვილს შეუძენია და მოგვიანებით გამოუყენებია კიდეც. შესაძლოა, ეს ყოველივე შურიანი მწერლების მოგონილი იყოს, მაგრამ ამ ფაქტს ნაწილობრივ ისიც ადასტურებს, რომ ცნობილი პოეტი და ძველი თბილისის აშული, როგორც მას სახელმძღვანელოებში უწოდებენ, ძველ თბილისზე ლექციების კითხვის დროს ხშირად ახსენებდა პრისტავ წინამძღვაროს და მის ჩანანერებს, რომელიც ნელ – ნელა მიი-

ვინცა და ყველასათვის ცნობილ წიგნში საერთოდ აღარ უხსენებია.

ასეა თუ ისე, ნასულ საქმეს უკვე აღარაფერი ეშველება. არადა, ცოტა გულდასაწყვეტი კია ჭრელი თბილისის პოეზიის უნებური მკვლევარის, პრისტავ წინამძღვაროვის დავინყება, რომლის ერთადერთი დანაშაული ის გახლდათ, რომ საყვარელი ქალიშვილის გამო, ძალაუნებურად მკვლელს ხელი დააფარა და კანონი საკუთარ თარგზე გამოჭრა. ასე რომ, ამ ტრადიციის ფუძის ჩამყრელად სწორედ რომ იოსებ წინამძღვაროვი ითვლება და ძნელი წარმოსადგენია, რომ ორასწლიან ჩვევას, დიდი მცდელობის მიუხედავად, ერთი ხელის მოსმით, რამე ეშველოს.

პირველი შთაბეჭდილება

გიორგი გამსახურდია

კანონიერების სარანბი

პირველი შთაბეჭდილება მეტწილად განმსაზღვრელია ადამიანთა შემდგომი ურთიერთობისა. პირველი განცდა, ემოცია, დაუფინყარ კვალს ტოვებს მათ მეხსიერებაში, რისი ნაშლაც დიდი ძალისხმევისა და მეცადინეობის მიუხედავად რთული საქმეა. ასე იწყება და ყალიბდება ურთიერთობა მწერალსა და მკითხველს შორისაც, მაგრამ თუკი შემოქმედს მაინც გააჩნია ბუნებრივი თვისება იცვალოს, წეროს უკეთ ან უარესად, მის კონკრეტულ ნაწარმოებს ვერაფერი შეცვლის. მართალია, ხელმწიფედ ნაკითხვისას ის შეიძლება უფრო ღრმა ან ცარიელი მოგეჩვენოს, მაგრამ კარგი მოთხრობა ვერასოდეს იქცევა ცუდად და პირიქით. ისე კი, უკარგმკითხველოდ ეს ყოველივე „ფუტუროზე ბრახუნს დაედარება.“

ლაშა იმედაშვილის ნაწარმოები „ფუძღვნი ქალებს, ჩემთან მწყარალებს“ ერთი შეხედვით კრიმინალურ ამბავზეა აგებული, რომელიც დეტექტიური თვალსაზრისით მრავალ თავსატეხს უჩენს პრისტავ წინამძღვაროს და საკუთრივ მკითხველსაც. როდესაც გგონია, აჰა, დადგინდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორისო, აღმოჩნდება ახალი გარემოება, რომელიც ძირუფლად ცვლის ძიების მსვლელობას და პრისტავის ქალიშვილ ტასიკოს ბედი, კვლავაც ჰაერში დაეკიდება. დედუქციის მეთოდის ელემენტებიც არის გამოყენებული და კრიმინალურ ლაბირინთებშიც შევყავართ მწერალს, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ ნაწარმოები ამისათვის არ დაწერილა. დეტექტიური ნიაღსვლები ხერხია თბილისის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში სახეტილოდ, იმ ეპოქის ქალაქის აღსაქმელად, რომელიც კავკასიის მთავარ სავაჭრო და საკვანძო ადგილად ითვლებოდა. თუკი ჰოლმსი ან პუარო სხვადასხვა ქვეყნებში, ქალაქებსა თუ პროვინციებში იკარგებიან, რათა ავტორებმა უფრო მრავალფეროვანი გახადონ მათი კვლევის ხერხები და მეთოდები, წინამძღვაროვის ძიებისას არსებითი ერთგვარი სიმსუბუ-

ქისა და უწონადობის განცდაა, როდესაც წარმოიდგენ გოგირდის აბანოდან გამოსულ აშულს, ორთაჭალის ბაღში ლექსის სათქმელად მიმავალს.

უნდა ითქვას, ბოლო ხანებში ერთობ იძალა ნოსტალგიამ ძველი თბილისისადმი ქართველ მწერლებში და მათი შთაგონების წყაროდ იქცა. ნაწარმოებში ალაგ-ალაგ გვხვდება მკითხველისათვის ნაცნობი თემებიც, დოკუმენტური მასალების გამოყენება, დეტექტიური სიუჟეტი, ყარაჩოლელთა და კინტოთა საზრისი, სასტუმრო მშრალ ხიდთან, რომელშიც ნორვეგიელი ცხოვრობს... თუმცა მიუხედავად ამისა მწერალი მაინც ახერხებს ვინრო კონსტრუქციათა ფარგალში არ მოამწყვდიოს სათქმელი და ფართო გასაქანი მისცეს მას.

მკაფიო სახე იქმნება „იოსებ წინამძღვაროვის, ახლო წარსულსა და შორეულ მომავალში წინამძღვრიშვილის“ პიროვნებისაგან, რომლის ტრაგედია მხოლოდ ქალიშვილისადმი უზომო სიყვარულის ნაყოფია. ის კანონიერების სარანგია, მაგრამ მაინც ადამიანი, მამა, რომელსაც ძლიერ ანადვლებს ტასიკოს მომავალი. იოსების ადამიანურ თვისებებზე ისიც მეტყველებს, რომ მოკლული შეგირდი ნაკლებ ეცოდება, ვიდრე მკვლეელი ხარაზი, რადგან ოსტატის ღირსების საქმეა ვერცხლის ქამრის გაყიდვა და ყომარში წაგება. თუმცა კანონი კანონია და პრისტავიც თავისი აგენტურის მეშვეობით ამხელს დამნაშავეს. მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ნორვეგიელი ქალის, დაგნიუ უელის მკვლელობის კვალი, საბოლოოდ მის სასიძო ვლადისლავ ემერიხსადმე მიიყვანს.

აქ საგონებელში ჩავარდება პრისტავი, რადგან კანონის დარღვევა პროფესიული ღირსების საქმეა. გულჩვილი მამა იმძლავრებს მასში და დამნაშავეს ხელს დააფარებს. მან იცის, რომ „ადამიანი თავისუფალია, საკუთარ ბედსაც თავად სჭედავს, ხოლო თუ შეუძლია, მართავს კიდეც.“ წინამძღვაროს სინდისი ქენჯნის, მაგრამ ვერსად ჰპოვებს შვებას, ვერც ეკლესიაში, რადგან საკუთარი უწყების აგენტებითაა სავსე სამღვდელოება. მისი აღსასრულიც იქნებ ემერიხთა ოჯახის წევვლაა, რომელიც რუსეთიდან შემოტანილი ხარისხიანი ქვით ამარაგებდა თბილისის სასაფლაოებს...

აღვნიშვნე უკვე, რომ ავტორი დოკუმენტურ მასალებს ეყრდნობა. ნაწარმოების კითხვისას ხშირია ასეთი შემთხვევა და საკმაო ცოდნა სჭირდება მკითხველს დაგნიუ უელის მკვლელობის საქმისა (და არა მარტო), რომ სინამდვილე შეთხზულისაგან გაარჩიოს, თუმცა ვეჭვობ ამის გასარჩევად იყოს მოთხრობა დაწერილი.

წინამძღვაროვი „ჭრელი თბილისის პოეზიის უნებური მკვლევარი“ ხდება. ამის გამო მონათხრობი ინტერესის გარ-



## პირველი შთაბეჭდილება

და მრავალფეროვანი თბილისის ხიზლსაც იძენს. მდიდარი არჩევანია მყიდველისათვის თათრის მოედანზე, ქალაქური მეტყველებაც სხვადასხვა ენებით არის გაზავებული. კონტრასტულია ორთაჭალის ბალები და ევროპული მუშტიანი, როგორც ყარაჩოღლის და კინტოს ცხოვრების ნირი და ზნე. ამათზე საკუთარი აზრი აქვს წინამძღვაროვს, სძულს „გაქსუებული, ოკრო-ბოკროდ მოსიარულე კინტი“, სოლიდარულია „დარბაისელი და გულმართალი ყარაჩოღლისადმი“, არ მოსწონს აბანოში მოქიფეთა ლხინი და სადღეგრძელოები, რადგან უმთავრესად მუშტი-კრივით მთავრდება და, ესეც რომ არა, „მათში ბალღურ მიამიტობას და პრიმიტიულ სიბრძნეს ხედავს“.

უნდა ითქვას, რომ ავტორის მიერ ქალაქური კილოკავით მეტყველება, აბანოების, მოკრივეთა შერკინებების, ზოგადად, იმდროინდელი ქალაქის ყოფა-ცხოვრების აღწერა და-

მაჯერებელია და მკითხველიც მისი თანამონაწილე ხდება. ყველა ლექსს წერს, კარგად ცოტანი, მაგრამ გეგონება მთელი ქალაქი ექსპრომტივით, ლექსიდან ლექსამდე ცხოვრობს, თავის აშუღებითა და განწმენდილი გივიშვილებით. აქ გაპრანჭული და მოქარგული სიტყვები სრულიად ზედმეტია, რადგან უბრალოებაა ქალაქის იერი.

ერთგან აკაკი ბაქრაძე წერს: „ლიახვი და არაგვი მანამდეა ლიახვი და არაგვი, სანამ მტკვარს შეუერთდება, თორემ შეერთების შემდეგ ორივე მტკვარია. ისიც კი აღარავის ახსოვს, რომ მტკვარს ლიახვის და არაგვის წყალი ურევია.“

მართალია, მწერლობაც დაუცხრომელი სტიქიონია, მაგრამ იმ საერთო „მტკვარში“, რასაც ძველ თბილისზე შექმნილი თხზულებები ჰქვია, იკვეთება სხვადასხვა შენაკადები, სადაც თავისი ადგილი ლაშა იმედაშვილის ამ ნაწარმოებსაც უკავია.

## პოეზია

### პატონო როსტომ, ქალბატონო მაკა!

პირველ ყოვლისა, მსურს, მოგილოცოთ შობა-ახალი წელი და გისურვოთ უფრო მეტი (თუ შეიძლება ქართულ სივრცეში უფრო მეტი) წარმატება.

ძალიან ვაფასებ თქვენს დღესდღეობით დაუფასებელ ღვაწლს, რასაც ქართული სიტყვისადმი უანგარო სამსახური ჰქვია. და მჯერა, ბოლომდე გაუძლებთ ამ ტვირთის სიმძიმეს.

მე სტუდენტი ვახლავართ. დროებით ვცხოვრობ სტუდენტულ ქალაქში. სწორედ აქ დავწერე ჩემი ლექსების უმეტესობა. ლექსი „ცხვირი“ (რა შუაშია, მაგრამ...) კარტოფილის მომზადებისას დავწერე და ნავუკითხე ერთ-ერთ ჩემს მეზობელს, რომელმაც შემფოთებულმა გულითადად მიჩჩია, რომ კარტოფილის შეწვა უკეთ გამომდიოდა ყოველთვის და სჯობდა, ამ უკანასკნელი საქმისათვის მომეკიდა ისევე ხელი. აი, ასეთი არასახარბიელო დებიუტი მქონდა. თუმცა მე მაინც გავაგრძელე ლექსების წერა.

რაც შეეხება ფსევდონიმს („ვინმე“), შეიძლება, გაიფიქროთ კიდევც, რა დროს ფსევდონიმებია, ახლა ხომ 21-ე საუკუნეაო. მაგრამ საქმე ისაა, რომ მე ფსევდონიმი არც პოეტური კოკეტობისა, ლიტერატურული მოდისა თუ ხელოვნური ახირების გამო ამირჩევია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი სახელი და გვარი თქვენთვის მაინც არაფრის-მთქმელი იქნებოდა. ასე რომ... გარდა ამისა, მე ბევრი თქვენი მკითხველისთვის მართლაც „ვინმე“ ვიქნები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არც ტელეეთერიდან შემინუხებია ვინმე ჩემი შემოქმედებით და, კაცმა რომ თქვას, არც სალიტერატურო გაზეთებს დაუხოცავთ თავი ჩემი პრეზენტაციებით.

იმედით ველოდები თქვენს პასუხს (რომელიც დაბეჭდვა-არდაბეჭდვით გამოიხატება). თუ მოგეწონებათ და, შესაბამისად, დაბეჭდავთ, ხო კეთილი, თუ არადა, რას ვიზამთ, ამასაც შევეგუებით. თანაც, ღვთის მადლით, კარტოფილი უხვად მაქვს და...

პატივისცემით  
თქვენი ერთგული მკითხველი

### ვინმე

### სარაკირი მხატვრულად

ვათავისუფლებ ჩემს თავს შენი უსახო სახისგან, ვათავისუფლებ ჩემს თავს სიმშვიდისაგან, ნაგვისგან, დაცემისაგან, დაღლისგან, საკუთარ თავზე დახლისგან, სიტყვა, რომელიც ჩემშია, იარაღით ამყრის თავს.

ვათავისუფლებ ჩემს თავს მრავალისაგან, ერთისგან, ატომისაგან, დენტისგან, სატანისაგან, ღმერთისგან, ლუნისაგან და კენჭისგან, დაუსრულებელ ფეთქვისგან, ყვირილისა და ჯგლეთვისგან, ფატის ან ია/ფეტისგან, და უსასრულო კარგვაში შევამტვრევ ღია ბედის კარს.

და როცა ჩემი არყოფნა ბოლოს შეიცნობს თავის განს, ვათავისუფლებ ჩემს თავს ჩემი უაზრო თავისგან.

### გრამატიკული შეცდომა

დილა → შუადღე → საღამო  
დილა → შუადღე → საღამო  
დილა → შუადღე → საღამო  
დილა → შუადღე → საღამო  
მერე კი ისევ და ისევ:

დილა → შუადღე → საღამო  
მერე კი ისევ თავიდან  
დილა → შუადღე → საღამო  
ისევ თავიდან იწყება  
დილა → შუადღე → საღამო  
და მერე კვლავ მეორდება  
სხვამ გამაოცოს რაღამო  
როცა ბრუნდება ათასჯერ  
დილა → შუადღე → საღამო,  
მე კი გელი და გული თან  
მინდა, სიცოცხლეს ვახამო,  
მაგრამ თავიდან ბრუნდება,  
დილა → შუადღე → საღამო.

და კითხვა ჩნდება უბრალო  
აღბათ, პასუხის დრო კია:  
– რატომ დაუშვი, უფალო,  
ამდენი ტავტოლოგია?!  
– ?! ?! ?!

**ჩარჩოს გარეთ**

გათავისუფლებთ, სივრცეებო, სამანებისგან.  
გათავისუფლებთ, არშობილნო, დაბადებისგან,  
გათავისუფლებ, დედამინავ, ტრიალისაგან,  
გათავისუფლებთ, იობებო, ღრიალისაგან,  
გათავისუფლებთ, იუდებო, ვერცხლებისაგან,  
პრომეთეებო – ჯაჭვისგან და ცეცხლებისაგან,  
გათავისუფლებთ, მკითხველებო, ჩემი ლექსისგან,  
პერგამენტებო – მტვრისაგან და ძველი ტექსტისგან,  
გათავისუფლებთ, პოეტებო, დავინწყებისგან,  
ისტორიებო – ცრემლისგან და ავი წლებისგან.  
გათავისუფლებთ, ყასაბებო, ბუზებისაგან,  
გათავისუფლებთ, მეძავებო, ფასებისაგან,  
გათავისუფლებთ, აღმასებო, სითეთრისაგან,  
გათავისუფლებთ, სიძებო, სიდედრისაგან.

გათავისუფლებთ, ფეხსაცმლებო, ფეხებისაგან  
და ატეხილო სხეულებო – შეხებისაგან.

გათავისუფლებთ, უანგაროდ გათავისუფლებთ,  
მე თქვენი ძმა ვარ და ჩარჩოდან პირველ ნაბიჯს  
ვდგამ.

მე ვამბობ სიტყვებს არაფრისმთქმელს და  
პათეტიკურს:  
გათავისუფლებთ, ძვირფასებო, ჩემი თავისგან.

ბევრი დავწერე სტრიქონები არაირიბად.  
მას აღიქვამდნენ, ხშირად, როგორც სისუსტის საგანს.  
ჩემო სიტყვებო, საყვარელო ჩემო სიტყვებო,  
გათავისუფლებთ სამუდამოდ სიზუსტისაგან!

**გალაკტიონს**

მე ვგრძნობ „შარშანდელ თოვლს“  
და შენში გავლებულ ვერტიკალურ ხაზს  
ვაპორიზონტალურ

და ვებრძვი დემონებს, რომელიც იმონებს  
შენს არარსებულ სულს  
და უცხოპლანეტელი ხარ,  
რადგან გრძნობ, რომ აქ არ ხარ.  
და მე ვიცი, რომ  
დედამინა არაჩვეულებრივი ადგილია,  
დედამინა ყველაზე კარგი ადგილია,  
დედამინა საოცარი ადგილია,  
დედამინა უნიკალური ადგილია,  
დედამინა საუკეთესო ადგილია...  
თავისმოსაკლავად.

**სოფისტური ვარიაციები  
გაცვეთილ თემაზე**

ჰაერს მიაპობს იაბო.  
გზა უსრული და მწველია.  
მინდა, ზღაპარი გიამბო:  
ადამიანი მტვერია.  
გარეთ ნაგანი გავარდა,  
გზა სისხლით შემაფერია.  
უცებ ქუჩაში გავალ და  
ადამიანი მტვერია.  
არავინ იცის, რა ხდება,  
მაშინებს დეზინტერია.  
ყველა ოცნება ახდება.  
ადამიანი მტვერია.  
მტვერია, მამასადამე,  
უსასრულობის მტვერია.  
მტვრისაგან შექმნეს ადამი,  
ადამიანი მტვერია.  
აი, იმ პოეტს, აქ რომ დგას  
და მტვერს რომ ინმენდს ჩექმიდან,  
ტვინში იმდენი მტვერი აქვს,  
ბარე ცხრა ადამს შექმნიდა.

ეეეჰჰ!

ზოგი „ჰოთ-დოგებით“ იკვებება,  
ზოგს კი ხმელი პური უხარია.  
ადამიანი იცინის და  
ადამიანი მწუხარეა.

ცხოვრება ცივი დილეგია,  
ზოგისთვის თბილი ბუხარია.  
სიცოცხლე მაინც გრძელდება და  
ადამიანი მწუხარეა.

ფრაზა გაცვეთილი უნდა გითხრა:  
ბედი სისხლშემხმარი შლუ ხარია,  
ერთხელაც რქაზე აგაგებს და  
ადამიანი მწუხარეა.

დაბოლოს:

ქარი მირისხდება (მისი მესმის),  
მესმის ბულბულების ტია-ტია.  
ყოფაც ვატირე პესიმიზმის:  
ადამიანი დიადია!

**ესაც ასე!**

ვეძებ ჩემსა და ჩემს სურვილებს შორის საერთოს.  
დასკვნა ჩვეული: არა ვგავარ ზეცაში წვეულს.  
ადამიანმა აღარ იცის, რითი გაერთოს  
და ყოველ დილით უბრუნდება საკუთარ სხეულს.

დრო მოვა, ყველა გავაქროლებთ ჩვენს წილ ფაეტონს,  
დღეს მხოლოდ სიკვდილს შესძლებია ერთადერთობა.  
ადამიანმა აღარ იცის, რითი გაერთოს  
და თავის თავთან ყოველდღიურ დავით ერთობა.

ოპტიმისტი ვარ: აენთება ჩვენთვის ცა ერთ დროს,  
პესიმისტიც ვარ და ვერასდროს ვიდგამ მზის კარავს.  
ადამიანმა აღარ იცის, რითი გაერთოს  
და ცხოვრებიდან საკუთარ თავს ხშირად იპარავს.

გათენდა. ზეცას მონყენილი ვარდი წაენთო  
და სანამ ვარდება ვარდოკრატი გულში ჩაისვამს,  
ადამიანმა აღარ იცის, რითი გაერთოს  
და ყოველ დილით ადგება და ინდურ ჩაის სვამს.

ვარდება და ლარნაკს რომანტიკის ფერი წაერთო,  
მერე რა, ქალი უვარდოდაც მკერდში მიკონებს.  
ადამიანმა აღარ იცის, რითი გაერთოს,  
და ამიტომაც წერს ამ სტრიქონებს!!!

**ცხვირი**

პავლე ვერაფერს ხედავს ცხვირსიქით.  
სავლე ვერაფერს ხედავს ცხვირსიქით.  
და საერთოდაც, ადამიანი  
ვერაფერს ხედავს თავის ცხვირსიქით.

პეტრეც და სავლეც, ბადრიც და პადრეც,  
ვერაფინ ხედავს თავის ცხვირსიქით.  
ადამიანებს მოკლე გვაქვს მზერა,  
და ველარაფერს ვერ ვხედავთ, ვერა,  
თუმცა მწყურვალი კი გვაქვს სურვილი,  
რომ სივრცეებით გავივსოთ მზერა.  
მაგრამ მერწმუნე, ვერა და ვერა,  
არა და არა, ვერა და ვერა.

პავლეც და სავლეც, ბადრიც და პადრეც,  
გიჟიც და ბრძენიც, სუფთაც და მყრალიც,  
კაციც და ქალიც, ფხიზელიც, მთვრალიც,  
ევაც და თეკლეც, მეთხეც და მეკვლეც,

ვერაფინ ხედავს თავის ცხვირსიქით  
და საერთოდაც, ადამიანი  
ვერაფერს ხედავს თავის ცხვირსიქით.

P.S. ღმერთო, მომბადლე უვრცესი მზერა,  
რომ შევძლო ხილვა ცხვირის გადაღმაც,  
ან დამიგრძელე ეს ცხვირი ისე,  
რომ სუყველაფრის შევძლო დანახვა!!!

**შუქნიშანი გარდატანის პროცესში  
(ფოტოლექსი)**

ეს გზა ჩუმადაა. ჩუმად. ჩუმადაა.  
სდარაჯობს ყვავილებს, ქალებს თუ ბიჭუნებს.  
გზაზე აღმართულა წვრილი შუქნიშანი  
და გამველ მანქანებს თვალებს უპაჭუნებს.

**სოფელი**

დაბერდა ბებია, როგორც მეტაფორა.  
ხის ძირას ვისვენებთ: ჩრდილი, მე და ფური.

სარეცხის თოკზე წვეს წინდა განუწული,  
სიოს სითავხედეს მზეც და ცაც უწუნებს.

გავი-გავიხედე, ჩრდილი გავიხადე,  
ჩრდილი გავიძრე და ხასად გავიხადე.

დაბერდა ბებია, როგორც მეტაფორა.  
ხის ძირას ვისვენებთ: ჩრდილი, მე და ფური.

მზის სხივებს გადასწერს ბებია ხვალიდან.  
ოთახში ბუტბუტებს ცხელი ჩაიდან.  
მომრავლდა ბალი თუ ვაშლი თუ მსხალი და  
ღმერთები ნითელ წიგნში შეიტანეს.

**ამ ლექსს შესაქლოა  
„დედალოსი“ დაეჩქვას**

ადამიანი არ არის მტვერი,  
ის, შეიძლება, არის ატომი.  
ადამიანებს გვჭირდება მტერი,  
რომ არასოდეს ვიყოთ მარტონი.

ვერ შევისწავლეთ ჩვენს თავში ცოცვა  
და ამიტომაც მტვერში ვიდებით.  
ადამიანებს გვჭირდება კოცნა,  
რომ საბოლოოდ ვიყოთ მშვიდები.

სიმაღლეებთან ყოველთვის ვკრთებით  
და სათქმელ სიტყვას კანკალით ვარჩევთ:  
ადამიანებს გვჭირდება ფრთები,  
იმისათვის, რომ მინაზე დავრჩეთ!



დალილა ბედანიძის პოეტური სამყარო უკიდურესი თვითრეფლექსიურობითა და სიფაქიზით გამოირჩევა. პოეტი ყველაზე უფრო ყოფითი საგნებისა და თემებისადმი მიძღვნილ ლექსებშიც კი ახერხებს გვაგრძნობინოს ის, რომ პოეზია ყველაფერშია. უბრალოდ, გააჩნია, ჩვენ თვითონ სამყაროს როგორ, რა სიმაღლიდან და რა კუთხით აღვიქვამთ.

დალილა ბედანიძისათვის ეს სიმაღლე სიყვარულია, ხშირად გაუზიარებელი, დაუნახავი, შეუმჩნეველი, მაგრამ მაინც ღვთისგან მომდინარე და უფლის ნათელგადამდინარი.

ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში იგი წერდა: „მითხარ, რაშია შენი ძალა? – ისე შემპარავად მკითხა ჩემმა ცბიერმა მეგობარმა, რომ დამავიწყდა, ცბიერი რომ იყო და... გამოვუტყდი...“

მისი პოეზიის საერთო ტონალობას ამ სტრიქონებზე უკეთ ვერაფერი გვაგრძნობინებს. პოეტს თითქოს ყოველი ლექსისას ავინყდება სიავე, რაც სამყაროში არსებობს, მეგობარივით მოდის უხილავ მკითხველთან და უტყდება სიყვარულში, რომელსაც იქნებ კაცი ვერა, მაგრამ ძე კაცისა უთუოდ დაინახავს.

დალილა ბედანიძე

\* \* \*

ზეცის სიმძიმით მოხრილან ხენი, რომელთაც სველი ზეცა უჭირავთ. თოვს და ფიფქები მოდიან ღვთისით ღმერთის მუჭიდან, ღმერთის მუჭიდან.

ო, მოიქნია ზამთარმა კუდი, რაც გულში ჰქონდა, გადმოაფრქვია და უკან დარჩა დღეები ცუდი – აყვავებული ბლები აქვია.

გადაპენტილა ქუჩები თეთრად და ყვავილები ირევა თოვლში. ამ გაზაფხულსაც შევხვდებით ერთად, ვერას დაგვაკლებს ყინვა და თოში.

ეს ყვავილები – მზის ნამსხვრევები – მონატრებული სიტბოს მაცნეა. უკანასკნელად ზამთარს შევებით – მზე თეთრ გველესაჲს გაუტაცია.

გაზაფხულამდე სულ ცოტა დარჩა და ფიფქებს დაჰკრავს სურნელი შროშნის... მოგვიდის მარტი, ზეიმობს და ჩანს აყვავებული ატმების დროშით.

\* \* \*

ჰეი, მეგობარო, ათასჯერ ჰეი! ჩემი მარადიული მარტოობის დამმარცხებელო. ისევ შენ გამიხსენე, შენ გამაცოცხლე ყველასაგან დავიწყებული. ჰეი, მეგობარო, ათასჯერ ჰეი! შენ ხომ გახსოვს ჩემი ბავშვობა...

რამდენჯერაც შეგხვდები, იმდენჯერ ბავშვობა მიმეორდება. ჰეი, მეგობარო, ათასჯერ ჰეი! ჩვენს შორის შავი ღვინო მიმოიქცევა და გულს აჩქროლებს, გვავინყებს ყველა გასაჭირს. ჰეი, მეგობარო, ათასჯერ ჰეი! მომეცი ჭიქა, რომ გადღეგრძელო, ამივსე ღვინით და ამავეს იმედებით, რომ რასაც მისურვებ, ყველაფერი ამისრულდება. ჰეი, მეგობარო, ათასჯერ ჰეი! გახსოვს, გახსოვს, როგორ მიყვარდა და სიყვარულზე გიყვებოდი სულმოუთქმელად? ის სიყვარული, როგორც ნერგი, კვლავ ღვინის ჩემში და ირწყვება შავი ღვინით. ჰეი, მეგობარო, ათასჯერ ჰეი! შენ შემეფარე ამ შავ ღვინოში. გიზიარებ ჩემს ოცნებებს და ფიქრებს და ნელა, ნელა სულგანაბრებ დილა ფეხისწვერებზე მოიპარება. გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, ჰეი მეგობარო! ჰეი და ჰეი!

სიმღერა

(ხალხურ კილოზე)

ვითამაშეთ ჯერ ჭადრაკი, მერე შაში, მერე – ნარდი. ვინც მიყვარდა, არ აქვს ნაკლი, ვინც მიყვარდა, შევუყვარდი.

ხან მოვიგე, ხან – წავაგე, თავზე გვადგა თვით მზე – არდი. სასიმღეროდ ავხსენ ბაგე – ვინც მიყვარდა, შევუყვარდი.

და ავმღერდი ტრუბადური, ანდა – როგორც ვინმე ბარდი.

შორს მეტოქე დარჩა მდურვით –  
ვინც მიყვარდა, შევუყვარდი.

ერთ კუნძულზე გაგვრიყა და  
ქარი იყო მარდზე მარდი,  
აღვივებდა გულში ღადარს –  
ვინც მიყვარდა, შევუყვარდი.

აყვავილდა ეს ქვეყანა  
სიყვარულის ფერად ფარდით.  
ისევ მარტო დავრჩი განა –  
ვინც მიყვარდა, შევუყვარდი.

აღარაფერს აღარ ვჩივი,  
ისეც მოველ მოკლე ვადით  
და თვალეში ფეთქავს სხივი –  
ვინც მიყვარდა, შევუყვარდი.

**მინდვრის ბოლოს**

გვირილებმა ატეხეს  
კისკისი და ქილიკი...  
მინდვრის ბოლოს ცა მელის  
კვამლის თეთრი ბილიკით.

მინდვრის ბოლოს იწყება  
ზმანებათა საუფლო.  
წინ მიმიძღვის ქარი და  
გვირილებთან საუბრობს.

მიმაცილებს პეპელა –  
მინდვრის დიასახლისი.  
სადღაც ხვნა დაუნყიათ –  
მინას ჩამლერს სახნისი.

ჩემი „გალმა-გამოლმა“  
მინდვრის ბოლოს იწყება.  
განმნმენდს შუბლზე ჯვარულად  
მირონივით მზის ცხება.

მზის ჩასვლამდე მინდორი  
უნდა გადავიარო  
და გავიდე გალმა და  
ზეცასაც ვეზიარო.

გვირილები ცეკვავენ  
ო, სულ ნარჩევ-ნარჩევი.  
მივალ მინდვრის ბოლოს და  
მეც გვირილად დავრჩები.

\* \* \*

ზაფხული გველის ისეთი,  
ზამთრის მოთმენა ღირს.

გულო – დარდებს რომ ისევდი,  
გაუძელ გასაჭირს.

ტრფიალი გველის ისეთი,  
რომ მარხულობა ღირს  
და ახლოს არის ის ერთიც,  
ვის მზე ჩამოჰყავს ძირს.

მოთმინებითა შენითა  
იყავი მუდამ მზად.  
გიშველის, როგორც გშველიდა  
უფლისმიერი გზა.

\* \* \*

ყაყაჩოს ბაირალებით  
გადასისხლულა მინდორი.  
მალღდება ზეცის თალები  
ნამგრევი უამინდობით.

ყაყაჩოს თვალში ჩაეხედავ  
და მზერას არ გაიხუნებს,  
შემკრთალი სულის მახედა  
თითქოს მზის თვალი მიყურებს.

გაშლილ მინდორზე ფრიალებს  
ყაყაჩოს ბაირალები  
და მინდვრის ფონი იალებს,  
თითქოს დასხმია ნალები.

ყაყაჩო, ჩემო დობილო,  
ვლოცავ, ვინც მოგიყვანაო.  
მზის სხივით გულგაპობილო  
ერთად ვიმღეროთ „ნანაო“.

ყაყაჩოსფერი ნალებით  
გადავიარე ხვამლები.  
ყაყაჩოს ბაირალებით  
მე ზაფხულს მივესალმები.

\* \* \*

როდემდე უნდა მანამო,  
როდემდე უნდა მგვემო  
მეუდიერევე სანყალო,  
მეუდიერევე ჩემო?

არა მყავს მე სხვა განმსჯელი  
უფლის სამსჯავროს გარდა.  
სულო, მანამდე გაძელი  
და მტერიც შეგიყვარდა.

მეუდიერევე ავსულო,  
მეუდიერევე ჩემო,

შეგინდე – შენ უსასრულო  
გესლით წამლავდი დემოსს.

შურით და ბოდმით აღსავსე  
ისევ მე შეგიბრალებ.  
შენს სიტყვებს, როგორც ასასებს  
მე ვძლევ ადრე თუ მალე.

მსურს, სიყვარულად ვაქციო  
ეგ შენი სიძულვილი,  
ემშაკი იქცეს გრაციად –  
შენც ხომ ხარ ო, ღვთის შვილი.

მე შენ ყველაფერს გპატიობ  
მეუდიერევე ჩემო.  
მინდა, შენს გულშიც ჩავვტიო  
მადლი ქვეყნისა ზემო.

სიკეთით გამარჯვებულით  
მსურს, აგიხილო თვალი,  
რადგან თვითვე ხარ ვნებული,  
საბრალო და სანყალი.

**ნუ მომკლავ, კაენ!**

ნუ მომკლავ, კაენ! მე ძმა ვარ შენი,  
ერთი მამა გვყავს და ერთი დედა.  
ერთი ღმერთი გვწამს – კვლა არ შეგშენის,  
იცოდე, ღმერთი ყველაფერს ხედავს.

მონმე არა ჩანს, არ ჩანს მშველელი,  
ვართ ღვთის წინაშე მხოლოდ ჩვენ ორნი.  
შენი ხელიდან დანდობას ველი,  
ცა ისე ელავს, ვით საფირონი.

კაენ, ნუ სცოდავ და ნუ გშურს ჩემი,  
ძმობას გაფიცებ კაენ, შეჩერდი!  
სიკეთე ღვთისგან გადმონაცემი  
ღვთის ამ გულში, ვატარებ მკერდით.

მე შენ მიყვარხარ, ო, ძმაო ჩემო  
და ღმერთი მე არ მომისყიდია.  
თუ – გინდა ძალა შენი მაჩვენო  
და დამარცხება ფეხზე გკიდია?

კაენ, ძმის სისხლით ხელს ნუ გაისვრი,  
უკვე მეორედ მარცხდები, კაენ!  
კაენ, შეჩერდი! უფლის ხმა ისმის.  
დაე, უფალმა განგსაჯოს, დაე!

\* \* \*

მე რომ მეგონე, ის არ ხარ,  
გემშვიდობები განცდით

და ვისმენ, ვისმენ მზის ხარხარს,  
გონს მოსვლას რომ არ მაცდის.

მე რომ მეგონე, ის არ ხარ,  
როგორ მეტკინა გული.  
დამვიწყდე, მიზნად ვისახავ  
შენგნითგან დავიწყებული.

მე რომ მეგონე, ის არ ხარ  
და სიყვარული გაქრა  
და შიგ გულში ვგრძნობ მტრის ლახვარს –  
უნდა დაუდგე მაგრად.

მე რომ მეგონე, ის არ ხარ,  
ო, კარგად გაგიცანი.  
სიყვარულს ვიხდი, ვით სახადს,  
ბედს შემიცვლიან ცანი.

მე რომ მეგონე, ის არ ხარ,  
ალარ გესავ და გნატრობ,  
ალარ მოჰყვები მზეს ახალს –  
მანც მახსოვხარ რატომ?

\* \* \*

სიცოცხლე ისე მშვენიერია,  
ისე გალობენ ჩიტი-გვრიტები,  
ღვთიური გრძნობა მე მომერია,  
თვალახელილი მე ავტირდები.

მზის შუქზე ელავს დღე ხვალინდელი –  
მე მომავალი მეუკეთესა.  
ირგვლივ დაღვრილა ღვინო წითელი,  
რომ ეკადრება თვითონ მეფესაც.

სიცოცხლე არის მარადიული,  
სიკვდილი ერთი წამია მხოლოდ.  
სასუფეველი გველის ციური,  
რომ შეგვიფაროს და რომ გვაცხონოს.

და დაიღვრება წმინდა ზედაშე  
განწმენდილ სულთა მოსახსენებლად  
და დაიღვრება ცრემლები მლაშე  
იმათთვის, ვისაც წასვლა ენება.

ეს ქვეყანა ხომ არის და არის  
და საიქიოც რა ლამაზია  
და შეგვენიოს მზისა და მთვარის  
მადლი – ჩვენი გზა და ხსნა ცაზეა.

ცას ვუმზერ და ცა მომეფერება,  
სილამაზისგან მე ავტირდები.  
სიცოცხლე არის ბედნიერება  
და მისი მაცნე – სულის ჩიტები.

იაპია ჰაკი

# „მე არაბული ენის აუიკი ვარ – მსოფლიოს უმდიდრესი ენისა“



მე ვეტიყოდი ყველა ახალ-გაზრდა ლიტერატორს: მხოლოდ წერთა გაბმული ტექსტის შესადგენად გათელილ გზაზე სიარულია. ენობრივმა ალლომ უნდა შეგაძლებინოთ ყველა სირთულის დაძლევა. სინტაქსისა და მორფოლოგიის წესების გათვალისწინება სათქმელის, ტექსტის გასაგებად გადმოცემას ემსახურება. კონტექსტი კი გაძლევს შესაფერის სტილს, მაგრამ ყველაზე დიდი სურვილი, რასაც მწერალს ვუსურვებდი, ისაა, რომ მის მკითხველს ეთქვას: „როცა მას ვკითხულობ, ვერ ვგრძნობ, რომ ვკითხულობ.“

ცნობილი არაბული ჟურნალი „ალ-ჰილალი“ სტუმრად ეწვია ბატონ იაპია ჰაკის – დიდ ლიტერატორს, ეგვიპტური ნოველის პიონერს და, მეტიც, მის შეიხსა და ლიდერს, რომელიც თავისი თვალსაჩინო ადგილითა და მნიშვნელობით ეგვიპტურ ლიტერატურაში მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა ნოველისტებისთვის.

ჟურნალი ესაუბრება პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ლიტერატურულ ხელოვნებაში მის მიერ განვლილ გზაზე, რომელიც ნახევარ საუკუნეს აღემატება.

ამ დიდმა ლიტერატორმა არაბულ ენას განსაკუთრებული ელფერი შესძინა. მისი წინადადება მხოლოდ სიტყვათა ერთობა როდია, ის საესეა აზრით, გრძნობით, შთაბეჭდილებით, რომელიც მწერალს საკუთარ თავში შეუკრებ-შეუჯამებია ისე, რომ როცა კითხულობ წინადადებას, ამგვარი ფორმით დაწერილს, გრძნობ, ამას იაპია ჰაკის მეტი ვერავინ დაწერდა.

მისი ნოველა მოკლე, დასრულებული აზრის მქონე დამოუკიდებელ წინადადებათა ჯამია, ხოლო თხრობას ცომის მოზელვის პროცესს ამსგავსებს, როცა ჭურჭელში ათავსებ მთელ მასალას – ფქვილს, მარილს, წყალს, საფუარს და ზელ, ვიდრე ისინი ერთ შეკრულ მასად იქცეოდეს, რომელიც ამავდროულად პროპორციულად შეზავებულ ნაწილთა ჯამია.

პირად, სუბიექტურ გამოცდილებას იგი ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს მხატვრულ ხელოვნებაში. არაბული ენის უპირველესი აუიკი და მისი თავგადაკლული ქომაგია. დიდი სურვილი აქვს, სიტყვა, ფრაზა არ დატოვოს არაბულ ენაში, რომელსაც ადგილს არ მიუჩენს თავის ნაწერებში. ირწმუნება, არაბული მსოფლიოს უმდიდრეს ენათაგანიაო. ხოლო მისი პოზიცია დიალექტის მიმართ თავშეკავებულია. იყენებს მხოლოდ მამინ, როცა სალიტერატურო არაბული „არ ემორჩილება“ და დიალექტური გამონათქვამი კი „მხატვრულია“.

– ... ჩემი პრინციპების ამოსავალი, რომელსაც ვეყრდნობი წერისას, სიტყვის თავის ადგილზე დასმისა და გამოყენების აუცილებლობაა. სწორი სიტყვის მოძებნა და არა სიტყვის გამოტოვება ან სხვა სიტყვის პოვნა, რომელიც მის ადგილს დაიკავებდა. ეს პირობა, რომელიც უცილობლად მიმართა წერისას, ინტუიტიური, ინსტინქტური რამ არის სულში და მას სწავლა-განათლება და წიგნების გადაკითხვა არ იძლევა. მისი საფუძველი ალბათ მკითხველის პატივისცემის სურვილია, რაც ლიტერატორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წერისას, და განცდა, რომ წინ მკითხველია, რომელსაც სჯერა მისი. მიუხედავად ენობრივი სირთულეებისა, ყოველთვის ჩემს მოვალეობად მიმაჩნია სიტყვის ზუსტი შერჩევა და მისი დასმა შესაფერის ადგილას.

იაპია ჰაკი კაიროს ძველი და კოლორიტული უბნის ასაიდა ზენაბის ძირძველი მკვიდრია. მას 30 წიგნზე მეტი აქვს დაწერილი, რომელთა დიდმა ნაწილმაც პოპულარობა მოიპოვა და ნაწილიც, როგორც თვითონ დიდი ლიტერატორი აღნიშნავს, 150 ეგზემპლარზე მეტი არ გაყიდულა. მას სთხოვეს, ეწერა ეგვიპტის უდიდეს გაზეთ „ალ-აჰრამში“, მაგრამ ამ წინადადებაზე ბოდიშის მოხდით განაცხადა უარი იმ დროს, როცა წერდა ბევრად ნაკლებტრაჟიან და ნაკლებადცნობილ გაზეთებში. თავისი არჩევანი მწერალმა იმით ახსნა, რომ დიდი ყოველდღიური გაზეთები, ცოტა არ იყოს, შეზღუდულნი არიან გარკვეული თემატიკით და თავისებური სტილით.

– ... მე კი სრულ თავისუფლებას მაშინ ვგრძნობ, როცა იმას ვწერ, რაც მიწადა რომ ვწერო და სხვას არაფერს ვუნვე ანგარიშს. ვამჯობინებ, ვწერო ჩემთვის და ვაქვეყნო რომელიმე ნაკლებადცნობილ გაზეთში“.

დავინტერესდით ხელოვნების დეპარტამენტში მისი მუშაობის გამოცდილებითა და იმით, ხომ არ გადაიქცევა მთავრობის ან რომელიმე სამინისტროს მიერ კულტურაზე აღებული პასუხისმგებლობა სარეკლამო საქმიანობად, რომელსაც კულტურასთან საერთო აღარაფერი გააჩნია.

– უპირველეს ყოვლისა, ხელოვნების დეპარტამენტი ის ორგანო აღმოჩნდა, რომელიც დაინტერესდა ხელოვნებით იმ დროს, როცა ხელოვნებას არავინ სცნობდა. მისი სახელიც კი მეტად უცნაურად ჟღერდა – ხელოვნების დეპარტამენტი.

დიდად სამწუხაროა, რომ სახელმწიფო და განსაკუთრებით კი კომუნისტური რეჟიმისა, ერევა ხელოვნებაში. ასეთი ჩარევა ძალზე სახიფათოა ხელოვნებისათვის. ხელოვნება თავისუფლებას საჭიროებს, თუ მოხდა ერთმანეთში ათქვეფა ხელოვნებისა და სახელმწიფოსი, ხელოვნება დაიკარგება, ანდა გადაიქცევა რეკლამად და პოლიტიკად. ხელოვნება შორს უნდა იდგეს სახელმწიფო ხელისუფლებისაგან და ყველაზე მეტი, რაც სახელმწიფომ შეიძლება იღონოს ხელოვნებისათვის, პრემიების დანესებაა. სახელმწიფო არ უნდა აკეთებდეს ფილმს ან სპექტაკლს, მან ეს მისია თავისუფალ კინო ან თეატრალურ წარმოებას უნდა დაუთმოს. და საერთოდ, ეს თემა ბევრად ხანგრძლივ საუბარს მოითხოვს.

გვანტერესებდა ყველაფერი, რასაც იაპია ჰაკი იტყოდა არაბულ ნოველაზე დასავლეთის გავლენის შესახებ, მისი აზრი სხვადასხვა ლიტერატურულ სკოლაზე, კერძოდ კი „ალ-მადრასა ალ-ჰადისა“-ზე, რომელზეც იყო ყურადღება გამახვილებული ჩვენს შეხვედრაზე, მისი შეხედულება ხელოვნებაზე და იმაზე, თუ რა უნდა გაითვალისწინონ ახალგაზრდა ლიტერატორებმა წერისას.

ხელოვნების ცნების განსაზღვრისას მან იგი დაყო ხატვის, ქანდაკებისა და სიტყვიერ ხელოვნებად. თანამედროვე ეპოქაში აუცილებლად მიიჩნია სიტყვა „ლიტერატურის“ შეცვლა „სიტყვიერი ხელოვნებით“, მწერალს კი ვალად დაუსახა წერისას მკითხველისათვის ტკობის მინიჭება და მისადმი კეთილგანწყობა ხელოვნების ფარგლებში.

– ჩემი ლტოლვის მიზეზი ნოველისკენ ისაა, რომ მასში პოეტური სული სუფევს. ჩემი ლიტერატურული მცდელობები მხოლოდ ნიგნების კითხვის შედეგი როდია, არამედ კითხვისა და სუბიექტური განცდების, რეაქციების. ჩემთვის ხელოვნება ღვთით ბოძებული დიდი ნყალობაა, ხილული და უხილავი – სულიერი სრულყოფის საშუალება, რომელიც მჭამელი და მსმელი ადამის მოდგმისაგან გამოგარჩევს და პირს გაქცევინებს ადამის მოდგმის ქეშმარიტი სიტყვისაკენ.

ხელოვნება სულიერი ურთიერთობაა სამყაროსთან, შემოქმედთან, სილამაზესთან, ყველაფერ ამქვეყნიურთან, რომელთან მისაახლოებლადაც გავჩენილვართ და რომლისკენაც თანდაყოლილი ინსტინქტური ლტოლვა გვაქვს.

ხელოვნების არსის გაცნობიერება ჯერ კიდევ გამოქვაბულში მცხოვრებმა ადამიანმა დაიწყო, მღვიმეთა კედლები რომ მოგვიხატა და მუსიკალური ინსტრუმენტები გათალა და დაიმორჩილა“.

რაც შეეხება ლიტერატურულ სკოლას „ალ-მადრასა ალ-ჰადისა“ და რატომ დაიწყო ამ სკოლამ ლიტერატურული მოღვაწეობა სწორედ ნოველით:

– მე ამ ლიტერატურულ სკოლას ძალიან მნიშვნელოვნად მივიჩნევ, რადგანაც ის ლიტერატურული პროექტი არ ყოფილა, უპირველეს ყოვლისა ეროვნული პროექტი იყო, კერძოდ კი 1919 წლის რევოლუციის შემდგომ ეს გახლდათ უდიდესი მოვლენა იმ დროის მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოსათვის და არა მხოლოდ დამოუკიდებლობის, არამედ საკუთარი თავის ძიებისთვისაც.

სწორედ ეროვნულობის განცდის დაკავშირება ნებისმიერ წამოწყებასთან არის წინაპირობა მისი წარმატებისა. იდგა იმის საჭიროება, რომ გვექონოდა ჩვენი საკუთარი მწერლობა, ჩვენი ეროვნული ლიტერატურა – ჩვენი ცხოვრების ამსახველი. სწორედ ნოველა აკმაყოფილებდა ამ საჭირობოტო და გადაუდებელ მოთხოვნას. მისი არჩევანი ყველაზე იოლი გამოსავალი იყო, რადგან რომანი უფრო დიდ დროსა და დიდ ტექნიკას მოითხოვდა.

ამ ეროვნული პროექტის დამახასიათებელ მოვლენათაგან აღსანიშნავია ლიტერატორთა ყურადღების მიპყრობა „ქუჩის კაცისკენ“ – მშრომელი ადამიანისკენ, რომელიც მათი წანერების ქვაკუთხედად იქცა. წერდნენ სოფელზეც და ამის საუკეთესო ნიმუში მაჰმუდ ტაჰირ ლაშინის ნოველაა „სოფელში“, რომელიც დღემდე ეგვიპტური ნოველის ერთ-ერთ ულამაზეს ნიმუშად ითვლება თავისი სიმბოლოთი – კაცით, რომელიც ანთებს ლამპარს.

ჩემი დაკვირვებით, მშრომელი კაცისადმი იმ სიმპათიასა და თანაგრძნობას, ეგვიპტურ ნოველაში რომ გამოსჭვივის,

სრულებითაც არ შეუშლია ხელი მწერლებისათვის, რომ კიდევ გამოელანძღათ, თითოთ საჩვენებლად გაეხადათ და მასხარადაც აეგდოთ ეს მშრომელი კაცი. ფრანგული ანდაზისა არ იყოს: „ვისაც უყვარს, მან იცის კიდევ, როგორ დასაჯოს“.

ფვიქრობ, ამ სკოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება აჰმედ ხაირი საყიდი იყო, რომელიც ახალგაზრდობაში მედიცინას სწავლობდა, მეოთხე წელს მიატოვა და სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობას მიჰყო ხელი. მან დააარსა ეს ლიტერატურული სკოლა და ჩამოაყალიბა გაზეთი „ალ-ფაჟრი“ (განთიადი), იყიდა ხელის სტამბა და ამ გაზეთის ბექედვასა და გამოცემას შეუდგა. იქ დაიწყო ნოველების ბექედვა და ჩემი პირველი ნოველებიც იქვე დავებექდე.

„ალ-მადრასა და ალ-ჰადისა“-ს ჯგუფმა მოინდომა მიებადა ევროპული ნოველისათვის. მე აქ გამოვიყენებდი ტერმინს „პარალელიზმი“. ჩვენ ევროპული ნოველის გვერდგვერდ, მის პარალელურად მივდიოდით, ოღონდ ჩვენი გზით. ეს მხოლოდ მიბაძვა და კუდში დევნა არ ყოფილა და აქაა დიდი განსხვავება.

ფვიქრობ, თანამედროვე კრიტიკას „მსგავსება“, „მიმსგავსება“ ძალიან აშინებს და არ უყვარს, მაგრამ ჩემს თვალში იგი თვისებაა, რომელიც სრულებით არაა შეურაცხყოფელი. დიახ, ჩვენი ეგვიპტური ნოველა დასავლური გავლენით წარმოიშვა. მან მიიღო ევროპული ფორმა, მაგრამ ეგვიპტური შინაარსი.

„ალ-მადრასა ალ-ჰადისა“-ს ჯგუფმა რუსული ლიტერატურის გავლენაც განიცადა. მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ. ჩვენ ვოცნებობდით, მხატვრული გამომსახველობის იმ დონემდე მიგვეღწია, რომელიც რუსულ ლიტერატურას ჰქონდა. ამას არც ვმალავ.

ამრიგად, ხელოვნება პარადოქსებითაა სავსე. ამ ლიტერატურულმა სკოლამ 1919 წ. რევოლუციის შემდეგ, რომელიც არსებითად ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული და ამით, ნაწილობრივ, დასავლეთის, დასავლური სისტემის წინააღმდეგაც, აიღო ნოველა – დასავლური ცივილიზაციის, დასავლური ლიტერატურის ნაყოფი, და ჯერ გადმოაარაბულა, შემდეგ გააარაბულა და ეს ეროვნულ ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა. ეს იყო კულტურათა ერთობის, თანაარსებობის, ურთიერთგავლენის ფილოსოფია და არ თავსდებოდა „კულტურული ექსპანსიის“ ცნებაში, რომელიც დღეს გამოიყენება.

– ჩვენ მოხიბლულნი ვიყავით დასავლური კულტურით და ვესწრაფოდით ევროპას – ინგლისს, საფრანგეთს. ევროპა თავისი კულტურით ბევრად უფრო ახლოს დგას ჩვენთან, ვიდრე ამერიკა...

გვესაუბრება დიდი ეგვიპტელი ლიტერატორი იაპია ჰაკი ამ შეხვედრაზე, რომელიც მისივე სურვილით ძალზე ვიწრო წრეში შედგა, რადგან იგი, გარდა იმისა, რომ ველარ იტანს ღია, მრავალრიცხოვან თავყრილობებს, მიიჩნევს, რომ მცირერიცხოვან შეკრებას ოჯახური ატმოსფეროს ელფერი დაჰკრავს და საუბარიც უფრო გულითადი გამოდის.

**არაბულიდან თარგმნა  
დარეჟან ბარდავაძემ**

**P.S.** ინტერვიუ შედგა იაპია ჰაკის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე.



როსტომ ჩხეიძე

ორი ენაი

კვამლი, სამერცხული, ყვითელი ჩალა

ოდისევსს, ათასგვარ ფათერაკვამოვლილს, სხვა აღარაფერი სწადია:

მხოლოდ კვამლი, ითაკის მიწიდან ადენილი კვამლი დაინახოს და მერე თუნდ მოკვდეს.

მთარგმნელები – ზურაბ კიკნაძე და თამაზ ჩხენკელი – ამ განცდასა და ამ სტრიქონს დაიმონებენ იმის ნათელსაყოფად, რომ: ოდისევსი არის პირველი ლიტერატურული გმირი, რომელსაც სამშობლოს ზნეობრივი ღირებულების მძაფრი შეგრძნება აქვს ჩანერგილი.

ჰომეროსის ეს სტრიქონი ასოციაციურად არაერთ მხატვრულ ხილვას ჩაენვნოდა და ალექსანდრ გრიბოედოვისთვისაც კვამლის მეტაფორა „ოდისეადან“ უნდა იყოს ნასესხები: მამულის კვამლიც კი ტკბილია და სასიამოვნო ჩვენთვისო.

ოლონდ ეგაა:

გრიბოედოვისათვის სამშობლოს კვამლი გაიგივებულია სხვისი სამშობლოს კვამლის ჩაქრობასთან, რადგანაც მისი იდეალი მთელს სამყაროზე გადაფოფრილი რუსეთია, დაუნდობლად რომ ნთქავს სხვათა სამშობლოებს. თუ ოდისევსს იძულებით წაიყვანდნენ ტროას დასაქცევად, გრიბოედოვი თავისი ნებით ხლართავდა ინტრიგებს იმპერატორის კარის დავალებით აქაც – საქართველოში, იქაც – ირანში, და რუსული იარაღისა და ძალაუფლების დიდებას შეენიერებოდა.

ამიტომაცაა მისი სტრიქონის მსგავსება ჰომეროსთან გარეგნული, სულიერად განუცდელი, მარტოდენ კალკირეზული მხატვრული სახე.

ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილების“ პირველივე აბზაცში საგანგებოდ გაიხსენებდა გრიბოედოვის სტრიქონს, ოლონდ განზოგადებულად, როგორც პოეტურ ფორმულას, რათა კვამლის მეტაფორას გულდასმით ჩაკვირებოდა... ღიმილიანი მზერით.

კვამლის სიტკობეზაზედ უკაცრავადო, – მაშინვე ამას მიადევნებს. სასიამოვნოს კი გააქილიკებს: კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, ხშირად თვალიდან ცრემლსაც გვაყრევინებსო.

„ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ“ – პათეტიკურად შესძახებს და ეს მოულოდნელი მონაცვლეობა კონტრასტის ხერხია, რათა ირონია უფრო მწვავედ შევიგრძნოთ:

„ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენ საკუთარს უბედურობასაც ვერა ვხედავთ“.

კვამლის მეტაფორას ილიასთან შინაარსი უცვლია, რომანტიკული შარავანდი შემოძარცვია და, ნაცვლად თაყვანებისა, ხელისშემშლელადაც გადაქცეულა. ილუზიებს არამარტო მკაცრი რეალისტური მზერა ფანტავს, არამედ ის ახალი იდეოლოგია, დემოკრატიის და რევოლუციის სახელით რომ აუყოლიებია ვეროპა, რუსეთშიც შემოჭრილა, მო-

დურ მიმდინარეობად გადაქცეულა და ეროვნული ტკივილებიც გადაუყლაპავს – სოციალური და მხოლოდ სოციალური, სხვა ყოველივე ნაკლებმნიშვნელოვანია, მოძველებული და ქარს გასატანებელი.

ილია ჭავჭავაძესაც ეს საყოველთაო გატაცება მოხიბლავდა და რევოლუციას დასახავდა ადამიანის იდეალად, და თუ სიყრმიდანვე აყოლილი ქართლის ბედს ვერც ამჯერად უღალატებდა, კვამლის ანდამატურ ძალას მაინც აღარ დაემორჩილებოდა. ვაითუ მის სიტკობსა და სიამოვნებას თვალი აეხვია და მართლჭვრეტა დაეშალა, ვაითუ ცრემლი ეყრევინებინა და სულაც ისე აება, საკუთარი უბედურებაც ვეღარ დაენახა.

ოდისევსს ამისთანები არც უფიქრია.

მხოლოდ კვამლი, ითაკის მიწიდან ადენილი კვამლი დაენახა და მერე თუნდ მომკვდარიყო.

\*\*\*

ჰომეროსის ეს სტრიქონი ასოციაციურად არაერთ მხატვრულ ხილვას ჩაენვნოდაო...

„... თუ ბავშვი თავის ჩრდილოელ წინაპრებს დაემსგავსება, სულაც არ იქნება იმ შავმიწა, თავის ლობეზე მიჯაჭვულ ადამიანთანაირი, ვისთვისაც ეს ქვეყანაც და ბედნიერებაც იქ თავდება, სადაც მშობლიური კერის კვამლი თვალს ეფარება“.

ეს პასაჟი დანიელი მწერლის ჰენრიკ პონტოპიდანის რომანიდანაა – „ბედის ნებიერი პერი“. და თუ აქაც შეიმჩნევა ირონია, ეს პერსონაჟის მზერაა, ყოველ შემთხვევაში, კვლავაც დარჩენილან ადამიანები, რომელთათვისაც მშობლიური კვამლი სიცოცხლესთან გაიგივებულია.

კვამლი ილანდება ოთარ ჩხეიძის ნოველაშიც „სამერცხული“. თუმც ის აქ უშუალოდ არ მოიხსენიება და მშობლიური საბელისა თუ ანდამატის მეტაფორა სამერცხულია, მაგრამ სამერცხული მზის გულზე ღვივის და ბურბურებს, თითქოს იწვისო და თითქოს ირგვლივ სხვა ყველაფერიც იწვის იმასთან ერთადაო. გმირს ყველაზე მძაფრ სიმბოლოდ ეს ნითელკრამიტინი სამერცხული ჩარჩენია ხსოვნაში, რაკილა უკანასკნელად იმას მოჰკრა თვალი, მატარებელმა რომ გააქანა – მზის გულზე გადაშლილი თითქოს ადიოდა, ადიოდა და მზის სხივებს ერწყმოდა, თითქოს კიბე ყოფილიყოს და ზეცას შესტოტებოდას.

საბელიც და ანდამატიც ესაა.

ისა შველის უცხოობასა და უთვისტომობაში, დაჭრილს – სითბოს ჩაუდგამს, ტყვეობაში – იმედს მოგვრის, კუჭის ქოთქოთსაც ის უშუშებს და გაძლებითაც ის გააძლებინებს. უკვე კერძო სამერცხული კი აღარ არის, დარუბანდიდან ნიკოფსიამდე გულისხმობს ქვეყნის მიწა-წყალს, თითქოს მთლიანად მოსდებოდეს ხანძარი და იბუგებოდეს ერთობლივად.

და მზისა და სამერცხულის სიმბოლიკაში ძალდაუტანებლად ილანდება ჰომეროსული კვამლიც და ომსა და ათასგვარ ვაივავლახს გამოლწეული გმირი ამიტომაც აღვსილა იმავე განცდით, „ოდისეადან“ რომ ჩაგვბეჭდვია გულსა და გონებაში:

მხოლოდ კვამლი, მხოლოდ მშობლიური მიწიდან ადენილი კვამლი დაინახოს და მერე თუნდ მოკვდეს.

მხოლოდ სამერცხული, მზის სხივებს შერწყმული სამერცხული...

და არ აფიქრებს, ვაითუ თვალს მოეფაროს და მართლჭვრეტა დამიშალოსო, ვაითუ ცრემლი მაცრევინოს და ვეღარც ჩემი უბედურება დავიხახო.

ეს ყოველივე მეორეული გამხდარა მის შეგნებაში, რადგანაც თვალწინ ილია ჭავჭავაძის მაგალითი ედო, მის მიერ შემუშავებული თეორია სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. ეს თეორია უარყოფდა რევოლუციურ გარდაქმნათა სიკეთეს, უკან გადაიტანდა სოციალურ წინააღმდეგობებს, გაფანტავდა ცრუდემოკრატიულ ილუზიებს და იმ გზას გადასახავდა ერთადერთად ქვეყნის გამოსახსნელად, რასაც კიდევ შეენიერებოდა მისი შემქმნელი.

„სამერცხულშიც“ ამ ტრაგიკული რეალობის ერთი ანახლებიტი გამოსახტულა, ოლონდ ერთი სცენაა მრავალმხრივ საგულისხმო, რომელზეც ამოშენებულა ქართველი მწერლის ნოველის ქარგა, დანიელი ნობელიანტის რომანს კი სურათად ჩაერთვის. ყოფითობიდანაა ამოზრდილი ეს სცენა, რეალისტურია და არა მნიგნობრული ნახესხობით გამონეული – შალვა დადიანი ყვებოდა ანეკდოტით და ზოგს ისიც ეგონა, მისი შეთხზული ხომ არ არისო, ან გადაკეთებულ-შემამახებული ის ნამდვილი ამბავი, რომ კომიკური იერი შეეძინა. ანეკდოტით ყვებოდა სუფრაზე, მაგრამ მის სიღრმეში ფეთქავდა ის დრამატიზმი თუ სულაც ტრაგიზმი, ანალიტიკურ-ფსიქოლოგიური გააზრებით ანეკდოტის არტახებს ძალდაუტანებლად რომ გაგლეჯდა და ნოველის სივრცესაც განვდებოდა.

და ასე ბრუნავდა ზეპირმეტყველებაში, ვიდრე ოთარ ჩხეიძე აქცევდა მხატვრული ქმნილების სიუჟეტად და შალვა დადიანს მიუძღვნიდა, მის ლიტერატურულ შესანდობრად ჩაიფიქრებდა – ასე მიანიშნებდა პირველწყაროს. ბარემ აქვე აღნიშნულიყო და პერსონაჟადაც გამოკვეთილიყო „უბედური რუსის“ საუკეთესო თამადა ეშხითა თუ სიღარბისლით, სიტყვაპასუხითა თუ სიტყვის ყადრით, ვისი სადღეგრძელოც ქვეყნის ბედისწერით გამონეული ტკივილია. რეალობა ისეთია, თითქოს გამჩენსაც კი მივეტოვებინოთ და ასეთ დროს განსაკუთრებით მძაფრდება ადამიანის მოვალეობის შეგნება – ტყუილბრალოდ ვაჟკაცობა თუ თავის განირვა სირეგენედ რომ მოჩანს, თუკი არას არგია შენს სამშობლოს. და მამულეობა თუ იანიჩრობა ერთნაირი უბედურებაა, რადგანაც შენი დამლუპველის დამამშვენებლად ქცეულხარ.

ამ სიტყვებით აცილებს მთავარ გმირს უცხოეთის გზებზე – ომში თუ სამეცნიერო ასპარეზზე, იქ მოხვეჭილი დიდი სახელიც რომ არაფერი ბედენაა, თუკი კვამლმა თუ სამერცხულმა საბელივით არ მოგიზიდა უკანვე.

და სადღეგრძელოსა თუ გმირის დრამატულ ხეტიალს უცხოობაში – არც ტყვეობა რომ არ დაკლებია და არც წარმატება სამეცნიერო სარბიელზე – ანეკდოტური სამოსელი შემობლანდვია:

ნათლის სახლიდან აცილებენ გმირს – სუფრის თავში შალვა დადიანი ნამომდგარა ფეხზე და ბოლოში – თვითონ მასპინძელი, თამადა ილოცება და შუაკარშიც ფეხზე დგანან – ჩხტიკოპიანი ასული და ჩოხახალუხიანი ვაჟკაცი, დგანან და თითქოს აფრენას ელიან, სადღეგრძელო ჩათავდება თუ არა და უკან შემოხვეული გუნდი სიმღერას ნამოიწყებს, ესენიც გადმოფრინებთან.

ჯერ ეს სურათია ჩაბეჭდილი გმირის ხსოვნაში და მერე მზის სხივებს ჩაწნული სამერცხული.

და ოდისევისვით რომ დაუბრუნდება საკუთარ კერას, ჯერ ნათლიას ესტუმრება, საიდანაც გზა დაულოცეს, მზის გულზე აბრიალებულ სამერცხულსაც გააფანტვინებს ნოსტალგიის ჯავრს და დარბაზის კარს რომ შეაღებს:

ისევ გაშლილი სუფრა დახვდება, თამადად ისევ შალვა დადიანი ბრძანდება და ილოცება ფეხზე ნამომდგარი, შუა-

კარში ისევ მოცეკვავენი ჩამდგარან, ასაფრენად მომართულნი, და გუნდიც ისევე სასიმღეროდ მომზადებულა.

და დაიბნევა შორის გზების მგზავრი:

– თქვენ ისევ აქა ხართ?! ისევე!.. ისევე!.. ფეხი არ მოგიცვლიათ მას მერე აქედანა?!

ჭალარა მორეგია შალვა დადიანს, თითქოს ხმაც გაბზარვია, ღარებიც გასჩენია ნიკაპქვეშიდან – დაუჩნევია დროს თავისი კვალი, მაგრამ გმირი ამას ველარც ამჩნევს, რადგანაც ისეთი მძაფრია სურათის შეგრძნება, თითქოს დრო მას შემდეგ გაჩერებულყოფს, თითქოს ეს-ესაა ისტუმრებდნენ შორეულ გზაზე და ხელახლა მოელოდეს იმ ჯოჯოხეთის გამოვლა.

ცხოვრება ჯოჯოხეთს იქით შეჩერებულა.

ამიტომაც ფარავს კომიკურ ელფერს შინაგანი დრამატიზმი და ისე შეტორტმანდება გმირი, ლამის მინა გამოეცალოს ფეხქვეშ. მიმყოფნი შეუდგებიან, მიმყოფნი იხსნიან დაცემისაგან და ამბავიც აქ მოთავდება – შეჩერებულ, გაყინულ ნამში უნებლიეთ ირეკლება ქვეყნის ყოფა, დრო გადის და არც გადის, ჩიხში მომწყვდეულა და ყველაფერი ერთ სურათამდე დამცრობილა. თუნდ ქვეყნის ბედისწერას უტრიალებდეს ის სურათი, თუნდ იმედოვნებაც არ ნამხდარიყოს, თუნდ არც სილაღე ჩამქრალიყოს და წეს-ჩვეულებათა ძარღვიც ფეთქავდეს, მაინც გაქვავებულა და ტორტმანებს, ტორტმანებს...

ანეკდოტი იქ შეწყდებოდა: ისევ აქა ხართ, ფეხი არ მოგიცვლიათ მას მერე აქედანაო?!

ნეტა პონტოპიდანს ვილა უამბობდა? იმას თავისი შალვა დადიანი გამოსჩენოდა თუ სულაც თვითონვე გადახდენოდა თავს?

ყოველ შემთხვევაში, ამ განცდებს პერსონაჟს მიანერს, დოქტორ ნათანს, ვინაც, ევროპის სისხლსავსე ცხოვრებიდან მობრუნებულს დანიაში, თავისი პანანინა ქალაქის მყუდრო ნავსადგურის დანახვისას მოეჩვენება, თითქოს სულ სხვა სამყაროში, ზღაპრული ძილის სამეფოში მოხვედრილიყოს.

ნათანი სამოგზაუროდ და სულიერი ბილიკების შესამეცნებლად გაშორებია მშობლიურ მხარეს, მისი მოგზაურობა არ აღვსილა დრამატული ამბებით, უკან დაბრუნებაც მის ნებაზეა და ამიტომაც შეუძლებელია გასჩენოდა დანიის მიწიდან ადენილი კვამლის მონატრების მძაფრი შეგრძნება, ანდა სამერცხულისა თუ სხვა მსგავსი სიმბოლოსი, ოლონდ გაყინული დრო კი სრულად უნდა განიცადოს იმ შემთხვევითობის (ბედნიერი თუ კანონზომიერი შემთხვევითობის!) წყალობით, კოპენჰაგენში სწორედ იმ საათებში რომ უნდა მოხვდეს სტუდენტთა კვარტალში, სადაც ჯერ კიდევ სტუდენტობისას მეგობრებთან ერთად ნასადილევს ყავას სვამდა ხოლმე. რესტორანში იმ იმედით შედის, იქნებ ძველ ნაცნობს ნავანყდევო, და გაოცებული აღმოაჩენს თითქმის ყველა ნაცნობს:

იმავე კუთხეში, იმავე მაგიდასთან, ისევე სხედან, როგორც მრავი წლის წინათ. თუმც ამ ხნის მანძილზე დაბერებულან, ზოგი გაჭლარავებულა, ვინ გამხდარა, ვინ გასუქებულა, გამომეტყველება, დინჯი მოძრაობა და მშვიდი, თვითკმაცოფილი ლაპარაკი მოწმობს, რომ მოხუცებულობის გონებასუსტობა ნაადრევად სწვევიათ, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს ამდენი წელია არავინ დაძრულიყოს ადგილიდან.

მწვავე ირონია მსჭვალავს გმირის თვალთახედვას, რადგანაც ყურს რომ მიუგდებს, საუბრითაც ისევ ისე მალალ-

ფარდოვან ფილოსოფიურ-თეოლოგიურ საკითხებზე ლაყ-  
ბობენ, რომლითაც წინათაც ანელდებდნენ ყავასა თუ თამბა-  
ქოს და მათ სმენას არ მიწვდენია არცერთი ცნობა, თუ რით  
ცხოვრობდა, სუნთქავდა და ლელავდა ევროპა იმ წლებში.

თურმე სად მოხვედრილა:

მძინარე მზეთუნახავის სამეფოში, სადაც დროს სვლა  
შეუჩერებია და სადაც ფანტაზიის მკრთალ ვარდებსა და  
ტვინისჭყელტვის ბასრ ეკლებს მიღმა ფერფლი და არარაობა  
იმალება.

ამ სურათს დოქტორი ნათანი პუბლიცისტურ სტატიაში  
ჩაურთავს და მისი მსჯელობის ფინალი ამიტომაცაა ჟურნა-  
ლისტური მგზნებარებითა და საბრძოლო მონოდებით გაუ-  
ღენთილი: მე მივხვდი ჩემს ჭეშმარიტ მონოდებას. იმ შორი-  
დან დაბრუნებული ზღაპრული პრინციის მსგავსად, ვინც  
მთვლემარე მცველებს ბუკი გამოსტაცა, რათა გოლიათები  
ღრმა ძილიდან გამოეფხიზლებინა, შეეცდები დანიაში გა-  
ვავლიძო ყოველივე, რასაც ჯერ საუკუნოდ არ დაუძინია, გა-  
ვავლიძო ყველაზე ძლიერი, ყველაზე მეტრძოლი ახალგაზ-  
რდობა, გავავლიძო ყველა, ვისაც გამბედაობა ეყოფა ძილის  
ჭიმვადი ქსელი ნაფლეთებად აქციოს, გასრისოს ხეშეში  
მკვრივი პარკი, რომელშიც ერის შეკრული სული თვლემსო.

ევროპულ სინამდვილეს მონყვეტილი გარემოს ხილვა  
აძრწუნებს პერსონაჟს, რადგანაც მისთვის ეს პროვინციუ-  
ლი ყოფაა და სულაც არ უკავშირდება რაღაც ძვირფასის,  
სანუკვარის გაქრობას. ამიტომაც ეჩვენება აუცილებლობად  
სოფლური, პასტორალური რეალობის სრული გარდაქმნა,  
რათა დანიაც ეზიაროს დემოკრატიული ცხოვრების ყველა  
სიკეთეს, დემოკრატია კი რევოლუციამ მოუტანოს.

დოქტორი ნათანიც იმ იდეებსაა აყოლილი, XIX საუკუნის  
ევროპას ასე რომ მოსდებოდა, და მშობლიურ კვამლში სიმ-  
ბოლოს კი აღარ ხედავს, არამედ ხელისშემშლელ მოვლენას  
მართლჭკრეტის გზაზე, შენს საკუთარ უბედურებას რომ  
აღარ დაგანახვებს, ისე აგიკრავს თვალს და ცრემლსაც გაყ-  
რევენებს.

ამ გადასახედიდან სიმბოლოდ აღარც სამერცხული მო-  
ჩანს, უფრო სწორად, სამერცხული კი გამოჩნდება, მაგრამ  
რეალისტურ დეტალად, სახურავის დეკორაციად და არა მე-  
ტაფორად, მზის სხივებს რომ ასდევს ზეცისაკენ, მონატრე-  
ბის ყველაზე სახიერ, ყველაზე ხელშესახებ, ყველაზე ამა-  
ღელვებელ გამოხატულებად.

\*\*\*

პერსონაჟი კარში ჩამდგარა, გაოგნებული, ლამის გონე-  
ბაც რომ ველარ მოუკრებია.

სურათი უცვლელია – რაც დატოვა დიდი ხნის წინათ,  
ისევ იმასვე შეჰყურებს.

ისე ოდნავ, ისე შეუმჩნევლად უცვლია ნირი, უცვლელი  
ითქმის, და თითქოს მისი ცხოვრებებიდანაც ამოვარდნილა  
ტანჯვა-წამების ის წლები, აქედან შორს რომ არგუნა ბედმა.

დრო გაყინულა და თითქოს ეს-ესაა აცილებენ, ეს-ესაა  
არწმუნებენ, ტყუილუბრალოდ არ განირო თავი, არც ათას-  
გვარმა საცთურმა მოხიბლოს, აქა ხარ საჭირო, შენს ქვეყა-  
ნაშიო.

კი მაგრამ, გაქვავებულ, გაჩერებულ დროში?

სივრცეც როგორ გაქვავებულა:

– თქვენ ისევ აქა ხართ?! ისევე!.. ისევე!.. ფეხი არ მო-  
გიცვლიათ მას მერე აქედანა?!

\*\*\*

... და ნიავს მიაქვს ყვითელი ჩალა.

## ჩვენი ავვისტოს ნათელი

ზაფხულის მიწურულს ირგვლივ წამიერად და უცნაუ-  
რად ბრწყინდება შუქი. ტანი შემოდგომას გიგრძნობს და  
დრო რაღაც იდუმალი და შეუცნობი ხდება, ჟამთა წიაღიდან  
მონაბერი, და მის შუქში ოლიმპოდან გადმოსული ფავნები,  
სატირები და ღმერთები მოცეკვავენ.

სილალით, დღესასწაულის მოლოდინით, დროისა და  
უჟამობის ამოუცნობი შერწყმით სუნთქავს უილიამ ფოლ-  
კნერის ეს ხილვა, გარდამავალი წამი წელიწადის დროთა  
მიჯნაზე.

ყოველი დროისა თუ... მხოლოდ ზაფხულსა და შემოდ-  
გომას შორის?

გადმოცემას ეყრდნობა, ტრადიციული საზოგადოების  
წარმოსახვის ნაშთსა ან ნახსლელს?

თუ თვითონვე წარმოიდგინა და ამერიკულ მითოსს მია-  
ნერა?

შთამომავლობის თვალში ეს უკვე მისი ხილვაა, მის მიერ  
შემონახულიც და სახელდებულიც – ავვისტოს ნათელი.

და უეცრად გადმოიღვრება ანტიკური სინათლე და ის  
პერსონაჟებიც შემოსდევენ, ამიერიდან ამერიკულ გარემო-  
შიც რომ უნდა დასახლდნენ და ისე შეეთვისონ ახალ სამ-  
შობლოს, აქაურადაც იგრძნონ თავი.

არა, არც თავიანთი წარმოშობა დაივიწყონ, მაგრამ გაა-  
მერიკელდნენ, როგორც სჩვევია ამ კონტინენტს.

ფოლკნერის ხილვა ისე დანურავს და იმეორებს ახალი ამე-  
რიკის შექმნის პროცესს, როგორც ოდესღაც ენქილუ იმეო-  
რებდა კაცობრიობის განვითარების გზას... თუმც განვითა-  
რებისა თუ?.. განყვეტილიყო ძაფები სამყაროს ჰარმონიასთან  
და ცხოველები, მანამდე ძმად და თვისად რომ ეგულეობდათ  
ენქილუ, ერთბაშად გაუუცხოვდებოდნენ და გაერიდებოდნენ.

ძველ ეპიკოსს ასე ერჩივნა – სინამდვილისათვის თვალის  
გაესწორებინა.

ფოლკნერიც ასეთივე ხედვასა და მრწამსს ამჯობინებ-  
და, მაგრამ ჰარმონიის აღდგენის წყურვილი კლავდა და რე-  
ალობასა და ანტიკურ მითოსს, ამერიკულ ყაიდაზე გადმო-  
კეთებულს, ერთმანეთს შეუთანასწორებდა, და რათა მისი  
განსაკუთრებულობა ამოუშლელად ჩაებეჭდა მკითხველის  
ცნობიერებაში, მთელს რომანს დააშენებდა ამ წამიერ,  
ოღონდ მარადისობის მომცველ ხილვას.

ამ რომანის – „ავვისტოს ნათელი“ – აზრობრივ შინაარ-  
სსაც ხსნის ეს მეტაფორა და მისი სხვა რომანებისა თუ მოთ-  
ხრობების წიაღისკენაც გზამკვლევადა გვევლინება.

ინურება ავვისტო, ხელში გვადნება ზაფხული და უეც-  
რად ბრწყინდება შუქი – შემოდგომისაგან გამონვდილი ხე-  
ლი – წამიერად და უცნაურად.

ყოველ შემთხვევაში, სამისისიპოზე იმ თავისი იდუმალი  
და შეუცნობი ძალმოსილებით ანათებს.

ნეტა მართო ზაფხულის მიძინებას მოსდევს ფავნების,  
სატირებისა და ღმერთების ხელშესახები ხილვა?

ზამთარ-გაზაფხულის გასაყარზე უფრო არ უნდა მოქ-  
როდნენ ოლიმპოდან აქეთ?

ანდა გაზაფხულ-ზაფხულის გზაჯვარედინზე?

ეს თუ არა, რაღაც ამგვარი რომ ხდებოდეს, და იდუმალი  
ხილვებისათვის განგანყოფილდეს ის დღეებიც?

მაგრამ ფოლკნერი ავვისტოს მიწურულს ანიჭებს ერთა-  
დერთობას და წელიწადის თავისებურ საყრდენად მაინცდა-  
მაინც მას აქცევს.

თუმც თვითონ კი არ აქცევს, პირდაპირ გადმოაქვს ფურცელზე ქარის სხვაგვარი ქროლვაც, შუქის სხვაგვარი ბრწყინვაც და მტკერის სხვაგვარი აბურბურებაც.

აგერ ფავნები, სატირები, აგერ ღმერთები...

და შენ მტკერის ნაპირას დაეძებ იმ იდუმალსა და შეუცნობ დროს, ჟამთა წიაღიდან მონაბერს, და ისე გნადია ანტიკური მითოსის პერსონაჟთა ხილვა, მგონი კიდევ მოჰკრავ თვალს...

მაგრამ მოჩვენებითი აღმოჩნდება ეს განცდა, ხილვა კი მაცდური, უკეთეს შემთხვევაში, ხელოვნურად გადმოკეთებული შენს სულში, და ისიც ხელიდან გიქრება.

რატომ ვერ შეგვინარჩუნებია, თუნდაც შთამბეჭდავ სურათად?

სხვა ხილვა უფრო ჩანვნი ჩვენს ფსიქიკას, ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებას აგვისტოს მიწურულიდან, სხვა პერსონაჟებს უფრო დაგვიწინაურებს თვალწინ, მითოსური ასოციაციებიდანაც სხვა სახეებს უფრო გამოიხმობს, და ყველაფერს – ტრაგიზმით აღსავსეს.

ფავნებიც მიმალულან, სატირებიც, ღმერთებიც უკაცრიელ კუნძულს შეხიზვნიან და ფოლკნერის გამოძახებას დალოდებიან მორჩილად, რადგანაც ჩვენი მითოსური აგვისტოს მიწურულიდან სისხლი ბრწყინდება და არა შუქი, იდუმალისა და შეუცნობის განცდაც ამ ემბაზში ამოვლებულ დროს მოაქვს და სულში იჭრება გამთოშავი სიცივე.

ესეც ჩვენი აგვისტოს ნათელი.

ესეც ჩვენი გარდამავალი წამი.

ჟღერა – უღმობელი და გავეშებული, და კეთილშობილ გვართა დედანულიანად ჩაჟუჟავა.

ზესტაფონი-საჩხერის მატარებლის ვაგონებიდან მოთქრიალე სისხლი და ხმა აკაკანებული ტყვიამფრქვევისა.

თელავის სატუსალოში მეორე სართულიდან დახვრეტილ ტყვეთა ჩამონადენი სისხლი, ზედ რომ გადასდით პირველ სართულზე შეყრილთ.

ზერელედ მიყრილი მინა გვამებზე და მინის ქვეშ სულთმობრძავთა ფართხალი.

დამხოზილი ბაირალი, რამდენიმე დღის წინათ ასეთი რწმენითა და სასოებით რომ ჩაებარებინათ ქაქუცა ჩოლოყაშვილისათვის და იმ წამს შალვა ამირეჯიბი აღიქვამდა სიმბოლურ აქტად, დიდი შემობზუნებისა და უეჭველი გამარჯვების მომასწავებლად.

არ გვენრა მაშინ თავდახსნა.

იატაკვეშეთში ჩაიძიებოდა სისხლიც, ვერ გაარღვევდა წყვლიად და ვერ შეიძლებდა ცაში ღმერთს შესწახჩუხებოდა და სამართალი ეთხოვა.

ცხრაკლიტურში მოემწყვდოდა იდუმალების მაცნე გაელვება და მოიშლებოდა დროთა მიჯნაც.

აქ სატირებს რა დარჩენოდათ.

ანდა ფავნებს.

ან იმ ანტიკურ ღმერთებს, დღესასწაული თავს რომ ავინყებდათ და მთელი არსებით იძირებოდნენ მხიარულებაში.

და რაღად ვეძებოთ ფოლკნერული ხილვის განმეორება, როდესაც იმ ჟამს თავისი ტვიფარი დაბეჭდვია.

სახელწოდება მაინც გავიმეორეთ და იდუმალება ტრაგიკული განცდით განემსჭვალათ?

რატომაც არა.

ეს მეტაფორა ახალ შინაარსსაც დაიტევს და ფოლკნერული ასოციაციები კონტრასტულ ფონადაც გამოგვადგება.

ამერიკელი მწერლის ხილვაში გაზღაპრებული წამი ჩვენში სხვაგვარად შეფერადებულა, მაგრამ არც შემოდგომის შეგრძნება დაუკარგავს და არც გაელვებაში ნაგულისხმევი ხანიერება.

ესეც ჩვენი აგვისტოს ნათელი.

კუთხე-კუნჭულებში მიფარებული და აქვითინებული ფავნები და სატირები და უმნეობისაგან მობუზული ანტიკური ღმერთები.

ის გვიჩვენებია – მათ მხიარულებაში გარევა და სამყაროს დღესასწაულთან შერწყმა?

ჩვენი ეს არის.

გვიჩვენებია, ბარემ გვიჩვენებია, მაგრამ...

ეს გვებოძა ღია ჭრილობად, და აგვისტოს მიწურულს შუქის უეცარ კრთომასა თუ ბრწყინვას რომ შეგვახედებენ, ჩვენც ჩავეხვიოთ ჟამთა წიაღიდან მონაბერ დროს, იდუმალსა და შეუცნობს, და ყური მივუვადოთ ფავნებისა და სატირთა ჩუმ ვალალს...

ამ ერთხელ მაინც წელიწადის ბრუნვა-ტრიალში.

უნებლიეთ ამ დღეებშიც მიგვიწყებია?

ალარც სად გლოვის ნიშანი და ალარც სად იმ ბაირალის ანარეკლი?

მამ წამიერად და უცნაურად რატომ ბრწყინდება შუქი, სისხლიდან გამონაჟური, და აგვისტოს ნათელიც რილასთვის დგება?..

გაელვებანი უსახელოდ გვიქრება ხელიდან.

მაგრამ ეს ერთი ნუ... ეს ერთი მაინც...

სულს სწყურია... ზრდილობა

ვისაც არ სმენია არიანე ჭანტურიას სახელი, მოვახსენებ, რომ იგი გახლავთ ცნობილი მთარგმნელი და ლვანღმოსილი პედაგოგი. ქართულიდან ინგლისურად თარგმნის, ძირითადად, ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს და მსოფლიო ასპარეზზე გასასვლელად მწვანე შუქს უნთებს.

ერთმა ასპირანტმა, რომელიც საშუალო სკოლასა და უნივერსიტეტში გერმანულს სწავლობდა (დაიმახსოვრეთ!), რატომღაც გადაწყვიტა, რომ საკანდიდატო მინიმუმი ინგლისურში ჩაებარებინა და ბ-ნ არიანეს სთხოვა, მომამზადეთო. არიანე ჭანტურია დათანხმდა.

და აი, ასპირანტმა ინგლისურად უნდა წარმოთქვას to be (ქართ. „ყოფნა“). შეგახსენებთ, რომ გერმანულში თითქმის ყველაფერი – როგორც ინერება, ისე იკითხება; ხოლო ინგლისურში,

ერთი მთარგმნელი ხუმრობის თანახმად, ინერება მაგალითად „მანჩესტერი“ და იკითხება „ლივერპული“.

ჰოდა, გერმანულში განაფულმა ასპირანტმა აუღელვებლად წარმოთქვა „ტო ბე“. ბ-ნი არიანე ოდნავ შეიშმუშნა, მაგრამ შესწორებისგან თავი შეიკავა და აღტაცებით შესძახა: „სწორია, ზუსტია, კარგია, შესანიშნავია. ოღონდ მინდა მოგახსენოთ, რომ ზოგჯერ ასეც შეიძლება წავიკითხოთ...“

და წარმოთქვა, როგორც ჯერ არს.

ამას ანეკდოტად ჰყვებიან. ანეკდოტი შეუთხზავთ არიანე ჭანტურიას უაღრესი ზრდილობისა და თავაზიანობის საფუძველზე. მაგრამ ვინ იცის, ეგებ ანეკდოტიც არ იყოს. ხომ გაგიგონიათ: ბევრი რამ არის, ჰორაციო, ქვეყნად ისეთი...



„შერმან ჰესეს ზღაპრები ამ ჟანრის იმ სახეობას განეკუთვნებიან (...), რომელიც ხალხური ზღაპრებით მთელი ერის სპონტანური და გაუცნობიერებული შემოქმედების შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ პოეტური ინდივიდუალობის ნებას ექვემდებარება. (...) შერმან ჰესეს ზღაპარს პირობითად „ფსიქოლოგიური“ ზღაპარი შეიძლება ვუწოდოთ. მწერალს ზღაპრის ფორმა, რომელიც მოკლებულია დროისა და სივრცის განზომილებას, ქვეცნობიერის სიღრმისეულ ფენებში, ბნელით მოცულ დედისეულ სამყაროში წიაღსვლისა და გაუცნობიერებელ შინაარსთა მხატვრულ ფორმაში წარმოდგენის საშუალებად ესახება“ (რეზო ყარალაშვილი).

გთავაზობთ დიდი მწერლის ერთ შედეგს ზღაპრების ციკლიდან. იგი პირველად 1910 წელს გამოქვეყნდა მიუნხენში გამომავალ ჟურნალ „იუგენდ“-ში.

შერმან ჰესე

# დოქტორ კნიოლგეს აღსასრული

ბატონი დოქტორ კნიოლგე, გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი, რომელიც ადრინადა გასულიყო პენსიაზე და თავი კერძო ფილოლოგიური შტუდიებისთვის მიეძღვნა, ნამდვილად თავისდღეში არ დაუახლოვებოდა ვეგეტარიანელებსა და ვეგეტარიზმს, ქოშინისა და რევმატიზმებისკენ მისი მიდრეკილება რომ არა, რამაც მას ერთხელაც ვეგეტარიანულ დიეტაზე გადასვლა აიძულა. შედეგი იმდენად თვალსაჩინო გამოდგა, რომ იქიდან მოკიდებული კერძო სწავლული ყოველწლიურად რამდენიმე თვეს ატარებდა რომელიმე ვეგეტარიანულ სანატორიუმსა ან პანსიონში, ძირითადად სამხრეთში, და, ამრიგად, მიუხედავად ყოველგვარ უჩვეულოსა და ახირებულის მიმართ მისი ანტიპათიისა, ისეთ წრეებსა და ტიპებთან უწევდა ურთიერთობა, რომლებიც მას არ ესადაგებოდნენ და რომელთა იმეათი, ყოველთვის თავიდან ვერასაცილებელი სტუმრობანი მის სამშობლოში ეკლად ესობოდა გულზე.

რამდენიმე წელიწადი დოქტორ კნიოლგე გაზაფხულისა და ადრეული ზაფხულის პერიოდებს, ზოგჯერ შემოდგომის თვეებსაც, სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროსა ან ლაგო მაჯორეზე მრავლად არსებულ რომელიმე სტუმართმოყვარე ვეგეტარიანულ პანსიონში ატარებდა. ბევრნაირი ადამიანი გაიცნო და რაღაც-რაღაცებს შეეგუა: ფეხშიშველა სიარულსა და გრძელთმიან მოციქულებს, შიმშილობის ფანატიკოსებსა და ვეგეტარიანელ გურმანებს. ამ უკანასკნელთა შორის არაერთი მეგობარი გაიჩინა და თვითონაც, ავადმყოფობა მძიმე კერძების მირთმევას სულ უფრო და უფრო მეტად რომ უკრძალავდა, ბოსტნეულისა და ხილის სფეროში მოკრძალებულ გურმანად ჩამოყალიბდა. ვარდკაჭაჭას ყველანაირი სა-

ლათა როდი აკმაყოფილებდა და არც კალიფორნიულ ფორთოხალს შეჭამდა ოდესმე იტალიურის ნაცვლად. საერთოდ, ვეგეტარიზმი დიდად არ ანაღვლებდა, ის მისთვის მხოლოდ სამკურნალო საშუალება გახლდათ და ხანდახან თუ დაინტერესდებოდა ამ სფეროში გაჩენილი გასაოცარი ენობრივი ნეოლოგიზმებით, რომლებიც მისთვის, როგორც ფილოლოგისთვის, ღირსშესანიშნავი გახლდათ. არსებობდნენ ვეგეტარიელები, ვეგეტარიანელები, ვეგეტაბილისტები, უმაღლესი მჭამელნი, ნაყოფმჭამელნი და შერეული მჭამელები!

თვითონ დოქტორი – განდობილთა ტერმინოლოგიით – შერეულ მჭამელებს მიეკუთვნებოდა, რაკილა არა მხოლოდ ხილსა და უმ ბოსტნეულს, არამედ მოხარშულსაც, ის კი არა და, რძისა და კვერცხისგან დამზადებულ კერძებსაც კი გეახლებოდათ. ნაღდი ვეგეტარიანელებისთვის, პირველ ყოვლისა კი მკაცრი წეს-განგების მიმდევარ წმინდა უმადმჭამელთათვის, თავზარდამცემი რომ იყო ეს ამბავი, არ გამოჰპარვია, მაგრამ ამ ძმათა ფანატიკური აღმსარებლობითი დავა-კამათისგან თავი შორს ეჭირა და შერეულმჭამელთა კლასისადმი კუთვნილებას მხოლოდ საქმით ავლენდა, როცა ზოგიერთი მისი კოლეგა, კერძოდ კი ავსტრიელები, თავიანთი წოდებით სავიზიტო ბარათებზე იწონებდნენ თავს.

როგორც ვთქვით, კნიოლგე ამ ხალხს მაინცდამაინც ვერ ესადაგებოდა. გარეგნულადაც თავისი მშვიდობიანი, ლაჟღაჟა პირისახითა და ზორბა ტანით სულ სხვანაირი ჩანდა მკაცრი ვეგეტარიზმის მიმდევარ გამხმარ, ასკეტურად მზირალ, ხშირად ფანატასტიკურად გამონყობილ ძმათა ფონზე, ზოგი მათგანი თმებს მხრებამდე რომ იზრდიდა და თითოეული საკუთარი იდეალის ფანატიკოსად, აღმსარებლად და მარტვილად დააბიჯებდა ცხოვრების გზაზე. კნიოლგე ფილოლოგი და პატრიოტი გახლდათ, არ იზიარებდა თანავეგეტარიანელთა არც საკაცობრიო აზრებსა და სოციალურ რეფორმათა იდეებს და არც მათ ახირებულ ცხოვრების ნირს. ისე გამოიყურებოდა, რომ ლოკარნოს ან პალანცას სადგურებსა და პორტებში უბრალო მოკვდავთათვის განკუთვნილ სასტუმროთა მსახურები, „კოლრაბის მოციქულებს“ შორიდანვე რომ სცნობდნენ ხოლმე, დიდი ნდობით სთავაზობდნენ თავიანთ სასტუმროებს და ფრიად გაოცებულნი რჩებოდნენ, როცა ასეთი სოლიდური შესახედაობის ადამიანი თავის ჩემოდანს „ტალიზიის“ ან „ცერესის“ მსახურს ანდა „მონტე ვერიტას“ მევირეს გადასცემდა.

და მაინც, დოქტორი კნიოლგე დროთა განმავლობაში შეეჩვია ამ, მისთვის უცხო, გარემოს და იქ მშვენივრად გრძნობდა თავს. იგი ოპტიმისტი გახლდათ, დიახ, თითქმის ცხოვრების ხელოვანი, და თანდათან ყველა ქვეყნის მცენარისმჭამელთა შორის, იმ ადგილებს რომ სტუმრობდნენ, კერძოდ კი ფრანგთა შორის, არაერთი მშვიდობისმოყვარე და ლოყებლავლავა მეგობარი გაიჩინა, რომლებთანაც თავის ქორფა სალათსა და ატამს გულდამშვიდებით შეექცეოდა მყუდრო სუფრული მუსაიფის დროს ისე, რომ მკაცრი წეს-განგების მიმდევარი რომელიმე ფანატიკოსი შერეულმჭამელობას, ან რომელიმე ბრინჯილეჭია ბუდისტი რელიგიურ განურჩევლობას ვერ წამოსძახებდა.

ერთხელაც დოქტორმა კნიოლგემ ჯერ გაზეთებიდან, მერე კი უშუალოდ თავისი ნაცნობებისგან დიდი საერთაშორისო ვეგეტარიანული საზოგადოების დაარსების შესახებ შეიტყო, რომელსაც მცირე აზიაში მინის უზარმაზარი ნაკვეთი შეეძინა და მთელი მსოფლიოს თანამომხედებს შეღავათიან ფასად ეპატიუებოდა იქ სტუმრად ან სამუდამოდ დასარჩენად. ეს იმ გერმანელ, ჰოლანდიელ და ავსტრიელ მცენარისმჭამელთა იდეალისტური დაჯგუფებების წამოწყება იყო, რომელთა მისწრაფებანი ერთგვარ ვეგეტარიანულ სიონიზმს წარმოადგენდა და იქითკენ იყო მიმართული, რომ მათი რწმენის მომხრეთა და მიმდევართათვის სადმე მსოფლიოში საკუთარი ქვეყანა დაეარსებინათ საკუთარივე მმართველობითურთ, სადაც ბუნებრივი პირობები იქნებოდა იმგვარი ცხოვრებისათვის, იდეალად რომ დაესახათ მათ. ამის დასაბამი გახლდათ ამ საზოგადოების დაარსება მცირე აზიაში. მათი მონათლებანი „ვეგეტარიანული და ვეგეტაბიანისტური ცხოვრების წესის, სიმშვილის კულტურისა და ცხოვრების რეფორმირების ყველა მეგობარს“ უხმობდა და იმდენ დაპირებას იძლეოდა და ისე მომხიბლავად ჟღერდა, რომ ვერც ბატონმა კნიოლგემ გაუძლო ამ მიმზიდველ სამოთხისეულ ხმას და დამდგვი შემოდგომისათვის სტუმრად ჩაენერა იქ.

ამ მიწაზე საოცრად ნაზი და ბარაქიანი ხილბოსტნეული მოდიოდა, დიდი ცენტრალური სახლის სამზარეულოს „სამოთხისაკენ მიმავალი გზების“ ავტორი ხელმძღვანელობდა, ბევრს კი განსაკუთრებით სიამოვნებდა ის გარემოება, რომ იქ მშვიდად, ღვარძლიანი მსოფლიოს დაცინვის გარეშე იცხოვრებდა. ვეგეტარიზმისა და ჩაცმულობის რეფორმისადმი მისწრაფების ყველა ნაირსახეობა ნებადართული გახლდათ, აკრძალვით კი ხორცისა და ალკოჰოლის მიღების გარდა არაფერი იკრძალებოდა.

მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ ლტოლვილი ახირებულები, ნაწილობრივ იმისთვის, რომ იქ, მცირე აზიაში ბოლოსდაბოლოს სიმშვიდე და შვევა ეპოვათ მათი ბუნებისთვის შესაფერ ცხოვრებაში, ნაწილობრივ კი იმისთვის, რომ მოზღვავებულ განკურნების მოსურნეთაგან ხეირი და გამორჩენა ენახათ. ჩამოდიოდნენ ყველანაირი ეკლესიების გამოქცეული მღვდლები და მასწავლებლები, ცრუ ჰინდუსები, ოკულტისტები, ენის მასწავლებლები, მასაჟისტები, მაგნეტოპათები, ჯადოსნები, ექიმბაშები. ექსცენტრიულ არსებათა მთელი ეს ჯამაათი უფრო უწყინარი წვრილ-წვრილი ცრუპენტლებისგან შედგებოდა, ვიდრე ყალბბანდი და ბოროტი ადამიანებისგან,

რადგან იქ დიდ ხეირს ვერ ნახავდა კაცი და უმეტესობას მეტიც არა უნდოდა რა, გარდა თავის შენახვისა, რაც მცენარისმჭამელისთვის მეტად იაფი ჯდება სამხრეთის ქვეყნებში.

ევროპიდან და ამერიკიდან გამოსხლეტილ ამ ადამიანთა უმეტესობის ერთადერთი მანკიერება ის გახლდათ, რომ შრომას უფრთხოდნენ, რაც უამრავ ვეგეტარიანელთათვის საერთო დამახასიათებელი თვისებაა. არც ოქრო უნდოდათ, არც მოლხენა, არც ძალაუფლება თუ სიამოვნება, მათი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ უშრომლად და გაურჯულად გაეტარებინათ თავიანთი მოკრძალებული ცხოვრება. ზოგიერთ მათგანს მთელი ევროპა რამდენჯერმე ჰქონდა ფეხით მოვლილი, ვითარცა კარის სახელურების თავმდაბალ მწმენდავთ შეძლებულ თანამოაზრეთა სახლებში, ან მოქადაგე წინასწარმეტყველთ, ან სასწაულმოქმედ მკურნალთ, კნიოლგე კი ქვიზიზანაში ჩასვლისას ერთ ძველ ნაცნობს გადაეყარა, რომელიც ლაიფციგში დროდადრო უწყინარ მათხოვრად აკითხავდა ხოლმე.

თუმცა უწინარეს ყოვლისა ვეგეტარიზმის ყველა ბანაკის კორიფეები და გამირები ხვდებოდა თვალში. მზით გარუჯული კაცები გრძლად ჩამოტალღული თმა-წვერით, თეთრი მოსასხამები სანდლებამდე რომ სცემდათ, ძველი აღთქმიდან გამოსულებივით დააბიჯებდნენ აქეთ-იქით, სხვებს კი ღია ფერის ტილოს სპორტული ტანსაცმელი ეცვათ. რამდენიმე პატივცემული პიროვნება შიშველი დაიარებოდა, ნელზე შემოხვეული საკუთარი ხელით ნაქსოვი ლაფნის ტილოთი. შეიქმნა ჯგუფები და ორგანიზებულნი გაერთიანებებიც კი, ზოგან ნაყოფმჭამელნი იკრიბებოდნენ, ზოგან ასკეტური მოშიშლიეები, სხვანაირი თეოსოფები თუ სინათლის მალმერთებლები. ამერიკელი წინასწარმეტყველის, დავისის, თავყანისმცემლებმა ტაძარი ააგეს, ერთი დარბაზი ნეოსვედენბორგისტთა ღვთისმსახურებას ეთმობოდა.

ამ უცნაურ რია-რიაში დოქტორი კნიოლგე თავიდან ცოტა არ იყოს გაუბედავად დააბიჯებდა. ერთი ყოფილი ბადენელი მასწავლებლის, გვარად კლაუბერის, მოხსენებებს ესწრებოდა, რომელიც მსოფლიოს ხალხებს სუფთა ალემანიურით მოუთხრობდა ატლანტის ქვეყანაში მომხდარ ამბებს და ალფრთოვანებული იყო იოგი ვიშინანდათი, რომელსაც სინამდვილეში ბეპო ცინარი ერქვა და ათწლეულების განმავლობაში გულმოდგინე მცდელობით იმისთვის მიეღწია, რომ თუ მოინდომებდა, შეეძლო თავისი გულისცემის სიხშირე დაახლოებით ერთი მესამედით შეემცირებინა.

ევროპაში, სამეწარმეო და პოლიტიკური ცხოვრების მოვლენათა გვერდით, ეს კოლონია საეჭიეთის ან ფანტასტიკური კომედიის შთაბეჭდილებას მოახდენდა. აქ, მცირე აზიაში, ეს ყველაფერი სრულიად გასაგებად და საესებით შესაძლებლად გამოიყურებოდა. დროდადრო ახლადჩასულებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე, სანუკვარი ოცნების ახდენით ალფრთოვანებულთ არამინიერი ნათლით გაბრწყინებოდათ სახეები, თვალბში სიხარულის ცრემლები უბრჭყვიალებდათ, ხელში ყვავილები ეჭირათ და ყოველ შემხვედრს სამშვიდობო კოცნით ესალმებოდნენ.



მხატვარი თამარ მინაშვილი

ყველაზე თვალმისაცემი მაინც მკაცრ ნაყოფმჭამელთა ჯგუფი გახლდათ. ამათ ტაძარი, სახლი და ყოველგვარი სახის ორგანიზაცია უარყვეს და არავითარ სხვა მისწრაფებას არ იჩენდნენ, გარდა იმისა, რომ სულ უფრო ბუნებრივნი გამხდარიყვნენ და, როგორც თვითონ ამბობდნენ, „დედამინას დაახლოებოდნენ“. ღია ცის ქვეშ ცხოვრობდნენ და მხოლოდ იმას ჭამდნენ, რასაც ხე ან ბუჩქი მოსხამდა. სხვა ვეგეტარიანელები სასტიკად სძულდათ და ერთმა მათგანმა დოქტორ კნიოლგეს პირში მიახალა, ბრინჯისა და პურის ჭამა ზუსტად ისეთივე ღორბაა, როგორც ხორცისაო, ხოლო რძისმსმელ ვაი-ვეგეტარიანელსა და რომელიმე ლოთბაზარასა და არყის ძმობილს შორის ვერავითარ განსხვავებას ვერა ვხედავო.

ნაყოფმჭამელთა შორის პატივცემული ძმა იონა გამოიკვეთა, ამ მიმართულების ყველაზე თანმიმდევრული და წარმატებული წარმომადგენელი. თუმცა წელზე ტილო ჰქონდა შემოხვეული, მაგრამ ის მისი ბანჯგვლიანი, გარუჯული სხეულისაგან თითქმის არ განირჩეოდა. პატარა კორომში ცხოვრობდა და მკვირცხლად დაძვრებოდა ხოლმე ტოტიდან ტოტზე. მისი ხელისა და ფეხის ცერები განსაცვიფრებელ გადაგვარებას განიცდიდნენ და მთელი მისი არსება და ცხოვრება ბუნებასთან ყველაზე შეუპოვარ და წარმატებულ დაბრუნებას წარმოადგენდა. რამდენიმე მქირდავი მას თავიანთ წრეში გორილას ეძახდა, საერთოდ კი იონა აღფრთოვანებას იწვევდა და მთელ დასახლებაში პატივისცემით სარგებლობდა.

მეტყველებაზე ხელი აეღო ამ დიდ უმად მჭამელს. როცა ძმანი ან დანი მისი კორომის განაპირას საუბრობდნენ, იგი ხანდახან მათ თავს ზემოთ რომელიმე ტოტზე ჩამოჯდებოდა, გამამხნეველად იღრჩებოდა ანდა ამრეხით ხარხარებდა, თქმით კი არაფერს ამბობდა, ჟესტებით ცდილობდა ენიშნებინა მათთვის, რომ მისი ენა ბუნების უცდო-

მელი ენა იყო და მომავალში ყველა ვეგეტარიანელისა და ბუნების ადამიანის მსოფლიო ენა გახდებოდა. მისი უახლოესი მეგობრები ყოველდღე მასთან იყვნენ, ლეჭვისა და კაკლის მტვრევის ხელოვნების გაკვეთილებით ტკებოდნენ და ზეალმავალი სრულქმნის პროცესს მონივნებით ადევნებდნენ თვალს, ოღონდ შიშობდნენ, რომ მალე ალბათ ველარ იხილავდნენ მას, რადგანაც იგი, სავსებით მერწყმული ბუნებასთან, უთუოდ მთების მშობლიურ უღრანებს მიაშურებდა.

რამდენიმე ფანატიკოსმა წინადადება წამოაყენა, ღვთაებრივი პატივი მიეგოთ ამ საოცარი არსებისთვის, რომელმაც სიცოცხლის მიმოქცევა სრულყო, გაადამიანების გზა უკულმა გაიარა და მის საწყის წერტილს მიაღწა. მაგრამ ერთ დილას, მზის ამოსვლისას ამ განზრახვით კორომს რომ ეწვივნენ და გაღმერთების ცერემონიალი სიმღერით დაიწყეს, იუბილარი თავის საყვარელ მსხვილ ტოტზე გამოჩნდა, წელზე შემოხვეული ტილო შემოიხსნა, დამცინავად ააფრიალა ჰაერში და თავყვანისმცემლებს ფიჭვის მკვირივი გირჩები დაუშინა.

ეს სრულყოფილი იონა, ეს „გორილა“, ჩვენს დოქტორ კნიოლგეს თავისი მოკრძალებული სულის სიღრმემდე სძაგდა. ყველაფერი, რაც კი ოდესმე ვეგეტარიანული მსოფლმხედველობისა და ფანატიკურ-გიჟური ხასიათის უშნო გამოვლინებათა წინააღმდეგ გულში მდუმარედ გაეველო, ამ არსების სახით შემზარავად შემოეფეთა და ლამის საკუთარ ზომიერ ვეგეტარიანელობასაც მწარედ დასცინა. უპრეტენზიო კერძო სწავლულის გულში შეურაცხყოფილი ადამიანური ღირსება ამბობდა და იგი, რომელიც ამდენ განსხვავებულად მოაზროვნეს მშვიდად და მოთმინებით იტანდა, სრულქმნილის საცხოვრებელ ადგილს ისე ვერ ჩაუვლიდა, რომ მის მიმართ ზიზღი და გააფთრება არ ეგრძნო. ხოლო გორილა, თავისი ტოტიდან ყველა ჯურის თანამოაზრეს, თავყვანისმცემელსა თუ კრიტიკოსს გულგრილად რომ ათვალთვლებდა ხოლმე, ამ ადამიანის მიმართ, რომლის სიძულვილსაც ალბათ ინსტინქტით გრძნობდა, მზარდ ცხოველურ მძვინვარებას განიცდიდა. ყოველთვის, როცა კი გვერდით ჩაუვლიდა, დოქტორი საყვედურით აღსავსე შეურაცხყოფელ მზერას შეავლებდა ხის ბინადარს, რასაც იგი კბილების კრაჭუნითა და ბრაზიანი ხრიალით პასუხობდა.

კნიოლგეს მომავალ თვეს სამშობლოში დაბრუნება უკვე გადაწყვიტა, როცა ერთ კაშკაშა სავსემთვარიან ლამეს სეირნობამ ლამის თავისდაუნებურად კორომის სიახლოვეს გაიტყუა. სინანულით იგონებდა ძველ დროს, როცა სრულიად ჯანმრთელი, ხორცისმჭამელი და ჩვეულებრივი ადამიანი თავისწაირთა შორის ცხოვრობდა და ლამაზი წლების მოგონებით გართულმა უნებურად ძველი სტუდენტური სიმღერა წაუსტვინა.

ამ დროს ბუჩქნარიდან ტყის კაცი გამოშლივინდა, მელოდიისაგან გალიზიანებული და გახელებული. მუქარით გადაუდგა წინ მოსეირნეს, თან უშველებელ კომბალს იქნევდა. მაგრამ გაოცებული დოქტორი ისე იყო გააფთრებულ-გაგულისებული, რომ კი არ გაიქცა, არამედ იმ წუთის დადგომა იგრძნო, როცა თავის მტერს უნდა შეებოდა. სასტიკი ღიმილით მოიდრია თავი და ხმაში რამდენიც შეეძლო, იმდენი დაცინვა და შეურაცხყოფა ჩააქსოვა: ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ, დოქტორ კნიოლგე.

გორილამ ერთი საშინლად დაიღრიალა, კომბალი მოსროლა, ეცა უძღურს და ერთ წამში თავისი სასტიკი ხე-

ლებით მოახრჩო. დოქტორი მეორე დილას იპოვეს, ზოგი ხვდებოდა, რაც მომხდარიყო, მაგრამ ვერავინ გაბედა გორილა იონასთან დაპირისპირება, რომელიც ტოტებში არხეინად ამტვრევდა კაკალს. რამდენიმე მეგობარმა, რომლებიც დოქტორმა სამოთხეში ყოფნისას გაიჩინა, იქვე ახლოს დამარხა იგი, მის საფლავზე კი უბრალო ფიცარი დაარქეს მოკლე წარწერით: დრ. კნიოლგე, შერეულმჭამელი გერმანიიდან.

გერმანულიდან თარგმნა  
ბიორგი პრაპაია

რისკი და პედისწერა

# 308 ხართ თქვენ, სინიორ პონტეკორვო

ლობანი ნეიტრონის ფუნდამენტური თვისებების გამოსაკვლევად. ლენინური პრემია (1963). სსრკ სახელმწიფო პრემია (1954), დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია,  
ტ. 8, 1984

როდესაც გენერალ-ლეიტენანტმა პავლე სუდოპლატოვმა გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოქვეყნებულ თავის მემუარებში აღნიშნა, რომ საბჭოთა ატომური ბომბის შექმნა დიდად იყო დავალებული საგარეო დაზვერვისგან, ამ მტკიცებამ უკმაყოფილება და კრიტიკული შენიშვნები გამოიწვია როგორც ვაშინგტონში, ასევე მოსკოვში. ამერიკელებს არაფრად ეჭაზნიკათ მეორე მსოფლიო ომის დროს შეერთებულ შტატებში თავმოყრილ სახელგანთქმულ ფიზიკოსთა გამოცხადება კრემლის აგენტებად, რუსები კი ატომური ბომბის შექმნის საქმეში მზვერავთა დამსახურების წინა პლანზე წამოწვევას მიიჩნევენ საბჭოთა ფიზიკოსების ღვაწლის მიჩქმალვად.

სხვებთან ერთად ეჭვის ჩრდილი კიდევ ერთხელ დაეცა იტალიელი ფიზიკოსს – ბრუნო პონტეკორვოს.

ამ წარკვევის სათაურად გამოტანილ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად ჯერ გადავხედოთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ორიოდე ცნობარს. ვნახოთ, რას გვეტყვიან ისინი ბრუნო პონტეკორვოს შესახებ.

## ინფორმაცია ცნობარებიდან

პონტეკორვო ბრუნო მაქსიმეს ძე (დ. 22. VIII. 1913; პიზა, იტალია). საბჭოთა ფიზიკოსი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1964). სკკპ წევრი 1955-დან. რომის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე მუშაობდა ენრიკო ფერმის ჯგუფში, შემდეგ რადიუმის ინსტიტუტში. 1940-50 მუშაობდა აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში. 1950-დან მუშაობს საბჭოთა კავშირში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბირთვულ პრობლემათა ინსტიტუტში, 1956-დან – ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში. მისი უმთავრესი შრომები ეხება ნეიტრონების შენელებას და ბირთვებით მათ ჩაჭერას, ბირთვულ იზომერიას, სუსტ ურთიერთმოქმედებათა ფიზიკას, ნეიტრონის ფიზიკას, ასტროფიზიკას; აჩვენა ამჩქარებლების ნეიტრონული კონების გამოყენების შესაძლებ-

ბრუნო პონტეკორვო (1913-1993) – იტალიელი ფიზიკოსი, რომელზეც ეჭვი მიიტანეს, რომ საბჭოთა ჯაშუში იყო. იგი 1950 წლის ოქტომბერში ევროპაში მოგზაურობიდან ინგლისს არ დაბრუნებულა და საბჭოთა კავშირში დასახლდა.

პონტეკორვო სწავლობდა ჯერ პიზის, მერე რომის უნივერსიტეტში. სწავლის დამთავრებისას დაიწყო მუშაობა ლაბორატორიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პროფესორები ედოარდო ამალდი და ენრიკო ფერმი. 1936 წელს ჩავიდა პარიზში და შეუდგა მუშაობას ცნობილ კომუნისტ ფრედერიკ ფოლიო-კიურისთან. იქვე გაიცნო შვედი მარიანა ნორდბლუმი და 1940 წელს ცოლად შეირთო. როდესაც გერმანიის ჯარებმა მოახდინეს საფრანგეთის ოკუპაცია, ცოლ-ქმარი გადასახლდა შეერთებულ შტატებში.

1943 წელს პონტეკორვო მიიწვიეს სამუშაოდ ინგლის-კანადის ატომურ ცენტრში, ჩოკ-რივერში (კანადა, ონტარიოს პროვინცია). იქ ექვსი წლით დარჩა.

არსებობს საფუძველი ეჭვისათვის, რომ იგი იმხანად ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ კონკრეტული მტკიცებულება არ მოიპოვება.

საბჭოთა საელჩოდან გაქცეულმა იგორ გუზენკომ, „გერეუს“ ყოფილმა მშიფრავამ, კანადის ხელისუფლებას ვერაფერი აცნობა პონტეკორვოზე, თუმცა ამხილა მისი კოლეგა ალან მეი, იმავე ჩოკ-რივერში რომ მუშაობდა.

1948 წელს პონტეკორვომ მიიღო ბრიტანეთის ქვეშევრდომობა და, ამასთან ერთად, ყველა კატეგორიის საიდუმლო დოკუმენტებზე ხელი მიუწვდებოდა (მიუხედავად იმისა, რომ მითქმა-მოთქმის თანახმად, ის და მისი ნათესავები დაკავშირებულნი იყვნენ იტალიის კომპარტიასთან).

1949 წლის იანვარში პონტეკორვომ დატოვა კანადა და ჰარუელში, ბრიტანეთის ატომურ კვლევათა ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი გახდა.

1950 წლის იანვარში, სწორედ კლაუს ფუქსის დაპატიმრების წინ, ჰარუელის უშიშროების სამსახურის ოფიცერმა შეიტყუა, რომ პონტეკორვო და მისი ცოლი კომპარტიის წევრები იყვნენ. პონტეკორვო უარყოფდა ამას, თუმცა ალიარა, რომ მისი ოჯახის ზოგიერთი წევრი მართლაც კომუნისტი იყო.



უსაფრთხოების თვალსაზრისით მიიღეს გადაწყვეტილება, პონტეკორვო ჩამოემორებინათ ჰარუელში მუშაობისგან. შესთავაზეს თანამდებობა ლივერპულის უნივერსიტეტში, სადაც საიდუმლო ინფორმაციასთან აღარ ექნებოდა შეხება. პონტეკორვო დათანხმდა და განაცხადა, რომ 1951 წლის იანვრიდან შეუდგებოდა მუშაობას. მაგრამ 1950 წლის ოქტომბერში არ დაბრუნებულა შვებულებიდან, რომელსაც ცოლსა და სამ შვილთან ერთად ატარებდა ევროპაში.

რამდენიმე წელიწადი მასზე არაფერი ისმოდა.

ხოლო 1955 წლის 5 მარტს მოსკოვში პონტეკორვომ გამართა პრესკონფერენცია და დამსწრეთ აუწყა: 1952 წლიდან საბჭოთა მოქალაქე ვარ და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტში ვმუშაობო.

1963 წელს „თვალსაჩინო სამეცნიერო დამსახურებისათვის“ (ფიზიკაში) ლენინის ორდენით დააჯილდოვეს და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს.

1980 წელს აშშ ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ პონტეკორვოს ანგარიშზე ირიცხება 14 250 დოლარი – ჰონორარი პატენტისათვის, რომელიც მან თავის დროზე გააფორმა ფერმის და კიდევ სამი ფიზიკოსის თანაავტორობით (რადიოიზოტოპთა მიღების მეთოდის გამოგონებისათვის).

**ნორმან პოლმარი, ტომას ალენი „შპიონაჟის ენციკლოპედია“, 1997**

**ბრუნო პონტეკორვოს წვლილი**

„კაგებეს“ პოლკოვნიკ ოლეგ გორდიევსკის, რომელიც 1985 წელს ინგლისში გადაიხვეწა, ამერიკელ მკვლევართაგან განსხვავებით, ხელი მიუწვდებოდა თავისი უწყების უსაიდუმლოეს დოკუმენტებზე და, ამდენად, მისი ინფორმაცია უაღრესად სარწმუნო უნდა იყოს.

1990 წელს ლონდონში გორდიევსკიმ, ინგლისელი მკვლევარის კრისტოფერ ენდრიუს თანაავტორობით, გამოსცა წიგნი ასეთი სათაურით: „კაგებე. საგარეო პოლიტიკურ ოპერაციათა ისტორია ლენინიდან გორბაჩოვამდე“.

ზემოსხენებულ საკითხთან დაკავშირებით ამ წიგნში აღნიშნულია, რომ 1945 წლის სექტემბერში, როცა გუზენკოს გაქცევამ „გერუს“ ქსელის დიდი ნაწილი გაამყლავნა, „ენკავედეს“ აგენტურა კანადაში პრაქტიკულად ხელუხლებელი დარჩენილა.

შემდეგ ვკითხულობთ, რომ „ენკავედეს“ აგენტთა შორის იყო უმნიშვნელოვანესი „ატომური ჯაშუში“ მონრეალში ბრუნო პონტეკორვო – ბრწყინვალე ფიზიკოსი, ემიგრანტი იტალიიდან. მორცხვი აღან მისგან განსხვავებით პონტეკორვოს, ხან ბრუნოს და ხანაც პონტოს რომ ეძახდნენ, დარდიმანდის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და ცნობილ კინოგმირთან გარეგნული მსგავსების გამო „რამონ ნავარო“ შეარქვეს.

გორდიევსკისა და ენდრიუს ცნობით, პონტეკორვო წარმოშობით ებრაელი იყო და იტალია მიატოვა 1936 წელს, ფაშისტთა მიერ გაჩაღებული ანტისემიტური კამპანიის პერიოდში. 1943 წლის დამდეგს ჩაირიცხა მონრეალის მეცნიერთა ანგლო-კანადურ ჯგუფში, რომელიც ატომურ პრობლემათა კვლევას ატარებდა.

სწორედ იმხანად პონტეკორვომ წერილი მისწერა საბჭოთა საელჩოს და თავისი სამსახური შესთავაზა. „ენკავედეს“ რეზიდენტმა მის წერილს არავითარი მნიშვნელობა არ მიანიჭა, სიყალბე ან პროვოკაცია იქნებო. პასუხი რომ არ მიიღო, საიდუმლო დოკუმენტებით ხელდამშვენებული პონტეკორ-

ვო პირადად გამოცხადდა საელჩოში. „ენკავედეს“ რეზიდენტმა ამ დოკუმენტთა ფასი ჯეროვნად ვერ გაიაზრა და მოსკოვში გაგზავნა. იქიდან კი სასწრაფოდ მოვიდა ბრძანება, რომ საელჩოში გამოცხადებულ მეცნიერთან დაუყოვნებლივ დაემყარებინათ კონტაქტი. პონტეკორვო ცხოვრობდა კანადაში, მუშაობდა ბირთვულ ფიზიკოსად და საბჭოთა აგენტად, ვიდრე 1949 წლის დამდეგს გაინვევდნენ ინგლისის ატომურ კვლევათა ცენტრში – ჰარუელში.

„კაგებეს“ ოფიცრებს, რომლებიც დანვრილებით იცნობდნენ პონტეკორვოს საქმეს, გორდიევსკისთვის უთქვამთ: ატომურ შპიონაჟში პონტეკორვოს წვლილი არანაკლები არის, ვიდრე კლაუს ფუქსის წვლილი.

1950 წლის იანვარში ფუქსი „ჩავარდა“ და ჯაშუშობა აღიარა. მომდევნო წლის აპრილში მას 14-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. სასჯელის მოხდის შემდეგ დასახლდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ექვთ პონტეკორვოზეც მიიტანეს, მაგრამ შპიონაჟში მისი მონაწილეობის ვერავითარ სამხილს ვერ მიაკვლიეს.

როცა 1950 წლის ზაფხულში შეერთებულ შტატებში „ატომურ ჯაშუშთა“ დაპატიმრებანი დაიწყო, მოსკოვში გადამწყდა, რომ აღარ გაერისკათა და პონტეკორვო, თავის ოჯახთან ერთად, შემონმებული მარშრუტით (ფინეთიდან) საბჭოთა კავშირში ჩაიყვანეს.

ამგვარად, „კაგებეს“ ყოფილი ოფიცერი და ინგლისელი მკვლევარი, საიდუმლო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ასკვნიან, რომ იტალიელი ფიზიკოსი ბრუნო პონტეკორვო ემსახურებოდა საბჭოთა დაზვერვას.

დასასრულ აღნიშნულია, რომ პონტეკორვომ საბჭოთა ბირთვულ ფიზიკაში ბრწყინვალე კარიერა გააკეთა, ლენინის ორი ორდენი და სხვა ჯილდოები მიიღო. თავის მონაწილეობას ატომურ შპიონაჟში კატეგორიულად უარყოფდაო.

**ფსევდონიმალ „ჯაელი“ ჰქონდა**

ბრუნო პონტეკორვოს შესახებ კიდევ უფრო საინტერესო ცნობებს გვანვდის „ენკავედეს“ გენერალ-ლეიტენანტი პავლე სუდოპლატოვი. 1945 წლიდან იგი ამ უწყებაში შექმნილი საგანგებო განყოფილების ხელმძღვანელი იყო და ატომური პრობლემის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებას უწევდა კოორდინაციას.

სუდოპლატოვის სიტყვით, ჰეიფეცს, რომელიც სათავეში ედგა „ენკავედეს“ დაზვერვას აშშ აღმოსავლეთ სანაპიროზე, ჯერ კიდევ იტალიაში ყოფნისას გაუცნია პონტეკორვო.

სუდოპლატოვი წერს: „შემდგომში სწორედ პონტეკორვო გახდა ის არხი, საიდანაც ამერიკელთა ატომური საიდუმლოებანი ენრიკო ფერმისგან ჩვენამდე მოდიოდა“.

1943 წლის იანვრის დამდეგს მოსკოვში მიიღეს ცნობა, რომ 1942 წლის დეკემბერში ჩიკაგოში ფერმიმ პირველი ჯაჭვური ბირთვული რეაქცია განახორციელა.

„ჩვენი წყარო, – აღნიშნავს სუდოპლატოვი, – რამდენადაც მახსოვს, გახლდათ ახალგაზრდა პონტეკორვო, რომელმაც ფერმის ფენომენალური წარმატების შესახებ გვამცნო პირობითი ფრაზით: „იტალიელმა ზღვაოსანმა ახალ სამყაროს მიაღწია“. მაგრამ ეს ზოგადი ხასიათის ინფორმაცია იყო და რამდენიმე თვის შემდეგ კურჩატოვმა პირველი ბირთვული რეაქციის თაობაზე დამატებითი მასალა მოითხოვა“.

პონტეკორვომ საბჭოთა დაზვერვას აუწყა, რომ ფერმი დადებითად მოეკიდა იდეას – ანტიპიტლერული კოალიციის ქვეყნების მეცნიერთათვის გაეზიარებინა ინფორმაცია ატომურ ენერგიაზე.

სუდოპლატოვის აზრით, ოპენჰეიმერს, ბორს, ფერმისა და სცილარდს შორის არსებობდა არაფორმალური შეთანხმება – საიდუმლო მონაცემები ბირთვული იარაღის თაობაზე გადაეცათ მემარცხენე მრნამის ანტიფაშისტ-მეცნიერთა წრისათვის.

სუდოპლატოვი ამტკიცებს, რომ დასავლეთის სახელგანთქმული ფიზიკოსები ეხმარებოდნენ საბჭოთა კავშირს ატომური ბომბის შექმნის საქმეში, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ამ საიდუმლოებათა დამალვა ერთი ქვეყნის (ე.ი. ამერიკის) მსოფლიო დიქტატს გამოიწვევდა და კაცობრიობას ბირთვულ ომს დაატეხდა თავს.

ლოს-ალამოსში პირველი ატომური ბომბის აწყობისთანავე მოსკოვში მისი აღწერილობა მიიღეს. პირველი დეპეშა მოვიდა 1945 წლის 13 ივნისს, მეორე – 4 ივლისს. ამ დეპეშებში მითითებული იყო ინფორმაციის წყაროებიც: „ჩარლზ“ (ე.ი. კლაუს ფუქსი) და „მლად“ (ქართ. „ჯეელი“) – ბრუნო პონტეკორვო.

ორი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წყარო მოსკოვს აუწყებდა ატომური ბომბის მოახლოებულ გამოცდას.

შემდგომში დიპლომატიური ფოსტით მიიღეს ფუქსის დეტალური მოხსენება (33-გვერდიანი ტექსტი), სადაც აღწერილი იყო ატომური ბომბის კონსტრუქცია. მოგვიანებით მოვიდა დამატებითი ცნობები ატომური ბომბის აგებულებაზე პონტეკორვოსგან.

სუდოპლატოვი წერს: „არ მახსოვს, რომელი აღწერილობა იყო უფრო დანერგვითი, მაგრამ შეინიშნებოდა გასაოცარი მსგავსება“.

როგორც ზემოთ ითქვა, სუდოპლატოვის მიერ დამონებული ინფორმაციამ დიდი აურზაური გამოიწვია ვაშინგტონსა და მოსკოვში.

ამერიკული სპეცსამსახურები გადაჭრით უარყოფენ იმ ვერსიას, თითქოსდა ცნობილი ფიზიკოსები, რომლებიც მუშაობდნენ ატომურ პროექტში, საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდნენ საბჭოთა კავშირს. არა და არა, ისინი ჯამუშები არ ყოფილანო.

იგივე განაცხადა რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა.

და ყოფილი საბჭოთა კავშირის ფიზიკოსებიც მტრულად შეხვდნენ სუდოპლატოვის მტკიცებას, ეს გამოწვევნი საბჭოთა მეცნიერთა მიღწევებსა და დამსახურებას აკინიებსო.

სუდოპლატოვმა საფუძვლიანი პასუხი გასცა წამოყენებულ ბრალდებებს. მისი სიტყვით, ამერიკული ატომური ბომბის შემოქმედნი მართლაც არ ყოფილან ჯამუშები, მაგრამ ძალადობას ეწინააღმდეგებოდნენ და მიაჩნდათ, რომ ბირთვული ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო მსოფლიოში ძალთა განონასწორების შექმნით.

სუდოპლატოვი თავისი პროფესიონალური გამოცდილების საფუძველზე აღნიშნავს, რომ ფასდაუდებელ ინფორმაციას ხშირად ლებულობენ წყაროდან, რომელიც აგენტი არ არის, რომელსაც უცხო ქვეყნის დაზვერვასთან თანამშრომლობის ვალდებულება არ აუღია და რომელიც სრულიად უანგაროდ ირჯება. მაგრამ ოპერატიულ დოკუმენტებში ინფორმაციის ამგვარ წყაროს მაინც განიხილავენ როგორც აგენტს, რადგანაც მისგან ინფორმაციას მოიპოვებენ აგენტთა მემუეობით ანდა მის გარემოცვაში მყოფ სანდო პირთაგან.

სუდოპლატოვი თავის წიგნში გადმოცემულ მასალებს ამგვარად აჯამებს:

„ჩვენ შევძელით შეგვეღწია ოპენჰეიმერის, ფერმის და სცილარდის გარემოცვაში ფუქსის, პონტეკორვოსა და სხვათა შემწეობით“.

ფუქსის დანაშაული არავითარ ეჭვს არ იწვევს. მან თვითონ ალიარა ყველაფერი.

პონტეკორვოსი კი რა მოგახსენოთ. იგი დროზე გამოეცა ბრიტანეთის კონტრდაზვერვასა და ბრიტანულ მართლმსაჯულებას. იგი არ დაუჭერიათ დანაშაულის ადგილზე და მასსადამე, ქურდობას ვერ დასწამებ.

სუდოპლატოვი თავის მემუარებში შენიშნავს: „პონტეკორვომ დანერა მშვენიერი ავტობიოგრაფიული წიგნი, სადაც უამრავ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს ფერმის შესახებ, მაგრამ საბჭოთა დაზვერვასთან თავის კონტაქტებზე კრინტსაც არა სძრავს“.

ბუნებრივია. სახელგანთქმული ფიზიკოსს ამგვარი რეკლამა არაფრად სჭირდებოდა.

პონტეკორვო ვერ მოესწრო სუდოპლატოვის ჩვენებებს.

### ცილისნამებებს მშვიდად და იუმორით ვეპიდაზი

ბრუნო პონტეკორვო 1990 წელს იტალიაში დაბრუნდა და რომში, თავის ძველ სახლში დაბინავდა.

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მან განაცხადა:

„მე სრულიად ნებაყოფლობით, იდეურ შეხედულებათა გამო, გადავსახლდი საბჭოთა კავშირში როგორც მეცნიერი და როგორც „ამხანაგიც“. ვიცოდი, რომ საბჭოთა კავშირში ყველა პირობა იყო შექმნილი ბირთვული ფიზიკის სპეციალისტთა მუშაობისათვის. „ცივი ომის“ მთელ მხურვალეებას ვგრძნობდი და, როგორც ფიზიკოსი, საბჭოთა კავშირის მხარეზე დავდექი. ასეთი იყო ჩემი არჩევანი, რაზედაც სრული უფლება მქონდა. არასოდეს მინანია და არც ახლა ვნანობ. რუსეთი ჩემი მეორე სამშობლო გახდა. იქ კეთილშობილი და გულწრფელი მეგობრები შევიძინე. საბჭოთა კავშირში, რა თქმა უნდა, დაცვა მყავდა, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალობა იყო... თავის გასამართლებელი არაფერი მჭირს. მუდამ ჩემი სინდისის კარნახითა და გულახდილად ვცხოვრობდი. აი, ეს არის მთელი ჩემი „შპიონაჟი“. და საერთოდ, ცილისნამებებს მშვიდად და იუმორით ვეპიდეტი. ჩემი საქმეა, რომ ჩვენგან ატომის საიდუმლოებებს... ის მაინც ბრუნავს. დედამინა? რასაკვირველია. მაგრამ ამჯერად მე რუსეთს ვგულისხმობ“.

**P.S.** სხვათა შორის, მოსკოვში დასახლებიდან გარკვეული ხნის შემდეგ ბრუნო პონტეკორვომ ცოლად შეირთო ის ქართველი ქალბატონი, რომელსაც თავის დროზე იოსებ ნონემ-დელმა მიუძღვნა საუცხოო ლექსი „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“.

დღეს აღარც პონტეკორვო არის ამქვეყნად, აღარც ის მშვენიერი ქართველი ქალი და აღარც მისი მეხოტბე პოეტი...

მოამზადა  
ლევან ინაშვილი



ენრიკო ფერმი და ბრუნო პონტეკორვო

# გავლენებისგან შემდგარი პოეტი ზვიად რატიანი

\*

სხვადასხვაგვარი ნაბიჯებით არცთუ ისე  
გაკვალულ პოეზიის გილიკეზა



დაგემოვნება ყველა იმ განცდის, რასაც გზადაგზა გადაწყდები, მოგზაურობა სამშობლოში, გახშირებული დეჟავიუ, ზამთრის ზღვა და ავადმყოფობა, ხანდახან ჭაჭის არაყი და მერე ხანდახან უხერხულ მაგიდასთან ჯდომა და წერა, რომ ამ ყველაფერში პოეზიაა, და რომ სწორედ ზვიად რატიანი უნდა იყო, რომ ასე და არა სხვაგვარად დაინახო. აქ ყველაფერი ბანალურად ნათელია და ყელში ამოსვლამდე ნაცნობი – დღეები, სუნი, ყოველი ბგერა, რომელიც ყურადღების შეჩერების ღირსად არ ჩათვალე, მაგრამ ეს პოეტი პატარ-პატარა აღმოჩენებით გაგრძნობინებს, რა მარტივია და რა ნამდვილი, უბრალოდ შეჩერდი და დაიგემოვნე ყველა განცდა და ნურაფრის, ნურაფრისდიდებით ნუ გართქმუნდები, რადგან სხვა შენზე უკეთ ვერ და შენ სხვაზე უკეთ ვერ იგრძნობ იმას, რასაც, აი, ასეთი, ჩვეულებრივი ცხოვრება ჰქვია და რომლის პანანინა ფრაგმენტები დატეული და ვერდატეულია ზვიად რატიანის ლექსების რიგით მეოთხე კრებულში „გზები და დღეები“ და რომელსაც გამომცემლობა „არეპე“ გამოსცემს.

თუნდაც ამ წიგნზე, საერთოდ პოეზიაზე, საკუთარ თავზე და სხვა თემებზეც ზვიად რატიანი შეძლებისდაგვარად გულახდილად საუბრობს...

– ახალი კრებულის თემატიკა აშკარად განსხვავდება წინამორბედებისგან, თუმცა ფორმების დახვეწის მცდელობა და სიახლეებით გამდიდრების სურვილი ნაკლებად ჩანს...

– ახალი წიგნი თემატურად მართლაც განსხვავებულია და ეს დაკავშირებულია ცხოვრების კონკრეტულ წესთან. წინა კრებული 2000 წელს გამოვიდა. მას მერე სხვანაირად ვცხოვრობ. მაქვს სამსახური, რომელიც დაკავშირებულია ინტენსიურ მოგზაურობასთან მთელი საქართველოს ფარგლებში. ეს ტექნიკური ტიპის საქმიანობაა და არანაირ კავშირში არ არის ლიტერატურასთან. მიუხედავად იმისა, რომ დატვირთული ვარ, უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს, ვიდრე მაშინ, როცა რედაქციებში ვმუშაობდი. ჰოდა ის, რაზეც წერის სურვილი მიჩნდება, არის სწორედ ჩემს გარშემო მომხდარი ამბე-

ბი. აი, სწორედ ამიტომ შეიცვალა თემატიკა, ფორმა კი ნაკლებად. ისე ძალიან მიჭირს, რითმიანის და ურითმოს კუთხით შევხედო ლექსს. არ ვიტყვი, რომ თავისთავად გამოდის. პირიქით, ჩემს კონტროლს ექვემდებარება ეს პროცესი, ხანდახან ზედმეტადაც, ასე მგონია. რაც შეეხება ამ ბოლო კრებულს, ეს არის სამი ლექსისაგან შემდგარი ერთი ციკლი, რომელსაც არასერიოზულად „სამსახურებრივი ლირიკა“ შეიძლება უწოდო. და მაინც, ესეც არის იგივე ტიპის ლექსები, როგორსაც ადრე ვაქვეყნებდი, რადგან ჩემში არ არის სიახლის მაძიებლის უინი. ამ სამსახურის გამო ცოტა დრო მრჩება წერისთვის, არადა, რაც მეტს მუშაობ, რაღაცას სწავლობ. არ ვიცი, რამდენად ეტყობა ეს ცოდნა და ზრდა ჩემს ლექსებს...

– ლექსებს ეტყობა, რომ მათი ავტორი მაინცდამაინც არ ცდილობს, გაიზარდოს, თუმცა რეგულარულად წერს, მაგრამ მომხიბლობის შესანარჩუნებლად არც პოეტურ ექსტრემიზმსა და არც ტრადიციულ „ნელსაცხებლებს“ არ მიმართავს... როგორ ფიქრობ, მამ რატომ მოწონხარ იმას, ვისაც მოწონხარ, და როგორ ახერხებ, მაინც საინტერესო იყო?

– როგორ ვთქვა, საერთოდ მშვიდად ვწერ, ტექნიკურად კი ვცდილობ, მოწესრიგებული ფრაზები ვწერო, ჩანდეს ის, რისი თქმაც მინდა და საკმაოები არ ფარავდეს სათქმელს. არ მიყვარს რეფორმები და მკვეთრი ფერების მოშველიება, გატკეპნილი გზებით სიარული მიჩვევია.

– გატკეპნილ გზაზე ხომ უფრო ძნელია საინტერესოდ დარჩენა და საერთოდ, დაძაბულად საუბრობ, თითქოს აუდიტორიის სიჭრელს ითვალისწინებ.

– მე მიჭირს საერთოდ „გახსნა“. იშვიათად მაქვს ასეთი საუბრები, საჯარო გამოსვლებსაც ამიტომ ვერიდები.

– შენ გაქვს ლექსის კითხვის შენეული მანერა. ეს ყველა ავტორს აქვს, მაგრამ როცა პირველად ბროდსკის ხმა მოვისმინე, მივხვდი, რომ ლექსის კითხვისას შენი და მისი „მუსიკა“ ძალიან ჰგავს ერთმანეთს. რაღაც მომენტში ისიც მომეჩვენა, რომ ლექსების აგებულებაც მსგავსია. ეს რაიმე კეთილი ზეგავლენაა თუ ლიად ბაძავ მას?

– თუ კონკრეტულად ბროდსკის ეხება, ალენიშნავ, რომ ამ პოეტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის. თუმცა მე სხვებსაც დავასახელებდი, რომელთა შემოქმედება აისახება ჩემს ლექსებში.

– ვის დაასახელებდი?

– უჰ, ბევრს... მე ხომ საერთოდ გავლენებისგან შევდგები. იყო დრო, განვიცდიდი ამას. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე კონკრეტულ პოეტს ვბაძავ, მაგრამ ძალიან

ხშირად ჩემში არის ამა თუ იმ ტიპის პოეზიის იმიტირების მომენტები. სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოეტები ახდენდნენ ამ ზეგავლენას. არ არის აუცილებელი, ვინმე მნიშვნელოვან პოეტზე იყოს საუბარი. მაგალითად, უმბერტო საბა. რალაცის წერისას მახსოვდა რომელიღაც მისი ლექსი. თუმცა საბა არ არის ჩემთვის ძალიან ახლობელი პოეტი. რაც შეეხება კითხვის მანერას, რა ვიცი, მგონია, რომ ძალიან ცუდად ვკითხულობ. იშვიათადაც მიწევს და არის თუ არა საჭირო, გამომდის ძალიან ემოციურად, რაც ზოგიერთ ლექსს შეიძლება მოუხდეს, უმეტესობას კი, განსაკუთრებით ბოლო წლებში დაწერილს, არანაირად არ უხდება ეს ალელეგებულ, ჩქარი და ემოციური კითხვა, რაც სხვებისა ცალიზიანებს და თეატრალური გგონია. ხელის თითებზე შემოძლია ჩამოვთვალო, რამდენჯერ მაქვს ნაკითხული საჯაროდ. ზოგადად ავტორის ხმა სხვა ემოციას იძლევა და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ლექსი მაინც ტექსტია, რომელსაც მკითხველი თვალთვალთ კითხულობს. წერისას ავტორის სუნთქვა და რიტმი გადაეცემა, მერე კი ნაწერი მაინც შიშველი რჩება და მას ხელს უშლის ავტორის სუნთქვა. ეს ფაქტზე ფაქტი საკითხია და პოეტებისთვის საკმაოდ სახიფათო, რომ დეკლამირებისას ახალმა რიტმმა არ გადასძალოს ტექსტი. და იმავდროულად კი სიტყვათა იმ კონკრეტულმა წესრიგმა შეიძლება ის რიტმი ვეღარ აღძრას, ამიტომ მე ვცდილობ ხოლმე, ჩავახშო ჩემში შინაგანი ცეცხლი, ე. წ. ემოციური ჰანგები. ისე, ლექსის კითხვა მართოს თუ დამიპირებია, უკეთესად გამომსვლია. ახლაც, ინტერვიუს დროს, თითქოს ვკომპლექსდები, მართო უკეთ ვისაუბრებდი. მე საერთოდ ბევრი კომპლექსი მაქვს...

**- და ხალხმრავლობას უფროსი...**

- უფრო არ გამომდის. მერე ჩემი თავით უკმაყოფილო ვარ ხოლმე, მაძიმებს. დავანებოთ ლიტერატურას თავი, ხომ მაქვს არალიტერატურული სამსახური, სადაც ლექსების ნაკითხვას არავინ მომთხოვს, ჰოდა, გაიმართა ჩვენს ოფისში ბანკეტი და არ მივედი. ეტყობა ამ თვისებას სერიოზული მიზეზები აქვს. პატარა ვიყავი, ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო. იმ ხალხმრავლობას მერე ბევრი სისაძაგლე და უამრავი სისხლი მოჰყვა. შეიძლება ამანაც განმხიბლა. ასევე არ მიყვარს ლიტერატურული რედაქციები თავისი ხალხმრავლობით. რადგან ის, რაც ძალიან ძვირფასია, ყოველდღიურ ცხოვრებაში არ მჭირდება, უფრო მეტიც, ბევრ რამეს მტკენს. ამიტომ უკეთესია შინაგანად ნაკლებმნიშვნელოვანი სამსახური. პოეტ მეგობრებს კი ხვდები, როცა ამის სურვილი გაქვს და გიხარია. ისინი გეუბნებიან, რომ ნაკითხეს შენი ბოლო პუბლიკაცია და მოეწონათ ან პირიქით. შენ კი გექმნება ილუზია, რომ საჭირო ხარ ანდა ამბიციების მოთოკვაა საჭირო.

**- ლექსებს ფხიზელი წერ? და საერთოდ, როგორ უყურებ დოპინგის შემოქმედებას შემოქმედებითი პროცესისას, ანუ რამდენად იძლევა იგი რეალიზების საშუალებას?**

- ლექსებს ფხიზელი ვწერ. არა, არის მომენტები მაშინაც, როცა ნასვამი ხარ, მაგრამ მალე ქრება, ფურცლამდე ვერ მიაღწევ. თან მე ასე უცებ არ ვწერ, დიდ-

ხანს ვმუშაობ, მოგვიანებით თუ გავაგრძელებ, განწყობა მეცვლება, მერე არეულად ვქმნი და დამთავრებაც მიძნელებს. ალკოჰოლი ან რომელიმე ნარკოტიკი შეიძლება ან მხატვრობაში, ან მუსიკაში შემოქმედებითს ხდიდეს ადამიანს. სიტყვასთან ძალიან ძნელია ამის გაკეთება. მე პირადად მიყვარს სმა, თუმცა, ჩემი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ეს ზომიერად მიწევს. თუ მთვრალი ვარ, ხელს ნაკლებად ვიმორჩილებ იმისათვის, რომ კალამი დავიჭირო. ასე რომ, როცა ვსვამ, მინდა დავლიო, და როცა ვწერ, მინდა ვწერო. ისედაც ათასნაირი სამყარო მოქმედებს ჩვენზე, გვყავს მეგობრები სხვადასხვა წრიდან, მათთან სხვანაირი ხარ, ნათესავებთან სხვანაირი, სამსახურში ან ქუჩაში სხვა. მერე წერისას ეს უამრავი „მე“ იკრიბება და ყოველი მათგანი თავისი გამოცდილებითაა დატვირთული, თავისას განმარტავს, მთლიანდება. პოეტობაც ხომ ჩვეულებრივი საქმიანობაა, შეიძლება უფრო ღრმა და თავისებურად ლამაზი, თან არც ისე ადვილი, ძალიან მძიმე, სერიოზულ და ხშირად ტლანქ შრომასთან დაკავშირებული.

**- ის, რომ ცოტას ხატავ კიდევ, არ გეხმარება, რომ გამოსატყვის ფორმებში გადაწინილდე?**

- ვხატავ ჩემთვის, რადგან ცოდნა ამ სფეროში არ გამაჩნია და ცხოვრებაში არ მიფიქრია, ღრმად შევსულიყავი ამ გარემოში. ერთხელ „არილში“ მონახაზებს ვაკეთებდი და ვილაცხვებო ლექსებს ვაფორმებდი. არც იყო მითითებული, რომ მხატვარი მე ვიყავი. ერთხელ კი შოთა იათაშვილმა „ალტერნატივას“ სპეციალური ნომერი გამოუშვა, სადაც ხატვის მოყვარული მწერლები დაბეჭდა. უარი არ მითქვამს, მით უმეტეს, შოთა ჩემი მეგობარია.

**- რადგან მეგობრები ვახსენებ და ვიცი, რომ შენი მეგობრები შენი თაობის მწერლები არიან, რას იტყვდი ამ თაობაზე, რამდენად ასრულებენ ისინი თავიანთ მწერლურ მისიას?**

- ამ კითხვას ალბათ მოყვება – ვინ მოგწონს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. დავასწრებ კითხვას, და იგივე ხალხს დავასახელებ, რადგან ცოტა არ იყოს სუბიექტური ადამიანი ვარ. ჩემი მეგობრები მომწონს – თემურ ჩხეტიანი, გიორგი ლოპუნიძე, მალხაზ ხარბეია, შადიმან შამანაძე, ელა გოჩიაშვილი, რომელთანაც ისეთი ხშირი ურთიერთობა არა მაქვს, მაგრამ ჩემს მეგობრად მივიჩნევ, საინტერესო პოეტია ქალებს შორის და კაცებს შორისაც, ბესო ხვედელიძე, ბევრი მეგობარი მყავს, ყველა ვერ დავასახელებ. ისინი სხვადასხვანაირები არიან და ბევრ საინტერესო ქმნიან.

**- ამას სუბიექტური ზვიად რატიანი ამბობს?**

- არა, ობიექტური. ისინი დასაფასებელი იმითაც არიან, რომ არ ჩამოსცილდნენ ამ საქმეს. ჩემს თვალში უამრავი ნაწარმოები დაბეჭდილა, მაგრამ მისი ავტორი უკვალოდ გამქრალა.

**- რატომ ბეჭდავენ მდარე ხარისხის ლიტერატურას იგივე შენი მეგობრები?**

- ასეთ დროს პრეტენზია მართლაც არ უნდა გქონდეს ავტორთან, რედაქტორმა უნდა აგოს პასუხი.

**- და შენ თუ იქნებოდი რედაქტორი?**

- არ დავბეჭდავდი.

**- და აკი სუბიექტური ვარო?**

- ამიტომაც არ ვარ რედაქტორი. გამიჭირდებოდა ძალიან. მე არა მაქვს იმ ტიპის გემოვნება, რედაქტორს რომ სჭირდება, გარდა ამისა, გადაულახავი უხერხულობის გრძნობა მაქვს, თან ახირებული ვარ, ხანდახან ერთმანეთისგან გამომრიცხავი რალაცეები მომწონს. გარდა ამისა, როცა მეც ვწერ, რალაცნაირად ჩემი განსასჯელი არ მგონია სხვისი ლექსი. არიან ადამიანები, რომლებიც თან ლიტერატორები არიან, რეცენზიებს წერენ, თვალსაზრისს გამოთქვამენ. მე კი არა ვარ მოკრიტიკოსო ტიპი. ვწერ და ვთარგმნი მხოლოდ პოეზიას.

**- მე მგონი არც ისე კმაყოფილი ხარ ხოლმე შენი თარგმანებით?**

- საქმე ისაა, რომ თავის დროზე გერმანულის სწავლა ინგლისურის ფონზე დავიწყე. ცოტა ხანში სიტყვების და გრამატიკული ფორმების რალაც მარაგი დამიგროვდა და დავიწყე ჩხირკედლაობა გერმანულ ტექსტებში ლექსიკონებით და თავხედობით მაშინ, როცა ნაკითხულის 80 პროცენტი ბუნდოვანი იყო ჩემთვის. მაშინდელია რილკეს თარგმანები, ცელანცი. მერე რალაც მომენტში დავაპირე ამ ყველაფრის ხელახლა დამუშავება, ახლაც გულზე მანევს, მაგრამ დიდი დრო უნდა მაშინდელი შეცდომების გამოსწორებას. ჰოდა, დავანებე ცოდვების გამოსყიდვაზე ფიქრს თავი, რადგან ამას მერე სხვა ცოდვები მოჰყვებოდა. გამოდის, რომ შესაძლებლობების 70 პროცენტი გამოსწორებაზე უნდა დამეხარჯა, 30 კი შექმნაზე.

**- შოთა იათაშვილი „ხმების კაცს“ თუ „ხმების შემგროვებელს“ გეძახის. ვისი ხმები გაქვს ჩანერილი?**

- ახმატოვა, ბროდსკი, პაზოლინი, ხარანაული... ხარანაულთან დაკავშირებით მახსენდება, ერთხელ შევკარი აკურატულად ჩემი ლექსები, არ მომერიდა და მივუტანე ბესიკს, რომელიც მანამდე ჩემს მომავალ სიმამრთან, თედო ბექიშვილთან შინაურულ სიტუაციაში მყავდა გაცნობილი. კაი ხნის მერე დავურეკე და ძალიან ომახიანად მითხრა, საჩქაროდ მოდიო. ჩემი სამსახური მისას ესაზღვრებოდა, ფაქტობრივად ერთი კედელი გვყოფდა, მომერიდა მეთქვა, ხუთ წუთში მოვალ-მეთქი და ოცდაათი წუთი ვუთხარი. კარგა ხანს ვიდექი სადარბაზოში. 12 ლექსი დაიტოვა და მალევე დაბეჭდა სხვათა შორის.

**- როგორც ვიცი, მხოლოდ საქართველოში არ იბეჭდები. პოსტსაბჭოთა ქვეყნები, ავსტრია...**

- პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე გამახსენდა.. ჩატარდა კონფერენცია ბაქოში, რომელსაც ლიტერატურულ-პოლიტიკური სარჩული ჰქონდა. ჩვენს გარდა უზბეკეთის მწერალთა დელეგაციაც იყო მიწვეული. ჯერ ვიტყვი, თვითონ დელეგაციის შერჩევა როგორ მოხდა. ცოტა ხნით ადრე რუსეთში დაიბეჭდა თანამედროვე ქართული პოეზიის პუბლიკაცია. აზერბაიჯანელებმა ნახეს ეს, შემდეგ დაუკავშირდნენ შოთა იათაშვილს, რომელიც ამ პუბლიკაციის მომზადებისას საორგანიზაციო საქმეებში მონაწილეობდა. მოკლედ, ჩვენ როგორც გეოგრაფიული მეზობლები, უზბეკები კი როგორც ენობრივი მეზობლები, მიგვიწვიეს. ისინი უფროსი ასაკის, ჩინიანი, ასე ვთქვათ, საჩინო მწერლები იყვნენ. მათ შორის იყო ოსმან აზიმი, რომელიც რატომღაც კარგა ხნის გარდაცვლილი მეგონა. აზერბაიჯანელებიც სოლიდური ასაკისანი იყვნენ. ჩვენ

ახალგაზრდები ვიყავით და მათ ფონზე ასაკისა თუ ჩაცმულობის გამო სასაცილოდ და არასერიოზულად გამოვიყურებოდით. გვეცვა ჯინსები, ვიყავით პირგაუპარსავები და ცოტა სხვანაირად მომართულები, როგორადაც აქ ვართ მიჩვეულნი, მაგრამ, როგორც მერე აზერბაიჯანელები გვარწმუნებდნენ, მოვუხდით იმ სიტუაციას. ვერ გავითვალისწინეთ, რომ ჰალსტუხიანი და შარვალ-პიჯაკიანი დელეგაცია დაგვხვდებოდა. ეს ჩვენი ჭრელა-ჭრულა შარვლები ძალიან სასაცილო იყო მათი გახამებული, თეთრი საყელოების ფონზე. ლიტერატურული ღონისძიება სამ დღეს გაგრძელდა, სადაც რუსულ ენაზე ან რუსულიდან კიდევ აზერბაიჯანულად თარგმნილ ჩვენს ლექსებს კითხულობდნენ. დანარჩენი დღეები მოხმარდა შეხვედრებს მაღალჩინოსნებთან და, რაც მთავარია, ქეიფს. სხვათა შორის, არაჩვეულებრივი არაყი აქვთ ბაქოში, ხოლო ლუდი - ასატანი ხარისხის. თბილი სიტუაცია შეიქმნა. კარგად ისმინებოდა ორიგინალში ნაკითხული ჩვენი ლექსები. მოკლედ, თუ გარეგნობითა და ასაკით არ გვექონდა წონა, სუფრაზე აშკარად გამოვიჩინეთ თავი და მოწოდების სიმალლეზე დავდექით. განსაკუთრებით უზბეკეთის დელეგაცია აღვავრთოვანეთ. თვითონ მათ ძველმოდურობა არ აძლევდათ ამდენი თავისუფლების საშუალებას და ჩვენ გვეუბნებოდნენ, რა მხიარულები და შეუზღუდავები ხართო. ასე რომ, სსრკ-ში მანამდე მოქმედი მექანიზმი, რომელიც ავტომატურად აგვარებს ურთიერთობებს ხალხებს შორის, იქაც ამუშავდა.

**- მოკლედ, როგორც იქნა, ჩვენი საუბარი ცოტათი მაინც გამსუბუქდა. თუმცა მაინც პოეზიის ირგვლივ ვტრიალებთ. ახლა მოვიყვები, როგორია ზვიად რატიანი შინ მუშაობისას, მაშინ, როცა იქ არის ცოლი, რომელიც ასევე ლექსებს წერს, არ იკვეთება მათი სამუშაო დრო? ან რომელს აქვს ერთგვარი პრიორიტეტი?**

- სანამ ჩვენ დავქორწინდებოდით, ლექსების წერა არც ერთი ჩვენთაგანისთვის არ იყო პრიორიტეტი. ახლა კი სხვადასხვანაირად ვმუშაობთ. მე ძირითადად რეჟიმული მუშაობა მახსიათებს. თუ სახლში ვარ, ე.წ. კაბინეტში ვწერ სანერ მაგიდასთან. თეონა სავარძელში ზის, მუხლებზე იდებს ფურცლებს. ასე რომ, სამუშაო ადგილები არ იკვეთება. იგი დიდი ხნის მანძილზე აგროვებს და ინერს პატარა-პატარა აზრებს. როცა დაუგროვდება, რალაც პერიოდის შემდეგ რამდენიმე ლექსს დანერს. ვთქვათ, ნახევარ წელიწადში. მე კი მაგიდასთან ვზივარ და რეჟიმულად ვმუშაობ. ვწერ და ვწერ ფრაგმენტებს. რაოდენობრივად დაახლოებით ერთი და იგივე გამოგვდის იმ განსხვავებით, რომ მე ვთარგმნი კიდევ. ისე კი ხშირად მოგვწონს ერთი და იგივე ავტორები, ვსაუბრობთ, ერთმანეთის გემოვნებასაც ვენდობით. სტუმრად მოსული მეგობრებიც ჩვენი ხელობისანი არიან. ბავშვები პატარები არიან, მაგრამ მათაც ესმით ეს საუბრები, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მე და ჩემი მეუღლე ხშირად ვსაუბრობთ ლიტერატურაზე. ორივეს გვაქვს კიდევ უამრავი სხვადასხვა საქმე. პოეზია კი ერთ-ერთი გზაა იმისკენ, რომ უფრო ძლიერი ადამიანები ვიყოთ. ესაა და ეს.

ესაუბრა  
ლელა კოდალაშვილი

## „ქართული“ ნობელი... ჯერჯერობით ამაო ოცნება?!

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2006 წლის პირველ ნომერში „კულუარების“ რუბრიკით გამოქვეყნებული მასალა „ნობელი... ნობელი“ გარეგნული სიმსუბუქისა და ფორმისეული სილალის მიუხედავად, ერთ ძალზე საჭირობოტო და მტკივნეულ პრობლემას ნამოჭრის, რაც უკვე, როგორც ჩანს, დიდი ხანია აწუხებს მსოფლიოს წიგნიერ საზოგადოებას. კერძოდ იმას, თუ როგორ გადაიქცა ნობელის ლიტერატურული პრემია, რომელიც თავიდან უკეთეს ნაწარმოებთა აღსანიშნავ ჯილდოდ გახლდათ ჩაფიქრებული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონიუნქტურის ქმედით იარაღად.

კარგა ხანია აღარავისათვის აღარაა დაფარული, რამდენი სახიფათო, იდუმალი დინების გადალახვა უწევს სალიტერატურო ნობელზე წარდგენილ წიგნებს და საბოლოოდ რა ნიშნით ანიჭებენ მათ უპირატესობას.

შეიძლება ითქვას, რომ სანობელე ნაწარმოებთა ლიტერატურული მხარე ერთგვარი არაარსებითი დანამატია ამ წიგნებისა და მათი ავტორების საზოგადოებრივი იმიჯისა, ხოლო ეს იმიჯი ხშირად მსოფლიო პოლიტიკური პროცესების შესაბამისად იკვეთება.

ამ თვალსაზრისით, ლიტერატურულ ნობელს ლიტერატურასთან უკვე აღარანაირი კავშირი არ გააჩნია და იგი გარკვეული საზოგადოებრივი ტენდენციების ნამახალისებელ და ხელისშემწყობ მექანიზმად გვევლინება.

ნობელის პრემიათა კომიტეტის ეს გამოკვეთილი თავისებურება წლებია მსოფლიო საზოგადოების კრიტიკასა და გულსწყრომას იწვევს. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ერთმა მაღალჩინოსანმა შვედეთის აკადემია ნობელის ლაურეატთა შერჩევასა კანდიდატთა ეროვნული და საზოგადოებრივი ნიშნით დისკრიმინაციაში დაადანაშაულა და თავისი ბრალდება იმ არგუმენტით გაამყარა, რომ დღემდე არცერთ ჩინელ მწერალს, უზარმაზარ ჩინეთში მცხოვრებ არცერთ ლიტერატორს ეს პრემია არ ღირსებია და, როგორც ჩანს, არც სამომავლოდ ეღირსება.

შვედეთის აკადემიას ასევე ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამოც, რომ იგი ნაკლებად ინტერესდება ქალი მწერლების შემოქმედებით, საერთოდ უყურადღებოდ ტოვებს არაევროპულ და არაამერიკულ ლიტერატორებს და მემარცხენე მწერალთა შემოქმედებას ჯიუტი და გამიზნული უგულისყურობით ეკიდება. ეს კი ისეთ ვითარებაში ხდება, როცა აღფრედ ნობელის ანდერძის თანახმად, ლიტერატურული პრემია უნდა გადაეცეს „ადამიანს, რომელმაც ლიტერატურის დარგში შექმნა ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოები ანდა სათავე დაუდო იდეალურ და მისაბამ მიმართულებას.“

ბოლო წლების განმავლობაში შვედეთის აკადემია ამ კრიტიკის გათვალისწინებას შეეცადა და საკუთარ საქმიანობაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მაგალითად, ქალ მწერლებს უფრო მეტი ყურადღება მიაქცია.

როცა 1997 წელს შვედეთის აკადემიის გადაწყვეტილებით, ლიტერატურული ნობელი ცნობილ იტალიელ დრამატურგს დარიო ფოს მიენიჭა, მაშინდელმა პრესამ ესეც ამ კომიტეტის მხრიდან გარკვეულ დათმობად აღიქვა, რადგანაც მაშინ თითქმის ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ მემარცხენე დარიო ფოსათვის ნობელის გადაცემა იყო პრემიათა კომიტეტის ერთგვარი მცდელობა შერყეული ავტორიტეტის აღსადგენად და ეჭვების გასაფანტად. სხვაგვარად, პრემიის მინიჭება კაცისათვის, რომელიც თავის დროზე კომუნისტური პარტიის წევრი იყო და პოპულარობას დროის მიერ აღზევებულ ჩინოვნიკებთან, პოლიტიკოსებთან, საეკლესო მოღვაწეებთან თუ რელიგიურ ფანატიკოსებთან წინააღმდეგობას უფრო უმადლოდა, ვიდრე მწერლურ ნიჭიერებას, მსოფლიო საზოგადოებას ვერაფრით აეხსნა.

ასეთივე მძაფრი რეაქცია მოჰყვა 2000 წლის ნობელის პრემიის ხოსე სარამაგოსათვის გადაცემას. პორტუგალიელი სარამაგო, რომლის სახელიც მისთვის ნობელის მინიჭების შემდეგ გახმაურდა, ბევრმა ამ დიდი პატივისათვის შეუფერებელ კანდიდატურად მიიჩნია.

ასეთივე წინააღმდეგობრივად შეფასდა ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება 2004 წელს გერმანელი ელფრიდე ჰაილინეკის დაფასების შესახებ.

როგორც ჩანს, ნობელის პრემიათა კომიტეტის არცთუ სამართლიანი გადაწყვეტილებები, გარდა კონიუნქტურული მოსაზრებებისა, იმითაც უნდა აიხსნას, რომ შეუძლებელია დღევანდელ მსოფლიოში ყველასათვის ერთნაირად მისაღები და საყვარელი მწერალი მოიძებნოს. დიკენსის ეპოქა დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა და არა მხოლოდ წერის მაშინდელი სტილი, არამედ მწერლისადმი დამოკიდებულებაც მნიშვნელოვანწილად შეიცვალა. თვითონ მწერალიც სულ უფრო და უფრო კონიუნქტურული გახდა და იძულებულია, ანგარიში გაუწიოს მსოფლიოში მიღებულ და გავრცელებულ შეხედულებებს, რომელთაც ხშირ შემთხვევაში პრესასა და საზოგადოებას მმართველი ზედაფენა, თანამედროვე ტიპის მსოფლიო ოლიგარქია შეუკვეთს. სხვაგვარად, მწერალს შეუძლია არათუ ნობელზე, არამედ საერთოდ, ნებისმიერ მნიშვნელოვან პრემიაზე ფუჭ და ამაო ოცნებებს თავი დაანებოს.

ადრე თუ ნობელის ბედი მწერლის კომუნიზმთან დამოკიდებულების მიხედვით იკვეთდა და როგორც მის მოწინააღმდეგე, ასევე მომხრე მწერალს შეეძლო ამ პრემიის იმედი ჰქონოდა (გავიხსენოთ თუნდაც ბორის პასტერნაკისა და მიხეილ შოლოხოვის მაგალითები), ახლა ვითარება უფრო რთულადაა და ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებები ბევრად უფრო ძრელ და მოულოდნელ გარემოებებზე ჰკიდია.

ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ეს პრემია იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც რომელიმე ქართველი მწერლისათვის მის მინიჭება საერთოდ მთელი ქართული ლიტერატურის დაფასებად შეიძლება ჩაითვალოს. არადა, ასეთ პა-

ტივს ქართული მწერლობა ნამდვილად იმსახურებს და ჩვენი რამდენიმე მწერალი ღირსეულად ამოუდგებოდა და ეგებ დაჩრდილავდა კიდეც ყველაზე უფრო გამოჩენილ ნობელიანტებს.

თუმცა რეალური შედეგის მისაღწევად ალბათ ძალიან ბევრი რამის, უპირველესად კი აზიური ქვეყნებისა და ნობელის პრემიების კომიტეტის ურთიერთობათა გათვალისწინება მოგვინევს. რაკილა არსითა და შინაარსით ევროპულ-დასავლური ქართული მწერლობა გეოგრაფიული პრინციპით, აზიასა მიკუთვნებული და შესაბამისად, ნობელის პრემიათა კომიტეტისაგან დაახლოებით იმავე დამოკიდებულებას უნდა ველოდოთ, რასაც ეს კომიტეტი ჩინეთთან, ირანთან, თურქეთთან და სხვა სახელმწიფოებთან მიმართებით ამჟღავნებს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებითა და ჩვენი ჭკვიანური, მიზანმიმართული მოქმედების მერე კი „ქართული ნობელი“ ეგებ არც ისეთი ამაო ოცნება აღმოჩნდეს, როგორც ეს დღეს, ამ ვითარებაში გვეჩვენება...

ლუკა ავალიშვილი

რეპორტაჟი

კრიტიკოსის დაბრუნება

\*

თეიმურაზ დოიაშვილის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ახალი კრებული



ქვას, მისმა შემქმნელმა ახალი სივრცე გაუხსნა ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობას – არამარტო გალაკტიონოლოგიის, არამედ XX საუკუნის ქართული პოეზიის, ქართული მხატვრული აზროვნების კვლევაში.

რადგანაც ნამდვილი მოღვაწეა, შესაბამისადაც „დაუფასდა“ მოღვაწეობა, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე – სამჯერ არის მოხსნილი და გაძევებული რედაქტორობიდან – ორჯერ „კრიტიკიდან“ და ერთხელ „ცისკრიდან“. იყო დრო, როდესაც საქართველოში საერთოდ არ დაედგომებოდა, უამრავი თავდასხმა მასზე, ყალბი შეფასებანი – ჩეკისტური წერილების მთელი სერია არ დაკლებია – ერთი სიტყვით, ამ მხრივაც მისი პორტრეტი კარგადაა გამოკვეთილი და დასრულებული.

მის სახელს უნდა ჩამოშორდეს ეს ყალბი აზრები და უმნიფარი შეხედულებანი და უნდა გამოვაჩინოთ იგი ისე, როგორც მან გამოაჩინა არაერთი ღირსეული მწერალი და მოღვაწე.

ლიტერატურული სტატიების კრებული „დაბრუნება“ ახალი წიგნია მის შემოქმედებაში და საკმაოდ თვალსაჩინოც.

შესავალში თვითონაც აღნიშნავს, რომ რალაც დროის მონაკვეთში მას შეწყვეტილი ჰქონდა კრიტიკული საქმიანობა, კვლევა და „ჩვენმა მწერლობამ“ დააბრუნა იგი ამ ასპარეზზე. წიგნის სახელწოდებაც „დაბრუნება“ სიმბოლურად ამას გულისხმობს.

ამ წიგნში თავმოყრილია უმეტესად „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებული სტატიები და ჩვენთვის ეს საამაყოა.

მაგრამ ამასობაში ისე მოხდა, რომ თვითონ გაზეთი „ჩვენი მწერლობა“ შეიქნა დასაბრუნებელი ქართულ კულტურულ სივრცეში და სალიტერატურო ასპარეზზე და ამისთვის კი თავი არ დაუზოგავს თეიმურაზ დოიაშვილს“.

ბელა ნიფურია:

„ეს წიგნი მართლაც უამრავ საკითხს აღძრავს მსჯელობისთვის, განსჯისათვის.

პირველი საკითხი მაინც საგანგებოდ მინდა გამოვყო, რის საფუძველზეც გვსურს საუბრის წარმართვა. ეს არის პოზიცია კრიტიკის მიმართ, კრიტიკოსის, ესთეტიკოსის

3 მაისის თავყრილობა.

კრიტიკოსის წიგნსაც სჭირდება განსჯა, შეფასება, განსაკუთრებით კი გამხსნევა ამ უმადურსა და აუცილებელ გზაზე. მითუმეტეს, კაცს, ვისაც თვალსაჩინო ღვანლი მიუძღვის ქართული მწერლობის წინაშე; წიგნი კი თავისებურად სიმბოლური სახელწოდებისაა – „დაბრუნება“.

როსტომ ჩხეიძე:

„ყოველთვის დაბეჯითებით გავიმეორებ: ლაპარაკი იმაზე, რომ არ არსებობს ქართული კრიტიკა, არის სრული გაუგებრობა, აბსურდი და შეთხზული იმით მიერ, ვისაც არაფერი გაეგება არც ლიტერატურის და არც კულტურისა.

თეიმურაზ დოიაშვილის გავლენა ქართულ მწერლობაზე თვალსაჩინოა. იგი გამოკვეთილი ფიგურაა, არამარტო როგორც კრიტიკოსი, არამედ როგორც მოღვაწე.

ჩვენს რეალობაში ამ სიტყვამ – მოღვაწე – დაკარგა თავისი შინაარსი, პირველადი მნიშვნელობა და გადაიქცა უბრალოდ საქმიანობის აღმნიშვნელად. ამიტომ მოირგეს ასე იოლად.

სინამდვილეში მოღვაწეობა არის ღვანლის დადება, განსაკუთრებული დამსახურება ერისა და კულტურის, მწერლობის წინაშე და თეიმურაზ დოიაშვილი სწორედ ამ ტიპის მოვლენაა.

ამაზე მეტყველებს თუნდაც მის მიერ დაარსებული ახალი დისციპლინა – გალაკტიონოლოგია – იმ რანგისა, გალაკტიონს რომ შეეფერება.

ეს კრებულები არ გახლავთ მარტოოდენ წერილებისა თუ ნარკვევების ჯამი, თუმც ასეც რომ ყოფილიყო, ამასაც თავისი მნიშვნელობა ექნებოდა.

ეს არის მართლაც დისციპლინა, განსხვავებული მიმართულება, საკმაოდ მყარ ნიადაგზე მდგარი; შეიძლება ით-

პოზიცია. წიგნის სახელწოდება „დაბრუნება“ გარკვეულ დროთა წინააღმდეგობრიობას, დროთა კავშირს გულისხმობს და ჩვენ გვაინტერესებს სწორედ კრიტიკული პოზიციის წინააღმდეგობა და ცვალებადობა, რომელიც ამ წიგნში აისახა.

მთავარი პოზიცია, რომლითაც ეს ავტორები თეიმურაზ დოიაშვილი და ლევან ბრეგაძე იყვნენ გამორჩეულნი, გახლდათ ძალიან მკაცრი კრიტიკული პოზიცია. ანუ როდესაც შემოქმედი პიროვნებისთვის მიუღებელია წერის ან მოქალაქეობრივი პოზიციის ესა თუ ის ფორმა, რომლის განსჯას და განხილვასაც ისახავდნენ ისინი მიზნად.

ამ წიგნში ორი წერილია ისეთი, რომელიც კრიტიკულ და პოლემიკურ პათოსს ინარჩუნებს, დანარჩენ შემთხვევაში ავტორი მსჯელობს ისეთ ლიტერატურულ ტექსტებსა თუ მეცნიერულ ნაშუქებზე, რომელთა ესთეტიკურ ფასეულობასაც აღიარებს.

როგორ შეიძლება ეს ცვალებადობა განვიხილოთ დროთა კონტექსტში? ანუ საბჭოური დროისა და პოსტსაბჭოური დროის ფონზე?

საბჭოურ დროში იყო სწორედ გამართული ის ცხარე და პოლემიკური საქმიანობა ამ ორი ავტორისა, რომელიც გულისხმობდა გარკვეულ დამარღვეველ მუშაობას გაბატონებული, ოფიციალური ენის მიმართ, ანუ მწერლები, რომლებიც კომპრომისული განაცხადებით ახდენდნენ თავიანთი პიროვნებისა და შემოქმედების დამკვიდრებას, გარკვეულ სარგებელს ნახულობდნენ ამით და თანაც რყვნიდნენ გარკვეულ ლიტერატურულ პროცესისა და ენის – როგორც მორალური ფასეულობის – სინამდის – და ეს ორი კრიტიკოსი მიმართავდა თავის საქმიანობას მათ წინააღმდეგ.

ეს იყო ისეთი სალიტერატურო კრიტიკა, რომელიც ცხოვრობდა და საქმიანობდა ორმაგი ენის, ორმაგი დისკურსის პირობებში, – ერთი იყო ოფიციალური ენა, რომელიც გვესმოდა ტელეეკრანებიდან, პუბლიცისტიკიდან და ამ სფეროში შედიოდა კრიტიკაც. ასე რომ, ოფიციალურ ენაზე კრიტიკის მხრიდან შეუძლებელი იყო იმ იდეოლოგიის დამარღვეველი საქმიანობა, რომლის პირობებშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობდით.

რამდენად იყო ლიტერატურა მონაწილე ასეთი ოფიციალური ენისა?

შეიძლება ითქვას, რომ ორი ტიპის ლიტერატურა გვქონდა. ერთი – არაოფიციალური, ანუ ისეთი ლიტერატურა, რომელიც არ აღიარებდა იდეოლოგიის საყოველთაო ბატონობას და რომელიც წინააღმდეგობოდა ამ იდეოლოგიის უფლებებს, მეორე კი ისეთი, რომელიც ფასადურ როლს ასრულებდა ოფიციალისთვის და რომელშიც ავტორები შინაგანი თანხმობის გარეშე აღიარებდნენ ამ იდეოლოგიის უფლებებს.

სწორედ ამ ფასადური ლიტერატურის წინააღმდეგ იყო მიმართული ამ ორი კრიტიკოსის მძაფრი კრიტიკული პათოსი.

დღეს ჩვენ ვხედავთ განსხვავებულ კრიტიკულ პოზიციას. დღეს თეიმურაზ დოიაშვილი წერს მისთვის საყვარელი ნაწარმოებებისა და მისთვის საყვარელი მწერლების შესახებ. ესენი არიან ვალერიან გაფრინდაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშინიძე, გივი გეგეჭკორი, რომელთაც საიუბილეო სიტყვებს უძღვნის და მიზნად ისახავს ძირეულისა და არსებობის აღნიშვნას მათ შემოქმედებაში.

ძირითადად 2003 წელს გამოქვეყნებულ წერილებში ვხვდებით ავტორებს, რომელთა დამსახურება ქართული

მწერლობის წინაშე არის უდავო და მათ მიმართ ავტორის პოზიტიური განწყობაც შესაფერისია.

ესენი არიან: ოთარ ჭილაძე, ლია სტურუა, ბესიკ ხარაიანი, იზა ორჯონიკიძე, გივი ალხაზიშვილის რომანები, ეთერ სახვადის პოეტური კრებული...

ყველა შემთხვევაში, როდესაც კრიტიკოსი წერს ლიტერატურული პროდუქციის შესახებ, წერს ესთეტიკურად კმაყოფილი მკითხველის პოზიციიდან, რაც თავისთავად შემობრუნების წერტილია. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ შემთხვევაში დაბრუნება, რომელსაც ახორციელებს თეიმურაზ დოიაშვილი, ესთეტიკური პოზიციის შემობრუნებასაც გულისხმობს, იმიტომ, რომ იგი შეგნებულად და მიზანმიმართულად მუშაობს ისეთ ლიტერატურულ სივრცეში, რომელიც მისთვის ფასეულ ნაწარმოებებს მოიცავს.

ამავე წიგნშია შესული ინტერვიუები – ავტორის მიერ ბოლო ხანს მიცემული ჟურნალ-გაზეთებისათვის, სადაც ბევრ საგულისხმოს ვკითხულობთ.

ერთ-ერთ ინტერვიუში თეიმურაზ დოიაშვილი ასახელებს რამდენიმე კრიტიკოსს, მათ შორის აკაკი ბაქრაძესა და გურამ ასათიანს, რომელთაც შეძლეს თანმიმდევრულად გაეხორციელებინათ თავიანთი მიზანი საბჭოთა პერიოდში.

ხოლო ახლა, დღევანდელი პოზიციიდან იგი ამბობს, რომ არის ცხოვრების რაღაც ახალი ეტაპი. სწორედ ასეა შეფასებული თეიმურაზ დოიაშვილის წერილები როსტომ ჩხეიძის წინასიტყვაობაში – ან შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მისთვის კრიტიკის ახალი ეტაპი და მისი, როგორც კრიტიკოსის პოზიცია ახლაც უცვლელია...“

**როსტომ ჩხეიძე:**

„რამდენჯერმე ვახსენეთ ლევან ბრეგაძე, ეს ბუნებრივიც არის, იგი არა მარტო თანაავტორია თეიმურაზ დოიაშვილის ორი წიგნისა და არაერთი სტატიისა, არამედ ბიოგრაფიულადაც მახლობელია მათი გზები. ისინი ერთად გამოაძევეს თავის დროზე აღმანახ „კრიტიკიდან“ და კიდევ განუცხადეს: ჩვენთან, მოგესხნებათ, ისეთი რეალობაა, სადაც ერთი და იმავე საქმისთვის კაცს გნებავს დასჯი, გნებავს – დააჯილდოვებო. თქვენ კი უნდა დაგსაჯოთო!“

**ლევან ბრეგაძე:**

„კრიტიკოსის წიგნი ადრეც იშვიათობა იყო და ახლა ხომ არის და არის იშვიათობა.

მხოლოდ რამდენიმე კრიტიკოსი შეიძლება დავასახელოთ და აქ ნახსენებიც იყო, ვისი ნააზრევიც გატაცებით იკითხება.

დღესაც მუშაობენ კრიტიკოსები მხატვრულ კრიტიკაში, რომელთაც აქვთ თავისი ფრაზა.

მე ძალიან დიდი ინტერესით ვკითხულობ როსტომის კრიტიკულ წერილებს, რომლებიც ზღვარზეა მხატვრული და კრიტიკული აზროვნებისა, სტილი აქვს მისეული და ნამდვილად აქვს ფრაზა, თან თავისი ფრაზა.

აგერ ნუგზარ მუზამეილი ზის, მისი წერილებიც ასევე გატაცებით იკითხება.

მერაბ ლალანიძეს აქვს თავისი ფრაზა, ძალიან დახვეწილი, სხვანაირი, ესეც მწერლის ფრაზაა, სიტყვასთან გამოინაურებული ადამიანის ფრაზა.

ასეთივეა თემურის წიგნიც. დიდი ინტერესით იკითხება ეს წიგნი. ლიტერატურასთან ახლოს მიჰყავს არამარტო ის, ვისაც სჭირდება და აინტერესებს, არამედ თუ შემთხვევით



კაცსაც ჩაუვარდა ხელთ, ლიტერატურისკენ გული რომ არ მიუწევდა, შეიძლება მასაც კი გაუკვალოს გზა ამ არაჩვეულებრივი და ესოდენ ლამაზი და ესოდენ საჭირო სფეროსკენ, რასაც ჰქვია სიტყვის, სიტყვიერი ხელოვნება.

ეს ფრაზას რაც შეეხება, მაგრამ ეს მაინც ზედაპირული მხარეა.

თორემ ისე, რაც გვაკითხებს ნებისმიერ ტექსტს, კრიტიკოსის შექმნილი იქნება თუ ჟურნალისტის, პოეტისა თუ პროზაიკოსისა – უპირველესად იმით, რომ იქ რაღაც ზედაპირზე არ დევს.

ის, რაც ზედაპირზე არ დევს, არის კვლევის საგანი; რაც კვლევის საგანია, ძალიან ნააგავს სფეროს ადამიანის მოღვაწეობისას, როგორცაა კრიმინალისტიკა. აი, ასეთი მიდგომა გვაკითხებს რომანსაც და განსაკუთრებით კრიტიკულ წერილს, რომელსაც ევალება სწორედ იმაზე გაამახვილოს ყურადღება, რაც ზედაპირზე არა ჩანს.

სხვა სიტყვებით, ეს არის ინტერპრეტაცია, რომელიც შეიძლება იყოს იმდენი, რამდენი წამკითხველიცაა. მოდური და ნაყოფიერი მიმდინარეობა და ტერმინიც რომ ვახსენოთ, ესაა – ჰერმენევტიკა – დასაბამიდან ადამიანის მოღვაწეობის უსერიოზულესი სფერო და დღეს საბედნიეროდ საგანგებოდ აქცენტირებული.

თითქოს დიალექტიკური აზროვნება ჩაანაცვლა ჰერმენევტიკამ. დიალექტიკა არსად წასულა, ისე იქ არის, მაგრამ აქცენტების გადატანა მოხდა. ეს ძალიან უწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ტექსტის გაგებას; და ესეცაა ამ ნივთში.

კიდევ ერთ თვისებას აღვნიშნავდი თეიმურაზ დოიაშვილისას, როგორც კრიტიკოსისას. სხვადასხვანაირია მისი კრიტიკული წერილები. იმპულსს ის ლებულობს თვითონ ავტორისაგან. ვთქვათ, გივი აღხაზიშვილზე დაწერილი წერილი სხვანაირია და სხვანაირია ბესიკ ხარანაულის პოემის – „ამბავი ამბა ბესარიონისა“ – რეცენზია.

ბესიკ ხარანაულზე წერილში თითქოს რაღაცით ემგვანება ბესიკს. ბესიკი რომ იქ ცოტა ირონიულია და აღიზიანებს მკითხველს, კრიტიკოსმა თითქოს ასეთივე ხერხი გამოიყენა და სტატია მის თეზა-ანტითეზაზე ააგო.

ძალიან ბევრი საიდუმლოება აქვს გივი აღხაზიშვილს და წერილი მასზე ამ საიდუმლოებების ამოცნობას ეძღვნება.

დაბოლოს ვიტყვი, რომ მართლაც, აი, იმ გაზეთის – რომელსაც ასე ველოდებით – დამსახურებაა, რომ თემურმა ეს ნივნი დაწერა“.

**ნონა კუპრეიშვილი:**

„მე მახსენდება ერთი პაროდია, რომელიც ჟურნალ „კრიტიკის“ ბოლო გვერდზე იყო დაბეჭდილი: „ვეძებ საკუთარ გამომცემელს, საკუთარ ხმას და კრიტიკოსს“. ეს პაროდია კარგად გამოხატავდა იმ სიტუაციას, რომელშიც უხდებოდათ თემურ დოიაშვილსა და ლევან ბრეგვაძეს პირველი ნაბიჯების გადადგმა.

საერთოდ, ჩვენ ყველანი, ამ ლიტერატურული სალონის ერთგული დამსწრენი, დავრწმუნდით, რომ ცუდი და კარგი დრო არ არსებობს. დრო, ალბათ, ყოველთვის ერთნაირია, უბრალოდ არსებობს ადამიანი, რომელიც ერთგულია თავისი პროფესიის, და არსებობს ადამიანი, რომელსაც არ ყოფნის ძალა და ნებისყოფა, რომ იყოს ერთგული თავისი პროფესიისა.

თემურ დოიაშვილი ჩემთვის არის კრიტიკოსი-პროფესიონალი, ბოლომდე ერთგული თავისი პროფესიისა, მიუ-

ხედავად იმ წლებისა, როცა მას თითქმის არაფერი ამ სფეროში არ შეუქმნია.

მაგონდება მისი ერთი ძალიან კარგი დიალოგი ტარიელ ჭანტურიასთან, რომელიც 70-იან წლებში დაიბეჭდა და ერქვა „ჯერი ახლა პოეტებზეა“. საუბრის თემა იყო მიმეტური და ანტიმიმეტური ხელოვნება. საუბარი იყო მეტაფორასა და ანტიმეტაფორაზე. ეს იყო ბრწყინვალე ნიმუში, როგორ უნდა საუბრობდეს კრიტიკოსი და შემოქმედი. აქ არც ყოფილა გამიჯნული პროფესიული ინტერესი, იმდენად თავისუფლად იჭრებოდნენ ერთმანეთის სფეროში.

თეიმურაზ დოიაშვილმა შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი კრებულები გალაკტიონის შესახებ, შექმნა გალაკტიონოლოგია და იქ არაჩვეულებრივი ავტორები გამოვლინდნენ... მე მაგონდება დავით წერეთლის წერილი, რომელმაც შემამინა, როცა ის ნავიკითხე, იმიტომ, რომ იშვიათად მინახავს ასე მიახლოებოდეს ავტორი გალაკტიონს. ეს პირდაპირ ჰგავს ცირკის არენაზე რაღაც სამიმ მოძრაობას, როცა ერთი არასწორი ნაბიჯი და შეიძლება უფსკრულში ჩაიჩეხო. შეიძლება ასეთი დონისა არაა, მაგრამ ასეთი პათოსით არის „გალაკტიონოლოგიის“ წერილები შექმნილი და გავა წლები და თეიმურაზ დოიაშვილი შეფასდება როგორც გალაკტიონოლოგიის შემქმნელიც.

თვითონ თემურ დოიაშვილიც ამბობს ერთგან, ჩემთვის პროფესიონალიზმი არის შინაგანი თავისუფლებაო. მეონი, ეს ძალიან ზუსტად არის ნათქვამი. ყველა ხელოვანი ხომ სწორედ ამისკენ ისწრაფვის“.

**გივი აღხაზიშვილი:**

„სათქმელი ძალიან ბევრი მაქვს, არამარტო ამ წიგნზე, არამედ ჩვენს პირად ურთიერთობაზე, ლიტერატურულ თანამოაზრობაზე.

საბჭოთა ხანაში თემურ დოიაშვილი და ლევან ბრეგვაძე სანიმუშოდ დასჯილი ხალხი იყო, სწორედ იმიტომ, რაზეც გამახვილა ყურადღება ბელა ნიფურია. ისინი არ სარგებლობდნენ იმ უპირატესობით, რასაც ჰქვია კონიუნქტურის მხარდაჭერა და მატერიალური უპირატესობის მოპოვება; კარგი ცხოვრების მოწყობა, რა გზაზეც იდგა ჩვენი მწერლების უმეტესობა.

ვინც ხარკი არ გაიღო ამ კონიუნქტურის წინაშე, ასეთი მწერალი ბევრი არ არის და, მათ შორის, თემურ დოიაშვილი და მისი თანამოკალმე თუ თანამებრძოლიც ლევან ბრეგვაძეა. ლაპარაკი არ არის 30-40-იან წლებზე, როცა ასეთი ქმედება სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ ადამიანებს.

ლაპარაკია დათბობის პერიოდის შემდგომ ხანაზე, როდესაც ეს მოჩვენებითი თავისუფლება, ეს ვითომცდა „თამაში“ ნიკიტა ხრუშჩოვისა თანდათანობით გადაიზარდა გარკვეულ საბჭოთა ავანგარდში – ეს სიტყვები მე არ მეკუთვნის, ეკუთვნის ბ-ნ ოთარ ჩხეიძეს, სწორედ მან შენიშნა მარჯვედ ეს რეალობა, – როდესაც ესეთიკური თვალსაზრისით მოვიდა ახალი თაობა, რომელმაც ბევრი რამ მოიტანა ახალი, მაგრამ ის მაინც გარკვეულწილად საბჭოთა ავანგარდის ნიშნებს ატარებდა“.

**ინგა მილორავა:**

„დიდი სურვილი მქონდა წიგნთან დავრჩენილიყავი პირისპირ, მარტო, ავტორისგან დამოუკიდებლად.

სანახევროდაც ვერ მოვახერხე ეს. პიროვნული ურთიერთობები ყოველთვის ახდენს გავლენას, მითუმეტეს, როცა ეს ურთიერთობანი თბილი და ადამიანურია.

გავა დრო, ეს ურთიერთობები განქარდება, მაგრამ ეს ნიგნი დარჩება და იმ მომავალი მკითხველისთვისაც თემურ დოიაშვილი იქნება ძალიან ძვირფასი და სანდო ავტორი.

ეს არის შინაგანად თავისუფალი და ზნეობრივი ნიგნი. ავტორი, როცა ჩვენს მწერლობაზე საუბრობს, ყოველთვის ეძებს ფესვებს. იგი დროში ხედავს გარკვეულ პროცესებს.

იგი უარს ამბობს მზა მოდელებზე და ნებისმიერ შემოქმედზე წერისას მის მიერ იქსოვება დამოუკიდებელი მხატვრული ქსოვილი. იგი ხშირად ამბობს „ემოციური პეიზაჟი“ და მე ეს ძალიან მომწონს.

ემოციურადაა დახატული ის სამყარო, რომელსაც ის უსადაგებს ამა თუ იმ პროზაიკოსს, პოეტსა თუ მოაზროვნეს. მას აქვს არაჩვეულებრივი ზომიერების გრძნობა და უიშვიათესი უნარი ლოგიკური წერტილის დასმისა და ზოგჯერ ამ წერტილის შემდეგაც მკითხველი დიდხანს აგრძელებს ფიქრს და ვერ წყდება მის სამყაროს.

კრიტიკოსი უნდა იყოს თუ არა კეთილი?

ზნეობრიობა თავისთავად გულისხმობს სიკეთეს.

ძალიან მომხვდა გულზე წერილი ეთერ სახვაძეზე და ეს წერილი არის ადამიანური კრიტიკის საოცარი ნიმუში.

გალაკტიონოლოგიის მნიშვნელობაზე უკვე ითქვა. მხოლოდ ერთ მომენტს შევეხები, რომელმაც ძალიან მომხიბლა. – თანამედროვე მეთოდოლოგიებთან მიმართება, სადაც კრიტიკოსი ამბობს, რომ არც მეთოდოლოგიათა ბრმა უარყოფას მოაქვს სიკეთე და არც მათ გაფეტიშებას – ტრადიციული ლიტერატურის კანონიერი, უკანონო და უძღები შვილები არიან ეს მეთოდოლოგიებიო.

ეს მნიშვნელოვანი ფრაზაა, რომელიც ყურადსაღებია კრიტიკოსისთვის, მკვლევარისთვისაც.

**გავა ლომიძე:**

„აქ თავმოყრილ წერილებში განსაკუთრებით იგრძნობა კრიტიკოსის სიღრმისეული ხედვა. თანაც თითქოს ხელისგულზე გვედოს ყველაფერი – ახლო და მისი ხედის მონაცვლეობით გარკვეულ მხატვრულ ეფექტს აღწევს ავტორი.“

შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ძალიან ადვილი იყო ყველაფრის დანახვა და ძნელი წარმოსადგენია, თუ რამხელა შრომა სჭირდება ამ საფუძვლის ჩვენებას.

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა წერილი რატი ამალაშვილზე, როცა ბევრი რამ სხვაგვარად დამანახა ავტორმა.

„გალაკტიონოლოგიას“ ვერცერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა საპროგრამო სტატია „მამულო, სიცოცხლეო“ – ნიშანდობლივია ფრაგმენტი ამ წერილიდან კონიუნქტურული ლექსების შესახებ, სადაც მხოლოდ თემურაზ დოიაშვილს შეიძლება დაენახა, რომ ამგვარ ლექსებშიც შეფარულია პროტესტი.“

**მაია ჯალიაშვილი:**

„არაჩვეულებრივი ნიგნია. ეს არის ნიგნი ნიგნების შესახებ. იქ ერთ წერილს ჰქვია: „ადამიანი შორი მგ ზავრია“.“

მართლაც, მთელი ცხოვრება ჩვენ ვმოგზაურობთ და ჩემთვის ეს ნიგნი იყო არაჩვეულებრივი მოგზაურობა ქართულ პოეზიაში.

მე არ ვიცნობ ბ-ნ თემურს პირადად, ასე რომ, სრულიად განყენებული შთაბეჭდილებები მქონდა ამ ნიგნთან დაკავშირებით. თემურ დოიაშვილი სხვებსაც შეაგრძნობინებს იმ

მადლსა და სილამაზეს, რასაც თვითონ შეიგრძნობს ჩვენი მწერლებისაგან.

გალაკტიონზე წერილში ასეთ ფრაზას ნავანყდებით: გალაკტიონი ქართული ენის ნიალიდან ისეთ მარგალიტებს ამოკრებს, რომელიც მე ქართველადყოფნის ნეტარებას განმაცდევინებსო.

ბევრი ამგვარი ფრაზა და შეფასება გვხვდება ამ ნიგნში, რომელიც რაღაც სხვაგვარად გაგვაოცებს და ახლებურად დაგვანახებს სამყაროს, მის მშვენიერებას.“

**როსტომ ჩხეიძე:**

„მაია ბრძანა, პირადად არ ვიცნობ ავტორსო! ეს ის შემთხვევა არ არის, მაია, რომ შეგეშინდეს გაცნობა ავტორისა, ვაითუ იმედი გამიცრუდესო. თემური არის სწორედაც ერთიანი მოვლენა – როგორც შემოქმედი და როგორც პიროვნება. ასეთი რამ კი დიდი გამოწაკლისია, სამწუხაროდ!“

**მერაბ ლალანიძე:**

„ჩემს სიხარულს გამოვხატავ, როგორც მკითხველი და როგორც ლიტერატურის შემფასებელი, ამ ნიგნის გამოსვლის გამო. კიდევ ერთი შესანიშნავი ნიგნი გამოჩნდა ქართველი მკითხველის თაროზე.“

ეს ნიგნი, გარდა იმ წერილებისა, რომელთა შესახებაც იყო საუბარი, მოიცავს ერთ ჩინებულ სტატიას, რომელიც ჩვენს გაზეთშიც დაიბეჭდა. ეს არის წინასიტყვაობა, რომელიც ამ ნიგნს სულ სხვა ფერს, გემოსა და მადლს ანიჭებს – ბატონი როსტომის წინასიტყვაობა, რომელმაც გზა გაუკვალა ამ ნიგნს.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა გაზეთში ნავიკითხე, მივიჩნიე, რომ არის სწორედაც შესაფერისი და შესატყვისი იმისა, რასაც წარმოადგენს თვითონ „დაბრუნება“.

მიხარია ის, რომ ეს კრებული რამდენიმე დღის წინათ „საბას“ ყიურის მიერ გამოცხადდა გასული წლის საუკეთესო ნიგნად კრიტიკის ნომინაციაში.

აქ ბევრი და მნიშვნელოვანი ითქვა ამ ნიგნის ლიტერატურული ღირებულებისა და პარამეტრების შესახებ; და მე მხოლოდ აღვნიშნავ ამ ნიგნის სანიშნულო მნიშვნელობას, სანიშნულო არა მხოლოდ ლიტერატურული კვლევის, არამედ ზნეობრივი თვალსაზრისითაც. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ორმა სტატიამ – ერთი, სადაც თემურ დოიაშვილი თავის მეგობარს იცავს არაპროფესიული შეტევისაგან, ეს არის წერილი თენგიზ მირზაშვილის დასაცავად (აპოლოგიაა ამ სიტყვის ძველი ბერძნული მნიშვნელობით!), არაპროფესიონალიზმში რომ დასდეს ბრალი. ეს არის ლიტერატურული ზნეობის ნიმუში – აკადემიური დონე შეზავებული მორალურ მოვალეობასთან – რასაც იგი გრძნობს თავისი კოლეგის წინაშე.

და მეორე სტატია, რომლის შესახებაც იყო უკვე საუბარი – „დევიაცია“, სადაც ის სახელი აქვს დარქმეული მოვლენებს, ადამიანებს, მათ საქციელს, როგორსაც ისინი იმსახურებენ. ასეთი ზუსტი და შთაბეჭდავი შეფასება, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათია.

ჩვენ ბევრ რამეს ვივნიწყებთ, ბევრი რამე თითქოს არ მომხდარა და არათუ მონანილენი შემზარავი ზნეობრივი გარემოსი, რომელიც კომუნისტურ პერიოდში საქართველოში იყო, არამედ შემოქმედნიც იმ რეჟიმისა თითქოსდა უმნიკვლონი და უდანაშაულონი იყვნენ.

ეს ნიგნი მართლაც სანიშნულოა.“

# გიორგი ლობჯანიძე ვისაც ყელში შეკავებული ცრემლის დანახვა შეუძლია

გივი აღხაზიშვილის პოეზიის უმთავრესი მახასიათებელი ის გარკვეული შერმეტულობაა, რომელიც, ჩვეულებრივ, პოეტის პროფესიონალიზმს მოსდევს და რომლის სიღრმეებში შეღწევაც მკითხველისაგან შინაგან მზადყოფნას, ერთგვარ ტრაგიკულ სიმალეს მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, მკითხველი, როგორც თანაგანმცდელი მთლიანად უნდა დაემთხვეს პოეტს, როგორც განმცდელს და თუ ეს ბედნიერი თანხვედრა მოხდა, მაშინ პოეზია თავის ნამდვილ ტონალობაში იფლერებს.

თუმცა გივი აღხაზიშვილის მშვენიერი წიგნის – „გაღწევის სურვილის“ ანოტაციაში აღნიშნულისა არ იყოს, ჩვენ ისეთ გარემოში ვცხოვრობთ, „სადაც პოეზიისათვის დღით დღე ნაკლები დრო და სივრცე რჩება“. ასეთ ყოფა კი უპირველესად ადამიანის საკუთარ თავთან გაუცხოებას გულისხმობს, რადგანაც როდესაც კაცი აღარ ცდილობს ნამდვილი პოეტის სათქმელი გაიაზროს, როცა მისთვის იდეალი პოეტი კი არა, დროს-ჟამისაგან აღზევებული საქმოსანი ხდება, იგი ამით უპირველესად თავის თავს ღალატობს.

გივი აღხაზიშვილის პოეზიის სწორი ნაკითხვა კი პირველ რიგში საკუთარ თავზე უშუალოდ, საკუთარი თავის დახვეწასა და სრულყოფას გულისხმობს.

ერთგან პოეტი წერს: „კი არ ვიზრდები, მე ვლრმავდები თანდათანობით“. ამ ერთი ბენო ლექსში ჭეშმარიტი ზრდის მახასიათებლად სიღრმე სახელდება. სიღრმეში წასვლა მტკივნეული პროცესია, რადგან ამით ნელ-ნელა შორდება ზედაპირს და ეს გაუცხოებას ყველაფერთან, რაც ზედაპირზე ტივტივისათვის არის განწირული. გაუცხოებას ზედაპირზე მოტორტმანე ხალხთან, რომელთათვისაც ყველაფერი და მათ შორის პოეზია ამქვეყნიური კომფორტის წყაროა. მაშინ როცა პოეზიის დანიშნულება ისაა, რომ საამსოვლო ნეტარების ბურუსში ჩაყვინთო, იმქვეყნიური, ნამდვილი ნეტარება გაგვახსენოს.

ამ თვალსაზრისით, გივი აღხაზიშვილის პოეზია ღრმად რელიგიური პოეზიაა. ესაა რელიგიურობა, რომლის მიზანსაც შესაქმენი თანამონანილეობა, შესაქმის თანაგანცდა წარმოადგენს. პოეტად ხომ ალბათ მაშინ იბადება ადამიანი, როცა იგრძნობს, რომ შესაქმე ჯერაც არ დასრულებულა და ღმერთმა ეს სამყარო და, უპირველესად საკუთარი თავი, ქმნის, შექმნის საკრალურ მისტერიაში ჩვენი ჩართვისათვის გვინყალობა.

სწორედ ასეთ საფიქრალს მოიყოლებს გივი აღხაზიშვილის ლექსთა რელიგიური ნაკადი და ასეთი განცდა უპირველესად მხატვრულ საშუალებათა ფაქიზი ოსტატობით იქმნება.

ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა ლექსი „დეკემბერი“, სადაც ძალზე ძუნძი მხატვრული საშუალებებით პოეტი სრულყოფილად გადმოსცემს ქრისტიანობის სიხარულს და ამასთანავე ნაღველს, რომელიც თან ახლავს ქრისტიანობას.

„სანთელი პარპალებს, ბარბარე, ბარბარე. ვის უხმობს პიკოლო? – ნიკოლოზ, ნიკოლოზ! მეცნობა ეგ ტემბრი სუსხიან დეკემბრის. ტალღები ბრწყინავენ, ვუყურებ მათ ლივლივს. რა დარჩა შობამდე? – დღეები დათვლილი“. ამ ლექსში მთავარია ბუნებრივი ინტონაცია, რომლის მოხელთებასაც პოეტი საგანგებოდ მარტივი მხატვრული ხერხების გამოყენებით ახერხებს. თითქოს ბავშვს იავნანას უმღეროდეს, ისე სადად ლივლივს ყველაფერს და ისე უარყოფს მთელ თავის შემოქმედებით გამოცდილებას, მთელ თავის ოსტატობას, რომლის ნიმუშადაც კრებულში თავმოყრილი ლექსებიდან ნებისმიერი, ალაღბედზე ნაკითხული ლექსი გამოდგება. თუმცა ეს უარყოფა რომ საგანგებოა, გემოვნებიანმა მკითხველმა შეიძლება ამავე ლექსის ერთ რითმაზე დაკვირვებით გაარკვიოს. „მეცნობა ეგ ტემბრი სუსხიან დეკემბრის.“ თითქოს უფრო მოსალოდნელი გახლდათ „ეგ ტემბრის“ სარიტმო წყვილი „სექტემბრის“ ყოფილიყო. ასეთი რითმა გივი აღხაზიშვილს თავის ერთ ადრეულ ლექსში აქვს გამოყენებული, და პოეტის ზრდას ამ ერთი რითმის გრადაციაც მიგვახვედრებს. მისთვის ამ შემთხვევაში ზრდა გულისხმობს იმას, რომ უარყო ყველანაირი გარეგნული ეფექტი, უარყო გარეგნული ბრწყინვალება და მხოლოდ შინაგან გიზგიზს ჩაჰყვე და ჩაულრმავდე.

ასეთივე საგანგებო თვითუარყოფის მაგალითად მესახება დეკემბერთან გამოყენებული განსაზღვრება „სუსხიანი“. მეტაფორისა და შედარების ჩინებული ოსტატის გივი აღხაზიშვილისაგან თავდაპირველად ასეთი სწორხაზოვნება შეიძლება ძალიან გვეუცხოვოს, მაგრამ თუ ამ უზრალო განსაზღვრებასაც კი მთელი ლექსის კონტექსტში წავიკითხავთ, მივხვდებით, რა დონის ოსტატთან გვაქვს საქმე და რა მნიშვნელოვანია მისთვის ლექსის თითოეული პატარა ნიუანსი. საქმე ისაა, რომ ლექსი ქრისტიანობას ეძღვნება. დეკემბრის სუსხი კი უკვე გარკვეულად ასიმბოლოებს ჯვარცმას, ბეთლემში შობილ ყველაზე გამორჩეულ ყრმას რომ ელოდება. ამიტომაც აღნიშნულ კონტექსტში დეკემბერთან გამოყენებული ნებისმიერი შედარება, ეპითეტი თუ მეტაფორა ისეთი მრავლისმეტყველი ვერაფრით იქნებოდა, როგორც ეს ერთი შეხედვით უმარტივესი და ძალზე სწორხაზოვანი „სუსხიანი“.

განხილული ლექსის განწყობილებას ეხმიანება კრებულის კიდევ ერთი საინტერესო ლექსი საღამოს ლოცვა: „მიქაელ, მიქაელ, დარდი გამიქარე! სული ამიხილე, ჩამიქრე თვალე, თავსაც შევეუძახებ: ნადი, აიკარვე, გეყოფა, რაც წერე მაგ ნატერფალებით“!

პირადად მე ძალზე ცოტა მეგულება ასეთი შინაგანი ტკივილით გამჟღავნებული ღვთისმოსაობის, ღმერთთან ასეთი ტკივილიანი თანაზიარობის გამომხატველი პოეტური სტრიქონები: „სული ამიხილე, ჩამიქრე თვალე“. სულის ახილება თვალთა ჩაქრობის სანაცვლოდ სულისა და ხორცის ურთიერთობის გარკვევის გარდა, ღვთის სხვაგვარი ნათლის ხილვის შესაძლებლობის თხოვნასაც გულისხმობს.

ეს ისეთი რელიგიურობაა, ღმერთთან იმგვარი ზიარებაა, რომელსაც თავის დროშად წინ ვერასოდეს აიფრიალებს უსახური ბრბოს ფანატიზმი, რადგან პოეტ გივი აღხაზიშვილისათვის ნამდვილი რელიგიურობა, ღვთის ჭეშმარიტი განცდა ადამიანის მასისაგან გამოცალკეებით, კაცის პიროვნული

მარტობიდან, საკუთარ თავში ჩაღრმავებიდან იწყება. შეგ-  
რძნებიდან, როცა მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოველი  
ჩქამი ცდილობს შენამდე მოაღწიოს და რამედ იქცეს ღიმი-  
ლად, პირჯვრად ხსოვნის ელდებად, რაც ირგვლივ არის შენ-  
ში გრძელდება და თავს აფარებს სიტყვების სივრცეს.“ აქ  
„შენამდე“, რა თქმა უნდა, ფიზიკურ სატრფოს, ან მხოლოდ  
ფიზიკურ სატრფოს არ მიემართება.

რახან ფიზიკური სატრფო ვახსენეთ, აქვე ალბათ საგან-  
გებოდ უნდა შევჩერდეთ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე,  
რომლის გააზრების გარეშეც აუხსენელი დარჩებოდა გივი  
ალხაზიშვილის პოეზიის ერთი ძალზე მნიშვნელოვანი თავისე-  
ბურება.

რელიგიური განცდის მტვირთველი ადამიანისათვის  
ცნობილია, რომ ღვთის შემეცნება, სულიერი სამყაროს შე-  
მეცნება სხეულის სრულყოფილი შეცნობის გარეშე ვერას-  
დროს ხერხდება. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ,  
ღვთისკენ მიმავალი გზა რაღაც ძალზე არსე-  
ბით მონაკვეთში უსათუოდ სხეულსაც გაივ-  
ლის და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან  
ჩვენს სულებს ამქვეყნად ყოფნის, წვდომის,  
განცდისა და გააზრების საშუალება სწორედ  
ჩვენი სხეულის ყალიბში ეწყობა. ამიტომაც  
ფუჭი იქნება სხეულის (სამშენიველის) გაუაზ-  
რებლად სულიერი მადლის გააზრების ყოვე-  
ლი მცდელობა.

ვფიქრობ, სწორედ ამ კონტექსტში უნდა  
შეფასდეს გივი ალხაზიშვილის უაღრესად სა-  
ინტერესო პოეტური ციკლი „ქაცვიას დღიუ-  
რიდან“, რომელიც ჩემი ფიქრით, კი არ უპი-  
რისპირდება მისი პოეზიის რელიგიურ ნაკადს,  
პირიქით ამ ნაკადის ორგანულ და აუცილე-  
ბელ ნაწილად აღქმება.

შემთხვევითი არაა ისიც, რომ ამ ციკლს  
„ქაცვიას დღიური“ ჰქვია. ამით პოეტი თავიდანვე არაორაზ-  
როვნად მიგვანიშნებს, ვის დაესესხა და რატომ. ალბათ, არ  
შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს არ ჰყოლია დავით  
გურამიშვილზე უფრო ღრმად რელიგიური პოეტი. სულ რომ  
არაფერი მცოდნოდა ქრისტეს მოძღვრებაზე, მისი „ღვთის-  
მშობლის მოთქმა“ პირადად ჩემთვის საკმარისი იქნებოდა  
საიმისოდ, რომ ჯვარცმულის მესავი, მოყვარული და მოიმე-  
დე გყოფილიყავი.

„დავითიანი“ კი ამ ტიპის ლექსთა გარდა „მხიარულ ზაფ-  
ხულს“ („ქაცვია მწყემსსაც“) აერთიანებს. მისტიკასთან გუ-  
რამიშვილის დაკავშირებით როგორ მარჯვედაც არ უნდა ავ-  
ხსნათ „ქაცვია მწყემსის“ ეროტიკული პათოსი, მაინც ცხადია  
ერთი რამ – ამ ლექსებს, ამ გიზგიზა ვნებას ვიდრე უფლის  
საწრეტელამდე მიაღწევდა უსათუოდ უნდა გაეველო ჯანსაღი  
მამაკაცური სხეულის კალაპოტი. სულიერ და ეროტიკულ  
ჭმუნვათა ერთ ნივანდ გაერთიანებით კი გურამიშვილმა  
სწორედ იმ ჭეშმარიტებაზე მიგვანიშნა, რაზეც ზემოთ მო-  
ვახსენეთ – სრულყოფილად ვერასოდეს შეიცნობს სულს,  
თუკი ჯერ შენივე სხეული და მასში უფლის ნაწყალობევი  
მადლი არ შეიცანი.

აქედან გამომდინარე, გივი ალხაზიშვილის ქაცვია მწყემ-  
სის ეროტიზმი რადიკალურად განსხვავდება ბოლო ხანს ქარ-  
თულ სალიტერატურო პრესაში მოძალბებული სენსუალური  
და მხატვრულ –ესთეტიკურად გაუმართლებელი ნიმუშები-  
საგან. სი კი არა, ჩემი ფიქრით, პოეტისაგან ასეთი ციკლის  
შექმნა ერთგვარი რეაქციაც გახლდათ ამ ტენდენციებზე და  
გივი ალხაზიშვილს „ქაცვია მწყემსით“ უნდოდა ჩვენთვის შე-

ესხენებია რას ნიშნავს ლიტერატურაში ნამდვილი ერო-  
ტიზმი, რა მიზნით უნდა მიმართო ამს და როგორ უნდა აქცო  
სხეული სულის ზედაპირად, სულის მეორე მხარედ.

რაკი დავით გურამიშვილ ვახსენეთ, აქვე საგანგებოდ  
მინდა ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც შევეხო. ყოველი დიდი  
პოეტის დაბადება, რამდენადაც ერთი მხრივ ბედნიერებაა  
ქვეყნისათვის, მეორე მხრივ იგი შეიძლება პროფესიული სა-  
ლიტერატურო პროცესების ნამდვილ ჭირად, სნებად გადა-  
იქცეს, რადგანაც მისი აღმოჩენის იმდენად დამთრგუნვე-  
ლად მოქმედებს თანამოკლამებზე, რომ ხშირად რამდენიმე  
საუკუნეც კი ყველაფერს თავის ტვიფარით დაღავს და აცამ-  
ტვერებს. ეს რა თქმა უნდა რუსთაველსაც ეხება, რომლის  
შემდეგ საქართველოს ერთ-ერთი სწორედ ზემოაღნიშნული  
მიზეზის გამო გურამიშვილამდე აღარ ჰყოლია ჭეშმარიტად  
დიდი პოეტი. რუსთაველიდან გურამიშვილამდე ქართული  
პოეზია მხოლოდ რუსთაველის ხაზით განვითარდა და მხო-  
ლოდ გურამიშვილმა მოახერხა ახალი სული  
შთაბერა ქართული სიტყვისა და სალექსო  
ფორმებისათვის. გურამიშვილი სანიშნოა  
სწორედ ლექსის თვისობრივი განახლებისა  
და შეჩვეულ სივრცეში ახალი სალექსო ფორ-  
მების შემოტანის თვალსაზრისით.

გივი ალხაზიშვილი ამ მხრივაც დავით გუ-  
რამიშვილის გზის ღირსეული გამგრძელებ-  
ლია, რადგან მან შეძლო თავის პოეზიაში შე-  
მოქმედებითად აეთვისებინა თანადროული  
ქართული პოეზიის ყველა მნიშვნელოვანი  
მიღწევა და სალექსო ფორმათა ნიუანსები  
ახალ სიმაღლეზე აყვავა.

საგულისხმოა, რომ იგი დღემდე ერთგუ-  
ლი დარჩა კონვენციური ლექსისა, რომელსაც  
მისი ხელის შეხება მუდამ ახალ-ახალი ელფე-  
რით აელვარებს. პოეტისათვის ოსტატობა

აქამდე არსებულის საფუძვლიან გააზრებას გულისხმობს და  
ცდილობს, თითოეული კარგი ლექსით კონვენციური ლექ-  
სწყობის დაფარული, ჯერ კიდევ ხელუხლებელი შესაძლებ-  
ლობანი ამოხსნას.

ბოლო ხანს ხშირად გაიგონებთ აზრს, რომ თითქოსდა  
ტრადიციულმა რითმამ თავისი შესაძლებლობები ბოლომდე  
ამოწურა და ამ მხრივ ახალ აღმოჩენებს აღარ უნდა ველო-  
დოთ. ამას ძირითადად ისეთი მოკალმეები ამტკიცებენ, რო-  
მელთაც კონვენციური ლექსის ნიუანსები არასოდეს გაუაზ-  
რებიათ, შემოქმედებითი მონაფეობის ძალზე მნიშვნელოვა-  
ნი პერიოდი გამოტოვეს და საქმის გაიოლებისათვის პირდა-  
პირ ურითმო ლექსებზე, ეპოქის მოღურ და გავრცელებულ  
ფორმაზე გადავიდნენ. ამით კი იმ მხატვრებს დაემსგავსნენ,  
რომელთაც გრაფიკაში ხელგაუფარჯიმებლად, ნატურალის-  
ტური მხატვრობის ნიუანსთა გაუაზრებლად, მაშინვე პიკა-  
სოობა მოინდომეს.

გივი ალხაზიშვილი კი თავის უმცროს კოლეგებს შეიძ-  
ლება შემოქმედებითი პასუხისმგებლობის ბრწყინვალე მა-  
გალითად გამოგვადგეს. იგი დღესაც, პოეტური სიმნიფის  
ასაკშიც, პირველკლასელი მონაფეის სიბავჯითი დაეძებს  
თვითგამოხატვის ახალ ხერხებსა და საშუალებებს. კვლავაც  
ჭაბუკური ფინით ატანილი დასტრიალებს ლექსის იდუმალ  
შრეებს და ამ შრეებიდან ამოტანილი ახალი შტრისებით  
მთელ ქართულ პოეზიას ამდიდრებს და ასხვავერებს. ამ  
მხრივ, თვითონ გივი თავისი უფროსი კოლეგისა და მეგობ-  
რის ტარიელ ჭანტურიას ერთგული თანამოსაგრეა, ვისმა  
თავდაუზზავამა მეცადინეობამაც ქართული ლექსი, ქართუ-



ლი სალექსო ფორმები თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა. თუმცა, რასაკვირველია ეს თანამოსაგრეობა არ გულისხმობს იმას, რომ გივი რაიმეთი ცდილობს ტარიელ ჭანტურიას დაიემსგავსოს. თუ აქა-იქ ტარიელის მიერ ქართულ პოეზიაში შემოტანილი ინტონაცია გივის ლექსებშია ცაკრთება, ასეთ ლექსებს ნამდვილი პროფესიონალისათვის დამახასიათებელი კეთილისინდისიერებით, ინტონაციის ჭეშმარიტი პირველადმომჩენისა და დამამკვიდრებლის სახელიც ანერია.

ამის გაკეთება გივი ალხაზიშვილს არ უძნელდება, რადგან საკუთრივ მისი ინტონაცია, მისი პოეტური არსენალი იმდენად მდიდარია, რომ თავისი ადგილის მოსანიშნად მარტო ერთს კი არა, რამდენიმე პოეტს ეყოფოდა.

ხოლო სწორედ იმიტომ რომ კლასიკური ლექსის ნიუანსთა ფაქიზი მცნობი და ოსტატია, განსაკუთრებული და გამორჩეულია მისი ვერლიბრიც, რომელიც ცალკე – მისივე კონვენციური ძიებებისაგან მონყევებით – ვერაფრით აღიქმება.

ამ ტიპისა და, საერთოდ, განსახილველი კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია „ნაყინის გამყიდველი“, სადაც ერთი პატარა მონაკვეთით მთელი ცხოვრების ტრაგეზმში განიცდება.

„ძმის მოლოდინი“ – ერთი სიტყვით ასე დახასიათდეს პოეტ გივი ალხაზიშვილის მთელი შემოქმედებაც.

აკი თვითონაც წერს: „მის მოლოდინში მივეჩვიე ლექსებად ფიქრს და ფანჯარაში ვარსკვლავთა ცქერას და ცრემლის ყელში შეგუბებას, რომ თვალში არ გამოეღწია.“

ოღონდ, რა თქმა უნდა, ჩვენი დეფინიცია, ისევე როგორც ლექსი ძმაზე დაწერილ ამ სტრიქონთა ზოგადი პათოსი, მხოლოდ ფიზიკურ ძმას არ გულისხმობს. იგი, უპირველესად სულიერ თანამოძმეთა ძიებაა, რომელთა რიცხვიც თანდათან, ადამიანის სიღრმეში წასვლის პარალელურად თუ პირდაპირ-პროპორციულად ცოტავენება.

ამ სიღრმიდან პოეზია ცრემლის ყელში შეკავებაა, რომ თვალში არ გამოაღწიოს. მაგრამ სანამ უფალი დაგვყურებს, იმის იმედს გვაქვს, რომ არსებობს ვიღაც, ვისაც ყელში შეკავებული, დაუღვრელი ცრემლის თვალის უბებში დანახვა შეუძლია.

ლიტერატურული სიახლენი

მაკა ჯოხაძე

ახალ საუკუნეს „ახალი საუკუნით“



მიმონიშვა

ჟურნალმა „XX საუკუნე“ ჩვენი ქვეყნისათვის ურთულეს წლებში დაიწყო გამოცემა.

სასიამოვნოა, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ ისევ განახლდა მისი გამოცემა უკვე ახალი სახელწოდებით – „ახალი საუკუნე“.

ჟურნალს თავისი მკაფიოდ გამოხატული კონცეფცია გააჩნია, რომელიც დიზაინით დაწყებული და მასალებით დამთავრებული ყველაფერში იკითხება (ჟურნალის რედაქტორია – რეზო თაბუკაშვილი უმცროსი).

გარეყდის პირველ გვერდზე, გაფხეკილი მაგიდა რომაა გამოხატული, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არქაული ჭურჭლის ნამტვრევებით აწყობა ძველი პურის ნაჭრები. ხოლო ბოლო, მეოთხე გვერდზე, თავდაპირველად რომელიღაც ლანდშაფტის ამორფულ ხატებას რომ მოგვაგონებს, თანდათან მჟღავნდება უცნაურად მწუხარე პეიზაჟი – შემის პურს რომ ეძახიან, იმ ფორმის ნაპრალიანი, ობოკიდეული ზედაპირი: ქვეყანა, რომელშიც პურსა და ღვინოს ამგვარ „პატივს“ მიაგებენ, დასალუპადაა განწირული (გარეკანის დიზაინი ეკუთვნის ცნობილ ფოტოხელოვანს გურამ ნიბახაშვილს).

არც ის მგონია შემთხვევითი, რომ ჟურნალი იწყება შესანიშნავი ქართველი მოღვაწის, რეზო თაბუკაშვილის „დაუფიქნარი სახელებით“ (დიქტოფონზე ჩანერილი სამუშაო ვარიან-

ტი ფილმებისა – გაბრიელ ეპისკოპოსი, გრიგოლ ფერაძე, ქეთევან წამებული), ფილმის კონსტრუქციით და მთავრდება დიდი შევიცარიელი მეცნიერის, იუნგის სალექციო კურსის ბაჩანა ბრეგვაძისეული თარგმანით, რომელიც ანალიტიკური ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემებს შეეხება.

იუნგი ამბობს, რომ ჩვენში მიმდინარე პროცესების (ბუნდოვანი წარმოდგენების) შესასწავლად საჭიროა საგანგებო ლაბორატორია... ჩემის მხრივ დავამატებდი – ღმერთმა ამ „ბუნდოვანი წარმოდგენების“, ქვეცნობიერის შესასწავლად და საკვლევად ადამიანი საგანგებო ლაბორატორიით აღჭურვა, როცა მას შემოქმედების ნიჭი უბოძა. ამიტომ, პირადად ჩემთვის, სწორედ მხატვრული შემოქმედებაა ის, რაც ყველაზე უკეთ და უშუალოდ იკვლევს არაცნობიერს, იკვლევს მხატვრული ლოგიკით, მხატვრული ხერხებითა და საშუალებებით... ეს არაცნობიერი კი, თავის მხრივ, ამჟღავნებს და აცნობიერებს ქვეყნის, ერის ჭეშმარიტ სოციალურ-პოლიტიკურ, სულიერ-ზნეობრივ და მორალურ სახეს (რაობას).

ჟურნალ „ახალი საუკუნის“ 2005 წლის № 13-12-ში წარმოდგენილი ნებისმიერი მასალა – ლექსი, პიესა, მოთხრობა – სწორედ ამ სურათის ხატვას, რეალობის მოუხელთებელი ნაშების „მოხელთებას“ ემსახურება.

ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე ტრაგიკული პროცესების ადექვატურია ჟურნალში წარმოდგენილი პოეზია.

თამაზ ბაძალუას ლექსების კითხვისას მუდმივად ჩნდება პოეტის მიერ წინასწარ წაკითხული ბედისწერით გაოგნება.

სხვათა შორის, ეს უცნაური ინტუიცია თამაზის სიცოცხლეშიც გვაშფოთებდა შინაგანად, რადგან მაშინაც ვგრძნობდით, რომ ეს არ იყო შემთხვევითი, ახალგაზრდული ასაკისათვის ჩვეული „ტრაგიკული ლიტერატურმწინა“.

ეს რაღაც სხვა იყო, – მხოლოდ მისთვის განდობილი და გასაგები ხილვები.

ტრაგიკული აღსასრულის მერე, დღევანდელი გადასახედიდან, ჩნდება სრული განცდა:

სიკვდილი იმდენად დაუმეგობრდა, რომ წინასწარ, წლების განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ შეამზადა და შეიყვანა მიღმიური სამყაროს წიაღში.

არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრებას სწავლობენ; არიან ადამიანები, რომლებიც ტანჯვას სწავლობენ.

გიგი სულაკაურმა (ეს პირველივე პუბლიკაციებიდან ჩანდა) ცხოვრება ვერ ისწავლა, ტანჯვასთან ერთად კი თითქოს დაიბადა.

იგი ნამდვილი პოეტია და ამიტომ ერთსაც და მეორესაც კი არ სწავლობდა, თითქოს უმკლავდებოდა. მაგრამ მეჩვენება, რომ ნლების მერე ეს გამკლავებაც პასიური გახდა, შენედა, თითქოს ეზარება, თითქოს ამქვეყნიური აღარაფერი აინტერესებს. ამიტომ ჩამუქდა, ჩამოლამდა მისი განწყობილებები, დაიკარგა ალიონისა და ბინდის სევდიანი სუსხი. უფრო მეტიც, თითქოს თვითონვე ეზიდება საკუთარ თავს გარდუვალი აღსასრულისაკენ, თვითონვე აჩქარებს პროცესს; თითქოს თავად მიჰყავს ცნობიერების ყველა უჯრედი ამ „სასურველი დაღუპვისაკენ“. ამას მხოლოდ მამის ხილვები, არჩილ სულაკაურთან მიახლების ღრმა ლტოლვა კი არ განაპირობებს, არამედ ზოგადად, ძვირფასი სახელებით დასახლებული ირეალური სამყაროსადმი უკიდურესად გამძაფრებული შეერთების სურვილი. ამას ლაღადებს ყველა მისი მეტაფორა, ადასტურებს ინტონაცია და სერაფიმ როუზის გამოცდილებისა არ იყოს, გიგის ლექსებში სხეულიდან გაყრილი სული მუდმივად ზემოდან დასცქერის დაუნდობლად დარბეულ საკუთარ სხეულს.

ბაადურ ბალარჯიშვილის დინამიურ, ენერგიულ ლექსებს, მიუხედავად ცხოვრების ძირფესვიანად ცოდნისა, „სოლომონის ბეჭედში“ რომ გამჟღავნდა, ისევ შემორჩა სიცოცხლის მწარე ხალისი. იქნებ ვცდები, მაგრამ ამ ხალისის შენარჩუნება „თელაური ქრონიკების“ ბრალიც მგონია, ამ ბებერი, ერთდროულად პროვინციული და არისტოკრატიული ქალაქის ჩუმი ენერგია, კეთილი, უხილავი დონორივით შეიპარება პოეტის ნარმოსახეებში და ამქვეყნად ყველაზე უფრო გაცვეთილ და პროზაულ ადგილებსაც კი საოცარი ფერწერით მოხატავს:

**სადგურს გასწვრივ მოციმციმე ნათურები მარჯნებია, მარტობას სისხლქანგთან იარებად აჩნდებიან, თვალები კი ნანვიმარი ვაგონების ფანჯრებია და მიქრიან გამუდმებით – დიდხანს არსად არ რჩებიან.**

ამათ ფონზე უცნაურად გულუბრყვილო და ნაივურია გაგანახეციონების სტრიქონები და მისი აქვარელიც ვაშლის ხის კენწეროზე გატარებულ ბავშვობას ყოველგვარი პოზის გარეშე ჩუმად და ფაქიზად ხატავს.

ძალზედ რთულია ცხოვრებისეული სიმართლე მხატვრულ სიმართლედ აქციო, ანუ შექმნა ახალი რეალობა, რომელიც ისევე შეეხება ჩვენს სულსა და გულს, როგორც ცხოვრება.

ყურნალში ნარმოდგენილ პროზაში მეტნაკლები სიძლიერით ეს სირთულე დაძლეულია. აქ ალბათ იმის გათვალისწინებაცაა საჭირო, თუ რომელი ავტორი რა მხატვრულ ამოცანას ისახავს მიზნად.

მართალია, ჯერ არ დასრულებულა ზურაბ სამადაშვილის ნაწარმოების „როცა ხიფათი გვერდითაა“ ბეჭდვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, გარკვეულ შთაბეჭდილებებზე ლაპარაკი ალბათ მაინც შეიძლება. ავტორის მიზანია, გვიჩვენოს რეალობა, რომელშიდაც ვცხოვრობთ. თხრობა ვიზუალურია, კინოკადრებით ენაცვლებიან ერთმანეთს ქალაქისა თუ აგარაკის პეიზაჟები, ყოფა, ნივთები, ინტერესები. ისეთი განცდა ჩნდება, თითქოს სრული უწონადობის, ვაკუუმის პირობებში ერთნაირად დატივტივებენ როგორც უსულო საგნები, ისე



ადამიანები, მათი შთაბეჭდილებები, გაცდები, ემოციები. ყველაფერი ზერელობითაა დაღდასმული, თითქოს არაფერია ხელჩასაჭიდი. საკუთარ ეზოში, შინაურ ღორზე მონადირე წყალნალეულთათვის ხავსის არსებობის საჭიროებაც კი აღარ იგულისხმება მოსაჭიდელად. ყველას და ყველაფერს – სილამაზეს, სიმდიდრეს, უბინობას, სიცოცხლეს, სიკვდილს... ფასი აქვს დაკარგული. სრული გაქრობის, გადაგვარების ინერციით მიიწევს თხრობა წინ და აღარ იცი თეთრწყაროში, ოთახში ძლივს დატეულ სამ კუბოზე (ერთი დიდი და ორი პატარა) უარესი რალაუნდა იხილონ ბატონმა დავითმა და ახალგაზრდებმა, რომ უგონო ტემპში ჩართულები წამით შეჩერდნენ და საკუთარი არარაობის შეგრძნება წამით მინც აღმოაჩინონ. არ ვიცი, რით დასრულდება ყველაფერი, ჯერჯერობით კი ეს წამი არ ჩანს.

ისტორიული ანალებიდან ყველაზე მძლავრი თუ სახელოვანი გამარჯვებების გამოხმობა და მერე ფონად გამოყენება საიმისოდ, რომ დღევანდელი დამამცრობელი ნაგებები კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩინო, ეს უკვე ტენდენციაა.

ეს ტენდენცია აშკარად იკითხება ანა კორძაია-სამადაშვილის ირონიული ინტონაციით შესრულებულ პროზაში, როცა ვთქვით „დიდგორის ველისხელა“ ლოგინში ჩაგდებულ პერსონაჟს, ავტორის სიტყვებითვე რომ ვთქვათ „ეროტიული აღარ ჰქვია ამას, მძიმე პორნოგრაფია“ ესაზღვრება.

არჩილ სულაკაურს ერთ ჩემს ადრინდელ მოთხრობაში ბიჭი არ მოუვიდა თვალში. მოთხრობა კარგია, მაგრამ ეს ტიპია ცოტა ქალაჩუნა, ვერაფერი გაუგეო. ახალგაზრდული ეგოცენტრიზმი მოგესხენება. მეწყინა და არც მაცია არც მაცხელა პირდაპირ „განვუმარტე“ – რას ვიზამთ, ბატონო არჩილ, ესაა ეგეთი ეკზოტიკურები წამოვიდნენ „შურისძიებისა“ და „ბიჭი და ძაღლის“ (იგულისხმება გ. გეგეშიძის და არჩ. სულაკაურის მოთხრობები) მაგვარი ბიჭები უკან ჩამოიტოვებს-თქო...

ეს ამბავი ანა კორძაიას პერსონაჟმა ქალმა გამახსენა. მიუხედავად თვითკრიტიციზმის ერთგვარი ხიბლისა, რომლითაც ე.წ. ლირიკული გმირი საკუთარ ფიზიკურ მონაცემებსა და სულიერ უძღურებას უშურველად თათხავს, მიუხედავად ირონიის დიდი დოზისა, როცა გამოცდილი ქალის დამშეული სხეული უარს ამბობს მომხიბვლელ აზიელ მაჩოსთან დანოლაზე და ამის მიზეზად, გაგანია გლობალიზაციის ფონზე, „ისტორიული მეხსიერება“ მოიზრება – (ვინ იცის ამ სასურველი ჯველის პაპისპაპას, ცნობილი შემოსევების დროს, ჩემი ბებუის ბებოც კი ჰყავს გაბახებულში), მიუხედავად „კლასობრივ მტრად“ მონათლული ერთი ბურჟუა ქართველი კაცისა, თავისი ყურადღებანიობის ორბიტიდან სადისტური პერიოდულობით რომ აგოყებს ყურებამდე შეყვარებულ ქალს და პლატონური მიჯნურის სტატუსით კმაყოფილდება, ამ მოთხრობის დაწერის მიზეზი გაცილებით ღრმა და სერიოზულია, ვიდრე ეს შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს. ანას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ერთი შეხედვით „უმიზეზო ნაღველი“ ამ მოთხრობის რეალურ დროში, „ისტორიული მეხსიერების“ მსგავსად, უამრავ დრამატულ და ტრაგიკულ შრეებს წამოშლის. და ეს სერიოზული პრობლემატिका მწერლის მიერ თხრობის ერთგვარი სიილითა და მატყუარა დაუდევრობით, ძალიან ჭკვიანურადაა შეფუთული.

სახიჩარი სინამდვილის, სახიჩარი ურთიერთობების ჩვენება, ასევე სახიჩარი და სრულიად ახალი ტიპის პერსონაჟე-

ბით: კლონებით, მუტანტებით, ორსქესოვანი არსებებითა და დასახლებული ლაშა თაბუკაშვილის მახინჯი პლანეტა „ასტეროიდი“. იმდენად არაბუნებრივია გარემო და ურთიერთობები, რომ თვით მუტანტების მიერ დადგმული სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა 20 წლის შემდეგ“, რომელსაც სიყვარულის ყოველგვარი რომანტიზმი საგანგებოდ აქვს გამოცდილი და კლასიკური პერსონაჟები ყოფითი წვრილმანებით დამინებულ ირონიაში იხრჩობიან, ერთი სული გაქვს კიდევ დიდხანს გაგრძელდეს, რაც შეიძლება გვიან დამთავრდეს, რადგან მიუხედავად რეჟისორის მოპოდიშებისა:

**ბოლოში შექსპირს, შევაბოტე მე მის წიაღში, როგორც მარტორქამ ვენეციურ შუშის დახლებში...**

მიუხედავად ნაბახუსევი რომეოსი, ლოგინად ჩავარდნილი ძიძასი და ოჯახური საქმიანობით ილაჯგანყვეტილი ჯულიეტასი, მაინც ამათი „ბაასის“ მოსმენა გირჩევნია, კლასიკური ინტონაციით რომ ააჟღერა ლაშა თაბუკაშვილმა, რადგან მიუხედავად სარკაზმისა, ადამიანური სითბო შეუნარჩუნა დიალოგს.

„ჩემი საყვარელი მოთხრობა“ – ამ რუბრიკის ქვეშ კიდევ ერთხელ მეორდება უნიჭიერესი ქეთი ნიჟარაძის „ავტოპორტრეტი“... პირადად მე უნდა ვთქვა, რომ უზადო ესთეტიური სიამოვნება და გაცემა, რაც მის მიერ მარგერიტ დიურას რომანის „საყვარლის“ თარგმნამ მომგვარა, იშვიათად განმიცდია. ეს თავისთავად რთული რომანი სათარგმნელად ურთულესია. აღმოსავლეთის, სამხრეთისა თუ დასავლეთის ასეთი ცოდნა გასაგებია დიურასისაგან. ამ დიდ ინტელექტუალს პრაქტიკულად შემოვლილი ჰქონდა ყველაფერი. ჰონკონგშიც უცხოვრია და ალბათ სინტრას რიჟარაძეებსაც შესწრებია ოკეანის პირას პორტუგალიის მიდამოებში. ქეთი ნიჟარაძემ საიდან?! რანაირად მოახერხა, ეგრძნო და გვეგრძნო აღმოსავლეთის პორტებში დაბმული თუ ლუზაჩაშვებული გემების რწევა და რადიკალურად განსხვავებული ფერი და სურნელი მონიკელბული, მოლაპლაპე დასავლეთისა, ისე როგორც რეალურად, ბუნებრივად არსებული, მაგრამ სხვათა თვალში „არშემდგარი“, „ჩაშლილი“ სიყვარული ყვითელკანიანი ჩინელი კაცისა თეთრკანიან ევროპელ ქალთან.

ბოლო წლებში ქეთი განსაცვიფრებელი ენერგიით, სასიცოცხლო ძალების უკიდურესი დაძაბვითა და ვერმოსწრების ერთგვარი პანიკური შიშითაც კი შრომობდა. რა სამუხარობა, რომ ქეთი ასე ადრე წაეღო ჩვენგან.

საგანგებოდ მინდა შეეჩერდე არჩილ ქიქოძის ბრწყინვალე მოთხრობაზე „ნასვლა“. ხევსურულ დიალექტზე დანერგულმა ტექსტმა თავიდან ცოტა არ იყოს გამაღიზიანა, მაგრამ მალე მივხვდი, რომ მთის უმძაფრესი ტკივილით აღსავსე პროცესის გადმოცემა, სწორედ ამ ფორმით, ქართული ენის სწორედ ამ დიალექტით შეიძლება.

ესაა ფორმა-შინაარსის ზუსტი თანხვედრა. უფრო მეტიც, ეს დიალექტი თითქოს თავგანწირული მცდელობაა იმისა, რომ ხევსურეთიდან ნასვლა შეჩერდეს. მთიდან აშლას, კერიის მოშლას, გადაშენებას, გაქრობას, გაჩანაგებას მწერალი თითქოს ფორმითაც ეწინააღმდეგება, თითქოს სურს ჩვენს (ცნობიერებაში) ხსოვნაში დასავინყებლად განწირული ეს დიალექტი ჩატოვოს...

ისტორიული ნადირთხოვცვა, ამდენი ლეში, გვაში, ტალახი, ეს გახელება, ეს გაჭიანურებული ნასვლა-არნასვლის, მოშლა-არმოშლის სცენა, მარტყოფელი მძღოლის ეს პანიკური სურვილი, დროზე გააღწიოს ხეობიდან, ეს ვერმონელებული კონტინენერი, რომლის სტომაქშიც ორი ოჯახი კი არა და, თუ გაჭირდა 2 სოფელიც ჩაეტევა თავის ბარგი-ბარხანიანა, ეს

გახევებული მხეცები, წელგამართული შუნები, თვინიერად რომ უშვერენ შუბლს ტყვიას, ეს უცნაური თვითმკვლელი შიო, სიკვდილის წინა წამებში ასეთი კეთილშობილებით რომ უფრთხილდება უდანაშაულო ცოლის რეპუტაციას, ყველა და ყველაფერი მოთხრობაში შფოთისა და განწირულობის დამლთაა აღბეჭდილი.

ჩქინების მოულოდნელი გამოჩენაც, ასევე მოულოდნელად რომ გაქრებიან საქართველოს ულამაზეს, რთულ რელიეფზე, ერთდროულად განგაშისა და დიდი თანაგრძნობის განცდას ინვეეს მკითხველში, რადგან მათი ლტოლვილობა და ტყე-ღრეში უმოწყალო ხეტიალი უსამართლო ხოცვა-ჟლეტისა და დევნილობის შედეგია. სწორედ ამიტომ სამშობლონართმეული ხალხისადმი უსაზღვრო მადლიერებით გვეცემა გული, რადგან, მიუხედავად ყველაფრისა, ვერ გატყენს, ღირსება ვერ აპყარეს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძვიან და დათმობას არ აპირებენ.

მკითხველის ცნობიერებაში ამ ასოციაციების პარალელურად ბრუნდება ერთი აზრით შეპყრობილი, ავად მონუსხული ხევსურეთი, რომლის დიდ ნაწილსაც გადაუწყვეტია, გაუსაძლისი პირობებიდან აიყაროს და ბარად ჩაღწეულმა ოდნავ მაინც მოითქვას სული. ერთეულები კი, უფრო ზუსტად პიროვნებები, როგორც ეს ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროში ხდება, უფრო ღრმად ხედავენ და გრძნობენ საბედისწერო პროცესის მომავალ შედეგს – ნასვლას, რომელიც გამოიწვევს გადაჯიშებას. ამიტომ ინტუიტიურად, გუშანით, მთელი არსებით ეწინააღმდეგებიან მშობლიური კუთხის მიტოვებას. ხშირად უკიდურესი ფორმებით, თვითმკვლელობითაც კი ებრძვიან ამ კარგად გათვლილ და დაგეგმილ ბოროტებას, რაც შეიძლება დროზე დაცარიელდეს მთა – ტრადიციების, ზნეობის, ღირსების, ჯანმრთელობის და სულიერი მხნეობის ეს არქაული ნაკრძალი. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბოროტება მაინც უფანტაზოა. ამიტომ არაფერი ხდება ახალი, ეს მცდელობა, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის რეზერვუარებში ანუ ქალაქებში თავმოყრისა, ჯერ კიდევ კომუნისტებმა წამოიწყეს.

და ბოლოს, მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო დროზე, იმ დროზე, რომელშიც ცხოვრობდა, იბრძოდა და მოღვაწეობდა უფროსი რეზო თაბუკაშვილი და იმ დროზე, რომელშიც ცხოვრობს და მუშაობს უმცროსი რეზო თაბუკაშვილი.

არსებითად რა განსხვავებაა ამ ორ დროს შორის? არსებითად ალბათ არც არავითარი. უბრალოდ, უფროსი რეზო თაბუკაშვილის პერიოდში (ვგულისხმობ მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხანას) ტრადიციების, ღირებულებების, ფასეულობების კვდომის პროცესი უფრო შენიღბულად და მდორედ მიმდინარეობდა... ინტერნაციონალიზმის წიაღში სავარაუდოდ აღრევის, გათქვეფის გეგმას რევაზ თაბუკაშვილი დაეინყებულ სახელების გაცოცხლებით ეწინააღმდეგებოდა და ამას იგი იდიებულად ახერხებდა.

ჩემს თაობას იშვიათად ახსოვს ერის, როგორც ერთიანი სულისკვეთების მატარებელი მთლიანი ორგანიზმის განცდა ისე ნათლად, როგორც ეს ოთხმოციანი წლების საღამოებზე ხდებოდა, როცა ფილარმონიის დიდ დარბაზში სუნთქვაშეკრული მაყურებელი რეზო თაბუკაშვილის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებს უყურებდა. მთელი დარბაზი გაოგნებული ადევნებდა თვალს საქართველოს მეჭურჭლეუხუცესის, ექვთიმე თაყაიშვილის ძვირფას სახეს და მის მორიდებულ შემონათვალს, როდესაც ემიგრაციიდან დაბრუნებას სთხოვდნენ უკვე გასაბჭოებულ საქართველოში, რომ ხეირიანი კოსტუმი არ გააჩნდა და ასე დაკონკილი სამოსით დაბრუნება კი ერიდებოდა ამდენი ხნის უნახავ სამშობლოში...

და ამას ამბობდა მოხუცი, რომელმაც ნაჩუქარი და საგან-  
ძურს შემატებული კუთვნილი პირადი უძველესი მონეტაც კი  
არ გაიმეტა და არ გაყიდა, როდესაც ევროპისა და ამერიკის  
მუზეუმებმა დიდძალი თანხა შესთავაზეს მასში. მოხუცმა,  
რომელმაც ფაქტობრივად თავის ულამაზეს მეუღლესთან ერ-  
თად სილატაკეში გაატარა ემიგრაციული (და არა მხოლოდ  
ემიგრაციული) წლები, სიცოცხლე და ჯანმრთელობა შესწირა  
იმას, რომ საქართველოსათვის უმდიდრესი საგანძური გადა-  
ერჩინა და დაებრუნებინა.

უმცროსი რეზო თაბუკაშვილის დროინდელი სინამდვილე  
გაცილებით უფრო აგრესიული, ისტერიული, დაუნდობელი  
ტემპით მიიწევს წინ... ლაჩარი და სწორედ ამიტომ დაუნდო-  
ბელი კაცებით შექმნილი სამყარო კი ძალიან კარგად ჩანს სა-  
ერთოდ მის მოთხრობებში, ასევე ჟურნალ „ახალი საუკუნის“  
ამ ნომერში წარმოდგენილი მოთხრობითაც, რომელსაც ეპო-  
ქის სულისკვეთების გამომხატველი გამოაგნებელი სათაური  
აქვს – „მზეო არ ამოხვიდე“. ღირსების სიკვდილს სწორედ ამ  
პარადოქსული მონოდებით უპირისპირდება თითქოს მისი თა-  
ობის საუკეთესო ნაწილი.

გერტრუდა სტაინმა თავის დროზე ძალიან მკაცრი განაჩე-  
ნი გამოუტანა მთელს თაობას, როცა მას დაკარგული თაობა  
უნოდა. ჩვენ ვერ დავარქმევთ ამ თაობას დაკარგულს. ისინი  
უფრო „განირული თაობის“ სახელს იმსახურებენ... (ვის მიერ  
და როგორ გაიწინა, ამაზე ამჯერად სიტყვას აღარ გავაგ-  
რძებლბ...)

„ჩემთვის არ არსებობს განცდა – „ეს უკვე იყო, ეს მე არ  
მეხება“.

ეს „არ მეხება“ ყველაზე დიდი აბსურდია სამყაროში. სამ-  
ყაროს არ უყვარს აბსურდები, რადგან სამყარო ღვთაებრივი  
ლოგიკის მაუნყებელია ყველგან და ყოველნამს.

აბსურდი ამ ლოგიკის წინააღმდეგ სვლაშია.  
ამიტომ ანმყო ყოველთვის წარსულითაა დალდასმული და  
მომავალიც ანმყოს ჭიპლართაა გამობმული.

ბოროტი ნების ადამიანები ყოველთვის ამ ერთობაზე ნა-  
ღირობენ.

ამიტომაა ხსოვნა მათთვის ყველაზე დიდი კონტრაბანდა.  
ხსოვნაა მამოძრავებელი და ძირითადი სტიმიული წინ-  
სვლისა. ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნამდვი-  
ლი ქმედება და წინსვლა ქმედების ილუზიამ არ შეცვალოს,  
როგორც ეს არაერთგზის მომხდარა და ხდება.

ვუსურვოთ ჟურნალ „ახალ საუკუნეს“, წარმატებით  
ემოღვანეოს ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში და ღირსეუ-  
ლად გაეგრძელებინოს როგორც შორეული, ისე უშუალო წი-  
ნაწერების დიდებული საქმიანობა.

რაც უფრო გონიერი და გულიანი ადამიანები შეუნყოვენ  
ხელს ყოველი ასეთი კეთილი საქმის წამოწყებას, მით უფრო  
მოგებულნი დავრჩებით ჩვენ ყველანი ერთად. რადგან მჯერა  
და დაბეჯითებით კიდეც ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ  
მწერლობა ორმხრივი სიყვარულია და ხელოვანის მიერ განე-  
ული გარჯა სამყაროს სასარგებლოდ მიმდინარეობს.

პაატა ჩხეიძე

# კურტ ვონეგუტის წინასწარმეტყველება

ძალებსა, რომლებიც ანგრევენ პიროვნებებს; აიძულებენ  
ადამიანებს ჩაიდინონ ბოროტება სიკეთის სახელით“ – წერს  
ადამ რ. მარტონი ესეიში „ნუ იკითხავ თუ რა შეუძლია გააკე-  
თოს შენმა სამშობლომ შენთვის...“

ნოველა „ჰარისონ ბერჯერონი“ არის ამბავი მომავალი  
მსოფლიოსი, სადაც ყველა გათანასწორებულია. მთავრობა  
ანესრიგებს ყველაფერს, ყოფას, ნიჭიერებას, ძალ-ღონეს, სი-  
ლამაზეს და სათანადოდ ათანაბრებს ადამიანებს. მიზანი, რა  
თქმა უნდა კომუნიზმია, როცა ყველანი ერთნაირები იქნებიან.

„2081 წელი იდგა და, ბოლოს და ბოლოს, ყველანი გათანას-  
წორებულიყვნენ, მხოლოდ ღვთისა და კანონის წინაშე კი არ  
გამხდარიყვნენ თანასწორნი, არამედ ყველა ყოველმხრივ გათა-  
ნასწორებულიყო“. (კურტ ვონეგუტი, „ჰარისონ ბერჯერონი“).

ლონიერი ადამიანებისათვის საფანტით გაცხებული მძიმე  
ჩანთები ჩამოეკიდათ, ლამაზებისათვის მახინჯი ნიღბები ჩა-  
მოემხოთ, ინტელექტუალებს ყურსაცვათა ტარებას აიძუ-  
ლებდნენ, საიდანაც გამუდმებული ხმაურები ისმოდა, ფიქრში  
ხელის შესაშლელად.

ჰარისონ ბერჯერონი ღვთაებად მოჩანს ამ გასაშუალოე-  
ბულ სამყაროში, „გენერალ-გამტოლებელი“ მას ვერაფერს  
უხერხებს; იგი გოლიათია, ლამაზი, ჭკვიანი, მისი შემაფერხე-  
ბელი ვერაფერი მოუგონიათ.

ერთ დღეს ჰარისონის დედ-მამა ტელევიზორს უყურებს  
და ხედავს თუ როგორ შეიჭრება ციხიდან გამოქცეული ჰარი-  
სონი ტელესტუდიაში, ჩამოიგლეჯს შემაფერხებელ ბორკი-  
ლებს, სხვებსაც გაათავისუფლებს, დააკრევიანებს ჩინებულ  
მუსიკას და მშვენიერ ბალერინასთან ერთად, ვისაც თავის  
ცოლად გამოაცხადებს, ცეკვავს. შემოვა გენერალ-გამტოლე-  
ბელი, დაიანა მუნ გლემპერსი, და ორივეს მოკლავს. და ამ სა-  
შინელ ტრაგედიას არაფერი მოჰყვება, რადგან ხელისუფლე-  
ბა აუტანელი ხმაურებით გონებას უხშობს ჭკვიან ადამიანებს.

განა ეს დღევანდელ ჩვენს ყოფას არ გავგონებთ? რაც უნ-  
და დიდი სისულელე და უსამართლობა ჩაიდინოს ხელისუფ-

კურტ ვონეგუტის „ჰარისონ ბერჯერონი“\* ჯორჯ ორუე-  
ლის „1984“-ს ეხმაურება. როცა ეხმაურებას ვამბობ, არც გავ-  
ლენას და, მით უმეტეს არც პლაგიატს არ ვგულისხმობ; კურტ  
ვონეგუტისათვის ჩვეულია ფანტასტიური ტექნოლოგიების  
გამოყენება და ფუტურისტული სიტუაციების შექმნა თავის  
ნაწარმოებებში; გარდა ამისა, დიდი მწერლები გავლენებს  
თავს ვერ აღწევენ და დიდნი იმით არიან, რომ განსხვავებული  
თვალთ ალიქვამენ იმას, რაც სხვა დიდ მწერალს უკვე დაუნა-  
ხავს, და განსხვავებულად მოგვითხრობენ თუ გვიხატავენ ერ-  
თხელ უკვე ნათქვამსა თუ დახატულს.

კურტ ვონეგუტმა დიდი წვლილი შეიტანა და, იმედია,  
კვლავაც შეიტანს, მეოცე საუკუნის ამერიკული რომანის გან-  
ვითარებაში; მეტად მნიშვნელოვანია მისი გავლენა თანამედ-  
როვე სოციალურ სატირასა და არატრადიციულ სამეცნიერო  
პროზაზე. „ერთ-ერთი თემა, რაც მეორდება მის შემოქმედე-  
ბაში, გახლავთ განზოგადებული აღწერა სახელისუფლებო

\* ქართული თარგმანი, შესრულებული პაატა და როსტომ ჩხე-  
იძეების მიერ, გამოქვეყნებულია ჟურნალში „ალტერნატივა“  
(2005, №5).



ლებამ, მონუსხულები ვსხედვართ ტელევიზორებთან და არ ვინძრევით, სანამ იგივე ხელისუფლება ტელევიზორის საშუალებით არ მოგვინოდებს და მაშინვე თავქუდმოგლეჯილნი გამოვრბივართ ქუჩაში და ხმისჩახლეჩამდე ვღრიალებთ ტელევიზორიდან დასწავლილ ლოზუნგებს.

ჰარისონ ბერჯერონი მარტოხელა გმირია, მოკლეული გადაგვარებული ხელისუფლების მიერ და არა მასების ბელადი. რა დააშავა ჰარისონმა? – ზნეობრივად არაფერი! კანონის წინაშე მისი დანაშაული ის არის, რომ პიროვნულობის ჩამშობი ბორკილები მოიძრო და ტელევიზიაში შეიჭრა. იგი იმიტომ მოკლეს, რომ ქვეყნისათვის მშვენიერების ჩვენება სურდა.

კურტ ვონეგუტი ერთმანეთს უპირისპირებს გოლიათი და ლამაზი გმირის პიროვნულ ამბოხსა და გათანაბრებული, გათანასწორებული საზოგადოების ფილოსოფიას. ჰარისონის მამა, ჯორჯი, საშუალოზე მაღალი ინტელექტის მქონეა, მაგრამ ყურსაცვამიდან მომდინარე ხმაურები აფერხებს მის ფერთა დენას და ისიც საერთო ნაკადში რჩება. საერთო ნაკადისა თუ აზროვნების ტიპი კი შემდეგ დიალოგშია ნაჩვენები:

„... და მალე უკან დაგვრუნდებოდით, ბნელ დროში, როცა ყველა ყველას ეგვიბრებოდა. ეს კი არ უნდა გსურდეს, მგონია, არა?“

„საშინელება იქნებოდა,“ თქვა ჰეზელმა,

„სწორედაც რომ,“ თქვა ჯორჯმა, „თუ ხალხმა კანონებს გვერდი აუარა, როგორ გგონია, რა დაემართება საზოგადოებას?“

ჰეზელს რომ ამ კითხვაზე პასუხი ვერ მოეფიქრებინა, თვითონ ჯორჯი ვერაფერით დაეხმარებოდა, სირენა ღმუოდა მის თავში.

„ალბათ დაიშლება“, თქვა ჰეზელმა.

„რა მოუვა?“ უაზროდ იკითხა ჯორჯმა.

საშუალო დონის, გათანაბრებული მსოფლმხედველობა მოითხოვს არ იფიქრო არსზე, მიზეზსა და შედეგზე, და თუ ჩაფიქრდები ჰარისონის მამასავით, უცებ უნდა გაგანყვეტინონ ფიქრი – სირენის ღმუილით.

გათანაბრებულ საზოგადოებას აზროვნება არ სჭირდება, არ სჭირდება მეტყველება კი. ნოველაში მოთხრობილია, თუ როგორ შეწყვეტენ სატელევიზიო პროგრამას და დიქტორმა ახალი ამბები უნდა ამცნოს ტელემყურებლებს, მაგრამ მას ლაპარაკი უჭირს და მხოლოდ ორიოდ სიტყვას ამოლორღავს, ბატონებო და ქალბატონებო; მეტს ველარაფერს იტყვის და ფურცელს ბალერინას გადასცემს წასაკითხად. ესეც ხომ საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენაა.

გათანაბრებული მსოფლიო იმის მომასწავებელია, რომ ქვეყნად ინდივიდის ადგილი აღარ რჩება; ინდივიდი ვერ იაზროვნებს, ვერაფერს დაინახავს, ვერაფრით დატკებება, ვერაფერს მიაღწევს. გათანაბრებულ საზოგადოებაში რთულ იდეებს არაფერი ესაქმება, აქ მხოლოდ მასების ადგილია, რომელიც სპობს ამაღლებულსა და ელიტარულ ხელოვნებას.

საყოველთაო თანასწორობის თემას კურტ ვონეგუტის სხვა ნაწარმოებშიც ვხვდებით, კერძოდ „ტიტანის სირინოზებში“, სადაც ეს საკითხი ნამოჭრილია, მაგრამ განვითარებული არ არის.

„ჰარისონ ბერჯერონში“ კურტ ვონეგუტი წინასწარმეტყველებს მომავლის საზოგადოებას, სადაც არავინაა სხვაზე ჭკვიანი, სხვაზე ლამაზი, სხვაზე ღონიერი, სხვაზე სწრაფი და ა.შ. ყოველივე ამის განხორციელება სახელმწიფო გენერალ-გამათანაბრებლის ინსტიტუტს ავალია.

და მწერლის წინასწარმეტყველება უკვე ხორცს ისხამს, დიდ ხანს ლოდინი არ დაგვჭირდება; ჩვენ ხომ გამუდმებით ვმსჯელობთ და ვიბრძვით სხვადასხვა სახის თანასწორობი-

სათვის, იქნება ეს რასობრივი, სქესობრივი, ასაკობრივი, სახეობრივი თუ სხვა. „ჰარისონ ბერჯერონში“ მიღწეულია ის, რასაც ჩვენ ვესწრაფით და შედეგი კი საბედისწეროა.

როცა ხელისუფლება შემთხვევით და უგუნურ მმართველებს უფარდებათ ხელში, გააფთრებით ცდილობენ დაიცვან და გადარჩინონ მიღწეული მდგომარეობა. და სწორედ აქ ჩნდება სხვადასხვა სახის ბორკილების იდეა, ჭკვიანი და ნიჭიერი ინდივიდების საშუალოზე დაბალი განვითარების მასად ქცევის მანქანები და ხელისუფლება გადარჩენილია; ადამიანები კი კარგავენ ინდივიდუალობას, ადამიანობას კარგავენ.

„ჰარისონ ბერჯერონში“ დახატული შიშისა და ზიზღისაღმძვრელი პერსონაჟი, დაიანა მუნ გლემპერსი, ვინც კურტ ვონეგუტის სხვა ნაწარმოებში, „ღმერთმა დაგლოცოთ, მარო-უზოტერ“, ასეა დახატული: „სამოცი წლის ქალწული, ვინც ყველანაირი სტანდარტით მეტად დახშული იყო ცხოვრებისათვის. იგი არავის ჰყვარებია, ან რატომ უნდა ჰყვარებოდათ. მახინჯი იყო, ბრიყვი და მომბაზრებელი“.

„ჰარისონ ბერჯერონში“ მას მაღალი თანამდებობა უკავია და სურს შეინარჩუნოს. ჰარისონი და მასთან მოცეკვავე მშვენიერი გოგონა დიდად სახიფათონი არიან მისთვის და ამიტომაც ხოცავს. მათ რომ ის საზოგადოება აღედგინათ, რასაც მიზნად ისახავდნენ, დაიანა მუნ გლემპერსი ცხოვრების წუმპეში მიგდებულ, განწირულ მათხოვრად იქცეოდა, ამიტომ ერთი გასროლით სიცოცხლეც გადაირჩინა და მდგომარეობაც.

„ჰარისონ ბერჯერონში“ გამოთქმული წინასწარმეტყველება ჩვენთვის უკვე განვლილი ეტაპია. ჩვენ უკვე გამოცვალებით გათანაბრების ტრაგიკული შედეგები და დღესაც მწარედ შევიგრძნობთ მასების აგრესიის სუსტს. ამერიკისათვის კი „ჰარისონ ბერჯერონი“ წინასწარმეტყველება და გაფრთხილებაა.

ნოველა 1961 წელს დაიწერა და 120 წლის შემდგომი აშშ-ისა განჭვრეტილი. მწერალი თავის თანამოქალაქეებს საყოველთაო თანასწორობიდან მოსალოდნელ საფრთხეს უჩვენებს, მაგრამ „თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა“ ხომ, საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული, ამერიკის შეერთებული შტატების უმთავრესი ლოზუნგია, დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველი, აბრაამ ლინკოლნის გეტისბერგის მიმართვის მთავარი თეზისი, და სწორედ ამ თანასწორობით ამინებს და აფრთხილებს კურტ ვონეგუტი ამერიკელებს.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ მთავარ გმირს იშვიათი, მაგრამ ამერიკული სახელი ჰქვია – „ჰარისონი“, ხოლო გვარი კი ფრანგულად ჟღერს, „ბერჯერონი“. ეს, ალბათ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფრანგულ – ამერიკული იდეა თანასწორობისა მოძველდა და ახალ თვისობრივ სიბრტყეში, ამაღლებულ სფეროში უნდა გადავიდეს.

1961 წელს ამერიკის კონსტიტუციაში სულ რაღაც თორმეტიოდე შესწორება იყო; კურტ ვონეგუტი წინასწარმეტყველებს, რომ თუ მასების აგრესია და საყოველთაო გათანაბრების პოლიტიკა გაიმარჯვებს, 120 წელიწადში ამერიკის კონსტიტუციაში 200 შესწორება იქნება შეტანილი. საგულისხმოა, ნოველის დაწერის შემდეგ ამერიკის კონსტიტუციაში შესწორებათა რიცხვი ორჯერ გაიზარდა და ჩვენთვისაც ნაცნობი მოვლენაა იოლი ცვლილებები კონსტიტუციაში.

და კიდევ ერთი გაფრთხილება; ახალი და მრავალრიცხოვანი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა, რაც ასე ნაქვებულია დღეს ჩვენში. „ჰარისონ ბერჯერონში“ ამერიკელებს დასჭირდებათ გათანაბრება და შექმნიან ახალ ინსტიტუტს – „გენერალ-გამათანაბრებლისა“, და ისიც საგულისხმოა, რომ გენერალ-გამათანაბრებელი ქალია.

დასასრულ შეიძლება თქმულიყო, რომ „დიდი ძმის“ ყოვლისმხილველ თვალს გვაგონებს დაიანა მუნ გლემპერსის

„გამთანაბრებელი“ ბორკილები, მაგრამ ამ ორი თხზულების ერთგვარი მსგავსება ტოტალიტარიზმის საფრთხეზე მინიმუმება კი არ არის, ეს თემა მრავალ კარგსა თუ საშუალო მწერალს დაუმუშავებია; მსგავსება იქაა, რომ ჯორჯ ორუელი და კურტ ვონეგუტი მსოფლმხედველობით თითქოს წმინდა წყლის მემარცხენეები და სოციალისტები არიან, მაგრამ მართლდება ამერიკელი კრიტიკოსის ვირჯილ ნემოიანუს თეორია და შემოქმედებით, როგორც დიდი მწერლები, ორივე მემარჯვენეებად და კონსერვატორებად გვევლინებიან.

„1984“-ს გამოქვეყნებამდე, 1940 წელს, ჯორჯ ორუელმა დაწერა ესეი – „ინგლისი შენი ინგლისი“, სადაც ინგლისი მყარ ტრადიციულ ოჯახს შეადარა და, ამ ოჯახისადმი მძაფრი, კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად, ისეთი მოსაზრებები გამოთქვა, რომ თავისი სოციალისტი თანამოძმეების რისხვა გამოიწვია.

მსგავსი რამ ხდება კურტ ვონეგუტის გარშემოც; კრიტიკოსი დერილ ჰატენჰაუერი 1998 წელს დაწერილ ესეიში – „პოლიტიკა კურტ ვონეგუტის „ჰარისონ ბერჯერონში“, შემოფოთებულია ნოველის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებით და ცდილობს გააბათილოს აზრი, რომ კურტ ვონეგუტი საყოველთაო თანასწორობაში მშვენიერების დაკარგვის საფრთხეს ხედავს, და, რომ ამ ნოველით კურტ ვონეგუტი მემარჯვენეებში ეწერება.

დერილ ჰატენჰაუერი წერს: „თუ „ჰარისონ ბერჯერონი“ მემარცხენეობის წინაღობა მიმართული სატირაა, მაშინ ის ვერ თავსდება ვონეგუტის დანარჩენ შემოქმედებაში“.

კრიტიკოსი აცხადებს, პირად წერილში ვონეგუტმა მომწერა, ჩემს მოთხოვრებას სწორად ვერ კითხულობენ და, არასწორი ნაკითხვა ღირებული რომ იყოს, მაშინ ავტორის სიმპათია ჰარისონის მხარეს იქნებოდა და ანტიპათია კი – დაიანა მუნ გლემპერსისა, ვინც პრივილეგიების მიღწევას აღდგომია წინ; თურმე ვონეგუტი ირწმუნება, ჩემი პერსონაჟებიდან თავს არა ბერჯერონთან, არამედ გლემპერსთან ვაიგივებო. მშვენიერი ხუმრობაა გენიოსისა, თავი გააიგივოს, სამოცი წლის, მახინჯ, ბრიყვი, მომაბეზრებელ ქალწულთან!

არ ვიცი რას ფიქრობდა კურტ ვონეგუტი, ამას რომ წერდა კრიტიკოსისათვის გაგზავნილ პირად წერილში, მაგრამ მიგელ დე უნამუნოსი არ იყოს, მისი ნოველა და ნოველის გმირი უკვე დამოუკიდებლად არსებობენ და ავტორს აღარ ემორჩილებიან.

დერილ ჰატენჰაუერი ჰარისონის გამარჯვებაში დიქტატურისა და მონარქიის დაბრუნების საფრთხეს ხედავს და მსჯელობა იქით მიჰყავს: კურტ ვონეგუტი ამ საფრთხეს გვინანსნარმეტყველებს, თუ გათანაბრებას მოვშლითო.

დიახ, ჰარისონ ბერჯერონი აცხადებს იმპერატორი ვარო და დედოფალს ირჩევს, ხოლო მუსიკოსებს, თუ კარგად დაუკრავენ, გრაფობასა და ჰერცოგობას ჰპირდება; ამით იგი ერთფეროვანსა და გათანაბრებულ მომავალსა გამოხსნის და ნატრობს ძველ, რაინდულ დროებას, რომელიც აღარასოდეს დაბრუნდება, მაგრამ მისი ხსოვნა მომავალი, სამარცხვინო ყოფის დადგომას შეუშლის ხელს.

და მე ჰარისონ ბერჯერონის მხარესა ვარ, თუნდაც მრკურტ ვონეგუტს ეწყინოს.

კულუარები

თქვენ გარჯა თქვით, სიზარმაცის ყველა მოახერხებს...

ჩვენი ჟურნალის მთავარი რედაქტორისათვის ალბათ განსაკუთრებულად მოულოდნელი იქნება ინფორმაცია, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ ამერიკისა და ევროპის ლიტერატურულმა სააგენტოებმა გაავრცელეს. როსტომ ჩხეიძისათვის იმიტომ, რომ ცოტა ხნის წინ გამოიცა მისი მონოგრაფია „ქება სიზარმაცისა“. ამ ორიგინალურ ესეში ავტორისათვის დამახასიათებელი სიღრმითა და ექსპრესიულობით გაანალიზებულია სიზარმაცის არსი და უამრავი ლიტერატურული, მხატვრული, ფილოსოფიური თუ ლოგიკური პარალელის მოშველიებით ეს ადამიანური თავისებურება, რასაც ზოგიერთი სისუსტესაც ეტყვის, ამომწურავად და მოულოდნელი კუთხით არის შესწავლილი.

თურმე ნუ იტყვით, თითქმის იგივე სამუშაო შეუსრულებია 40 წლის ეკონომისტსა და ფსიქონალიტიკოსს კორინ მაიერს, რომლის წიგნიც „გამარჯობა, სიზარმაცე!“ საფრანგეთში არნახული წარმატებით სარგებლობს.

გამომცემლობა „მიშალონის“ მიერ დასტამბულ ამ ნაშრომში, რომელიც ჟანრის მიხედვით სიახლოვეს უფრო პამფლეტთან ამჟღავნებს, 40 წლის ფსიქონალიტიკოსი ქალი ისეთ თემას შეეხო, რომელსაც საფრანგეთში თითქმის ტაბუირებულად და უხერხულად მიიჩნევენ და ცდილობენ მის შესახებ საჯარო საუბარს თავი ყველანაირად აარიდონ. ეს გახლავთ სამუშაოს საკითხი.

მსუბუქი, ხუმრობანარევი ტონით მაიერმა ურჩია თანამემამულეებს, სამსახურში რაც შეიძლება ნაკლებ დაიტივროთ. ავტორის არგუმენტები მარტივია: საფრანგეთში სამსახურის ქონას ყველაზე დიდ მაღლად მიიჩნევენ. ამის მიუხედავად, უკანასკნელ ხანს საქმე ნამდვილ სიამოვნებასა და კმაყოფილებას ცოტა ვინმეს თულა ანიჭებს. თუკი წვრილ-წვრილ დანესებულებებში

ვითარება ასე თუ ისე ასატანია, მსხვილ საწარმოების მომუშავე ადამიანები თავს დიდი, აბსურდიული მექანიზმის ჭანჭიკებად გრძნობენ, რომელიც მათგან მთელ არსებას ითხოვს, სანაცვლოდ კი არაფერს სთავაზობს.

ამ ვითარების გამოსწორება შეუძლებელია. დღევანდელი საქმის მფლობელები კრიტიკაზე თითქმის აღარ რეაგირებენ.. თანაც, უფროსთა და ხელქვეითთა შორის ურთიერთგაგება ვეღარც პოლიტიკორექტულობის იმ წესებით მიიღწევა, რომელიც ორივე მხარეს თითქმის ცენზურულ შეზღუდვებს უწესებს.

ამ ვითარებაში, მაიერის აზრით, ადამიანს ერთადერთი გამოსავალია რჩება – ჩუმი საბოტაჟი. მძიმე ჟამი თანდათან გადაივლის, ბიუროკრატიული დანესებულება-გვიანტები ადგილს ახალი ტიპის სამსახურებს დაუთმობენ, მანამდე კი ყველაზე გონივრული იქნება ადამიანმა საკუთარ ბაღრაში იფუსფუსოს და უშუშევრობის ყოველთვიური კომპენსაცია მიიღოს.

როგორც ჩანს, ასეთი კომპენსაციის მიღება თვითონ კორინ მაიერს უსათუოდ მოუწევს, რადგან მისი წიგნით უკმაყოფილო უფროსმა თურმე ქალი თავისთან დაიბარა და სამსახურიდან გაგდებით დემუქრა. თუმცა თუ წიგნის პათოსს გაეითვალისწინებთ, არა გვგონია, მაიერი ამ მუქარას სერიოზულად შეემფოთებინა. თანაც, იგი მხოლოდ უშუშევრობის კომპენსაციის იმედად არ დარჩება, რადგან მაიერის იდეები, როგორც ჩანს არამხოლოდ ფრანგებს მოეწონათ.

სააგენტოთა ცნობით, პამფლეტის თარგმანის საავტორო უფლება უკვე 25 ქვეყანამ შეიძინა.

ისე, საინტერესოა, ვის ეკუთვნის იდეის ჭეშმარიტი საავტორო უფლება. როსტომ ჩხეიძის „სიზარმაცის ქება“ ხომ მაიერის პამფლეტზე გაცილებით ადრე გამოქვეყნდა...

ლელა ოჩიაური

# ჩვენს ისტორიაში იყო დრო სისხლისა და შენებისა

\*

„ქრონიკა“ – ქვეყნის ნარსულია  
ორ დავითს შორის

ვაკის თეატრალური სარდაფი მაყურებელს საქართველოს ისტორიაში ვაკვეთილებს უტარებს.

ოთარ ეგაძის სპექტაკლს „ქრონიკა“ თეატრში „ილუსტრირებულ ლექციას“ უწოდებენ. მისი მეშვეობით აცოცხლებენ მოვლენებს, რომელიც ქართველ ერს თავს გადახდა და წარსულში მიმართული მზერით აწმყოსა და მომავალისკენ გასახედად მოგვიწოდებენ.

საქართველოს ისტორია, ვახუშტი ბაგრატიონის „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მიხეილ ქართველიშვილის მიერაა გადმოცემული და ოთარ ეგაძესთან ერთად სცენოგრაფ შოთა გლურჯიძის, ქორეოგრაფ გია მარღანიას, მუსიკალურ გამფორმებელ ზურაბ გაგლოშვილის, საბრძოლო სცენების დამდგმელ კახაბერ ზარნაძის მიერ გაცოცხლებულ-დახატულ-აჟღერებული და „სარდაფის“ მსახიობების მიერ გათამაშებულია.

მათ მიერ შექმნილი გარემო თითქოს მართლაც ვადაში ჩაუგებელი ხმლის ტრიალით გაჯერებული და აღმშენებლობის ყინით გამსჭვალული ატმოსფერო, ამბები, რომლებიც ქართველებს საუკუნეების განმავლობაში თავს გადახდათ, ძველი ფოლიანტებიდან დღევანდელიაში გადმოდის და დროის საზღვრებს დაუნდობლად შლის.

სპექტაკლის ჟანრს, ხასიათს, არსს ჩვეული, ტრადიციული საზომით ვერ შეაფასებ და განსაზღვრავ. „ქრონიკასთან“ დაკავშირებით ისეთი სპეციფიკური „თეატრალური“ ტერმინების გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, პიესა, ან როლებს ასრულებენ თუ ამისა და ამის როლს თამაშობს და ა.შ. როგორღაც „უხერხულია“.

ასევე ვერ უწოდებ მას ვერც მხოლოდ ლექციას, ვერც „ცოცხალ ილუსტრაციას“, ვერც უბრალო მონათხრობს და ვერც მემპატიანის ჩანაწერებს (თუნდაც თავისთავად მეტად ფასეულს), რომლებიც სცენაზე თითქოს თვალსაჩინოებისთვის მოძრავი სურათების ფორმითაა გადატანილი. ასეთი განსაზღვრება თითქოს შეესატყვისება წარმოდგენილის არსს, თუმცა, უნდა ითქვას, ლექციაზე (თუნდაც ის ილუსტრირებული იყოს) მეტია, უფრო ღრმა, მრავალფეროვანი და არაერთგვარი მხატვრული ხერხით გადაწყვეტილი.

როდესაც საქმე კონკრეტულ ეპოქას, მის აღწერას, ისტორიულ დოკუმენტებს ეხება, სადაც ფაქტობრივი სიზუსტის (რასაც ოთარ ეგაძის სპექტაკლში სავსებით იცავენ) შენარჩუნება აუცილებელი პირობაა, ასეთი ყაიღისაგან განსხვავებით „ქრონიკა“ საქართველოს გარდასულ სინამდვილეს თეატრალიზებული ფორმით, წარმოსახვითი ატმოსფეროს შექმნის, დადგმითი სცენების ხასიათის, თავისებურად გადაწვეტილი მიზანსცენების, არაერთი სტილური ხერხის გამოყენებით ქმნის.

არსებითი და სპეციფიკური სპექტაკლისთვის სწორედ ისაა, რომ ის ყველაფერს აერთიანებს და არატრადიციული გზით ახალ აზროვნებას ამკვიდრებს. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ „ქრონიკა“ ახალი რეჟისორული ხედვაა, უჩვეულო სახეებით ამეტყველებული ახალი თეატრალური ფორმა, რომლის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში არაერთი გამოცდილება ელემენტი მონაწილეობს.

ესაა სივრცე, სადაც ხდება ისტორიისა და თანამედროვეობის შერწყმა, შეხვედრა, სადაც უამრავი ხიდი გაიდება წინაპრებსა და დღევანდელ (იგივე, მომავლის) ქართველებს შორის, სადაც წარსული სიტყვის, ზეპირი აღწერილობით არსებობს, სცენური ხერხებით (ორბუნებოვნება, ამ შემთხვევაშიც აქტუალურია) ხორცს ისხამს და მხატვრულ ფორმაში გადადის – რეალურდება.

სპექტაკლის „ლექციურობის“, მოქმედების განვითარების თხრობითი ფორმაზე აგების, ქრონიკალობის შემთხვევაში არსებობდა მოსალოდნელი სტატიკურობის შექმნის, სიმშრალის საშიშროება, მაგრამ „ქრონიკა“ მაშინაც კი დინამიკურად ვითარდება, როდესაც ამბავს პირდაპირ ყვებიან.

ერთი მხრივ, ამის პირობას თვით ისტორია, მოვლენათა ნყობა, პრობლემების წამოჭრის კუთხე და ჭრილი, ცალკეული სცენის აგება, კონტექსტი და ქვეტექსტი, მისი გადმოცემის მანერა უწყობს ხელს. მეორე მხრივ, ცოცხალი ტემპორიტმი, „არაარქივულობა“ განპირობებულია მსახიობების შინაგანი მუხტით, ქართველობის შეგრძნებით და ამ შეგრძნებით გამოწვეული სიამაყით (რაც თვალთ შეიძლება უხილავია, მაგრამ ემოციურად აშკარაა), საერთო ენერგეტიკით დამუხტული ატმოსფეროთი.

სპექტაკლის, როგორც ცოცხალი, მოძრავი, აქტიური განვითარების შექმნის შემდეგი ეტაპი ყველა „დამატებითი“ მხატვრული ელემენტია, რომელსაც ოთარ ეგაძე იყენებს – იქნება ეს „ადიოსა“ და „შინის“ მუსიკა, მოძრავი პროექცია – ეკრანსა თუ მთელ დარბაზში, სხვადასხვა სიბრტყეზე თავისუფლად „მინათებული“ ქართული კულტურის ნიმუშები, საქართველოს რუკები, დანგრეული ხუროთმოძღვრული ძეგლების გამოსახულება და სხვა და სხვა. რაც, ერთი მხრივ, იმ თემატიკისა თუ ისტორიული ფაქტების საილუსტრაციო მასალაა, რის შესახებაცაა ამა თუ იმ სცენაში საუბარი. მეორე მხრივ, ამგვარი გადაწყვეტა თემაში ღრმად ჩაღწევის და მისი მასშტაბების გაფართოების საშუალებას იძლევა – იქმნება კიდევ ერთი მხატვრული შრე, რომელიც ამდიდრებს, მოცულობითს ხდის მთლიან სტრუქტურას.

პერიოდს, რომელსაც სპექტაკლი მოიცავს, ორი დავითის – კურაპალატისა და აღმაშენებლის მეფობას შორისაა მოქცეული და შესაბამისად, მე-10 საუკუნიდან მე-12 საუკუნის დასაწყისამდე გრძელდება. იმ დროიდან, როდესაც იწყება ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის, ვიდრე იმ დრომდე, როდესაც „საქართველოს ყველაზე დიდმა მეფემ“ ქვეყანა საბოლოოდ გაამთლიანა.

ამ ამბავს დემეტრე (რომელსაც უფრო დუტად იცნობენ, მაგრამ რომელსაც „ქრონიკებმა“, როგორც ჩანს, საკუთარი

სრული სახელისმატარებლად „აგრძობინა“ თავი) სხირტლაძე მოგვითხრობს.

თხრობას, თუ თეატრალურ ტერმინს გამოვიყენებთ, აპარტეს ფორმა აქვს, თუ სამეცნიეროს – თავისუფალი, ცოცხალი ლექციის, მჭევრმეტყველი, ენაწყლიანი ლექტორის მიერ წაკითხულს. მონოლოგის დროს იგი უშუალოდ მიმართავს მაყურებელს, მასთან კონტაქტში შედის, მოქმედებაში აქტიურ (ინტერაქტიულ) ჩართვას ცდილობს. მეორე მოქმედების დასაწყისში (პირველ სცენებში) კი, მცირე ხნით, „ვის უნდა 50 000“-ის წამყვანად გვევლინება და დარბაზს (ნანახის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფ საზოგადოებას) პირველ მოქმედებაში (ლექციაზე) გავლილი მასალის (ინფორმაციის) გამეორებისკენ მოუწოდებს, მათ, ვინც საქართველოს ისტორიის ესა თუ ის ფურცელი იცოდა, და მათაც, ვისაც არ ჰქონდა ცოდნა და „წინა გაკვეთილზე“ მიიღო.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ქრონიკა“ ამ ისტორიის ბევრ, ფართო საზოგადოებისთვის უცნობ ნახნაგებს წარმოაჩინს. ის არ შეიცავს ფაქტების მხოლოდ მშრალ, ქრონოლოგიურ თხრობას, არამედ წინაპართა ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს ამჟღავნებს, როგორც ადამიანთა ურთიერთობები, მათი პიროვნული თვისებები. მაყურებელი იმ მოვლენების მომსწრე ხდება, რაც მემატინანემ დაწერა, მაგრამ, რაც მეორე ხელზე გადავიდა მეფეთა თუ სხვათა მიერ წარსულში ჩადენილი საქმეების ფონზე.

რაც შეეხება დემეტრე სხირტლაძეს, არ ვიცი, რამდენად კარგად იცოდა თვითონ მან ადრე საქართველოს ისტორია, მაგრამ სპექტაკლში მონაწილეობისა და ახალი როლის მორგების შემდეგ მოვლენებით მდიდარი, ქვეყნის სამსაუკუნოვანი წარსული ზედმინევენით კარგად რომ იცის, ამაში დარწმუნება, „ქრონიკების“ ხილვისას არ გავიჭირდება.

მსახიობ-წამყვანი სამი საათის (სწორედ ამდენ ხანს გრძელდება „ილუსტრირებული ლექცია“ საქართველოს ისტორიაში) განმავლობაში სულ სცენაზეა, ქართლის ცხოვრების ქრონიკებს ზეპირად გვიამბობს და როდესაც არ გვიამბობს, მოქმედებაში – სპექტაკლის მეორე შრეში ორგანულად შედის. თან, ხმლებს და შუბებს მეტად მოხდენილად ატრიალებს, ჩხუბობს და ჭიდაობს. ერთი სიტყვით, შესანიშნავად ფლობს, ისევე, როგორც სპექტაკლის მონაწილე სხვა მსახიობები (სხვათა შორის, ქალებიც) ქართული საბრძოლო ხელოვნების ილეთებს, რასაც წარმოდგენის გადწყვეტაში ერთ-ერთი ძირითადი დატვირთვა აქვს.

ქართული საბრძოლო ხელოვნების, „ხრიდოლის“, ამლორძინების კახა ზარნაძის მიერ დადგმული და მის მიერ განვრთნილი მსახიობების მიერ შესრულებულ ამ სცენებს ოთარ ეგაძე, ერთი მხრივ, ქართული სულის, ტრადიციის, ხასიათის პირობითი ასახვისთვის იყენებს და, ამასთან, სასცენო მოქმედების განუყრელ, ორგანულ, უმთავრეს ნაწილად აქცევს. მეორე მხრივ, ბატალური სცენების მეტაფორულ, პლასტიკურ გამოხატულებად განსაზღვრავს და, უნდა ითქვას, შთამბეჭდავ ეფექტს აღწევს.

სიბნელეში მანათობელი ხმლები ელავს, ქართველების საბრძოლო ყიჟინა თითქოს საუკუნეების სიღრმიდან აღწევს ჩვენამდე და კვეთს ამ სიბნელეს.

როგორც თეატრში ამბობენ, საბრძოლო ხელოვნების დაუფლებას დიდი შრომა დაჭირდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ილეთები, რომლებიც თავისთავად დატვირთვას არ კარგავს და, ამავე დროს, პლასტიკურად გამომსახველ ქმედებაში გადადის, მეტად რთული შესასრულებელია. დაოსტატებას წლები ჭირდება. მაგრამ სირთულეების მიუხედავად შედეგი მიღწეულია.



დემეტრე სხირტლაძე (მთხრობელი-მემატინანე)

სპექტაკლში კი ამბობენ: „ქართველს თუ იცნობ, არაფერი გაგიკვირდება“. თუ გააცნობიერებ, რომ ეს ხელ და ფეხმარდი „მეომრები“ – მსახიობები, რომლებმაც სამსახიობო ოსტატობასთან ერთად, ახალი უნარები შეიძინეს, ქართველები არიან, არც რეალობაში გაგიკვირდება, რომ მათ სირთულეების დაძლევა შეძლეს. იმასაც მიხვდები, თუ როგორ ახერხებდნენ ჩვენი წინაპრები უთანასწორო ბრძოლების მოგებას, მაშინ, როდესაც 100 კაცი 1000-ებს ებრძოდა და მაინც იმარჯვებდა.

„ქრონიკაში“ სწორედ მათი ამბებია მოთხრობილი. აქ არიან ისინი, ვინც საქართველოს ისტორიას ქმნიდა – დედოფლები, მეფეები, თავადები და მთავრები, „აზნაურნი და უაზნონი“, თავდადებულები და მოღალატეები, ვინც ქართულ მიწას იცავდა და ვინც ყიდა, ვინც იბრძოდა და ვისაც ებრძოდნენ, ვინც სახელი დატოვა და ვინც სამშობლოს უსახელოდ შეენირა, გარეშე მტრები და მოყვარეები – დემეტრე სხირტლაძის, აკაკი ხიდაშელის, დავით ზურცილავას, ირაკლი ჩოლოყაშვილის, გიორგი მეგრელიშვილის, კახაბერ აბუაშვილი, გეგი ფალიანის, შორენა ბეგაშვილის, ნანა კალატოზიშვილის, თამთა ცინცაძის, ლელა მეზურიშვილის, ბაჩუკი დოლონაძის, ზურაბ ინგოროყვას, არჩილ სოლოლაშვილის, ტატო ჩახუნაშვილის, ზურაბ ჯიჯიაშვილის, ოთარ ოთიაშვილის, რამაზ ზურაბაშვილის და დავით ჩაკვეტაძის შესრულებით.

საერთოდ, ისევე, როგორც დუტა-დემეტრეს შემთხვევაში, სპექტაკლში მონაწილე მსახიობების სახელების კინონობითი ფორმით მოხსენიება (რისი ტრადიციაც, ბოლო პერიოდში, არამარტო თეატრში, საერთოდ, ქართულ სინამდვილეში დამკვიდრდა, როგორც ჩანს, უშუალოდ, „თავისუფლების“ გამოსახატად) ამ შემთხვევაში, „კონტექსტში არ ჯდება“, რადგან ისინი თითქოს აღარ არიან „ჩვეულებრივი“ როლებს „ჩვეულებრივი“ შემსრულებლები და ისტორიულ პერსონაჟებთან ბუნებრივად იგივენიან.

მსახიობების ცნობილი ისტორიული პირობის თავისებურ სახეებს ქმნიან. ისინი თითქოს თამაშობენ და არც თამაშობენ დავით კურაპალატს, ლიპარიტ ბაღვაშს, თორნიკე ერისთავს, ბაგრატ კურაპალატს, მართა-მარიამს, მარიამ დედოფალს, ნიანიას, გიორგი I-ს, მელქისედექ კათალიკოსს, მარუშისძეს თუ სხვა, ათეულობით პერსონაჟს. ისინი მსუბუქი შტრიხებით, ზოგიერთ სცენაში მსუბუქი იუმორი-



აკაკი ხიდაშელი (დავით აღმაშენებელი) და დავით ხურცილავა (ყივჩაღა ბელადი ლამბარი)

თაც, ნახევარტონებით ქმნიან პერსონაჟებს (თითოეულ მონაწილეს დროის მსვლელობასთან, ეპოქის შეცვლასთან ერთად ახალი „ნიღბის“ მორგება უწევს). საინტერესოა ისიც, რომ კონკრეტული სახის დახატვით, მათ განზოგადებულ პორტრეტებსაც ქმნიან.

თითოეულ ამ პერსონაჟს მნიშვნელოვანი ფუნქცია და დატვირთვა აქვს (როგორც საქართველოს ისტორიაში, ასევე სპექტაკლში), თავისი ადგილი, მაგრამ „ქრონიკების“ მთავარი პერსონა (ვისკენაც მთავარი მზერა, მთელი სპექტაკლია მიმართული) – „ყველაზე დიდი ქართველი“, „მეფეთა მეფე, მესიის მახვილი“ – დავით აღმაშენებელია (რომლის როლს აკაკი ხიდაშელი ასრულებს, მსახიობი, რომელიც დიდი ხნის პაუზის შემდეგ პირველად, სოხუმის თეატრის დასთან, ოთარ ბაღათურიას მიერ დადგმულ სპექტაკლში – „მეფე ლირი თავშესაფარში“, გამოჩნდა და ამჟამად აღმაშენებლად იქცა), მისი ისტორია, მისი ბრძოლები, გამარჯვებები, მისი აღმშენებლობითი მოღვაწეობა და სიკვდილი, რომლის შემდეგაც, „საქართველოში ყველა ხელი-სუფალი ცდილობს“, მასზე სწორება ჰქონდეს“ და რომლის შესახებაც – „მერე მემბრანე დაწერს – გულით უძრავმან მეფემან დავით.“

არ ვიცი, შეიძლება თუ არა, სპექტაკლზეც ვთქვათ, რომ „მასზე სწორება უნდა ჰქონდეთ“, მაგრამ „ქრონიკების“ მიხედვით იმის თქმა კი შეიძლება, რომ თანამედროვე თეატრი მრავალგვარია, მაგრამ ასეთიც უნდა იყოს – პატრიოტულიც, მოქალაქეობრივიც, ოდნავ პათეტიკურიც, ჰეროიკულიც, ეროვნული ფასეულობების დამამტკიცებელ-დამამკვიდრებელიც.

თანამედროვე თეატრი ისეთიც უნდა იყოს, რომ სპექტაკლი აცოცხლებდეს საზოგადოების დიდ ნაწილში მიძინებულ გრძნობებს, იმის შეგრძნებას აძლიერებდეს, რომ ქართველი ხარ. თანამედროვე თეატრი უნდა გაძლიერდეს იმპულსს, რომ ეს შეგრძნება გეამაყებოდეს და გახარებდეს; გულს გტკენდეს იმის განცდა და გაცნობიერება, რომ ჩვენს ისტორიაში იყო „დრო სისხლისა და შენებისა“ და გვანდო-

ფოტოები ირაკლი ბლუიშვილისა

მებდეს ვამბობდეთ: „მართალია, ცოტანი ვართ, მაგრამ უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის.“

როდესაც „ქრონიკას“ უყურებ, გჯერა, რომ ის, რასაც გიჩვენებენ, მართლა მოხდა, რომ ასეთები იყვნენ ჩვენი წინაპრები; რომ, რა თქმა უნდა, გვყავდა ცუდი მეფეებიც და მათი ცუდი ქვეშევრდომებიც, მაგრამ მთავარია, რომ არსებობდნენ დიდი ქართველები, ვინც იმისთვის იბადებოდნენ, რომ სამშობლოსთვის ელვანათ და, რაც მთავარია, იმისთვის, თავიანთი მეფისთვის – ქვეყნისთვის მომკვდა-რიყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი „საქართველოს ისტორიაზე ცოტა ხნით საუბარია“, ეს საუბარი თვითმიზანი არაა. ჩვენ დიდმა წინაპრებმა ერთხელ უკვე გვითხრეს, რომ ქვეყნის წარსულის დავინწყებას კარგი არაფერი მოსდევს. დღეს კი მისი გახსენება ანმეოსა და მომავლისთვის უფრო გვჭირდება.

ვინც თავისი ქვეყნის წარსულს არ ივწყებს, „ქრონიკა“ ნაცნობ ფაქტებსა თუ სახეებთან შეახვედრებს, ხოლო მათ, ვინც ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია ან არ იცის, ან ცუდად იცის, სპექტაკლი ამ ისტორიის გაკვეთილს უტარებს. ამავე დროს, ერთმაც და მეორემაც ბევრი პარალელი თანამედროვე საქართველოსთან შეიძლება აღმოაჩინოს, იმ პრობლემებთან, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.

მაყურებელს ზოგჯერ გული შეიძლება დაწყდეს იმის გამო, რომ ისტორია მეორდება, ზოგჯერ იმიტომ, რომ, ძველ დიდებას ვერ აღადგენ; ან იმის გამო, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ (აღამიანები, ქართველები) არ ვიცვლებით, მაგრამ სიამაყითაც აღივსოს, რომ ასეთი წინაპრები ჰყავდა.

ეკრანზე თუ მთელ დარბაზში აღბეჭდილ-გადაფენილი დრომა კი, დავითის ხუთჯვრიანი დრომა, რომლის ქვეშაც სპექტაკლის გმირები – ქართველები (ერთადერთნი, იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში) იერუსალიმში ცხენზე ამხედრებულნი შედიოდნენ, თანამედროვე საქართველოს თავზეც ფრიალებს. საით წავლენ ამ დროშით, 21-ე საუკუნის ქართველები?

**P.S.** „ქრონიკის“ არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საჭირო ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვისაა (სხვათა შორს, ისინი შეადგენენ დღეს თეატრის ძირითად მაყურებელს). სპექტაკლის მსვლელობისას, როდესაც დემეტრე სხირტლაძე დაარბაზს „ვიქტორინას“, „სემინარს“ თუ „გამოცდას“ უტარებს, ყველაზე აქტიურნი და მონდომებულნი სწორედ ახალგაზრდები არიან. უფროსებზე მეტად მათი „სისხლი იწყებს ხმაურს“ სცენაზე განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

„ქრონიკა“ ყველამ უნდა ნახოს. პირველ რიგში, უნდა ნახონ სკოლებმა და არამხოლოდ როგორც თავისთავად სპექტაკლი (რომელიც მაყურებელს, როგორც მხატვრული ქმნილება მიიზიდავს), არამხოლოდ როგორც „კლასგარეშე“ ინფორმაცია საქართველოს ისტორიის შესახებ, არამედ, როგორც მოვლენა, რომელიც სულიერებას ჭირდება.

ცხადია, საქართველოს ისტორია მხოლოდ იმ პერიოდს არ მოიცავს, რომლის შესახებაც ლექცია-გაკვეთილი ჩაგვიტარეს (თავისი ცოცხალი თუ პროექტირებული ილუსტრაციებით). „სარდაფში“ ჩაფიქრებული აქვთ, რომ ამით არც მათი „ქრონიკა“ დამთავრდება და გაგრძელება ექნება. დაგვმილია კიდევ ორი სპექტაკლის დადგმა, სადაც საქართველოს ისტორიის შემდგომ პერიოდებზე იქნება საუბარი.

დეივიდ ჰერბერტ ლორენსი

# ჩალვადარის ქალიშვილი

„მერე და მეიბელ, მარტომ აქ რა უნდა აკეთო?“ ყასი-დად ჰკითხა ჯომ, რომელიც თვითონ თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. პასუხს არც დალოდებია, გვერდზე მიტრიალდა, თამბაქოს რამდენიმე მარცვალი ენის წვერზე დაიყარა და უკან გადმოაფურთხა. საკუთარი თავის გარდა ქვეყნად არავინ ანალვლებდა.

რალაც გაურკვეველი კამათის მოლოდინში მყოფი სამი ძმა და ერთი და გვარიანად გაცვეთილ მაგიდას შემოუსხდა. დილის ფოსტამ მათი ოჯახის ბედი საბოლოოდ გადანყვიტა და ყველაფერი დამთავრდა. მძიმე მაჰაგონის ავეჯით განწყობილი სასაბალო ოთახიც ისეთი პირქუში ჩანდა, თითქოს დასასრულს ისიც ელოდა.


მაგრამ თათბირი უშედეგო გამოდგა. მაგიდასთან მჯდომი სამი კაცი ერთდროულად აბოლებდა და, ამოვად დამშვრალნი, არსებულ ვითარებას ჩაეფიქრებინა. საკმაოდ მორჩილი ტანის, გულჩათხრობილი გამომეტყველების ასე ოცდაშვიდი წლის ქალი თავისთვის იყო. ღვიძლი ძმებისაგან განსხვავებული ცხოვრება ჰქონდა ყოველთვის. ცივი და უემოციო პირსახის გამო კარგი შესახედავი არ ეთქმოდა. ხშირად ძმები „ბულღოვად“ იხსენიებდნენ.

ეზოდან დაბნეული ცხენების ბაკუნის ხმა მოისმა. სკამიდან სამივე ერთდროულად წამოდგა და ცხენებს გახედეს. ყყორის კუნავეტივით ბნელ ბუჩქებს მიღმა, რომელიც გაზონს მთავარი გზიდან ჰყოფდა, ცხენოსანთა რაზმი შენიშნეს, ერთ დროს ძმების საკუთარი რამდენიმე შაირული ცხენი სანვრთნელად რომ მიჰყავდათ. დასასრული უკვე დამდგარიყო. უკანასკნელი ცხენებიც გაეყიდათ. ახალგაზრდა კაცები მათ კრიტიკული, გულქვა მზერით მიაცილებდნენ. დიდმა გასაჭირმა თითოეული მათგანი საშინლად დააფრთხო და მოულოდნელად თავს დამტყდარმა უბედურებამ შინაგანი თავისუფლების მისხალიც აღარ არგუნა.

სამივე საკმაოდ გვარიანი აღნაგობის ახალგაზრდა გახლდათ. სულ უფროსი ჯო, ოცდაცამეტი წლის ბეჭგანიერი, სიმპათიური, ბრგე ვაჟკაცი იყო. მწითური სახე ჰქონდა, შავ ულვაშებს კოტიტა თითებით ხშირად იგრეხდა და წვრილ თვალებს გამუდმებით აცეცებდა. სიცილის დროს კბილების გამოჩენა სჩვეოდა. მის ამტანობას საზღვარი არ ჰქონდა. ახლა კი გაჭირვებისაგან გაოგნებული ცხენებს უმნეო, ჩამქრალი მზერით მიშტერებოდა.

უზარმაზარმა გამწვემა ცხენებმა ნელი სვლით ჩაიარეს. ოთხივე თავიდან კუდებამდე შეეკრათ და, როცა იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც პირდაპირ სავალ გზას ვინრო ბილიკი ჰყოფდა, გვერდი გაჭირვებით აუარეს და

მშვენიერი ჩლიქები შავ ლაფში უმონყალოდ ამოთხვარეს. მომრგვალებული ქუსლებით ყალყზე ლამაზად შედგნენ და ბილიკის მოსახვევისაკენ ჩორთით გასწიეს. ნებისმიერი უმნიშვნელო მოძრაობაც კი მათში ჩაბუდებულ უზარმაზარ ძალასა და სიმშვიდეზე მეტყველებდა, თუმცა პირუტყვის ბრყვეული ხასიათი აშკარად საცნაური იყო. წინ მიმავალმა მეჯინებმა უკან მოიხედა და მთავარი სადავე უხეშად მოქაჩა. ცხენოსანთა კავალკადაც მალე თვალს მიეფარა. უკანასკნელი ცხენის კუდიც, რომელიც უზარმაზარ უკანა ფეხებზე გაფშეკილი ქანაობდა, სადაც ლობებს მიღმა ნელ-ნელა გაუჩინარდა და გაქრა.



ჯოს კვლავ უმნეო თვალები გაეშტერებინა. ცხენებს საკუთარი სხეულის ნაწილებად აღიქვამდა. ახლა კი დასასრული ნამდვილად იგრძნო. კიდევ კარგი, თავისი ხნის ქალზე დანინდეს და სასიამაოროს, რომელიც მეზობელი მამულის განმკარგულებლად მსახურობდა, შესაძლოა მისთვისაც რაიმე საქმე გამოეძებნა. დაქორწინდებოდა და ყოველდღიურ გარჯაში ჩაეფლობოდა. მისი ცხოვრება დასრულდა, ახლა საკუთარი თავი მხოლოდ უსარგებლო საგნადლა მიაჩნდა.

გვერდზე მძიმედ შეტრიალდა, ცხენების თქარათქურის ხმა ისევ ყურებში ედგა. მერე უგუნური მოუსვენრობით თეფშზე დადებულ ლორიან პურის ქერქს მიწვდა, სუსტი ხმით დაუსტვინა და ფენდერის წინ განოლილ ტერიერს ხელის ერთი მოქნევით გადაუგდო. უყურებდა, ძალი საჭმელს რანაირად ყლაპავდა და იქამდე უცადა, ვიდრე ცხოველი თვალებში შეჰხედავდა. შემდეგ ოდნავ გაიღრიჭა და მალალი, სულელური ხმით წარმოთქვა: „გგონია საჭმელს კიდევ ეღირსები, არა, პატარა ძუკნავ?“

ძალღმა კუდი შეუმჩნევლად, ნაღვლიანად გააქიცინა, უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა, წრიულად შემოტრიალდა და ისევ ძირს განვა.

მაგიდასთანაც სიჩუმე ჩამონოლილიყო. ჯო სკამზე მძიმედ დაეშვა, ოჯახური თათბირის დასრულებამდე წასვლა არა სურდა. შუათანა ძმა, ფრედ ჰენრი, მხრებგამართული, ტანადი და ფრიად გონებაგახსნილი ახალგაზრდა ბრძანდებოდა. ცხენების გასხვისების ამბავს მეტი თავდაჭერილობით შეხვდა. უფროსი ძმისაგან განსხვავებით, ერჩინა ყველაფერი თვითონ ემართა და სხვისი ხელქვეითი არ ყოფილიყო. თავი ცხენების ბატონ-პატრონად მოჰქონდა და მესაკუთრული გრძნობა ძვალსა და რბილში გაჯდომოდა. ნაბლისფერი გაბარდლული ულვაშში მოინიწვნა და მდუმარედ მჯდომ დას გაღიზიანებულმა გახედა.

„მოკლე ხნით ლუსისთან ხომ ნახვალ და დარჩები?“ ჰკითხა. გოგომ პასუხი არ გასცა.

„ვერ გამიგია, აქ რა უნდა აკეთო“, დაიჟინა ფრედ ჰენრიმ.

„მოახლედ დადექი“, მოკლედ დაუმატა ჯომ.

გოგოს ძარღვიც არ ატოკებია.

„ძიად მოვენყობოდი, მის ადგილას რომ ვიყო“, თქვა ოჯახში ყველაზე უმცროსმა, ოცდაორი წლის მკვირცხლი გამომეტყველების ნაბოლარა მალკოლმმა. მეიბილს ყუ-

რიც არ შეუბერტყავს. წლების მანძილზე ძმების ლაპარაკს არაფრად აგდებდა.

ბუხრის მარმარილოს საათმა ნახევარი საათის გასვლა მშვიდად შეახსენა. ფარდაგიდან ძალი ზღაზენით წამოდგა და სასადილო მაგიდას მიაჩერდა.

ძმები კვლავ უთავბოლო კამათში ჩაერთვნენ. „ძალიანაც კარგი“, მოულოდნელად უადგილოდ წამოისროლა ჯომ. „მივდივარ“.

სკამი უკან მოისროლა, მკვეთრი მოძრაობით ფეხები გაფარჩხა და ისე, თითქოს ცხენს გადააჯდაო, ბუხრისაკენ გასწავა. ოთახიდან არც გასულა. ერთი სული ჰქონდა გაეგო, სხვები რას მოიმიქმედებდნენ ან იტყოდნენ. ჩიბუხის გატენა მოიმიზეზა, ძალს დახედა და ხმამაღლა უთხრა: „ხომ წამოხვალ ჩემთან ერთად? მივდივართ, ხომ? ძალიან შორს, შორს მივდივართ, გეყურება?“

ძალმა კუდი ოდნავ შეარხია. ჯოს ყბა წინ გამოუფარდა და ჩიბუხი ხელებში ჩამალა, დაძაბულმა ამოიხვნეშა, თამბაქოს ბოლში გაეხვია, ძალს ნაბლისფერი, არაფრისმთქმელი თვალებით მიაჩერდა. მუხლები ნამდვილი ცხენივით წინ გამოეშვირა და ისე იდგა.

„ლუსისგან წერილი თუ მიიღე?“ ჰკითხა დას ფრედ ჰენრიმ.

„წინა კვირას“, მიუგო უგულოდ.

„მერე, რაო, რა მინდაო?“

შეკითხვა უპასუხოდ დარჩა.

„არ სურს, რომ წახვიდე და მასთან დარჩე?“ დაიჟინა ფრედ ჰენრიმ.

„მწერს, თუ სურვილი გექნება, შეგიძლია გვესტუმროო“.

„მამ კარგი. ასე აჯობებს. შეატყობინე, რომ ორშაბათს მიდიხარ“.

არ გამოპასუხებია.

„ასეც იზამ, არა?“ ოდნავი გაღიზიანებით წარმოთქვა ფრედ ჰენრიმ.

ისევ არ უპასუხა. ოთახში უშედეგო, გამაღიზიანებელი სიჩუმე ჩამოვარდა. მალკოლმმა სულელურად გაიღრიჭა.

„მომავალ ოთხშაბათამდე უნდა მოიფიქრო,“ ხმამაღლა თქვა ჯომ, „თუ არადა, ქუჩაში აღმოჩნდები“.

ახალგაზრდა ქალს სახე მოეღუშა, თუმცა კვლავ უძრავად იჯდა.

„ჯეკ ფერგიუსონი მოდის!“ წამოიყვირა მალკოლმმა, რომელიც ფანჯარაში უაზროდ იყურებოდა.

„აბა, სად ხედავ?“ წამოიძახა ჯომ ხმამაღლა.

„აქვე ჩაიარა“.

„შინ თუ შემოდის?“

მალკოლმმა კისერი წაიგრძელა, ჭიშკარი რომ დაეთვალაიერებინა.

„ნამდვილად მოდის“, თქვა მან.

ისევ სიჩუმე. მეიბელი მაგიდის თავში სიკვდილმისჯივით იჯდა. სამზარეულოდან სტვენა მოისმა. ძალი წამოდგა და ხმამაღლა შეჰყეფა. ჯომ კარი გამოაღო და დაიყვირა:

„შემოდი“.

ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდა კაცმა შემოაბიჯა. პალტოსა და მენამული ფერის კაშნეში ჩაფუთნულიყო და ტვიდის ქუდი თავზე ჩამოფხატოდა. საშუალო სიმაღლისა

ეთქმოდა, მოგრძო, ფერდაკარგული სახე დაღლილი უჩანდა.

„ჯეკს გაუმარჯოს! მოდი, ჯეკ!“ წამოიძახეს მალკოლმმა და ჯომ. ფრედ ჰენრიმ კი უბრალოდ თქვა, „ჯეკ“.

„რას შვრებით?“ მხოლოდ ფრედ ჰენრის გასაგონად იკითხა ახალშემოსწრებულმა.

„რასაც ვშვრებოდით. ოთხშაბათისთვის აქ აღარ ვიქნებით. გაიყინე?“

„ჰო, მაგრა შემცივდა“.

„მერე, რატომ არ გინდა, ცოტა ხანს დაისვენო და გათბე?“

„რანაირად დავისვენო? მხოლოდ მაშინ თუ შევჩერდები, როცა ფეხზე დგომის თავიც აღარ მექნება“. ახალგაზრდა კაცს ხმა ჩახლერიდა. მეტყველებაში მცირედი შოტლანდიური აქცენტი იგრძნობოდა. „დამარცხების ტოლფასია“, როყოფდა თქვა ჯომ, „როცა ექიმს გაციებისაგან ხმა ეკარგება. ავადმყოფებისათვის კარგის ნიშანი არ უნდა იყოს, ხომ ასეა?“

ახალგაზრდა ექიმმა მშვიდად შეხედა. „მერედა შენთვის განა სულ ერთი არ არის?“ დამცინავად ჰკითხა.

„ეგრეა, სრულებითაც არ მედარდება. ჯანდაბამდის გზაც ჰქონიათ“.

„მეგონა, სნეულთა ბედი მართლაც შეგანუხებდა, როცა საკუთარ თავს მათ ადგილას წარმოიდგენდი“.

„ემშაკსაც ნაუღიხარ. ამისთანა მგზნებარე მკურნალის პაციენტი არასდროს ვყოფილვარ და არც არავითარი სურვილი გამაჩნია“, დაუბრუნა პასუხი ჯომ.

მეიბელი წამოდგა და კაცებსაც მისი არსებობა მხოლოდ ახალა გაახსენდათ. მაგიდიდან თეფშების მამოკრეფას შეუქცა. ახალგაზრდა ექიმმა ქალს შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. არც მისალმებია. ქალს ხელში სინი ეჭირა. სახე კვლავ უემოციო და მკაცრი ჰქონდა.

„როდის მიემგზავრებით?“ ჰკითხა ექიმმა.

„მე თორმეტს რომ ოცი დააკლდება, იმას გავყვები“, უპასუხა მალკოლმმა. „აი, ჯო კი, მგონი ეტლით აპირებს ნასვლას, არა, ჯო?“

„ჰო, აკი გითხარი, ეტლით მივდივარ-მეთქი?“

„მაშინ მეიბელიც უნდა გავამგზავროთ. ასე აჯობებს. ნახვამდის, ჯეკ. ვაითუ გამგზავრებამდე ვეღარც განახო“, უთხრა მალკოლმმა და ხელი გაუწოდა. ოთახიდან გასულს ჯოც კუდამოქუებული მიჰყვა.

„ამ საქმეში ეშაკის ხელი ურევია“, წამოიძახა ექიმმა, როცა ფრედ ჰენრისთან ერთად ოთახში მარტო დარჩა.

„ნამდვილად ოთხშაბათამდე მიდიხარ?“

„ასეთია ბრძანება“, გაეპასუხა მეორე.

„საით, ნორთჰემპტონში?“

„ჰოო“.

„ემშაკმა დასწყევლოს!“ მშვიდი გულისტკივილით წამოიძახა ფერგიუსონმა. სიჩუმე ჩამოვარდა.

„ყველაფერი უკვე გადაწყდა, არა?“ დარღვია სიჩუმე ფერგიუსონმა.

„თითქმის“.

ისევ დუმილი.

„როგორ დამაკლდები ბიჭო, ფრედ“, თქვა ახალგაზრდა ექიმმა.

„მეც მომენატრები, ჯეკ“, მიაშველა მეორემ.

„საშინლად მომენატრები“, ფიქრიანად წარმოთქვა ექიმმა.

ფრედ ჰენრი გვერდზე შებრუნდა. სათქმელი აღარაფერი ჰქონდათ. მეიბელი მაგიდის ასალაგებლად კვლავ შემოვიდა.

„შენ რაღას იზამ, მის ფერვინ?“ ჰკითხა ფერგიუსონმა. „აღბათ, დასთან თუ წახვალ“.

მეიბელმა დაჟინებული, ავი მზერა ესროლა, რის გამოც ექიმს ყოველთვის უხერხულობის განცდა ეუფლებოდა და მისი გარეგნული სიმშვიდე მთლიანად ირღვეოდა.

„არა“, განაცხადა მან.

„რა ბედისწერას აუტანისხარ, აქ რაღა საქმე გაქვს? გამაგებინე, რა უნდა აკეთო“, ფუჭი სიძლიერით დაიღრიალა ჯომ.

ქალმა მხოლოდ თავი აარიდა და დანყებულ საქმეს მიუბრუნდა. მაგიდის თეთრი სუფრა დაკეცა და სანაცვლოდ ხავერდისა გადააფარა.

„ავი ძუკნა!“ ჩაიბუტბუტა ძმამ.

მაგრამ ქალმა საკუთარი მოვალეობა აუღელვებელი სახით შეასრულა. ამ დროის მანძილზე ექიმი თვალს არ აშორებდა. შემდეგ ოთახიდან გავიდა.

ფრედ ჰენრიც მას მიშტერებოდა. ტურები კუშტად მოეკეცა. ცისფერ თვლებში შეურიგებელი მტრობა ჩასდგომოდა და საშინლად მრისხანე სახით იყურებოდა.

„ცხვირ-პირი უნდა ამოუნაყო და ჭკუას მერე ისწავლის“, წვრილი ხმით თქვა მან.

ექიმს ჩაეღიმა.

„რა უნდა ქნას?“ ჰკითხა.

„გინდ მცემე, თუ ვიცოდე!“ უპასუხა მეორემ.

ორივე გაჩუმდა. ცოტა ხნის შემდეგ ექიმი ადგილიდან დაიძრა.

„ამალამ განახავ, კარგი?“ უთხრა მეგობარს.

„სად? ჯესდაილისაკენ ხომ არ გავნიოთ?“

„რა ვიცი. მგონი, გრიპი ავიკიდე. მუნ და სტარში შევივლი“.

„ერთი ღამით ლიზსა და მეიზე როგორა ხარ, ჰაა?“

„თუ ავად ვიქენი?“

„არა, მაინც?“

ორი ახალგაზრდა კაცი დერეფანში გავიდა და ქვემოთ, უკანა კარისაკენ გასწიეს. სახლს დიდი ეთქმოდა, თუმცა შიგ ერთი მოსამსახურის ჭაჭანებაც აღარ იყო და რაღაცნაირად მიტოვებული ჩანდა. სახლს უკან აგურით ნაგები პატარა ეზო მოჩანდა, მის მიღმა კი, წითელი ხრეშით მოკირწყლული დიდი მოედნის ორივე მხარეს, ცხენის თავლები ჩაემწკრივებინათ. ციცაბო, თვალუნვდენელი და ზამთარივით ბნელი მიწდვრები განვივრად გადაჭიმულიყო.

მაგრამ თავლები დაეცარიელებინათ. ოჯახის თავკაცი, ჯოზეფ პერკინი, ერთი გაუნათლებელი, თუმცაღა წარმატებული ჩალვადარი გახლდათ. ერთ დროს მის თავლებში ცხენების ტევა აღარ იყო, მოვაჭრეთა და მეჯინიბეთა დიდი გნიასი და მისვლა-მოსვლა არა თავდებოდა. სამზარეულოც მოსამსახურეებით გადაჭედდელიყო, მაგრამ ბოლო ხანს ყველაფერი უარესობისაკენ წავიდა. ბერიკაცი დაკარგული ბედის დასაბრუნებლად ხელმეორედ დაქორწინდა. ახლა უკვე ამქვეყნად აღარ იყო და ყველაფერი ამიტომაც გაეჩანაგებინათ. ვალებში გაჭედდელიყვნენ და მევალები მუქარას-მუქარაზე უთვლიდნენ.

მეიბელი ბოლო თვეები უზარმაზარ სახლს მოსამსახურეთა გარეშე უვლიდა. ხელმოცარულ ძმებთან ერთად საშინელ სილატაკეში ცხოვრობდა. ათი წელი ოჯახს მართო უვლიდა. თავიდან ამ ყველაფერს ძალდაუტანებლად აკეთებდა. მიუხედავად დუხჭირი და აუტანელი ყოფისა, ერთდროს მდიდრულმა ცხოვრებამ ქალი ამაყ, თვითდაჯერებულ ადამიანად აქცია.

კაცები გაუთავებლად ავციობდნენ, სამზარეულოს ქალებშიც საეჭვო სახელისა აღბათ ბევრი ერია, ძმებს შესაძლოა ნაბუშრებიც გაეჩინათ ვინმესთან, მაგრამ მაშინ, როცა ოჯახი ფეხზე იდგა, გოგო თავს მკვიდრად, ამპარტავნად, თუმცა ყველასაგან განცალკევებულად გრძნობდა.

სახლში აღარც ერთი მოვაჭრე აღარ დაიარებოდა. დის გათხოვების შემდეგ ქალებთან ურთიერთობას გაურბოდა, თუმცა სულაც არ ადარდებდა. ეკლესიაში მამასთან ერთად მუდმივად დაიარებოდა. დედის ხსოვნით ცოცხლობდა, რომელიც თოთხმეტი წლისას გარდაეცვალა. მასზე გიჟდებოდა. მამაც უყვარდა, თუმცა განსხვავებულად. ვიდრე ოჯახის თავკაცი ორმოცდაათოთხმეტი წლისა ცოლს ითხოვდა, მეიბელი მის ფრთას შეფარებოდა და თავსაც უსაფრთხოდ გრძნობდა. შემდგომ საშინელი გაუცხოების განცდა დაეუფლა. ახლა ბერიკაცი ამქვეყნად აღარ იყო და ოჯახიც უიმედო ვალებში მიეტოვებინა.

სილატაკემ გოგო ძალიან დაჩაგრა. უცნაურ გულჩახვეულობასა და თითქმის ცხოველურ სიამაყეს, რაც ოჯახის თითოეული წევრისათვის ესოდენ თანამდევნი გახლდათ, ვერაფერი შეარყევდა. ახლა კი მეიბელისათვის დასასრული დამდგარიყო. ვერაფერი სასიკეთო ვერ გამოექნა. ცხოვრების გაგრძელებას კვლავ ჩვეული წესით აპირებდა. პირადი ყოფიდან გამოსავალს გასაღებს ვერ არგებდა.

უაზროდ და შეუპოვარი მოთმინებით მისდევდა დღეები დღეებს. რატომ უნდა ეფიქრა? ყველას რისთვის უნდა გამოპასუხებოდა? ყველაფერი ხომ უკვე დამთავრებულიყო და სასიკეთოც არაფერი ჩანდა. პროვინციული ქალაქის ჩაბნელებულ მთავარ ქუჩაში სიარულიც, სადაც უამრავი თვალი უყურებდა, აღარ სჭირდებოდა. მაღაზიებში დამამცირებლად იაფი საკვების საყიდლად შევლასაც აზრი დაჰკარგვოდა. ყველაფერი დასრულებულიყო. სხვებზე კი არა, საკუთარ თავზე ფიქრის ილაჯიც აღარ გააჩნდა. სიცოცხლის დასასრულისაკენ უაზროდ, შეუპოვარი სიმტკიცით მიაბიჯებდა. განდიდებულობა წარსულს ჩაბარებულიყო და დიდების შარავანდით შემოსილ მშობელ დედას უახლოვდებოდა.

შუადღის პირზე მომცრო ჩანთაში მაკრატელი, ჩვრები და პატარა ჯაგრისი ჩაალაგა და სადღაც გასწია. ნაცრისფერი ზამთრის დღე იდგა. ირგვლივ გადაჭიმული მუქი მწვანე მიწდვრები მოქუფრულნი ჩანდნენ და ჰაერს მოშორებით მდგარი თუჯის საჩამომსხმელო საამქროებიდან გამონაბოლქვიც ამძიმებდა. საცალფეხო გზაზე სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. ქალაქიდან ეკლესიამდე ადამიანისშვილი არ შეხვედრია.

აქ თავს ყოველთვის უსაფრთხოდ გრძნობდა, თითქოს ვერავინ ამჩნევდა, თუმცა ეკლესიის კედელთან მიმავალ ნებისმიერ გამვლელს მისი დანახვა არ გაუჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, უზარმაზარი მოცულობის ეკლესიის



ჩრდილქვეშ, საფლავებს შორის, თავს სამყაროსაგან მონყვეტილი თავისუფლად გრძნობდა. ეკლესიის ეზოს სქელ კედლებში განმარტოება მისთვის სრულიად სხვა სამყაროს ნიშნავდა.

საფლავიდან ბალახები ფრთხილად ამოძირკვა და მოვარდისფრო-თეთრი ქრიზანთემები ჯვრის ფორმით დაალაგა. შემდეგ მეზობელი სამარიდან სუფთა დოქს წამოავლო ხელი, წყლით გაავსო და სველი ჩვრით მარმარილოს მესერიისა და საფლავის ქვების წმენდას დიდი მონდომებით შეუდგა.

ეს საქმიანობა გულწრფელი თვითკმაყოფილებით აღავსებდა, რადგანაც დედასთან სიახლოვის გრძნობა ეუფლებოდა. წუთიერი ტკივილიც თან სდევდა, თუმცა საფლავის მოვლა მშობელთან სათუო და ახლობელ კავშირს განაცდევინებდა. მისთვის სიკვდილის აქაური სამფლობელო უფრო რეალური გამხდარიყო, ვიდრე ამ სქელ კედლებს მიღმა არსებული პირადი ცხოვრება.

ექიმის სახლიც ეკლესიასთან ახლოს იდგა. დაქირავებული ერთი უბრალო თანაშემწე ფერგიუსონი სოფლელებისათვის თავშენიშნული კაცი გახლდათ. ახლაც ამბულატორიის ავადმყოფებთან მიეჩქარებოდა და თან მკვირცხლი თვალებით სასაფლაოს ეზოს ათვალიერებდა. ერთ საფლავთან საქმიანად მოფუსფუსე გოგო შენიშნა. საქმეში ყურებადმდე ჩაფლული სამყაროს სრულიად მონყვეტოდა. კაცში რაღაც იდუმალმა გაიღვიძა. ნაბიჯი შეანელა და მოჯადოებულებით თვალთვალი დაუწყა.

გოგომ ვილაცის მზერა იგრძნო და მალლა აიხედა. ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს და ორივემ ერთდროულად გაიხედა უკან, თითქოს გრძნობდნენ, რომ იქ ვილაც სულიერი უთვალთვალედათ. კაცმა კეპი წაიძრო და გზიდან დაბლა გადაუხვია. ქალის სახე მამინვე ეცნო. საფლავის ქვიდან თავი წამოენია და უცნაურად გაფართოებული, ავისმომასწავებელი თვალებით მისჩერებოდა. სახე მართლაც რომ ავბედითი მოუჩანდა. კაცი თითქოს დააჰიპნოზესო. თვალებიდან წამოსულ მწველ სხვის მთელი ტანით შეიგრძნობდა და ისე გაბრუნებულიყო, თითქოს უძლიერესი ნარკოტიკი მიეღო. აქამდე თავს სუსტად და დაქანცულად გრძნობდა, ახლა თითქოს სიცოცხლე კვლავ დაუბრუნდა, თითქოს გამაღიზიანებელი რუტინიდან თავისუფლდა.

იმ დღეს სამუშაო სწრაფად მოამთავრა, მოსაცდელში მომლოდინე ავადმყოფებს იაფფასიანი წამლებით ბოთლები ნაჩქარევად აუვსო. სადილობამდე სურდა სამუშაო დღის მეორე ნაწილიც მოეთავებინა და რამდენიმე ავადმყოფი შინ მოენახლებინა. დაჩვეულიყო, როცა თავს შეუძლოდ გრძნობდა, ფეხით სიარულს არჩევდა. მოძრაობა ძალთა აღდგენაში ეხმარებოდა. შუადღე ინურებოდა. ნაცრისფერი, უღიმღამო ზამთრის მოქუფრული დღე ნელ-ნელა მიიპარებოდა. რატომ ეფიქრა ან რაიმე შეემჩნია? გორაკი ჩქარი ნაბიჯით აიარა, მუქი მწვანე მინდვრებისაკენ შეტრიალდა და გეზი წინდაყრილი ბილიკისაკენ აიღო. ახლოს, სოფლის წყალმარჩხი გუბურის გადაღმა პროვინციული ქალაქი თავისი ციხე-კოშკით, დაბალი, ნესტიანი და მიტოვებული უამრავი სახლით, მბჟუტავი ცეცხლის ფერფლივით მოჩანდა. და ქალაქის განაპირას, გუბურისაგან ოდნავ მოშორებით ოულდმედოუ მდებარეობდა, სადაც პერვინთა სახლი იდგა. ფერდობის მხარეს

მიმავალმა თავლებისა და მინაშენთა დანახვა იოლად შეძლო. აფსუს, რომ იქ ველარასოდეს მივიდოდა! კიდევ ერთ მისასვლელთან მოჭროდა გზა, კიდევ ერთი ადგილი დაშკლებოდა. უსახურ პროვინციულ ქალაქში მისთვის, უცხოობაში მყოფი კაცისათვის, ეს სახლი რაღაცას ნიშნავდა. მემალაროეთა და მეტალურგთა წრეში გამუდმებულმა ტრიალმა თუმცა საშინლად დაქანცა, მაგრამ სხვანაირად ცხოვრება მაინც არ შეეძლო, კვლავ მათკენ ენეოდა გული. მისთვის უბრალო ხალხის ოჯახებში სიარული ძალას ჰმატებდა, რადგანაც მათი ცხოვრება საკუთარივით გაეთავისებინა. ნერვები საშინლად დაჭიმვოდა.

თუმცა გაუთლელ, მაგრამ ალაღმართალ და ემოციურად მდიდარ ქალებთან და მამაკაცებთან ურთიერთობა მისი ცხოვრების ნაწილად ქცეულიყო. ბუზლუნებდა კი და ხშირადაც უთქვამს, საზიზღარ, გულისამრევ ბრბოს ვერ ვიტანო, მაგრამ მათ მიმართ გულგრილი მაინც არასოდეს ყოფილა და მათთან ურთიერთობა ნერვებს გასაოცრად განუმტკიცებდა.

ოულდმედოუს ქვემოთ, მწვანე, მეჩხერ და სველ მინდვრებში, მოზრდილი, ღრმა ტბორი განოლილიყო. ამ მიდამოებში მოხეტიალე ექიმის მახვილმა თვალმა შავით-მოსილი ფიგურა დალანდა, რომელიც მინდორში შევიდა და გუბურისაკენ გაემართა. ისევ შეხედა. მებიელ პერვინი უნდა ყოფილიყო. გონება უცბად გაუნათდა და ყურადღება დაძაბა.

აქ რა უნდოდა? ბილიკი აიარა და ფერდობზე შედგა. იდგა და მიშტერებოდა. ხევისაკენ მიმავალი მომცრო ტანის შავი ფიგურა ახლა უკვე გარკვევით დაინახა.

ჩანდა, ექიმს ნათელმხილველის ნიჭმაც უკარნახა, თორემ მსგავს გაურკვევლობაში ქალის დანახვა მხოლოდ ჩვეულებრივი თვალთ შეუძლებელი იყო. იგრძნო, თვალის მოშორებისას სქელსა და უსახურ ბინდში მხედველობიდან დამეკარგებო.

კაცი ქალს კვალში დაჟინებით მისდევდა. მისი ქმედება მხოლოდ შეგნებულ აქტიურობას არ მიაგავდა. მასში კიდევ სხვა, რაღაც უხილავი ძალებით გადაცემული აღლევებაც იღო. გოგო გუბურის ნაპირთან შეყოვნდა. თავი არ აუღია. შემდეგ კი წყალში ფონს გასვლას შეუდგა.

კაცი უძრავად იდგა, რადგანაც პატარა შავი ფიგურა გუბურის შუაგულისაკენ ნელ-ნელა მიიწევდა. ასე თანდათან უძრავ წყალში ღრმად შევიდა, ვიდრე წყალი მკერდამდე დაფარავდა. მოგვიანებით, შუადღის ბინდში კაცი ქალს ველარ ხედავდა.

„აბა, უყურე!“ წამოიძახა კაცმა. „ღარსადა ჩანს!“ და საოცარი სისწრაფით ქვემოთ დაეშვა.

სველი მინდვრების თავზე ჩარბოდა, მესერთა შორის მიიკვლევდა გზას. ზამთრის გაუხეშებული ტაფობისაკენ ქვემოთ გასწია. გუბურამდე მისვლას მცირე დრო დასჭირდა. ნაპირზე შედგა და მიძიმედ ამოისუნთქა. ვერაფერს ხედავდა. დამდგარ წყალს მიაშტერდა და ზედაპირზე შავი ტანსაცმლის აჩრდილიც თანდათან გამოიკვეთა.

წყალში აურჩარებლად, ალაღბედზე შევიდა. ფსკერი ღრმა, რბილ-თიხიანი ჩანდა და ჩაიძირა. წყალი ფეხებზე ცივად მოელამუნა. ცივი, დამპალი შლამის სუნი შეიგრძნო, წყალს რომ შერეოდა. ფილტვებში უსიამოვნოდ მოხვდა. შეეზიზღა, მაგრამ სიღრმისაკენ მაინც შეუპოვრად მიიწევდა. ცივი წყალი ბარძაყებზე, ნელზე, მერე კი

მუცლამდეც მიწვდა. სხეულის ქვედა ნაწილი მთლიანად წყალს დაეფარა და ფსკერიც ისეთი ღრმა, რბილი და მყიფე ჩანდა, შიგ კინალამ პირით ჩაეფლო. ცურვა არ იცოდა და ამიტომაც შიშობდა.

ცოტაზე მოიხარა, წყლის ქვეშ ხელები გაშალა და ქალისაკენ გაიწვინა. ცივი, მკვდარი გუბურის წყალი მკერდზე ეთამაშებოდა. ისევ წინ წაიწია, ახლა უფრო ღრმად, და წყლის ქვეშ კვლავ ხელები გაიშვირა და წყალი თავისკენ მიიზიდა. ქალის ტანსაცმელს წაეტანა, მაგრამ თითებიდან გაუსხლტა. იმედგაცრუებულმა ძალა მოიკრიბა და ხელმეორედ სცადა.

ამასობაში წონასწორობა დაჰკარგა და ქვემოთ საშინლად სულის შემხუთავი, მინიანი წყლის სიღრმისაკენ ჩაქანდა, რამდენიმე ხანს გააფთრებით გაიბრძოლა. საბოლოოდ, მარადისობიდან აღმდგარი, ფეხზე წამოიმართა. კვლავ ჰაერში გასწორდა და ირგვლივ მიმოიხედა. სუნთქვა შეკვროდა და მიხვდა, ცოცხალი იყო. შემდეგ წყალს დახედა. ქალს მასთან ახლოს წამოეყო თავი. ტანსაცმელს ჩაებლაუჭა, ახლოს მოქანა, მოტრიალდა და გეზი ნაპირისაკენ აიღო.

ძალიან ნელა, დიდი სიფრთხილით მიდიოდა. წინ ნელ-ნელა მიიწვინდა. უფრო მალა წამოიწია და გუბურიდან ამოძვრა. ახლა წყალი უკვე ფეხებამდეა წვდებოდა; მადლიერი იყო, წყლის კლანჭებს თავი რომ დააღწია. ქალი ზემოთ აწია და საშინლად სველი, ნაცრისფერი თიხისაკენ გათავისუფლებულმა ნაპირზე წაიბარბაცა.

ქალი ნაპირზე წამოაწვინა. სრულიად უგრძობს წყალი წურწურით გასდიოდა. პირიდან წყალი გადმოაფურთხებინა და მის გამოცოცხლებას შეუდგა. დიდხანს გარჯა არ დაჭირვებია. ქალს სუნთქვა მალე დაუბრუნდა. კაცმა ხელებში ქალის გაცოცხლება იგრძნო. გონება თანდათან უბრუნდებოდა. უკვე თავისუფლადაც სუნთქავდა. სახე მოწმინდა, თავის პალტოში გაახვია, რუხი, ნახევრადჩამოხელებული მიდამო მოათვალიერა, ხელებში მოიქცია, ნაპირზე მცირე ხნით შეყოვნდა და მინდვრებისაკენ გასწია.

გზა უსაშველოდ გრძელი ეჩვენა. ტვირთიც ისეთი მძიმე იყო, ეგონა სახლამდე ვეღარასოდეს მიაღწევდა. როგორც იქნა, თავის ეზომდე მიატანა და სახლის ეზოც ყურისძირში იყო. კარი შეაღო და შინ შევიდა. სამზარეულოში ფარდაზე დააწვინა და დაიძახა. შინ არავინ იყო, თუმცა ბუხარში ცეცხლი ისევ გიზგიზებდა.

შემდეგ მუხლებზე დაიხარა. ქალი თანაბრად სუნთქავდა, თვალები ფართოდ გაეხილა და თითქოს გონებაზეც მოსულიყო, თუმცა გამოხედვა ჯერაც უაზრო ჰქონდა. გონება ნამდვილად დაბრუნებოდა, მაგრამ გარემოს ვერ აღიქვამდა.

კაცი ზემო სართულზე ავარდა. საწოლიდან ზენარი მოგლიჯა და გასათობად ბუხრის წინ მიაწვინა. შემდეგ ქალს სველი, მინის სუნით გაჟღერებული სამოსი გააძრო, პირსახოცით გაამშრალა და დედიშობილა გაახვია ზენარში. სასადილო ოთახში შევიდა, რომ რაიმე დაეღია. ცოტა ვისკის მიაგნო. დიდი ყლუპი ერთბაშად გადაჰკრა. ცოტაოდენი ქალსაც ჩაასხა პირში.

შემდეგაც არ დააყოვნა. ქალს ჩვეული სახე დაბრუნებოდა და ისე უმზერდა, თითქოს კაცი ოდესღაც ენახა და გონებაც მისი წყალობით აღედგინა.

„ექიმო ფერგიუსონ?“ წარმოთქვა ქალმა.

„ბატონო?“ გაეპასუხა კაცი.

პალტოს გახდას შეუდგა. ზემო სართულზე რაიმე მშრალი ჩასაცმელის მოძებნა სურდა. მკვდარი, თიხიანი წყლის სუნი აგიჟებდა და საკუთარი ჯანმრთელობაც აფიქრებდა.

„რა გავაკეთე?“ იკითხა ქალმა.

„გუბეში ჩახვედი“, უპასუხა კაცმა.

ციებიანივით კანკალებდა და ფეხზე გაჭირვებით იდგა. ქალს თვალები მიეშტერებინა მისთვის. კაცს გონება ებინდებოდა, უმწეოდ შეჰყურებდა. კანკალი თანდათან დაუცხრა. სიცოცხლე დაუბრუნდა, თუმცა ბუნდოვანი და გამოუცნობი, მაგრამ კვლავ ძლიერი.

„ჭკუიდან ხომ არ შევიშალე?“ თვალმოუშორებლად ჰკითხა ქალმა.

„შესაძლებელია, რაღაც წუთს“, უპასუხა მან.

თავს მშვიდად გრძნობდა, რადგანაც ძალები კვლავ მოეკრიბა. უცნაურად დაჭიმული დაძაბულობაც სადღაც გამქრალიყო.

„ახლაც შემლილი ხომ არა ვარ?“ ჰკითხა ქალმა.

„ასე გგონია?“ ცოტა ხანს შეყოვნდა. „არა“, უპასუხა კაცმა გულწრფელად. „მე მგონი, სრულ ჭკუაზე ხარ“. სახე გვერდზე მოატრიალა. ახლა უკვე ეწინოდა, გაოგნდა და ქვეცნობიერად იგრძნო, რომ ამ შემთხვევაში ქალს მასზე მეტი ძალა აღმოაჩნდა. და ქალი კვლავ წამითაც არ ამორებდა თვალს.

„შეგიძლია მითხრა, მშრალ ტანსაცმელს სად ვნახავ?“ ჰკითხა კაცმა.

„გუბეში ჩემი გულისათვის ჩაყვინთე?“ ჰკითხა ქალმა.

„არა“, უპასუხა მან. „ისე შევისიერნე, მაგრამ ჩავვარდი“.

წუთიერი სიჩუმე ჩამოვარდა. კაცი ყოყმანობდა. ძალიან უნდოდა ზემოთ ასულიყო და მშრალი სამოსი ჩაეცვა. მაგრამ სხვა სურვილიც ჰქვავდა. ჩანდა, ქალი აკავებდა. დაძინების სურვილიც გაუქრა და ქალის წინ უმოქმედოდ დაეყუდა. მაგრამ რაღაც შინაგან სითბოს გრძნობდა. სრულებით აღარ კანკალებდა, თუმცა ისევ სველი ტანსაცმელი ემოსა.

„ასე რატომ მოიქეცი?“ ჰკითხა ქალმა.

„არ მინდოდა სისულელე ჩაგედინა“, თქვა მან.

„სისულელე სულაც არ იყო“, თქვა ქალმა. იატაკზე განოლილს თავით ბალიში ამოედო და კვლავ კაცს მიმტერებოდა. „სწორადაც მოვიქეცი. მაშინ უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე“.

„წავალ და ამ სველ ტანსაცმელს გამოვიცვლი“, თქვა კაცმა, მაგრამ ადგილიდან ფეხიც ვერ მოიკვალა, ვიდრე ქალი თვითონვე გაგზავნიდა. თითქოს კაცის სხეულის სიცოცხლისუნარიანობა ქალს ხელში ეჭირა და თვითონ თავის დაღწევა არ შეეძლო ან შესაძლოა არც სურდა.

უცბად ქალი წამოდგა. ყველაფერს მალე მიხვდა. ტანზე ზენრები შეიგრძნო, საკუთარი კიდურები შეიცნო. თითქოს რაღაცის ახსნა სურდა. გარშემო ველური თვალებით მიმოიხედა, თითქოსდა რაღაცას ეძებდა. კაცი შიშისაგან გახვევებული იდგა. ქალმა თავისი მიმოფანტული ტანსაცმელი შენიშნა.

„ვინ გამხდა?“ იკითხა ისე, რომ თვალი არ მოუცილებია.

„მე“, იყო პასუხი, „გონებაზე რომ მომეყვანე“.  
რამდენიმე ხანს კაცი ქალს ტუჩებგაპობილი, დაჟინებული მიმტერებოდა.

„გიყვარვარ?“ ჰკითხა ქალმა.

კაცმა მხოლოდ ნამოინია და ქალს მონუსხული მიაჩერდა. სული გათბობოდა.

ქალმა დაიჩოქა და მკლავებით კაცის ფეხებს მოეხვია, მის მუხლებსა და ბარძაყებს მკერდით მიეკრა, რაღაც უცნაური, მტკიცე თავდაჯერებულობით ებლაუჭებოდა. კაცის მუხლებსა და ბარძაყებს გულში იხუტებდა. სახესა და კისერს თავისკენ ეწეოდა. ქალმა ზემოთ ახედა, მორცხვი, თუმცა მოზეიმე თვალების ალით ალაგზნო.

„გიყვარვარ“, უცნაური აღტაცებით ჩაიბუტბუტა ტანჯვაგამოვლილმა და გამარჯვებულმა, თავდაჯერებულმა ქალმა. „გიყვარვარ, ვიცი შენც გიყვარვარ, ვიცი“. და სველ მუხლებს გაგიჟებით დაუნყო კოცნა. თავდვინყებას მიცემული ვნებიანად და განურჩევლად ულოშნიდა მუხლებსა და ფეხებს.

კაცმა ქალის განენილ სველ თმას დახედა. გაშიშვლებული მხრებით გარეულ ცხოველს ჩამოჰგავდა. კაცს თავგზა არეოდა და ეშინოდა. მისი შეყვარება არასოდეს უფიქრია. სურვილიც კი არასოდეს გასჩენია. მხოლოდ ისე გადაარჩინა და მოუარა, როგორც პაციენტი. მის მიმართ არანაირი პიროვნული ინტერესი არ გააჩნდა. არა, უფრო მეტიც, პიროვნულის ნასახიც გულს ურევდა და მის პროფესიულ ღირსებას შეურაცხყოფდა კიდევც.

ხვევნას საშინელებად აღიქვამდა. სული აუჯანყდა და მაინც, მაინც ძალა არ ეყო, რომ გასცლოდა.

ქალმა ისევ შეხედა. კვლავ მწველი სიყვარულის ნდომით აღსავსე გამოხედვა ჰქონდა. თვალებში გამარჯვების შემადრწუნებელი და მოჭარბებული სხივი ჩადგომოდა. ფაქიზი სინათლით აელვარებული სახის წინაშე კაცი

სრულიად უსუსური აღმოჩნდა. და მაინც, მისი სიყვარული არასოდეს განუზრახავს, აზრადაც არ მოსვლია. რაღაცა შინაგანი ჯიუტად ღრღნიდა, მოსვენებას არ აღეშინებდა.

„გიყვარვარ“, ღრმა, აღტაცებული დამაჯერებლობით ჩაიბუტბუტა. „გიყვარვარ“.

ქალის ხელები თავისკენ ეწეოდა. ეშინოდა, ცოტათი

შეძრწუნებულად ჩანდა, რადგან მისი სიყვარული ნამიერადაც არ გაუგვლია გულში. ქალის ხელები მაინც თავისას შვრებოდნენ. ხელი ახლა თვითონ გაიწვინა და ქალის შიშველ მხარს ჩაებლაუჭა. ნაზი მხრებიდან ნამოსული სიმხურვალე იგრძნო. ქალის შეყვარება არასოდეს განუზრახავს. ნდომა მორჩილებზე ძლიერი აღმოჩნდა და მისთვის ეს საშინელება იყო. და მაინც, მხარზე შეხება საოცრად ესიამოვნა, ქალის სახის ელვარება მშვენიერი იყო. ნუთუ ქალი მართლაც ჭკუიდან შეიშალა? კაცს დამორჩილებს შიში ჰკლავდა. შიგნიდანაც რაღაცა ღრღნიდა.

მისგან მოშორებით, კარისკენ გაიხედა. თუმცა მხრებიდან ხელი არ მოუცილებია. ქალი უძრავად იდგა. ზემოდან დახედა. შიშნარევი ეჭვისაგან თვალევი გაფართოებოდა, სახიდან ნამოსული შუქიც სადღაც მიიპარებოდა და კვლავ ის საშინელი ნაცრისფერი ჩრდილი უბრუნდებოდა. მისი კითხვით აღსავსე თვალების გაძლება კაცს არ შეეძლო და კითხვის მიღმა სიკვდილი იმზირებოდა.

ღრმად ამოიოხრა და გული ქალს მიანდო. პირზე ნაზი ღიმილი მოადგა. და ქალის თვალები, ნუთითაც რომ არ შორდებოდა, ნელა-ნელა ცრემლით აივსო, კაცი ხედავდა, უცნაური წყალი მის თვალებში როგორ მატულობდა და თანდათანობით შადრევანს ემსგავსებოდა. და კაცმა მკერდში გულის მხურვალეობა იგრძნო და მოლბა.

მეტ მზერას ველარ აიტანდა. მუხლებზე დავარდა, ქალის თავი მკლავებში მოიმწყვდია და სახე ყელთან მიიტა-



მხატვარი ინა ჭელიძე

ნა. ქალი გაყურდა. კაცს გული საბოლოოდ მოღობოდა და მკერდში გამაღებით უძგერდა. და იგრძნო, თუ როგორ დაულტო ნელმა, თბილმა ცრემლებმა ყელი. განძრევა არ შეეძლო.

ცხელ ცრემლებს ახლა უკვე კისერთანაც გრძნობდა, კიდევ უფრო ქვევითაც. კვლავ უმოძრაოდ დარჩა, მარადისობაში შეჩერებული. ქალის სახესთან სიახლოვე მხოლოდ ახლა გახდა მისთვის აუცილებელი აღარასოდეს გაუშვებდა. მის მკლავებს თავს ველარასოდეს დააღწევდა. კაცს მარადღუამს ასე დარჩენა სურდა. გულში ტკივილს გრძნობდა და სიცოცხლეს ამად ღირდა.

გაუცნობიერებლად დაჰყურებდა ქალის ნოტიო, რბილსა და ნაბლისფერ თმას.

შემდეგ უეცრად იმ საზიზღარი წყლის სურნელი შეიგრძნო. ქალი მაშინვე მოცილდა და შეხედა. კაცმა თვალეში მწუხარება და იდუმალეა ამოიკითხა. შეეშინდა, ძირს დავარდა და კოცნა დაუნყო, ანგარიშშიუცემლად ლოშინდა, არ იცოდა, რას სჩადიოდა. მისი თვალეზიდან იმ საშინელი იდუმალეებისა და მწუხარების ნაშლა სურდა.

როცა ქალმა სახე კაცისაკენ მოატრიალა, კვლავ ნაზი ნათელი ადგა. თვალეში ისევ სხივი ჩასდგომოდა და ალტაცების ის საშინელი ნაპერწკალი უელავდა, რომელიც მამაკაცს მართლაც აშინებდა, მაგრამ მისი ხილვა ახლა უკვე ნამდვილად სურდა, რადგანაც ეჭვით აღვსილი გამოხედვა უფრო შემადრწუნებელი იყო.

„გიყვარვარ?“ წარმოთქვა ენის ბორძიკით.

„მიყვარხარ“. სიტყვა მტკივნეული დაძახულობით აღმოხდა, არა იმიტომ, რომ გულწრფელი არ იყო, არამედ სავსებით ჭეშმარიტად მიიჩნევდა. ნათქვამს მისი ეს-ეს არის დაფლეთილი გული კიდევ ერთხელ გაეგლიჯა. და კაცს ახლაც სურდა, რომ ეს სიმართლე ყოფილიყო.

სახე კაცისაკენ მიიტანა. ისიც დაიხარა და ტუჩებში ნახად ეამბორა. მხოლოდ ერთხელ, ვით სანინდარი მარადისობისა. და კოცნის შემდეგ იგრძნო, რომ მკერდში გული კვლავ შეეკუმშა. მისი შეყვარება არასოდეს განეზრახა. მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი სხვანაირად ქცეულიყო. ქალთან მისასვლელი უკვე გაეკვლია. მანამდე არსებული კი მინავლულიყო და გამქრალიყო.

კოცნის შემდეგ ქალს თვალეები ნელ-ნელა კვლავ ცრემლებით აევსო. კაცის მახლობლად უძრავად იჯდა. სახე გვერდზე გადაეხარა, ხელეები კალთაზე დაეკრიფა. ცრემლები ძალიან ნელა მოედინებოდა. სრული სიჩუმე იდგა. კაციც ფარდაზე უძრავად მოკეცილიყო. ჩანდა, რომ უცნაურად გულისგამაპოებლმა ტკივილმა გაანადგურა. ნუთუ უნდა ჰყვარებოდა? განა ეს იყო სიყვარული? განა ასე უნდა აშლოდა დარდები? მას, ექიმს! როგორ გაამასხრებდნენ, პაციენტებს რომ გაეგოთ! გაფიქრებაც კი არა სურდა, ვინმემ იცისო.

უცნაურად გაცხადებული ტკივილიანი ფიქრებით ქალს კვლავ შეხედა. ფიქრებში ჩაძირულიყო. შეამჩნია, რომ ცრემლი ჩამოუგორდა და გულში მხურვალეა იგრძნო. პირველად დაინახა, რომ მხრეები მთლიანად მოშიშვლებოდა, მკლავიც ტიტველი მოუჩანდა, და ქალის მომცრო ძუძუებს თვალი შეავლო. ბუნდოვნად ხედავდა, რადგან ოთახში უკვე ჩამობნელებულიყო.

„რატომ ტირი?“ ჰკითხა ალგზნებულმა.

ქალმა კაცს ამოხედა და ცრემლებს მიღმა თვალეში სირცხვილის შუქი აუკიაფდა.

„ნამდვილად არ ვტირი“, გაეპასუხა და თან ნახევრად შიშნარევი თვალეებით უმზერდა.

კაცმა ხელი წინ გამოსწია და შიშველ მკლავს შეახო.

„მიყვარხარ! მიყვარხარ!“ რბილი, დაბალი, მისთვის უჩვეულო ხმით წარმოთქვა კაცმა.

ქალი ფიქრს მიეცა და თავი ჩაჰკიდა. მკლავზე რბილმა და გამგმირავმა ხელის ნავლებამ გასაჭირში ჩააგდო. კაცს აპხედა.

„გამიშვი“, თქვა ქალმა. „ნავალ და მშრალ ტანსაცმელს მოგიძებნი“.

„რისთვის?“ ჰკითხა. „არა მჭირდება“.

„მე მჭირდება“, თქვა ქალმა. „მინდა, გამოიცვალო“. კაცმა ხელი უშვა და ქალმა ზენარი შემოიხვია. შემინებულმა შეხედა. და მაინც არ წამოდგა.

„მაკოცე“, უთხრა სევდიანად.

აკოცა, მაგრამ ხანმოკლედ, სიბრაზეშეპარულმა.

შემდეგ, სულ რაღაც წამებში ქალი ნერვიულად წამოდგა, ზენარში გაიხლართა. მის ხლაფორთს თვალს ადევნებდა. გათავისუფლებას შეეცადა და ზენარი ისე შემოიხვია, გავლა შეძლებოდა. იცოდა, გაბრაზებული უმზერდა. და როცა ზენარათრეულმა გაიარა, კაცმა თვალი მის ტერფებსა და თეთრ ფეხებს მოჰკრა. გონებაში იმ წუთის აღდგენას შეეცადა, როცა ქალს თვითონ ახვევდა ზენარში. მაგრამ გახსენება არ ისურვა, რადგანაც მაშინ არარაობას ნიშნავდა. მეხსიერებას წინ აღუდგა, რადგანაც არ სურდა გაეხსენებინა, რომ ქალი ოდესღაც მისთვის არაფერს წარმოადგენდა.

ჩაბნელებული სახლიდან ყრუდ დაცემის ხმა მოესმა. მერე კი მისი ხმაც გაიგონა: – „აი, ტანსაცმელი გიპოვე“. წამოდგა და კიბეს აუყვა, თან მის მიერ დაყრილი ტანსაცმელი წამოკრიბა. მერე ისევ ბუხართან დაბრუნდა. ტანი გაიმშრალა და ჩაიცვა. საკუთარ გარეგნობაზე თვითონვე გაეცინა, როცა თავისი თავი გამოწყობილი იხილა.

ცეცხლიც მინავლულიყო. რამდენიმე ქვანახშირი დაამატა. სახლი სულმთლად ჩაბნელდა; მხოლოდ ხეებიდან გამომავალი ქუჩის ლამპიონთა სუსტი სინათლე სცემდა. ბუხრის თავზე ნაპოვნი ასანთით სანათს მოუკიდა. შემდეგ ტანსაცმლის ჯიბეები გადმოიტრიალა და სველი ნივთები ჭურჭლის სამრეცხაოში დაახვავა. ქალის დალორთხილი ტანსაცმელიც ნახად მოკრიბა და სამრეცხაოს სპილენძის საკიდზე ცალკე ჩამოჰკიდა.

საათი ექვსს უჩვენებდა. მისი საათი გაჩერებულიყო. ამბულატორიაში უნდა დაბრუნებულიყო. მცირე ხნით შეიცადა, მაგრამ ქალი ისევ არ ჩანდა. კიბეზე ავიდა და გასაძახა:

„უნდა ნავიდე“.

ქალი დაუყოვნებლივ გამოჩნდა. საუკეთესო კაბასა და შავ ვუალში გამოწყობილიყო. თმა ისევ სველი, მაგრამ დავარცხნილი ჰქონდა. შეხედა და გაუღიმა.

„მაგ ტანსაცმელში არ მომწონხარ“, უთხრა ქალმა.

„ცუდად გამოვიყურები?“ ჰკითხა.

ერთმანეთისა სცხვენოდათ.

„ჩაის გაგიზადავ“, თქვა ქალმა.  
„არა, უნდა ნავიდე“.

„მართლა?“ და ქალმა კვლავ ფართო, დაძაბული და ეჭვიანი თვალებით შეხედა. და ისევ მკერდში გამჭოლმა ტკივილმა აგრძობინა, რომ შეჰყვარებოდა. ახლოს მივიდა, დაიხარა და ნაზად, ვნებიანად აკოცა.

„მერე ჩემი თმა რომ საშინლად ყარს“, აღგზნებულმა ჩაიბუტბუტა. „და მეც რომ საშინელვ ვარ? საშინელვბა! ოჰ, არა, ძალიან საშინელი რამე ვარ“. მწარე, გულისგამგმირავი სლუკუნი ამოუშვა. „როგორ გეყვარები, როცა საშინელი ვარ“. „ნუ სულელობ. სისულელეს თავი დაანებე“, უთხრა კაცმა. შეეცადა დაემშვიდებინა. თან ჰკოცნიდა და გულში იკრავდა. „მინდისხარ. ჩემი მინდა გახდე. ცო-

ლად ნავიყვან. ძალიან სწრაფად, სწრაფად. ხვალვე, თუ მოვახერხე“.

მაგრამ ქალი მაინც ცხარე ცრემლით ტიროდა და გაიძახოდა:

„საშინელვბა ვარ. საშინელვბა. შენთვის საშინელვბა ვარ“.

„არა, მინდისხარ, მინდისხარ“. პასუხი მხოლოდ ერთი იყო და ისიც ისეთი საშიში ინტონაციით თქმული, რომ ქალი უფრო მეტად შეშინდა. ალბათ, მაშინდელვზე მეტადაც, როცა კაცს ნამდვილად არა სურდა.

**ინგლისურიდან თარგმნა  
მაია გოლაშვილი**

დევიდ ლორენსი (1885-1930) სკანდალურად გახმაურებულ მწერალთა შორის იხსენიება. ამ მხრივ განსაკუთრებით ცნობილია მისი რომანი „ვაჟიშვილები და საყვარლები“, აგრეთვე „ცისარტყელა“, რომელიც გამოცემიდან ხუთი კვირის თავზე საპოლიციო სასამართლომ აკრძალა როგორც უხამსი ნიგნი.

**რედაქციის მინაწერი:**

რებს – „ჩალვადარის ქალიშვილი“, დრამატიზმის, რეალიზმისა და ლირიზმის ჩინებული შერწყმის ნიმუშად რომ წარმოგვიდგება.

ლორენსი არ ეპუებოდა პურიტანულ მორალს და გამომწვევად ექცეოდა ამ სულისკვეთებით განმსჭვალულ საზოგადოებას, თუმც მიაჩნდა, რომ ეს აუცილებელი სითამამე გახლდათ, მწერლური აუცილებლობა და არა შეტევა ზნეობის წინააღმდეგ, რაც ასე უსამართლოდ ბრალდებოდა. მას საგანგებო ესეიც კი აქვს შექმნილი, სადაც ასაბუთებს, რაოდენ აუცილებელია ეროტიკა მხატვრული შემოქმედებისათვის, ოლონდ, ცხადია, ის სრულიად გამიჯნული უნდა იყოს უხამსობისაგან.

ლორენსის თხრობას არ აკლია ირონია, სარკაზმი, აღსაზუსტებელი ინგლისური იუმორით, თუმც ფაქიზი ლირიზმიც რომ საკმაოდ ემარჯვება, თუნდ ეს ნოველაც ადასტუ-

ქართველი მკითხველისათვის დევიდ ლორენსის სახელი პირველად ცნობილი გახდა ნიკო ყიასაშვილის წყალობით, ვინც ირწმუნებოდა, რომ ამ მწერლის ნოველები და რომანები აუცილებლად უნდა ამეტყველებულიყო ქართულადაც. რომანები ჯერაც ბურუსით მოცული რჩება და ერთი-ორი ნოველა თუ გამოჩნდა ჩვენს სალიტერატურო გამოცემებში, თუმც ცოტა ხნის წინათ თამარ კოტრიკაძის მეოხებით ქართულადაც ხელმისაწვდომი შეიქნა მისი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურულ-პოლიტიკური ქმნილება „ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ“ („კავკასიური სახლი“) – თავისებური გზამკვლევი დასავლური აზროვნების სიღრმეში შესაღწევად და დღესდღეობით მეტად აქტუალური უპირველესად თავისი დაუშომინებლობითა და სიახლეთა დამკვიდრების წყურვილით.

**კულუარები**

**დიდი მისტიკოსის თიატრალური პორტრეტები**

ედგარ ალან პო თანამედროვეთა შორის გარყვნილი, უზნეო ადამიანის, ავანტიურისტის, ლოთისა და ნარკომანის რეპუტაციით სარგებლობდა. მითებმა და ლეგენდებმა იმდენად დაამახინჯეს მისი ბიოგრაფია, რომ მწერლის ცხოვრების ზოგი დეტალი დღემდე საიდუმლო ბურუსით მოცულა. ცნობილია რომ პოს მშობლები ადრე გარდაეცვალა და იგი ვაჭარმა ცოლ-ქმარმა იშვილა. მერე იყო პანსიონი, სადაც მოსაწყენი თხზულებების დაზეპირებას აიძულებდნენ, ამერიკის ჯარში სამსახური და რეპორტიორის მომქანცველი სამუშაო ჟურნალ-გაზეთებში... მისი ბიოგრაფიის ყველაზე უფრო ტრაგიკული ფურცელი კი გახლდათ ცამეტი წლის კუზინას – ვირჯინიას სიყვარული, რომელიც ქორწინების ორი წლის თავზე, ჭლექით გარდაიცვალა. თვითონ ედგარ პოც საკმაოდ ახალგაზრდა დაიღუპა ისეთ ვითარებაში, რომელიც ბოლომდე გაურკვეველი და ბუნდოვანი დარჩა.

ამაღლებას ლამობდა. სპექტაკლში ბევრი რთული სახეა, რომელიც სიმბოლურად მწერლის სულიერ ძიებებს გამოხატავს: ელვარე სანთლების ცეცხლოვანი წრე, ღვთისმოსავთა პროცესიები, რომლებიც იწყებენ და ასრულებენ მოქმედებას, რკალი, რომელსაც ერთ-ერთ სცენაში გმირი იესო ქრისტეს ანალოგიით ზურგით ეზიდება.

ედგარ პოს ასეთი იდუმალი ბედისწერა თეატრალურ რეჟისორთა არაერთი თაობის ყურადღებას იპყრობს და ყველა თაობის რეჟისორები ცდილობენ თავისებურად ჩასწვდნენ „ყორანის“ და „ელეონორას“ ავტორის სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოს.

ედგარ პოს ეგზისტენციურ ძიებათა სცენური ფორმით გადმოცემის სხვა მცდელობა ამერიკელ მაყურებელს რეჟისორებმა პოლ დევი კემენსმა და რონ მაჯიდმა შესთავაზეს. მათ მონოსპექტაკლში „როგორღაც, შუალამისას“ პოეტის სული ბრუნდება მინიერ სამყაროში, რათა გააქარწყლოს მასზე შექმნილი ლეგენდები. მსახიობ ჯონ ოსტინის აზრით, ედგარ პოს შემოქმედების არსი ადამიანის ფსიქიკის სიღრმეებში შეღწევა და სიცოცხლის ნამდვილი სახით წარმომჩინებაა.

რეჟისორი ბილ რეიზბლუმიც თავის მისტიკურ მედიტაციით, რომელიც მწერლის ლექსების, ნოველების, წერილებისა და ჩანაწერების მიხედვით დადგა, ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსის შინაგან სამყაროში შეღწევასა და მისი მსოფლგანცდის გაგებას შეეცადა. რეიზბლუმისათვის ედგარ პო XIX საუკუნის პრომეთეა, რომელიც ყოფის არსში შეღწევას, ღვთის ძიებებს და ამით ღმერთადღე

ედგარ პოს ეგზისტენციურ ძიებათა სცენური ფორმით გადმოცემის სხვა მცდელობა ამერიკელ მაყურებელს რეჟისორებმა პოლ დევი კემენსმა და რონ მაჯიდმა შესთავაზეს. მათ მონოსპექტაკლში „როგორღაც, შუალამისას“ პოეტის სული ბრუნდება მინიერ სამყაროში, რათა გააქარწყლოს მასზე შექმნილი ლეგენდები. მსახიობ ჯონ ოსტინის აზრით, ედგარ პოს შემოქმედების არსი ადამიანის ფსიქიკის სიღრმეებში შეღწევა და სიცოცხლის ნამდვილი სახით წარმომჩინებაა.

მითისა და მწერლის რეალური ბიოგრაფიის შეუთავსებლობამ შთააგონა რეჟისორი და „ადლერდანცტეატრის“ სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი ელიზაბეტ ადლერი, ედგარ პოს ლირიკის მოტივებზე მუსიკალური პიესა დაედგა. სპექტაკლის მთავარი გმირები მწერალი და ის ხუთი ქალია, რომელთაც პოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

ელიზაბეტ ადლერის შენიშვნით, ედგარ პოს ტრაგედია უპირველესად უკავშირდება მუდმივი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, რომელსაც მწერალი როგორც შემოქმედებითადაც, ასევე ადამიანებთან ურთიერთობის მხრივაც განიცდიდა.

\* \* \*



თამაზ ნატროშვილს იმ დილით რატომღაც თვით-მკვლელობაზე ფიქრი აჰყვა. არა, სიზმარი არ უნახავს ზიანი, მაგრამ ასე კი მოხდა.

მაგრამ... დღე იყო მზით გადაბდღვილებული, ალერსით სავსე და სულის დამატკობელი. და როგორ გინდა უამური ფიქრი გონებიდან არ გამოიდევენო – გადასდო მაინც თვითმკვლელობის განზრახვა, და თამაზ ნატროშვილიც გადანყვეტს, საჯაროში (ძველი სახელით იხსენიებს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიო-

თეკას) მისვლა მირჩევნია, დაწყებული საქმე რომ მოვათავო.

მზე ჩახჩახებს და რაფიელ ერისთავის პერსონაჟ მზესავით გინვევს: გეყოფა სწავლა, ახლა კარგია გავლათ.

გავლას რა სჯობს, მაგრამ მზე ჯერ კარგა ხანს იკაშკაშებს და წიგნებში ჩახედვაც მოესწრება. მერე იარე და იარე, ათვალე რე ეს ათასფერადი სამყარო, თავის მოკვლავზე მაინც აღარ იფიქრებ.

გახალისებული სწრაფი ნაბიჯით აუყვება ბიბლიოთეკის კიბეს და... ზედ დარბაზის კარზე წარწერა დახვდება: „შენდობით მომიხსენიეთ“.

– მიჩვენება თუ რა არის? – გაოგნებულია, – რა „შენდობა“? რა „მომიხსენიეთ“?

მაგრამ იქვე მეორე წარწერაცაა, „დავითიანიდან“ ამოღებული: „დამარხეს, კარი საფლავთა დახურეს ქვითა დითა“.

კარს შეაღებს და შედის შეცბუნებული იმ უცნაური პლაკატებით, შედის და... მთელი დარბაზი საფლავის ქვების ფოტოსურათებითაა გადავსებული.

თურმე ამირან არაბულის ფოტოგამოფენაა, უჩვეულო თემატიკით – საფლავის ქვა და ეპიტაფია.

მთელი საქართველო მოუვლია, მთელი სასაფლაოები მოუჩხრიკავს და წვეთ-წვეთობით უგროვებია ქვითხურობის საუკეთესო ნიმუშები, მართლაც საგანძური, სამაროვანებზე შემონახული, თანდათან რომ ხუნდებოდა და იკარგებოდა.

ეს დაკარგვას არ დაანებებდა და, სადაც მიწვდებოდა, ფირზე აღბეჭდავდა მოხატულობასაც და ეპიტაფიებსაც, რვეულშიც გადმოიწერდა და უამრავი მასალა რომ დაუგროვებოდა, გამოფენის გამართვასაც ჩაიფიქრებდა. განზრახვას წინ რა დაუდგებოდა და... გაოგნებული საზოგადოება აღტაცებული და გაფაციცებული აჰყვებ-ჩაჰყვებოდა დარბაზის კედლებს.

თამაზი კი:

– რატომ ფეხი არ მომტყედა!..

ყველგან ნასულიყო და აქ არ შემოცდენოდა ფეხი.

ძლივს ამოიგდო გონებიდან სიკვდილზე ფიქრი, მზემ გადაავინცა, სიკვდილი თუ კიდევ არსებობდა და...

რა არის ამდენი საფლავი?

რა არის ამდენი ხმა სამაროდან?

იმქვეყნის ბინადარი კი ამის განცდებს არაფრად აგდებენ და წუთისოფლის გაუტანლობას უჩვიან, ცრემლად იღვრებიან, დარდად იფუფქებიან.

ამ კედელს შეხედავ და:

**მახსოვს წუთისოფელი დავდიოდი მთელათა მე მეგონა სიცოცხლე მექნებოდა გრძელათა უცფათ შემხვდა სიკვდილი წამაქცია ხელათა**

იმ კედელზე გადაგივა მზერა და:

**უცფათ დამიგეს მე ცეცხლის მახე სულთამხუთავი აშკარათ ვნახე სწრაფ შემეშალა ბროლივით სახე.**

ახლა აქეთ:

**მშრომელი კაცი ვიყავი მიყვარდა პურ-მარილია. უკანასკნელად პატივს მცემს სიძე და ჩემი შვილია**

ახლა კიდევ იქით:

**დედ-მამის ალერსს ვიყავ ჩვეული, სიკვდილი შემხვდა ანაზდეული ნეტა რა ნახა ჩემში ურიგო ვაი სიკვდილო იყავ წყეული მწარით ასტირდა ჩემი მშობელი ჩემი სიცოცხლის კეთილ მყოფელი.**

იქნებ იმ კედელს მაინც შეაფარო თავი და იქ ხომ მთლად:

**ორი ტყვია დამახალეს რაც იცოცხლე კმარაო**

იქით კიდევ...

რომელ ერთს გინდა გაუძლო. აღარ შეუძლია საფლავების ყურება, აღარ უნდა ეს სამყარო ვაჟა-ფშაველას ნოველის „ოცნება“ პერსონაჟივით:

„აახ, ღმერთო!.. კიდევ გულსაკლავი სურათი? აღარ მინდა ამგვარი სურათები, სხვა მაჩვენე, კარგი, გულის საღბუნო; მაჩვენე მდელო, ყვავილებით მორთული, იქ მოსეირნე იგივე ხალხი, მოსეირნე, მომლხენი და მოკისკისე!.. არ მინდა საფლავების ნახვა, მეჯავრება!..“

და კიბეზე ჩამორბის თავქუდმოგლეჯილი.

ისეთი განცდა დაუფლებია, თითქოს აღაზასავით გამორბოდეს სასაფლაოდან, დგანდგარი მოესმოდეს და ყურებს უივილი გაუდიოდეს მკვდრების წყრომისა და ჩივილისაგან, მუქარაც რომ შერევია: შინით სად გაგვეხვეწები, აქით თუ გაგვეშორიაო.

ვაჟას ალუზიებით გათანგული გამოიჭრება ბიბლიოთეკიდან.

მზე ისევ ჩახჩახებს გარეთ, ისევ საალერსოდ იწვევს ყველასა და ყველაფერს, ისევ ატკობს სულს და გავინყებს, ქვეყნად სიკვდილი თუ კიდევ არსებობს.

... დარბაზში კი ისევ მოთქვამენ საფლავის ლოდები. ისევ სანუთროს ემდურიან. ისევ ელიან მეორედ მოსვლას. – ბატონო თამაზ, ბატონო თამაზ! – ვილაც გამოსდევნებია. ხელსაც ჩაავლებს, რა ქნას, სხვაგვარად ვერ შეაჩერა. მოიხედავს. ამირანია.

– როგორ გამეხარდა თქვენი ნახვა! დღეს, ეტყობა, გეჩქარებათ, კარგად დათვალა ვერ მოასწარი. ხვალ როდის მობრძანდებით, მითხარით, აქ რომ დაგხვდეთ და მე თვითონ გიმეგზუროთ, უფრო ღრმად შეგიყვანოთ ამ სამყაროში. – კაცი არა ხარ? ოღონდ ახლა თავი დამანებე, ძლივს გამოვვდი... მზე ჩახჩახებს, დიდი, ბრდღვიალა მზე.

\* \* \*

კარლო კალაძე „მერანის“ დირექტორია.


ეს გამომცემლობა ვახსენე თუ არა, ალბათ მაშინვე მისი ის ფრაზა გაგახსენდათ, ტანმოოჩილი სოლომონ დემურხანაშვილის გამოჩენისას აღტაცებულმა რომ წამოიძახა: მწერალი უფრო მაღალი არ უნდა იზრდებოდესო. დაეშინებინათ ათლეტური აღნაგობის მწერლებს. გაგახსენდათ და... გაგიკვირდათ, ეს უკვე გაცვეთილი ანეკდოტური შემთხვევა რა ნაკვეთების ციკლში შესატანი იყო.



ნუ აჩქარდებით. სულ სხვა კალამბურია. სოფლად დაბატიყებენ და მისვლისთანავე ცხელ-ცხელ ხაჭაპურს მიაგებებენ. ის გემრიელად რომ გაიღმურძლება, რა მიხვედრა უნდა, ძალიან რომ მოენონა, მაგრამ მაინც ჩაჭკითხავენ: – როგორია? კარლო ყველაზე მარჯვე პასუხად საგამომცემლო ტერმინს შეარჩევს: – შესანიშნავია! მიეცით ტირაჟი!

\* \* \*

აკაკი დვალისძე იოთარ ჩხეიძის „ძველ რომანსებს“ რომ გაეცნობა, ძალიან მოენონება: სწორედ ასეთი დრამა გეჭირდებაო, – და მარჯანიშვილის თეატრში მოინდომებს დადგმას. იმჟამად მას ხელმძღვანელობს და არ ეეჭვება, რომ დასს შემოქმედებითად აღანთებს. ანგარიშს რომ გაუნევენ მის მოწონებას, ეს თავისთავად. მხოლოდ ფორმალური მხარეა მოსაგვარებელი – დასს წაუკითხოს, რეჟისორი დანიშნოს, როლები გაანაწილოს.



ნახატები დიმიტრი ერისთავისა

მეტი შთამბეჭდაობისათვის თვითონვე წაიკითხავს. პიესაში საკმაოდ მძაფრი ვნებები თამაშდება ოჯახური ყოფის ფონზე, სულაც ტრაგედიით რომ უნდა დასრულდეს – ქალიშვილს შეაცდენენ და მიატოვებენ და იგი თავს იკლავს, მდინარეში ვარდება. ის მერე მოხდება, ზესტაფონის თეატრში, ცენზურა თვითმკვლელობას არაფრისდიდებით რომ არ იყაბულებს. თუკი არ შეიძლება, რომ საბჭოთა ბელურას სციოდეს ან შიოდეს, ის სულ აღარ შეიძლება, საბჭოთა მოქალაქე, თანაც კომკავშირელი, თავს იკლავდეს!.. ამიტომაც ფინალს ხელოვნურ სცენას მოაბამენ – გოგონა ვარდება თუ არა მდი-

ნარეში, შემთხვევით შესწრებული კომკავშირელი ვაჟიც მაშინვე გადაეშვება მის ტალღებში და ცოცხალმკვდარი ქალიშვილი ამოჰყავს, მოასულიერებს და საბჭოური ცხოვრების ფერხულს დაუბრუნებს.

ასე შეიძლება იქცეს ტრაგედია კომედიად. მაგრამ ეს ჯერ მოსახდენია. აკაკი დვალისძეს ვერ წარმოუდგენია, ასეთი რამეც თუ შეიძლება მოსთხოვონ და გატაცებით კითხულობს, ბოლო სცენაზე ხმაც კი უკანკალებს მღელვარებისაგან.

დასი სუნთქვაშეკრულია. და უეტრად ვერიკო ანჯაფარიძის სიცილი გაისმის.

– ეს რა ნაგვიკითხეთ, რა გულუბრყვილობაა, ამისათვის თავს ვინ იკლავს. ვინ დაიჯერებს. – რატომ არა!.. – აკაკი დვალისძე შეკამათებას შეეცდება, მაგრამ ვერიკოს გავლენა იმხელაა, საბოლოო ვერდიქტის გამოტანის უფლებაც დაუსაკუთრებია. – მოიცა ერთი, – ხელსაც აუქნევს, – შეცდენისათვის? „ძველი რომანსების“ განაჩენი გამოტანილია.

### აგაპი ნათან ჰეილისა

„ხოლო სამშობლო... ხოლო ეს დროა (ხელით მანიშნა გემისკენ)... არასოდეს შემოგეპაროს გულში სხვა ოცნება გარდა იმ ოცნებისა, რომ ემსახურო მას, როგორც გიბრძანებს, თუნდაც ამ მსახურებამ ათასი ჯოჯოხეთი გამოგატაროს. და რაც არ უნდა დაგემართოს, ვინც არ უნდა გაამოს ანდა დაგამოციროს, არასოდეს შეხედო სხვა დროსას. და ერთი ღამეც არ გამოტოვო, რომ არ შეევედრო ღმერთს – აკურთხოს ეს დროსა. გახსოვდეს ძმობილო, რომ იმ ადამიანთა მიღმა, ვისაც გადაეყრები ცხოვრებაში, ოფიცრებს მიღმა, მთავრობის მიღმა და მთელი ხალხის მიღმაც არის თვით სამშობლო, შენი სამშობლო და შენ მისი შვილი ხარ, ისევე როგორც შენი მშობელი დედისა და ისევე ეკუთვნი მას, როგორც დედას. და მედგრად დადექი მის დასაცავად, ისევე როგორც დაიცავდი დედაშენს...“

ეს ტექსტი დამონმბებულია ედუარდ ჰეილის მოთხრობიდან „უსამშობლო კაცი“ (მისი ქართული თარგმანი გამოქვეყნდა გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე – 2003 წ. №8).

ასე მიმართავს ახალგაზრდა მეზღვაურს, თავის თანამგზავს, აშშ არმიის ყოფილი ლეიტენანტი, რომელსაც ყმანვილკაცობაში ჩადენილი შეცდომა ძალზე ძვირად დაუჯდა. როყოდ ნამოსროლილი სიტყვების გამო საბედისწერო განაჩენი გამოუტანეს. სამშობლოს სახელს ნუღარ გამაგონებთო, რომ თქვა, აუსრულეს და ორმოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში მის ყურს აღარ სმენია და თვალს აღარ წაუკითხავს სახელი ამერიკისა. ამიტომაც შეარქვეს „უსამშობლო კაცი“.

როდესაც ედუარდ ჰეილი წერდა ამ პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ მოთხრობას, ალბათ, ის ოჯახური გადმოცემებიც შთააგონებდა, რომლებიც ცოცხლად წარმოუდგენდნენ თვალწინ სახელოვანი პაპის გმირობას.

დაახ, როგორც ირკვევა, ედუარდ ჰეილის პაპა – კონტინენტური არმიის კაპიტანი ნათან ჰეილი (1755-1776) დამოუკიდებლობისათვის ომის დროს ინგლისელებმა სიკვდილით დასაჯეს. მასზე შეუთხზავთ პოპულარული „ბალადა ნათან ჰეილზე“.

ნათან ჰეილმა 1773 წელს დაამთავრა იელის უნივერსიტეტი და მსახურობდა სკოლის მასწავლებლად ნიუ-ლონდონსა და ისტ-ჰადამში (კონექტიკუტის შტატი). შემდგომში ჩაენერა კონტინენტური არმიის რიგებში, რომელსაც სარდლობდა გენერალი ჯორჯ ვაშინგტონი. მომავალ პრეზიდენტს მშვენივრად ესმოდა, რომ სამხედრო დაზვერვის გარეშე ომის მოგება წარმოუდგენელია და თავად მეურვეობდა დაზვერვის საქმეებს.

1776 წლის სექტემბერში ნათან ჰეილმა, უკვე კაპიტნის ჩინით რომ ჰქონდა, ნებაყოფლობით გადაწყვიტა ნასულიყო მშვერავად ფრონტის ხაზს იქით.

რამდენადაც ცნობილია, ჰეილმა პატარა ნავით გასცურა კონექტიკუტიდან ლონგ-აილენდამდე, მალულად გააღწია ინგლისელთა პოზიციებს და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწ-

ყობილი ჩავიდა მანჰეტენს – სკოლის მასწავლებლის საფარქვეშ.

მისთვის იოლი როდი იყო შეუმჩნეველად დარჩენა. მაღალი ტანისა გახლდათ და სახეზე ნაირევეები ჰქონდა (ახლო მანძილზე აფეთქებული ყუმბარის ნამსხვრევებისგან). და აი, რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ხელმეორედ სცადა ფრონტის ხაზის გადაკვეთა თავისიანებთან დასაბრუნებლად, ჰეილი ინგლისელებმა შეიპყრეს.

ისტორიკოსები სხვადასხვაგვარად აღწერენ მისი სადაზვერვო მისიის, დატყვევებისა და სიკვდილით დასჯის დეტალებს. მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მას არა ჰქონია არავითარი სპეციალური სადაზვერვო მომზადება და დატყვევებულმა მისივე აღიარა, კონტინენტური არმიის ოფიცერი ვარო. არც ის არის დადგენილი ზუსტად, თუ როგორ მოხდა მისი დატყვევება. შესაძლოა, ინგლისელთა ხელში მოხვდა მისი ნაჩქარევი ჩანაწერები და ჩანახატები მათი სამხედრო ობიექტებისა. არც ისაა გამორიცხული, რომ იგი გასცა მისმა ბიძაშვილმა, ინგლისელებს რომ ემხრობოდა.

ასეა თუ ისე, ჩრდილოეთ ამერიკაში ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდალმა უილიამ ჰაუეიმ ბრძანება გასცა, რომ გამოძიებისა და გასამართლების გარეშე ჩამოეხრჩოთ ჰეილი. და განაჩენი აღსრულდა დატყვევებიდან მეორე დღესვე – ეს იყო 1776 წლის 22 სექტემბერი.

ჰეილს არც მღვედელი მიჰგვარეს და არც ბიბლია მიანოდეს. როდესაც ეშაფოტზე იდგა, ოცდაერთი წლის პატრიოტმა სიკვდილის წინ წარმოთქვა: „მე მხოლოდ იმას ვწუხვარ, რომ მხოლოდ ერთი სიცოცხლე გამაჩნია, რომელიც შემიძლია შევნირო სამშობლოს“.

შეერთებულ შტატებში ნათან ჰეილმა გმირის სამარადისო სახელი მოიხვეჭა. მისი პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ სამოქალაქო ომის დროს, 1863 წელს, სამხრეთელთა მზვერავს დევისს, რომელიც ჩრდილოელებმა შეიპყრეს და ჩამოახრჩეს, კონფედერაციის პრესამ უწოდა „მეორე ნათან ჰეილი“.

1914 წელს იელის უნივერსიტეტის სტუდენტალაქის ტერიტორიაზე აღმართეს ნათან ჰეილის ძეგლი. კვარცხლბეკზე დგას ქვისგან გამოკვეთილი ლამაზი ახალგაზრდა – კისერზე ყულფითა და ზურგს უკან შებოჭილი ხელებით.

ამ ძეგლის ასლი 1973 წელს დაიდგა აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შტაბ-ბინის შესასვლელთან ლენგლიში (ვირჯინიის შტატი).

მიაჩნიათ, რომ სამხედრო დაზვერვას შეერთებულ შტატებში დასაბამი მიეცა სწორედ 1776 წელს, როდესაც ნათან ჰეილი ნებაყოფლობით წავიდა ინგლისელთა ზურგში სადაზვერვო მისიით.

დასასრულ ისიც უნდა ითქვას, რომ ნათან ჰეილი გახლავთ მსოფლიოში პირველი მზვერავი, ვისი პორტრეტიც აღბეჭდეს საფოსტო მარკაზე. ეს მოხდა 1922 წელს.

ასე დაუმშვენა მხარი არაპროფესიონალმა მზვერავმა და მგზნებარე პატრიოტმა სახელგანთქმულ ამერიკელ სახელმწიფო მოღვაწეებს – ჯორჯ ვაშინგტონს, ბენჯამინ ფრანკლინს, აბრაამ ლინკოლნს...



ნათან ჰეილის ძეგლი აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მთავარ შესასვლელთან



მიჩვეულს ნუ გადააჩვევო

ბერიამ უხეშად მოისროლა „ძღვენი“ და ყოვლად უნმანური გამოთქმებით შეამკო განსვენებული სტალინიც და

ყოფილი იუგოსლავიის პრეზიდენტი მარშალმა იოსიპ ბროზ ტიტომ სახალხო ფრონტის კონგრესის დამთავრების შემდეგ მდიდრული მიღება გაუმართა სტუმრებს ქალაქგარეთ მდებარე სასახლეში. იუგოსლავიის ხალხთა ბელადი ფარშევანგივით იყო გამოპრანჭული. რალაც თვალისმომჭრელი მუნდირი ეცვა და ლამის ათივე თითზე ბრჭყვიალა, უძვირფასესი ბეჭდები ეკეთათ.

კონფლიქტი სტალინსა და ტიტოს შორის ჯერ არ აბრიალებულიყო, მაგრამ უკვე ფეხს იდგამდა.

კონგრესზე ჩასული საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა იმხანად ძალზე პოპულარული მწერალი კონსტანტინე სიმონოვი, სტალინური პრემიის არაერთგზის ლაურეატი.

უყურებს სიმონოვი ფარშევანგივით გამოპრანჭულ მარშალს და დაჟინებით ფიქრობს: ეს ყველაფერი რალაცას მაგონებს და რატომ ვერ გამიხსენებიაო. და უეცრად თვალწინ წარმოუდგება ერთ-ერთი უკანასკნელი ეპიზოდი მიხეილ ჭიაურელის ფილმიდან „ბერლინის დაცემა“: უჩვეულოდ მოკაზმული სტალინი თვითმფრინავით ჩადის დამარცხებულ ბერლინში და აეროდრომზე მას ხვდება ათასობით მოზიემე ადამიანი.

სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. სტალინი სპეცმატარებლით ჩავიდა ბერლინში და სადგურზე დახვდნენ ისინი, ვინც ჯერ არს უნდა დახვედროდა.

... ავი ენების თანახმად, სტალინის სიცოცხლეში კრემლის მბრძანებელთა სამეული ასე გამოიყურებოდა: სტალინი, ჭიაურელი, ბერია.

სტალინის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ ჭიაურელმა დრამატურგ სემიონ ნაგორნისთან ერთად დაწერა კინოსცენარი სტალინზე. თანავტორნი აგარაკზე ესტუმრნენ ბერიას, რომელიც თავის დროზე, როგორც ამბობენ, ეპირფერებოდაკიდევ ჭიაურელს; თავს იზღვევდა, სტალინი რომ გამიჯავრდეს, მიშამ ეგებ სიტყვა შემიანოსო.

ჰოდა, მიართვა ახლა კინოსცენარი საბჭოთა სახელმწიფოს ფაქტიურ მმართველს.

მისი ფავორიტიც:

– დავიწყე ეს ძალღიმი-მამაძალი! სტალინი იყო ნამუსგარეცხილი არამზადა, გათახსირებული გარენარი და პირსისხლიანი ტირანი. ყველანი დაგვანა, მაგ სისხლისმსმელს მთელი საბჭოთა ხალხი დათრგუნული და დაბეჩავებული ჰყავდა. საბედნიეროდ მოვიშორეთ ეგ ნაბიჭვარი. შენ კი აქ სცენარებს წერ... აზრზე მოდი, შე ვირიშვილო, შენა!

ჭიაურელს კინალამ გული გაუსკდა. შინ ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა და მეუღლეს შესჩვილა:

– ჩემი აღსასრული დადგა... დავიღუპე!

დაღუპვით არ დაღუპულა, მაგრამ სტალინური პრემიების ლაურეატი პარტიიდან გარიცხეს, სვერდლოვსკში გადაასახლეს და ადგილობრივი კინოსტუდიის რიგით რედაქტორად დანიშნეს.

მერე, ჩანს, მეუღლის – სახელოვანი ვერიკო ანჯაფარძის დაულალავი მცდელობის შედეგად ყველაფერი აპატიეს, თბილისში დააბრუნეს და კვლავ მხატვრული შედეგების შექმნას შეუდგა.

ხრუმჩოვის ხანაში სტალინის კულტი ლენინის კულტით შეიცვალა და ჭიაურელს, რასაკვირველია, არ გამოჰპარვია ეს გარემოება.

რეაბილიტაციის შემდეგ გადაღებული პირველივე ფილმის პირველივე კადრებში მაყურებელმა იხილა ერთი ქართველი რევოლუციონერის შეხვედრა ლენინთან ჟენევაში.

მეგობრები შეეხუმრნენ ღვანლმოსილ კინორეჟისორს: მიშა, მაგ ლენინ-სტალინს აღარ უნდა მოეშვაო?

მიხეილ ჭიაურელმა მეგობრებს იგავით გასცა პასუხი:

– მამაჩემს კარგი ცხენები ჰყავდა, მაგრამ ერთხელაც ისე მოხდა, რომ იძულებული შეიქნა, გაეყიდა ისინი და საბოლოოდ კატაფალკის პატრონის ხელში მოხვდნენ. ჰოდა, ის ჩვენი ბედაურები, მთელი სამგლოვიარო პროცესის თანხლებით, ჯერ ჩვენს ეზოს ესტუმრებოდნენ ხოლმე და მერეა გაუდგებოდნენ სასაფლაოს გზას.

ქრონიკა

ქრონიკა

თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, მწერალ რევაზ მიშველაძის ლიბრეტოს მიხედვით დადგა სპექტაკლი „ტერენტი გრანელი – მთვარისკენ წასროლი მიხაკი“.

დადგმა და მუსიკალური ინტერპრეტაცია ეკუთვნის ამირან შალიკაშვილს, მხატვრობა – გიორგი ხატიაშვილს, ცეკვები – კონსტანტინე ძნელაძეს. ტერენტის როლს ასრულებს ამირან შალიკაშვილი (უმცროსი).

მონაწილეობენ აგრეთვე: ნინო ლორთქიფანიძე, თეა ცქიტიშვილი, სოფიო ლოლაძე, სალომე ფილიშვილი, სოფიო ბოკუჩავა, სოფიო ბარჯაძე, შორენა ზუბიაშვილი, ხათუნა რუხაძე, მარიამ კვალინიძე, ბუბა ბასიშვილი, მერაბ შალიკაშვილი, ვახტანგ მაჩაბელი, ირაკლი ბიბილური, ლუკა ჩხაიძე, ზურაბ იაშვილი, ბაქარ ბაქრაძე, ტატო მაკალათია.

სპექტაკლის მთავარი იდეაა, თუ როგორ კლავენ, მაგრამ ვერ კლავენ მწერალს, როგორ ადუმებენ და ვერ ადუმებენ მწერლის სიტყვას. ტერენტი გრანელი წამებული შემოქმედის სიმბოლოა.

განზრახულია თეატრის გასტროლები უცხოეთში – რუსეთსა და ესპანეთში.

27 იანვარს პაატა ბურჭულაძის ფონდის თაოსნობით ახმეტელის თეატრის სცენაზე გაიმართა სპექტაკლი „Ecce Femina“.

დამდგმელი რეჟისორია მიხეილ ბუკია.

ავტორი და შემსრულებელი – ნატო გაგნიძე, ვისაც საზოგადოება უპირველესად იცნობს როგორც მსახიობს – წარმატებული თეატრალური და კინოროლებით, თუმცა ისტორიული და თანამედროვე პიესების რამდენიმე ნიგნი მას დრამატურგადაც წარმოგვიდგენს.

„Ecce Femina“ სწორედ ნატო გაგნიძის მსახიობური და დრამატურგიული ნიჭის ნაყოფად მოგვევლინა.

სპექტაკლი მიქდგნა ნინოების დღესასწაულს.